# მატიანე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 22 დეკემბერი, 2023 წ., № 3-4 (45-46)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი





# 30

## გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია,
მომენატრა მზე სინათლის მფენი,
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.
მომაგებე შენ იგივე პალმა,
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა
გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი,
მომაგებე მშობლიური გემი,
მომაგებე მშობლიური მიწა,
შენი ძველი მეგობარი მიცან.

გალაკტიონი





## ძვირფასო თანამემამულენო!

აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარი დროიდან იწყება. ჩვენი საერთო წარმოშობა, გენეტიკური ნათესაობა ჩვენს ხალხებსა და ენებს შორის, საერთო ისტორია, საერთო კულტურა გვავალებს დღეს დიდ დაფიქრებას ჩვენი ხალხების მომავალ ბედ-იღბალზე. ჩვენ ერთ მიწა-წყალზე ვცხოვრობდით მუდამ და ერთმანეთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით. ჩვენ საერთო სამეფო გვქონდა საუკუნეთა განმავლობაში, ერთ ტაძარში ვლოცულობდით და ერთ ბრძოლის ველზე ვიბრძოდით საერთო მტრების წინააღმდეგ.

უძველესი აფხაზური გვარების წარმომადგენლები დღესაც არ ანსხვავებენ ურთიერთისაგან აფხაზსა და ქართველს. აფხაზთა მთავრები შერვაშიძეები, საკუთარ თავს არა მხოლოდ აფხაზ, არამედ ქართველ თავადებსაც უწოდებდნენ, ქართული ენა მათთვის დედა ენა იყო, ისევე როგორც იმჟამინდელი აფხაზი მწერლებისათვის. ,,ვეფხისტყაოსნის" კულტურა გვაკავშირებდა ჩვენ და უძველესი ქართული ტაძრები, ძველი ქართული წარწერებით დამშვენებულნი, დღესაც რომ დგანან აფხაზეთში და ხიბლავენ მნახველს, ჩვენს შორის იყო გადებული თამარის ხიდი მდინარე ბესლეთზე, სოხუმის მახლობლად, დღესაც რომ ამშვენებს უძველესი ქართული წარწერა. ბედია და მოქვი, ამბრა, ბიჭვინთა და მრავალნი სხვანი მოწმენი არიან ამ ძმობისა და ერთობისა. აფხაზი მუდამ ამაღლებული, რაინდული კეთილშობილების სიმბოლო იყო ქართველის ცნობიერებაში. აფხაზები ყოველთვის დიდ როლს ასრულებდნენ ჩვენი საერთო სამეფოსა განმტკიცებასა და კულტურულ აღმშენებლობაში.

დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო თქვენ უფრო მეტს მოგცემთ, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანიც არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით, როგორიც მას ჰქონდა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს სუკუნეთა განმავლობაში.

გაუმარჯოს ჩვენს ისტორიულ ძმობას, ერთობას და დამოუკიდებლობას!

გვფარავდეს ღმერთი სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა!

სიყვარულით და პატივისცემით

*ზვიად გამსახურდია*



# სერგი (გიორგი) საჯაია

მწერალი, ომის ვეტერანი, რიგითთაგანი, ერის გამათავისუფლებელ ძალისხმევაში, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას პრემიების ლაურეატი.

საქართველოს რესპუბლიკის აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ეროვნულ ხელისუფლებაში (1993 წ.)

## მდუმარე ამოკივლება მარტოობის ცხრაკლიტულიდან! . . .

არა შეაგბო კრავი ძითა დედისა მისისათა ... გამოსვლათა – 23, 19;
რამეთუ მისწვდეს ცოდვანი მისნი ცადმე, და
მოიხსენა ღმერთმან უშჯულოებანი მისნი ... გამოცხადება – 18, 5;

მირაჟების კრებული არის გათეთრებული
და მე გაფითრებული შენსკენ მოვექანები ...
ტერენტი გრანელი

21–ე საუკუნის განვლილ მეოთხედში, უფრო სწორად, 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვარის საბედისწერო მოვლენების შემდგომ ჩვენს ქვეყანაში დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით გამოინკუბატორებული საზოგადოების უვინაო, უვიც, უწიგნურ, ბერწ და მდაბიურ ხელებში მოექცა ქართული აზროვნების წესი და დღისწესრიგი, ხოლო მდაბიური მსოფლადქმითა და გემოვნებით არ იქმნება დიადი, ქრისტესმხედრული ქართველობის სულიერებათა დედანი.

იმისთვის სხვა ჯიშისმიერებათა საჭირო, ვთქვათ ასეთი: „სულეთს ჩავიდა წიქაი, ხელით შააღა კარია" ..., ან კიდევ: „დიდოუ ნანა, ჭყოლირ გურსუ ვამიჭუა" ...

ასეთ დროს ჩემი ძალისხმევა ჰგავს დაჭრილი მეციხოვნის მიერ სადაზერვო კლდეკოშკის ქონგურზე ცეცხლის დანთებას, რათა გარემომ დაინახოს საფრთხე და თავის მხრივ, გააფრთხილოს მიმდებარე სივრცე.

... კოლხეთში, სადაც ზოგჯერ მთელ ზაფხულზე გაწელილი წვიმებია, ამნაირ, თუ ყოვლისამინდებს ჭოროფას ეძახიან. აღმოსავლეთ საქართველოში ამ ცნებას (გვალვის საპირისპიროს) არ იცნობენ, რადგან არც ამდაგვარი მოვლენა ხდება აქ.

ჰოდა, ეს ლპობადი ჭოროფა დღეს ქართულ ცნობიერებაში გარედან ხელოვნურადაა ხელშეწყობილი ქართველი ერის გადასაჯიშებლად.

ასეთ დროს თაობის ცნობიერ კიდეგანში აქვითკირებენ საბჭოთა „უკონფლიქტობის თეორიის" მაგვარ მიდგომას თავსმოხვეული ყოველდღიურობისადმი.

აქედან გამომდინარე, დღეს, ამგვარად დაგეშილი თაობის ე. წ. სახელმწიფოებრივი ხუროთმოძღვრება (არქიტექტურა) აგებულია ლიბერასტულ მსოფლმხედველობაზე, მეტიც, ამჟამინდელი ე. წ. დემოკრატიისა და ვითომ უფლებათა დაცვის დოგმატური საფუძველი გახლავთ სწორედ ლიბერასტული სინდისგარეცხილობა, თუ ყოვლისმკადრებლობა.

ცხადია, ჩასაფრებულ მტერს არ უყვარს, როდესაც ქრიტესმხედრობად ფეხაწყობილ სიმრავლეს ფიქრი შეუძლია, როცა მან მკაფიოდ იცის, რომ ის, ეასაც მუხლზე დაჩოქილი ეგებები, თუნდაც გაძღობდეს, მაბედნიერებელი მარადიულყოფა არაა!..

ბუნებრივია, ჩვენთან დისლოცირებული საეთნოდივერსიო ინდუსტრიის საამქროებში (ე. წ. არასამთავროებებისა, თუ მათ მსგავსად ჯამაგირდანიშნული „არტელების", ანუ ლეგალური აგენტურის წიაღში) დაპროგრამებული საზოგადოება ამბობს: – ვიყოო მოღალატე, ოღონდ ჩუმად. ამიტომ, ისინი ქართველ ერს საკუთარ თავზე მოსაწყენ წარმოდგენას უქმნიან, აჯერებენ, რომ „უფროს ძმათა" („სტრატეგიულ მოკავშირეთა") სტრატეგიული ბატონყმობა კინაღამ ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობაა ...

სხვათაშორის, ერთია, ხოლო მათთვის მიჩეჩებული ვითომცდა სიტყვის თავისუფლება, ხოლო მეორე და მთავარი – რაშიც იგი გადადის, – გვაუბედურებს, თუ გვაბედნიერებს ის.

ავმოსურნედ ჩასაფრებულ ძალებს, ამ ვითარებაში სურთ და ცდილობენ ქართულმა ენამ, ცნობიერებამ ამოწუროს საზრისული შესაძლებლობანი.

ამისათვის შეესიენ მას ყველა საშუალებით მასში დედანი მსოფლმხედველობის აღსაგველად, რათა გახადონ იგი მხოლოდ ცხოველური გაგებინების საშუალებად.

ასეთი სიცხადის პირისპირ, დღეს, დღეს ჩემს 77-ე დაბადებისდღეზე, მე მამუხლმაგრებს გუშინ, 13 ნოემბერს ჯალალედინის მიერ, თბილისში, მეტეხთან .წამებულ ათთა ბევრთა (ასი ათასი) წმინდანის თითქმის რვაასი (1227 წ.) წლის წინანდელი თავდადება ერისა და სარწმუნოებისათვის. ამის მიხედვით ჩემი სურვილია, მსოფლმხედველობრივად გავიცნობიეროთ ქართველთა გონითი განფენის სივრცე და აღვადგინოთ მასში საქართველო, ანუ დედაღვთისმშობლის წილხვედრილობა.

... ნუთუ ისე ჩამოგვარეცხეს ზნეობა, სირცხვილის გრძნობა, რომ გვყოფნის უტიფრობა, ხიშტით მივეგებოთ ამგვარ სურვილს.

მომავალ წელს ასი წელი სრულდება ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მიხო ხელაშვილის, კოკი დადიანისა და მათნაირთა მიერ გამშობლიურებული საქართველოს სანიშნსვეტო თარიღიდან ...

დიდება წმინდა გიორგისა და ერთობილ საქართველოს!..

**ᲡᲔᲠᲒᲘ (ᲒᲘᲝᲠᲒᲘ) ᲡᲐᲯᲐᲘᲐ**

2023 წლის 14 ნოემბერი

# საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ერთობლივი დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ერთობლივი დადგენილებით (№**GRG-HU-111123**) (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის დასტურით) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობების თანახმად

ბატონი **ს ე რ გ ი   ს ა ჯ ა ი ა**

არჩეულ იქნას

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საპატიო წევრად და

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების"

პრეზიდიუმის საპატიო წევრად

და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული და ორგანიზაციული წვლილისათვის

დაჯილდოვდეს

## საქართველოს რესპუბლიკის ღირსების ორდენით



# მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" რიგით მეთერთმეტე და რიგგარეშე მეთორმეტე ყრილობის მასალებიდან

2021 წლის 16 ივლისს გაიმართა მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მორიგი მეთერთმეტე ყრილობა: ყრილობაზე მოისმინეს განვლილი პერიოდის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად; ყრილობაზე დამტკიცდა კავშირის ახალი პროგრამა; ყრილობამ პრეზიდიუმის წევრებად ერთხმად აირჩია: გიორგი წივწივაძე, მალხაზ მუსერიძე, ნუკრი ბაღდავაძე, ნოდარ კიკნაძე, თამაზ ხუციშვილი, თამარ რაზმაძე და თორნიკე ამაშუკელი.

ყრილობამ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბატონი გიორგი წივწივაძე, ხოლო მოადგილედ ბატონი მალხაზ მუსერიძე. ყრილობამ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" საკონტროლო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ერთხმად აირჩია: მანანა ბარამიძე (თავმჯდომარე), ხათუნა აგლაძე (თავმჯდომარის მოადგილე), მარი ხუციშვილი, მირიან მაღრაძე და დავით ევგენიძე.

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მორიგ მეთერთმეტე ყრილობაზე მიიღეს წინა ყრილობის შესაბამისი განცხადება-რეზოლუცია:

ძვირფასო მეგობრებო და თანამებრძოლებო!

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ ინიციატივით, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპების დაცვით დროა დაიწყოს სახელმწიფოებრივი ლუსტრაცია და მის საფუძველზე საერთო-სახალხო თანხმობა-შერიგების პროცესები საქართველოში!

გამოდინარე ამ ინიციატივიდან, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“, საწყის ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა, წესდების შესაბამისად, აცხადებს კავშირში ღია, საერთო, თავისუფალ მიღებას, ასევე, კავშირის წევრთა და მხარდამჭერთა რეგისტრაციას და ორგანიზაციის ახალ წევრებთან ერთად, ამ პროცედურის გავლისაკენ მოუწოდებს ყველა მოქმედ ნამდვილ წევრსა და მხარდამჭერებს, ასევე კავშირის ყოფილ, მათ შორის ადრეულ პერიოდებში გასულ, თუ გაყვანილ წევრებს, რათა, მათივე სურვილის შესაბამისად, განხორციელდეს მათი კავშირში დაბრუნება-აღდგენა წესდების შესაბამისად.

დიახ, შემოერთებისა და კვლავ გაერთიანებისათვის მოგმართავთ საქართველოს ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა იმ წევრს, რომელთაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზითა, თუ საბაბით დატოვეთ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ რიგები, მაგრამ სამშობლოს სიყვარულთან ერთიანობაში ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეა კვლავ თქვენშია.

მპგ ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“ ახლა ბრძოლის იმ ეტაპზეა, როცა მას აგრერიგად სჭირდება ერთობა.

ვფიქრობთ არ არსებობს ყოფილი ,,ჰელსინკელი“, ისევე როგორც არ არსებობს ყოფილი ქართველი და მამულიშვილი.

ამიტომაც, ქალბატონებო და ბატონებო, მამულიშვილნო და თანამებრძოლებო, მოგიწოდებთ: კვლავ დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და ერთად განვაგრძოთ ბრძოლა ლეგიტიმური, ეროვნული ძალების აღსადგენად, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის გასავრცელებლად და დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისათვის ბრძოლათა მოსაგებად, რაოდენ, მომავალი არ გვაპატიებს ერთმანეთისგან შორი-შორს დგომას და უმოქმედობას!

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 1 სექტემბერს გაიმართა მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” რიგგარეშე მეთორმეტე ყრილობა: ყრილობაზე მოისმინეს განვლილი პერიოდის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად; ყრილობაზე დამტკიცდა კავშირის ახალი პროგრამა; ყრილობამ პრეზიდიუმის წევრებად ერთხმად აირჩია: მალხაზ მუსერიძე, გიორგი წივწივაძე, ნუკრი ბაღდავაძე, ზვიად გოგიაშვილი, თორნიკე ამაშუკელი, ლევან ხაზალია და ლუკა წივწივაძე.

ყრილობამ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბატონი მალხაზ მუსერიძე, გიორგი წივწივაძე თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის თანაშემცვლელად – თავმჯდომარის უფლება-მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო მოადგილედ ბატონი ლევან ხაზალია. ყრილობამ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” საკონტროლო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ერთხმად აირჩია: ნოდარ კიკნაძე , (თავმჯდომარე), ხათუნა აგლაძე (თავმჯდომარის მოადგილე), მანანა ბარამიძე, მარი ხუციშვილი, მირიან მაღრაძე და დავით ევგენიძე.

ყრილობამ ერთხმად მიიღო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ცნობა საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომიტეტის (საბჭოს) შემადგენლობა: ნუკრი ბაღდავაძე (თავმჯდომარე), ნოდარ კიკნაძე (მოადგილე), თამაზ ხუციშვილი, თამაზ დარახველიძე, თორნიკე ამაშუკელი, თემურ დანელია და მანანა ბარამიძე.

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” მორიგ მეთერთმეტე და რიგგარეშე მეთორმეტე ყრილობებზე მიიღეს წინა მეათე ყრილობის შესაბამისი განცხადება-რეზოლუცია:

ძვირფასო მეგობრებო და თანამებრძოლებო!

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირმა“ ჭეშმარიტ ეროვნულ ძალებთან ერთიანობაში ერთხელ უკვე დაიხსნა საქართველო მტრების მარწუხებისგან და ახლა დროა, ხელმეორედ და სამუდამოდ დავამარცხოთ ის ძალა, რაც ასე აუძლურებს ჩვენს ქვეყანას!

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მასალებიდან აღსანიშნავია ცალკედ მნიშვნელოვანი საკითხი:

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” XI და XII ყრილობების შემდგომ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში ხელახალი რეგისტრაციის გავლის შედეგები და აქედან გამომდინარე, ფაქტობრივ გარემოში (საქართველოში) კავშირის შემდგომი ფუნქციონირების სტატუსისა და ამასთან ერთად, სამართლებრივ-იურიდიულ გარემოში (საქართველოს რესპუბლიკა), კავშირის სტატუსის, ფუნქციონირების, კავშირის პროგრამისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების სქემები, ამოცანები და მიზნები:

როგორც ცნობილია, 2021 წლის 16 ივლისსა და 2023 წლის 1 სექტემბერს გაიმართა მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” შესაბამისად, მორიგი მეთერთმეტე და რიგგარეშე მეთორმეტე ყრილობა, რომლებმაც მიიღეს, როგორც ფაქტობრივი, ასევე იურიდიული და სამართლებრივი გარემოს კანონისა და კავშირის წესდების შესაბამისი გადაწყვეტილებები, არჩეულ იქნა კავშირის ახალი მმართველი ორგანოს შემადგენლობები და დამტკიცდა კავშირის ახალი პროგრამა და სამოქმედო გეგმები.

ყრილობების მეორე დღესვე, კავშირის მიერ, ფაქტობრივ გარემოში – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტოში, უკვე მეთერტმეტე, მეთორმეტედ, ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე, კავშირის ხელახალი რეგისტრაციისათვის, შეტანილ იქნა ყველა საჭირო და აუცილებელი დოკუმენტაცია, რომლებიც თავიდანვე, მიღებულ იქნა უპრობლემოდ შემდგომი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტობრივი ხელისუფლება, რომელიც ყოველი არჩევნების წინ მოწადინებულია შეინარჩუნოს ძალაუფლება, ყველა ხერხით, პოლიტიკურ პარტიათა

და ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, არასამართლებრივად, ცვლის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისთვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საბუთების შედარებით მართებულებას, დამატებით ითხოვს ყოვლადმიუღებელ, უკვე ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტაციებს, კიდევ უფრო ავითარებს ცრუდემოკრატიულ, ტოტალურ და ავტორიტეტალურ მმართველობითი სისტემას, ცდილობს ხელოვნურად აღმართოს საკანონმდებლო ბარიერები, რომლებიც მიმართული იქნება უმეტესი, ძალაუფლების მქონე ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკურ პარტიების არჩევნებში მონაწილეობისათვის და უფრო მეტიც, ცდილობს მათ სრულიად გაქრობას პოლიტიკური სივრციდან.

საბოლოოდ, საჯარო რეესტრის სააგენტომ, თავიდან, შეაჩერა საქმის წარმოება კავშირის მიმართ და შესაბამისი ახალი საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე და მოითხოვა მათი უპირობო შესრულება, ხოლო მისსავე, 30. 08. 2017 წლის გადაწყვეტილებაში (№P17000134/0-1) რეგისტრაციის შესახებ ვკითხულობთ: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლების, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების)რეესტრის ფორმისა და რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის უკვე 2016 წლის 9 აგვისტოს №161 ბრძანების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გადაწყვიტა:

1. რეგისტრირებულ იქნეს ცვლილებებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება";
2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.

ანუ, საჯარო რეესტრის სააგენტომ, ერთის მხრივ, რეგისტრაციაში გაატარა მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება", ხოლო მეორეს მხრივ კავშირის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის დამატებითი ცნობისათვის მოითხოვა აბსურდული, ახალი ყრილობის გამართვა, ახალი წესების თანახმად (ყრილობაზე ნოტარიუსის დასწრებითა და მის მიერ ყრილობის ამ ნაწილისათვის შესაბამისი გადაწყვეტილებების დამტკიცება). იგივე განმეორდა 2021 და2023 წლებშიც.

რაც შეეხება კავშირის ხელახალ რეგისტრაციას ფაქტობრივ სივრცეში, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი", ამ ეტაპზე, გამოხატავს თავის სამართლებრივ აღშფოთებას ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისთვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საბუთების არამართებულ, უსამართლო, ყოვლად მიუღებელ აუცილებლობასთან მიმართებაში.

აქედან გამომდინარე, კავშირი კვლავ ხაზგასმით აცხადებს, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება კიდევ უფრო ავითარებს ცრუდემოკრატიულ, ტოტალურ და ავტორიტეტალურ მმართველობითი სისტემას, ცდილობს ყოველმხრივ ხელოვნურად აღმართოს საკანონმდებლო ბარიერები, რითაც არასამართლებრივად, უხეშად, არღვევს პოლიტიკურ ორგანიზაციათა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების პრინციპებს.

ამავდროულად, რაც შეეხება კავშირის ახალი, მორიგი რეგისტრაციის, როგორც მისი, დროში - დღიდან დაარსებისა დღემდე, სამართლებრივ და კანონიერ სივრცეში ნამდვილობისა და არსებობის დამტკიცებისათვის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებას, რათა შასაბამისი საკითხი - კავშირის XI და XII ყრილობის გადაწყვეტილებების ცნობისა და სამართლებრივ-იურიდიულ სივრცეში მისი ხელახალი რეგისტრაციის გავლის შესახებ განხილული და დამტკიცებული იქნას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე.

საკითხთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების შემდეგი პროექტი, სადაც ნათქვამია:

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი"), რომელიც იყო, არის და მუდმივად იქნება თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა" და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

იგი, აცნობიერებს რა პასუხისმგებლობას ქართველი ერის წინაშე, საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, კვლავ მზადყოფნაშია ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ორგანიზებულ ძალად, რომელმაც სხვა პროგრესულ, ეროვნულ ძალებთან ერთად, უნდა გააგრძელოს ბრძოლა მშვიდობიანი, პოლიტიკური გზებით, რათა შექმნას პირობები, საფუძველი და გარანტია სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის გზით ოკუპაცია-ანექსიის დანაშაულებრივი შედეგების ლიკვიდაციისა და საყოველთაო, კანონიერი, დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ საქართველოს ჭეშმარიტი, სამართლებრივი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის.

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისათვის" უმთავრესი და უპირველესი კვლავ ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებია, მისი სამოქმედო პრინციპები კი მთელი ერის სასიცოცხლო ინტერესები. კავშირი კვლავ განაგრძობს ბრძოლას ისეთი ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახელმწიფოსა და იბერიულ-კავკასიური ერთობის (ახალი მსოფლიო, კონტინენტური პოლიტიკური რეგიონის) ჩამოყალიბებისათვის, რომელშიც გაცხადდება და განვითარდება როგორც ქართველი ხალხის ნება, ასევე, ისტორიულად არსებული, დღევანდელობის აუცილებლობით გამოწვეული და მომავლის იმედით გაჟღენთილი მთლიანად იბერიულ-კავკასიური ახალი პოლიტიკური, სახელმწიფოთაშორისი ერთობის დაცვის ქვეშ მყოფი კავკასიის გეოგრაფიულ, ეთნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ არეალში მცხოვრებ ყველა ერთა და ეროვნებათა ნება-სურვილი.

კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს კვლავ წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. კავშირი მიიჩნევს, რომ ამ პრინციპებიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი რეალიზაციის, კავკასიასა და მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს.

ამავდროულად, კავშირი აღიარებს ადამიანისა და საზოგადოების ღირებულებებს, გამოხატავს მოქალაქეთა ინტერესებს, დაფუძნებულს სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით იცავს და ამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ამოცანაა ასევე, ყველა სფეროში, ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნულ-სარწმუნოებრივი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. კავშირის ამ საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია:

შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო და კავკასიის ხალხთა ერთობა დაეფუძნება.

ამავდროულად, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" მიზნად ისახავს რა თავის პროგრესულ ორიენტაციას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეით გამსჭვალულ ქართველ ხალხთან ერთად კვლავ აცხადებს, რომ დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა მისთვის და რომ, ამ თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება, დასავლური, ღია სამართლებრივი და დემოკრატიული საზოგადოების აშენება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ქართულ, იბერიულ-კავკასიურ ცნობიერებას, იდეოლოგიას და არა რაიმე სხვა, არის მისაღები ვექტორიცა და ორიენტაციაც.

კავშირი იბრძვის და კვლავ იბრძოლებს ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, საქართველოს სახელისუფლებო სამართლებრივი კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის.

კავშირი განაგრძობს ბრძოლას საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი სიძლიერისათვის, კრიმინალის, კორუფციის, სიღატაკის, უსამართლობის, გულგრილობის, უცოდინარობის, უსულგულობის დასამარცხებლად და მისი მთავარი მიზანია გამარჯვება, რომელიც ჩვენი შვილების მომავალს ეძღვნება.

კავშირი დასახული მიზნების მისაღწევად მჭიდროდ თანამშრომლობს და ითანამშრომლებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებასა და პროგრამას.

კავშირი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სამართლებრივი და კანონიერი სახელმწიფოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებისა და მოცემული წესდების საფუძველზე. კავშირი მხარს უჭერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირების დასკვნით აქტებსა და მასალებს, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში მოქმედებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო საერთაშორისო დეკლარაციის მიზნების, დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად, პატივს სცემს კავკასიისა და მსოფლიო თანამეგობრობის ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას, რომ იგი კვლავაც არის საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი და კანონიერი ხელისუფლების მმართველი პოლიტიკური ორგანიზაცია, შექმნილია 1990 წლიდან განუსაზღვრელი ვადით და მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი" თავისი პრინციპებიდან, ამოცანებიდან, მიზნებიდან, სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებისა და სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე პროტესტს აცხადებს ფაქტობრივი ხელისუფლებისა და მასთან დაქვემდებარებული სტრუქტურების მიერ არადემოკრატიული, არაჯანსაღი, უზურპაციული, აბსურდული და ყოვლად უკანონო გადაწყვეტილებებისა და არასამართლებრივი პირობების მიმართ, მანამ, სანამ არ მოწესრიგდება შესაბამისი სამართლებრივი კანონმდებლობა და ურთიერთობების ფორმები.

ამავდროულად, რაც შეეხება კავშირის, როგორც მისი, დროში - დღიდან დაარსებისა დღემდე, კანონიერ, სამართლებრივ-იურიდიულ სივრცეში ნამდვილობისა და არსებობის

შესახებ, ასევე, კავშირის XI-XII ყრილობის გადაწყვეტილებების ცნობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩაითვალოს დამტკიცებულად.

რაც შეეხება საკითხს – საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის მიერ დღევანდელი მოღვაწეობის პირობებისა და ვითარების სამართლებრივი შეფასება – „ახალი პოლიტიკური ლევილის" დაფიქსირება და უკვე არსებობას, მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” თავმჯდომარის ბატონ მალხაზ მუსერიძის მოხსენებიდან გამომდინარე:

ას წელზე მეტი გავიდა, „ლევილის“ შექმნიდან . . .

სამწუხაროდ, „ლევილის შატოს“ გეგმა სახეცვლილებით, მაგრამ პოლიტიკურად კვლავ განმეორდა. თუ ადრე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა განაწილების გეგმა მოიცავდა მხოლოდ ერთ ადგილს „ლევილს“ და ისიც კეთილშობილური და ქვემოქმედებით, სპეციალურად საქართველოს მთავრობის წევრებისათვის, ამჯერად, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის წევრებისათვის დღემდე ვერ მოხერხდა, ერთ ქვეყანაში, ერთ ადგილას თავმოყრა და ისინი ბუნებრივად, თავიანთი საშუალებებით, უდიდესი გაჭირვების შედეგად, განთესილ იქნა და გადანაწილდნენ სხვადასხვა ქვეყანაში და იშვიათად თავშეყრისას და უფრო მეტად ინტერნეტ საშუალებების გამოყენებით ცდილობენ თავიანთი მოვალეობებისა და მოღვაწეობის გაგრძელებას.

წინა ისტორიული პერიოდისაგან განსხვავებით, ამჟამად, ვერც „ახალი პოლიტიკური ლევილის“ ქართული სათვისტომოს ფონდიც შეიქმნა და ვერც მისი პოლიტიკურ ძეგლად აღიარება მოხდა ბოლომდე.

მაგრამ, საბედისწეროდ, ,,ახალი პოლიტიკური ლევილი" სამწუხაროდ დღესაც არსებობს. . .

,,ახალი პოლიტიკური ლევილი" კვლავ ცოცხლობს, მოღვაწეობს და პოლიტიკურად იბრძვის სხვადასხვა ქვეყანაში . . . ფინეთში, საფრანგეთში, ამერიკაში, შვეიცარიაში, მალტაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში . . . და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს . . . უკანონო, ძალაუფლების მქონე პუტჩისტთა მემკვიდრეებისა და მათი უცხოელ პატრონთა მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოშიც, რაც უკვე გმირობის ტოლფასია ...

დიახ, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა, მისი ერთგული ჯარისკაცები, დღესაც, ემიგრაციასა და სამშობლოშიც დევნილობაში იმყოფებიან . . .

ისინი დღესაც „ომში“ არიან და იბრძვიან სამშობლოს გათავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით შეიარაღებულნი ეროვნული სახელმწიფოსა და მთლიანად კავკასიის ერთობისათვის . . .

,,ახალი პოლიტიკური ლევილი" დღესაც არსებობს . . .

დღესაც ომია . . . ომი მამულისათვის . . .

კავშირის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რათა საქართველოს რესპუბლიკის კანონიერმა მთავრობამ რეალურად შეაფასოს მთავრობის დღევანდელი პირობები და ვითარება, რათა სამართლებრივადაც მოხდეს „ახალი პოლიტიკური ლევილის" დაფიქსირება.

გამახვილებულ იქნა ყურადღება მასზედაც, რომ, მანამ, სანამ საქართველოში არსებობს ხუნტის სამართალმემკვიდრე, არაკანონიერი ფაქტობრივი ხელისუფლება და მის მიერ შეკოწიწებული უკანონო მთავრობები, საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივად და პოლიტიკურად დევნილი მთავრობის წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძნებელმა და ძირითადმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა უნდა განაგრძონ აქტიური ბრძოლა უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ. აუცილებლობის შემთხვევაში, მათი ნაწილი შესაძლოა გადავიდეს იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილმა უნდა იმოქმედოს ღია, ლეგალური მეთოდებით.

და, როცა სხვა გზა არაა, სასურველია, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობამ საქართველოში და მთლიანად მთავრობამ უწყვეტი

მოღვაწეობისათვის, შეჰქმნას და გააძლიეროს თანამედროვე, აქტიურად მომქმედი ,,ახალი პოლიტიკური ლევილის" ტიპის სამთავრობო, დევნილი, ადგილობრივი და საემიგრაციო მოღვაწეობის ფუძესამყოფელნი, საიდანაც განახორციელებს თავის სავალდებულო საქმიანობას, ხოლო საქართველოში მისი წარმომადგენლობა კვლავ იმოქმედებს ე. წ. ,,რეზიდენტული" წესით.

შესაძლო აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ, უნდა მომზადდეს ე. წ. ,,ახალი პოლიტიკური ლევილის" როგორც ემიგრაციული, დევნილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, როგორც მოღვაწეობის შესაძლო ადგილმდებარეობის შერჩევა-განსაზღვრების, მისი მოღვაწეობის პირობებისა და სათანადო წესების შესახებ სათანადო კანონ-პროექტი და დროულად უნდა მოხდეს მისი დამტკიცება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება - საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობამ საქართველოში უწყვეტი მოღვაწეობისათვის, უნდა შეჰქმნას და გააძლიეროს თანამედროვე, აქტიურად მომქმედი ,,ახალი პოლიტიკური ლევილის" ტიპის სამთავრობო მოღვაწეობის სავალდებულო საქმიანობის გაფართოებისა და გაძლიერების სამართლებრივი და პოლიტიკური პირობები, ხოლო საქართველოში მის ზოგიერთი წარმომადგენელს კვლავ შეუძლია იმოქმედებს ე. წ. ,,რეზიდენტული" წესითაც.

,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალ საქართველოში" დასახელდნენ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისა” და „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“, ასევე, სხვა პოტენციური შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალ საქართველოს" რეკონსტრუქციის შესახებ.

ასევე, სასურველია, შეძლებისდაგვარად შეიქმნას „ახალი პოლიტიკური ლევილის“ სამთავრობო ფონდიც.







# ჩ ე მ ი ს უ ლ ი ე რ ი მ ი ს ი ი ს გ ა ნ ა ც ხ ა დ ი




## ნუკრი ბაღდავაძე

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარე
2017–2021 წლებში,
მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" პრეზიდიუმის წევრი
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე


და იყო ესე . . .

ამას იმიტომ ვამბობ,რომ არც ჩემით იწყება და არც ჩემით თავდება ყველაფერი . . . იმიტომ, რომ ჩემამდე ჩემი მშობლები იყვნენ, ჩემი წინაპრები, ჩემი სამშობლო და მთელი ისტორია . . . ისტორია, რომელიც ჩემამდეც არსებობდა და ცხოვრების ორომტრიალში მეც მომიხდა ადრეულად ჩართვა.

და მოკლედ, თითქმის ყველაფერი ჩემს შესახებ . . .

ეს იყო 1956 წლის ხარება დღე.

ყველას კარად მოეხსენებათ, თუ როგორი იყო 1956 წელი . . .

ომის შემდგომი საბჭოთა პერიოდი . . .

სტალინის ეპოქის დასასრული . . .

ხრუშჩოვის აღმასვლის პერიოდი . . .

და პიროვნების კულტის ე. წ. დასასრულის პერიოდი . . .

პიროვნების კულტის დასასრულისა და „ახალი მარკის" პიროვნების სიმახინჯის, სიძულვილისა და სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ მიმავალი უკანასკნელი „ეპოქის" დასაწყისის პერიოდი.

ამ პერიოდისათვის ასევე აღსანიშნავია 1956 წლის 9 მარტის დღე.

თუმცა ამ პერიოდშივე, 1956 წლიდან პოლიტიკურ ასპარეზზე პირველად გამოდის საქართველოს რესპუბლიკის მომავალი პირველი და ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტი . . .

1963–1973 – სკოლაში სწავლის პერიოდი . . .

1973 – შრომითი საქმიანობის დასაწყისი . . .

1974–1979 – უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდი . . .

1977–1978 – არალეგალური მოღვაწეობის დასაწყისის მცირე პერიოდი . . .

1983–1987 – ასპირანტურა . . .

1987–1990 – „არაფორმალთა" პერიოდი . . .

1989 – პარტიულობის დასაწყისი . . .

1991 – ქ. თბილისის ვაკის რაიონის საკრებულოს დეპუტატობა, ამავე რაიონის გამგეობის არჩევითი წესით თავმჯდომარეობა, შემდგომ ამავე რაიონის პრეფექტობა . . .

1992 – ე. წ. „კალიუგას” პერიოდის დასაწყისი . . .

ამ პერიოდში ე. წ. ასოცირებული პროფესორი, სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურ რეპრესირებულად აღიარებული, „დათოვლილი", მაგრამ რწმენაშენარჩუნებული.

ახლა უკვე მეშვიდე ათწლეულის გადაღმიდან კვლავ იმედით ვუყურებ მომავალს და ვფიქრობ, ეხლა უკვე თავად მასწავლებელს, შემიძლია ვიყო თუ არა მოსწავლე და ჯარისკაცი . . . ახალი თაობის გვერდში მდგომი ჯარისკაცი სამშობლოსი და მოსწავლე ჩემზე ბრძენისა . . .

რომელი ენით გადმოქცეთ სათქმელი – მე მოსწავლემ მასწავლებლის ენით, თუ მე მასწავლებელმა ჩემი მოსწავლეებისათვის გასაგები ენით . . .

და რადგანაც თავიდანვე ვთქვი, რომ ამჟამად მასწავლებელიც და მოსწავლეც ვარ, სათქმელიც ორივეს სინთეზი იქნება . . .

სრულიად არ მეჩვენება საოცრად, რომ ამ ათეული წლების მანძილზე, ცხოვრების რა პარადოქსულ პერიოდშიც არ მიცხოვრია, დიდად პარადოქსული აზროვნებით (იანისისეული) ვერ დავიკვეხნი და არ მქონია.

ჩემეული თეზისეული აზროვნებით ვიარე ამ ანტითეზისეულ ხანაში და პროგრესის წყაროსაც ალაგ-ალაგ ვაწყდებოდი. თუმცა სხვადასხვა ავტორიტარიზმულ, თუ დემოკრატიულ გარემოებებში ვცხოვრობდი, ვფიქრობ, დღემდე შევინარჩუნე ჩემი პიროვნული სულიერება. დოგმატიზმი ჩემში მხოლოდ ადამიანისეული და ეროვნული პრინციპები იყო. თვით იმ მკაცრ, „კალიუგას" პერიოდშიც კი მქონდა ადამიანური ლმობიერების შენარჩუნების საშუალება და რეალიზმის დეფიციტისაგან არ შევწუხებულვარ. ყოველთვის მახსოვდა, რომ მოვლენებს ჰქმნის ისტორია, გარემოებები და ჩემი პიროვნებაც მათთან სინთეზში მიიკვლევდა გზას.

ალბათ ჩემი პიროვნული სულიერი მისია განსაზღვრავდა ჩემსავე ცხოვრების სტრატეგიას, რომელიც თავად უკეთებდა ორგანიზებას ყოველივეს წინააღმდეგობის გადალახვისათვის.

ბევრი ლიდერი მინახია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ზოგი უპირობოდ იღებდა ხელისუფლების, თუ ოპოზიციის წინადადებებს და თავის გზას ასე მიიკვლევდა, მაგრამ იყვნენ საუკეთესოები და საუკეთესოთა შორის აღმოჩენებიც. ყველანი ისინი თავისმხრივ სხვადასხვა განზომილებებს ეყრდნობოდნენ: ზოგი დისონანსური და დემაგოგი, რომლებიც უარყოფითი მუხტის მატარებლები იყვნენ, ზოგი კი რეზონანსული და ემოციური ინტელექტის მქონენი, სიკეთის მთესველნი, კეთილმოსურნენი და ხალხთან ურთიერთობაში ფუნდამენტალურად მამოძრავებელნი, რაც განაპირობებდა საჭირო კლიმატის ჩამოყალიბებას. იყო რამდენიმე ვარსკვლავი ლიდერიც, რომელთაც გააჩნდათ ამბიცია და ლტოლვა შედეგის მისახწევად. ისინი ყოველთვის ინიციატივას საკუთარ თავზე იღებდნენ, გააჩნდათ თანამშრომლობისა და გუნდური მოქმედების ჩვევები, გუნდის გაძღოლის უნარი. ასე ყალიბდებოდნენ დირექტიული (ავტორიტარული), თუ „მეოცნებე" ხედვის მქონე (visionary), რიტმის განმსაზღვრელი, თუ დემოკრატიული, ლმობიერი და მენტორული, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიდერთა სახეები. ჩემი დროის ლიდერები სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ: გააჩნდათ ესა თუ ის პოზიცია, ურთიერთობის ნება, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები ხალხი მიჰყვებოდა, ზოგმა ხალხისათვის თავიც შესწირა, იყო რამდენიმე ლიდერი, რომლებსაც ადამიანები მიჰყვებოდნენ მათი განსაკუთრებულობის გამო. ჩემი დროის ლიდერები გადაწყვეტილების იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ: ზოგი მხოლოდ საკუთარ თავზე, ოჯახზე და სანათესაო-სამეგობროზე ფიქრობდა, ზოგი კი საკუთარ თემზე, საზოგადოებაზე, ქვეყანაზე, ცივილიზაციასა და კაცობრიობაზე. ზოგ მათგანს ზოზინა, ზარმაცი და ნელი მოქმედების უნარი გააჩნდათ, ზოგს კი „ვეფხვის ზონაში" მყოფთ, ჩქარი და აგზნებული. იყვნენ ე. წ. „გედის ენერგეტიკის" მქონენიც, მშვიდნი და გაწონასწორებულნიც. ალბათ ამიტომაც, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების გარიჟრაჟზე, ასეთი სხვადასხვა სახის ლიდერთა გამოვლინებანიც უცხო და უცნაური არ უნდა ყოფილიყო და ჩვენც, მათი თანამედროვენიც, თვითეული ჩვენთაგანის ბუნებიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე, ზოგნი ერთ მხარეს, ზოგნიც მეორე მხარეს აღმოვჩნდით. ყოველივემ კი იმ პერიოდში თავისებური გარემო შექმნა, ზოგი ნაჭუჭში ჩაიკეტა, ზოგი კი დროის მღელვარე

ზღვაში აღმოჩნდა. ადამიანთა განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პარადიგმის ჭიდილი კი დროსა და სივრცეში ვერ ჩაეტია, რითაც ეშმამ ისარგებლა და კუმშვამ შვერა გამოიწვია.

სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, სიყვარულისათვის, მემკვიდრეობის დატოვებისათვის, სწავლისა და ზრდა განვითარებისათვის ბრძოლამ დღეს მოითხოვა ადამიანის ახალი პარადიგმის აუცილებლობის შეჰქმნა: გულისხმიერად მოქცევა, შემოქმედებითად გამოყენება და საზოგადოებისათვის პატიოსანი სამსახური დადგა დღის წესრიგში. ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი დაბალი იერარქიიდან მაღლისაკენ: წინააღმდეგობა-აჯანყებიდან, ბოროტი დამორჩილებიდან და საკუთარი სურვილის დათმობიდან ხალისიან თანამშრომლობამდე, გულსავსე ვალდებულებამდე და შემოქმედებით აღტკინებამდე.

უნდა ამაღლდეს ლიდერთა ფუნქციაც დისციპლინის (გარემოს შეცნობა, კომუნიკაციის უნარი - თავდაცვითი და მტრული კომუნიკაციიდან კომპრომისულ და სინერგეტიკულ, ალტერნატიულ კომუნიკაციამდე და პიროვნული ოსტატობა), დიალოგის (აქტიური მოსმენა - შერჩევითი, მოჩვენებითი და იგნორირებითი მოსმენიდან ყურადღებიან და თანაგრძნობით მოსმენამდე, პატივისცემა და თავშეკავება), კონფლიქტების გადაწყვეტისა და შედეგის მისაღწევად, ყოველივეს გრძელვადიანი, თუ მოკლევადიანი ბალანსის გამომუშავების მიმართულებით.

სიბრძნე ასევე გვირჩევს, რომ არამარტო ლიდერნი, არამედ ადამიანებიც, სხვაზე დამოკიდებულნიც, ინდეფერენტულნი და „მე"-ზე ორიენტირებულნიც, თავიანთი განსხვავებულლი პიროვნული წარმოჩინებითა და ბუნებრივი ჩვევებით, უნდა დადგნენ თავიანთ თავზე მაღლა და საჭიროა ვიყოთ აქტიურნი, ფუნდამენტალურად პიროვნულად პასუხისმგებლიანნი და არა დეფენიტურნი, რათა არავის შეეძლოს გვაგრძნობინოს თავი არასრულფასოვნად.

ახალი პარადიგმის გამოვლინებისათვის უნდა გავიჩინოთ მენტალური (ხედვა), ფიზიკური (დისციპლინა), ემოციური (განათლება, აღტკინება) და სულიერი (სინდისი) კომპეტენციები. მზრუნველი დამოუკიდებლობისა და განსაკუთრებული უნიკალური ხედვის მაღალი სტანდარტით, პირადი მაგალითის კოეფიციენტით კი კვლავ იშვებიან ახალი პარადიგმის ახალი ლიდერები.

აი, რა მოთხოვნებს და საჭიროებეს ვგრძნობ ჩემს ირგვლივ. ვფიქრობ ჯერ კიდევ არ გარდავცვლილვარ და მაქვს შერჩენილი ისეთი თვისებები, ნიჭი და ჩვევები, რომ დავაკმაყოფილო ირგვლივ არსებული საჭიროება. ჩემი სინდისი მაძლევს შინაგან აღტკინებას და ნებას, რომ ჩავერთო ქმედებაში მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება კი ჩემში იწვევს აღტაცებასა და შთაგონებას.

ერთ დროს მეც ვიყავი გარკვეულ კოეფიციანტიანი ლიდერი მღელვარე პერიოდისა, მაქვს გამოცდილება და ვფიქრობ დღესაც არ დამიკარგავს პროგრესული უნარ-ჩვევები. დღესაც მსურს მქონდეს სასიამოვნო სამსახური ჩემი ქვეყნისა, პასუხისმგებლობით აღსავსეს მაქვს ჩამოყალიბებული მიზნები და კვლავ ვეძებ თვითრეალიზაციის საჭირო ადგილს, შემიძლია პრობლემების სწორი გადაწყვეტილების მიღება-შესრულება, ვიყო დამოუკიდებელი და ავტონომიურიც, გარკვეულწილად წინამძღოლიც და ინდივიდუალურად მებრძოლიც.

ასეთია ჩემი სულიერი მისიის განაცხადის (Mission statement) პრელუდია და ამას მირჩევს შინაგანად ჩემი სულიერი ბრძენიც.

ადამიანის ცხოვრების განმავლობაში ღმერთი არაერთგზის უცხადებს მას თავისი მყოფადობის გარეგან დამამტკიცებელ საბუთებს.

„- გვიყვარდეს ღმერთი მისი ქველმოქმედებისათვის" - მეუბნება ჩემი ბრძენი.

მადლი უხმოდ მიუგებს სულს: „- მე ახლოს ვარ შენთან, ნუ გეშინია, მხოლოდ გწამდეს".

მაგრამ გადის დრო და ადამიანი ივიწყებს მადლს. ადამიანს ავიწყდება, რომ მადლისა და ცოდვის ერთიერთშეთვისება შეუძლებელია. როცა ნება და გონება კავშირს დებენ ვნებებთან, ღმერთის იქ ყოფნის გრძნობა იკარგება.

მარტოდ დარჩენილი ვნება კი, ეს არის სიყვარული დემონისა, რომელიც სულში აღმართავს კერპს – ფუყეს შიგნიდან. მხოლოდ მატერიალური კი – ეს არის პირობა სულიერის არსებობისა. მაგრამ თუ კი იგი პირობისაგან მიზნად იქცევა, მახედ გადაიქცევა სულისათვის. ადამიანი ნამდვილად ბედნიერი რომ იყოს, მისი ცხოვრება უნდა თავსდებოდეს სიტყვებში: „დიდება ღმერს ყველაფრისათვის".

ეს ყოველივე, რაც შეეხება პიროვნულ სულიერ მისიას, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია ჩემი სათქმელის – სიტყვის მეორე ნაწილი – სამშობლო, რათა საბოლოო დასკვნაში გამოვხატო ჩემი სრული სულიერი მისია.

საქართველოს სულიერ მისიაზე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ბრწყინვალედ ბრძანა, ჩემი მსოფლმხედველობა და ცხოვრების კრედოც მას ეყრდნობა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის მისიაც, რაც პიროვნული მისიის გარდა ჩემს მეგობრებთან ერთად საზოგადოებრივ და სამამულო აუცილებელ ტვირთად – ვალად მაწევს სამშობლოს წინაშე და შევთხოვ უფალს მიმატანინოს ეს „ტვირთი" მომავალ თაობამდე გადასაბარებლად ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

საქართველოს უახლესი ისტორია ძალზედ დიდი მნიშვნელობის მატარებელია და მას ანალოგი არ მოეძებნება. ეს არის მსოფლიოს უდიდესი იმპერიის, სსრკ-ს ტყვეობიდან არამარტო დამოუკიდებლობის მოპოვებისა და გათავისუფლების, არამედ იმპერიის დაშლის ერთ-ერთი დიდი წვლილის შემტანი ქვეყნისა და ერის ისტორია...

როგორც ვიცით, რუსეთის უდიდესი იმპერიის შემადგენლობაში საქართველო შევიდა მისი ნების საწინააღმდეგოდ და მისგან თავის დაღწევა მოახერხა მცირე ხნით, 1918 წელს. ისტორიის ეს მცირე მონაკვეთი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლის საბოლოო განსაზღვრაში და მისი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმის ჩამოყალიბების საქმეში. ქართველი ერის ნებით მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება 1918 წელს და ეს ყოველივე საერთაშორისო საზოგადოებამაც სათანადოდ აღიარა.

აღსანიშნავია ის, რომ იმ დროინდელი საქართველოს საზღვრები გაცილებით ფართო იყო და უფრო სამართლიანად გამოსახავდა საქართველოს ისტორიულ საზღვრებს. საქართველო, როგორც ასეთი, არასდროს ყოფილა ტიპიური რომელიმე იმპერიის გარე პროვინცია და მეტიც, ის არანაკლებ მაღალ სახელწიფოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ სიმაღლეზე მდგარა, ვიდრე თავად დამპყობელი ქვეყნები, ეს კი ქვეყნის დიდ ინტელექტუალურ რესურსზე მიუთითებს (რესურსზე, რომელიც თავის თავში ყოველთვის, უწყვეტად ატარებდა ქართულ-ქრისტიანულ იდეას ქვეყანაზე სახელმწიფოს მოწყობისა) და ეს ინტელექტიუალური და სულიერი რესურსი გახდება კიდეც მომავალში ქვეყნის საბოლოო მისიის განმსაზღვრელი და წარმმართველიც.

უკვე იკვეთება სურათი, თუ როგორ მოახერხა ქართულმა სახელმწიფომ მონარქიის დაკარგვის შემდეგ, ახალი მმართველობის ფორმის შემოღება და მისი შეუცვლელად და კანონიერად დამკვიდრება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველობის ამ ფორმის შეცვლა და მისი მითვისება არის უკანონო და ეწინააღმდეგება ქართველი ერის ნებას! ხოლო თუ ისტორიის გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნება აუცილებლობა საქართველოში მონარქიის აღდგენისა, მისი კანონიერი და მორალური უფლება ექნება მხოლოდ საქართველოს კანონიერ მთავრობას, რომელიც დაფუძნებულია მონარქიის დაკარგვის შემდეგ, ჯერ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე (1918), ხოლო შემდეგ, რესპუბლიკურ მმართველობის ფორმაზე (1991) და რომელსაც დღესაც გააჩნია სამართალმემკვიდრეობა.

რაც შეეხება 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ეს აქტი დამყარებულია 1918 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების აქტზე და სრულიად კანონიერია. ამ აქტით საქართველომ თავისი სრული პოლიტიკური მდგომარეობა აღადგინა 1918 წლის მდგომარეობით.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის საქართველოს უახლესი ისტორია გამორჩეული და რატომ არა აქვს მას ანალოგი, შეგვიძლია განვმარტოთ ამდაგვარად:

საქართველოს სახელმწიფო რელიგია, მონარქიული მმართველობის დროს (IV ს - დან) ყოველთვის იყო ქრისტიანობა. რუსეთის მიერ სახელმწიფოებრიობის გაუქმების მერე კი დაიწყო ქრისტიანობის, როგორც ეროვნული რელიგიის დევნა მთელი ძალებით (რაც რელიგიურ ასპექტში თავად ქრისტიანობის დიდი შეურაცყოფაა რუსეთის მხრიდან და მისი, როგორც რელიგიის ბოროტად გამოყენება)... მიუხედავად ყველაფრისა ქართულმა ეროვნულმა ორგანიზმა მოახერხა თითქმის შეუძლებელი და როდესაც მთელს მსოფლიოში მონარქიული სახელმწიფოს მმართველობის ფორმა დაემხო და ის ჩაანაცვლა უმეტეს შემთხვევაში რესპუბლიკურ, დემოკრატიულმა ფორმებმა, თავისთავად, დემოკრატიულო პრინციპებიდან გამომდინარე დამკვიდრდა რელიგიის თავისუფლება და თანასწორობა სახელმწიფო (კონსტიტუციურ) დონეზე.

1991 წელს საქართველოს კანონიერმა, ეროვნულმა და ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ არჩეულმა მთავრობამ კი მიიღო სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება და წავიდა მსოფლიო პოლიტიკური დინების წინააღმდეგ, არ დაემორჩილა ამაქვეყნის მთავარს, მეტიც ...

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ დააყენა საკითხი, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა! რაც ნიშნავდა დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის ფორმის ქრისტიანიზაციას და მისი ყველა პრინციპის ქრისტიანულ მმართველობის ფორმაზე მორგებას და მასზე დამორჩილებას განსაკუთრებით მორალურ ასპექტში ... ანუ პრეზიდენტმა მიიღო სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, ოღონდ ის ერთიანად დაუმორჩილა ეროვნულ-ქრისტიანულ იდეას და მის სამსახურში ჩააყენა. ეს კი ვისი დამარცხებაცაა კარგად მოგეხსენებად, თანაც საკუთარივე იარაღით. პრეზიდენტს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული რა შედეგი მოყვებოდა ამას, მაგრამ მან უფრო კარგად გააცნობიერა რა საბოლოო და მარადიული შედეგი მოყვებოდა მის ასეთ გადაწყვეტილებას და წავიდა კიდეც გოლგოთის გზაზე.

ეს იყო ქართული ინტელექტუალური და სულიერი იდეის უდიდესი გამოვლინება, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა და საუკუნოდ განსაზღვრა საქართველოს მისია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის მმართველი არის ის, ვინც თავად პრეზიდენტმა კონსტიტუციურად აირჩია და კანონიერად დაადგინა და მისი შეცვლაც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და დადგენილი კანონებით კვლავაც გაგრძელდება!

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დევნილობის პირობებში უმაღლესი მმართველი მეორე პირი ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით გახდა პრემიერ მინისტრი, პრეზიდენტის თანამონაცვლე და თანამდედობრივი სტატუსით რომელნიც მომავალში მისი თანამონაცვლენიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა დაშესაბამისი კანონმდებლობებით კვლავაც ლეგიტიმურად შეინარჩუნებენ სახელმწიფოს მმართველობის ყველა დღემდე არსებულ კანონიერ ბერკეტს თავად სახელმწიფო სამართალმემკვიდრეობის აღდგენამდე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და მისი ყოველი ლეგიტიმური თავმჯდომარე არის და იქნება საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის დამცველი, წარმმართველი და მასზე პასუხისმგებელი მარადის. დადგა აუცილებლობა ახალი ძალების მობილიზებისა. თაობათა შორის კავშირის ურღვეობა ძალიან მნიშვნელოვანია და დიდ როლს ასრულებს ქართული - ქრისტიანული იდეის არსებობის საქმეში. იდეას სჭირდება გადაცემა ახალ თაობაზე, გაზიარება და ხალხში გავრცელება. სხვაგვარად იდეას ჩვენი ერი და ქვეყანა საბოლოოდ დაკარგავს. და, რადგანაც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის მატარებელი ძალა, არ არის მხოლოდ ადამიანთა გულანთებული, პატრიოტული ერთობა და ის გაერთიანებულია

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური მმართველი ძალის – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გარშემო, იქმნება აუცილებლობა, რომ ამ იდეის მატარებელ ჯგუფს გარდამავალი პერიოდის დროში, რომელიც დამოკიდებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დევნილობაში მოღვაწეობით, სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების სრულ აღდგენამდე მიეცეს სრული პოლიტიკური იარაღის ტარების უფლება და იმოქმედოს როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეგიდით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ასევე სახელმწიფოს უმაღლესი პირისა და მმართველი ორგანოს დირექტივებითა და დადგენილებებით. ეს პროცესი ვალდებულს ხდის თავის მხრივ ყველა ამ პოლიტიკური იარაღის მატარებელ პიროვნებას, გამოიყენოს იგი ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის სამსახურში და ამ იდეის მატარებელი კანონიერი მთავრობის ქვეყნის ფაქტიურ მმართველობაში დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ დადგა აუცილებლობა ჩამოყალიბებული პოლიტიკური ფორმა მიეცეს ყოველივეს და იდეით შეკავშირებული ქართველი მამულიშვილები მოექცნენ პოლიტიკურ ჩარჩოებში, შეისწავლონ მისი მართვისა და გამოყებენის ფორმები და ერთგულად ემსახურონ ქართულ საქმეს. ასეთი პოლიტიკური ფორმა დღესდღეისობით მოცემული რეალობიდან გამომდინარე არის საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა.

პირველი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იერარქიული, იმიტომ, რომ იდეის გარშემო გაერთიანებული პიროვნებათა რიცხვი არც თუ ისე დიდია, არცთუ მთლად ერთგვაროვანი, სამაგიეროდ იკვეთება მათი ერთგულების მაღალი მაჩვენებლი და მათი იერარქიულ პოლიტიკურ ჩარჩოებში მოქცევა აუცილებელია, რაც პოლიტიკურად პასუხისმგებლობისუნარიანს გახდის მათ;

მეორე მიზეზი – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყველა სტრუქტურული რგოლითა და იურიდიულ-საკანონმდებლოო არსით არის უფრო მრავალფუნქციული, გადაწყვეტილებისუნარიანი და მისი დამორჩილება სახელმწიფოს უმაღლეს პირზე და მთავრობის უმაღლეს ორგანოზე ხდის მას ბრძოლისუნარიანს და ანიჭებს უფლებას მიიღოს ქვეყნისათვის საჭირო გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, რომელიც კანონიერების აღდგენის შემდეგ შეიძლება მოყვანილ იქნეს სისრულეში მთელი ქვეყნის მასშტაბით;

მესამე მიზეზი – არის იმ მოღალატე ძალების მიმართ მიმართული პოლიტიკური იარაღი, რომლებმაც უღალატეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ქართულ იდეას!

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა უნდა იყოს ურყევი, გადაწყვეტილებისუნარიანი და ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის მატარებელი. ეს ერთგვარად უნდა სცდებოდეს კიდეც მხოლოდ მთავრობის არსს და მისი წევრობა უნდა იგივდებოდეს სამუდამოდ თავის გადადებას ღვთისა და ერის სამსახურში.

ჩემი სულიერი მისიის უკეთ გამოცხადებისათვის აღსანიშნავია ტერმინები მათი სიღრმისეული მნიშვნელობებით, რომლებიც ძირეული და საფუძვლიანია ჩემს შემდგომ განფენილობაში.

ესენია:

– სინანული, აღსარება – ქრისტიანულ რელიგიაში, ახალი აღთქმის ერთ-ერთ საიდუმლოო. ცხადია, ჩემთვისაც, აღსარება წარმოადგენს ისეთ კურთხეულ მოქმედებას, როდესაც ეკლესიის მღვდელი სულიწმინდის ძალით შეუნდობს მომნანიებელს აღსარების დროს ყველა ცოდვას და ადამიანი კვლავ ხდება განბანილი და განწმენდილი, ისევე როგორც ის ამოვიდა წყლიდან ნათლობის შემდეგ.

სინანულის საიდუმლოო უფალმა დააწესა თავისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, როდესაც იგი გამოეცხადა მოციქულებს, სადაც ყველანი იყვნენ თომას გარდა.

იესომ მოციქულებს განუცხადა: მშვიდობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მომავალნი მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ, და ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ, უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ, და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრეთ, შეპყრობილ იყვნენ. *(იოანე 20, 21-23)*

ამ სიტყვებით უფალმა თავად მიანიჭა მოციქულებს და მათ შემდეგ მათი საქმის გამგრძელებლებს აპატიონ, თუ არ აპატიონ ადამიანებს ცოდვები. სწორედ, საიდუმლოს უხილავი ძალით ხდება მოძღვრის ხილული მოქმედება. თავიდანვე, ნათლობის საიდუმლოს გზით ადამიანი განიწმინდება დაბადებითი ცოდვებისაგან და შედის ქრისტიანულ სამყაროში. მაგარამ ის არ არის გათავისუფლებული სულიერი და ხორციელი მანკიერებებისაგან, რომლებიც შესაძლოა მას მემკვიდრეობით გადმოეცა მშობლებისაგან. მაგალითად, მიდრეკილება ბოროტების ჩადენისაკენ, ხორცისათვის დამახასიათებელი ავადმყოფობა და სიკვდილი. ასე რომ ქრისტიანად გახდომის შემდეგ ადამიანმა შეიძლება ისევ შესცოდოს და შესცოდოს ძალიანაც ხშირად, შეიძლება ადამიანმა განიცადოს ავადმყოფობა და ზოგჯერ ძალიანაც მძიმე.

სულიერი და ხორციელი უძლურებისაგან გადასარჩენად უფალმა იესომ დააწესა ორი საიდუმლო: სინანული – სულიერი უძლურების განსაკურნავად და ზეთის კურთხევა – ხორციელი უძლურების სამკურნალოდ.

ამ დროს თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს რიტუალს. მორწმუნე რამდენიმე დღის განმავლობაში მარხულობს, ესწრება რელიგიურ ღვთისმსახურებას. ამ პერიოდში იხსენებს თავის ცოდვებს, გულწრფელად სწუხს, ინანიებს და შესთხოვს ღმერთს ცოდვების მოტევებასა და მოწყალებას. შემდეგ მიდის მღვდელთან, რომელიც არის საწიგნესთან, სადაც ასვენია მაცხოვრის ხატი. მორწმუნე დაუმალავად წარმოთქვამს, აღიარებს ყველა თავის ცოდვას, ანუ ამბობს აღსარებას. ამის შემდეგ მღვდელი მას თავზე დაადებს ოლარს, წაიკითხავს შესანდობარ ლოცვას და მიუტევებს მას ცოდვებს იესო ქრისტეს სახელით. სინანულის საიდუმლოს შესასრულებლად საჭიროა მხოლოდ, რომ ადამიანმა ღრმად შეიგნოს თავისი ცოდვა, მტკიცედ გადაწყვიტოს რომ აღარასოდეს გაიმერებს ამ ცოდვას და გულწრფელად აღიაროს ის მოძღვრის წინაშე.

რა არის ნამდვილი სინანული? რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ მე ვწუხვარ ჩემ მიერ ნათქვამისა, თუ ჩადენილის გამო. ზმნა „მონანიება" ნიშნავს, რომ ჩემი გონება აქტიურ მოქმედებას იწყებს და ზეციური საუფლოს სავანეში შედის. მას შემდეგ, რაც ღრმა სინანულით მოვაკვდინებ ცოდვას, ანუ საღმრთო წიაღში შევდივარ, საკუთარი დაცემულობის სიღრმეებს აღმოვაჩენ ჩემში, საძირკველსა და სიღრმეებს ჩემი დაცემული ბუნებისა. ყოველივე იმას, რაც ჩემივე ნების, შეგრძნებისა და აზროვნების საწინააღმდეგოდ აღესრულება ჩემში. სინანული – ადამიანის შინაგანი გონების ელვისებური მოქმედებაა, რომელიც ნაყოფია უფალთან ურთიერთობისა.

ამგვარად, სინანული – უფლის შეცნობაა, მის საუდუმლოებათა წვდომა, მისი მადლმოსილების, სიყვარულის, სიმდაბლისა და „სიმშვიდის" ჩვენ თვალწინ გადაშლა. ეს გახლავთ საღმრთო სიტკბოების, ღვთაებრივი სიცოცხლისა და ენერგიის გემოს ხილვა. ამ დროს, ადამიანი, შინაგანად ღმრთაებრივი სიცოცხლის თანაზიარი ხდება და მაცდურის ისრები, ისევე, როგორც ყველა სხვა ისარი, ამჯერად უკვე ვეღარ შეაღწევს მასში აზრების გზით, რამეთუ, ადამიანის შინაგანი სივრცე, მთლიანად უფლით, ღმრთის სულითა და ღვთაებრივი ენერგიებით ივსება. ცოდვისათვის შეუძლებელია სამოთხეში შეღწევა. თუკი ჩვენში შესაძლოა შემოიჭრას აზრი, მაშინ შეძლებს შემოღწევას ცოდვაც.

მონანიებულ ადამიანად მიიჩნევა ის, ვინც გააცნობიერა, თუ რას ნიშნავს ცოდვისაგან გაქცევა, ასეთი ადამიანი, საღმრთო ბუნების თანაზიარია, მისი გული ტკბება და ისეთ ერთობას გრძნობს ზეციურ სამეფოსთან, რომ მთელ თავის არსებას უძღვნის მას.

სინანული, ჩემი გონების უფლით მოცვას ნიშნავს და ის უფრო და უფრო უახლოვდება მას. უფალთან ჩემი ურთიერთობა, ხდება უფრო და უფრო მჭიდრო და მარადჟამიერ იზრდება მასთან ერთობაში ყოფნის მდგომარეობა.

მსგავსად ქრისტეს ადამიანური ბუნებისა, რომელსაც ემატებოდა სიბრძნე, ასაკი და მადლი ღმრთისა და კაცთა წინაშე (ლუკა 2, 52), ჩვენც წარვემატებით უფლის შეცნობასა და მასთან ურთიერთობაში, უფრო და უფრო ვივსებთ მისით გულსა და გონებას, ვათავისუფლებთ ყოველგვარი საზრუნავისაგან, ვივიწყებთ ყოველივე მეორეხარისხოვანსა და მხოლოდ მასთან მყოფობისას თრთის ჩვენი გული.

მოყვასის ცოდვები, ჩვენს საკუთარ ცოდვებს მოგვაგონებენ და უნდა ვეცადოთ, რომ არ გავიხსენოთ ისინი, რათა მათი განმეორება ავიცილოთ თავიდან. ადამიანი, რომელსაც უყვარს უფალი, არ ჩავარდება იმ ცოდვაში, რომელიც უკვე მოინანია. ჩვენ, იმ შემთხვევაში ვიხსენებთ ცოდვებს, როცა არა გვაქვს შიში ღმრთისა და არ ვინანიებთ გულწრფელად.

როგორც წესი, ადამიანებს უჭირთ იმის გაცნობიერება, თუ რა არის სინანული, რადგან ეს ცნება, ძალზედ ღრმა შინაარსის მატარებელია. ყოველი ქრისტიანი საუბრობს სინანულის შესახებ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არ არის დარწმუნებული მოინანია თუ არა, და ისევ და ისევ კითხულობენ, თუ როგორ უნდა შეინანონ.

სინანული, არის ერთადერთი გასაღები, რომელსაც ზეციური სამეფოს, სამყაროს კარიბჭის გაღება შეუძლია, და შევყავართ მარადიული ნათლის, ზეციური მამის წიაღში. ეს არის ყველაზე სასიხარულო ამბავი და ყველაზე მსუბუქი ტვირთი ადამიანის ცხოვრებაში. შეუძლებელია უფალმა ჩვენს
სულებს მძიმე უღელი დაადგას. ის, რომ უფალი სინანულისკენ მოუწოდებს თავის ერთგულთ, ახლადშედგომილთ, თუ სრულყოფილთ, ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, მართალია, სინანული რაღაც ძალიან ღრმას მოიაზრებს, მაგრამ ამავდროულად, ის რაღაც ძალზედ მარტივია. შეიძლება ითქვას, რომ ის ყოველი სულისათვის არის შექმნილი, თვით ყრმათა სულთათვისაც კი .

მაგრამ, ვინაიდან ეშმაკმა ყველაფერი დაამახინჯა და ადამიანებს უჩნდებათ კითხვა, თუ რა არის სინანული, ეკლესია ყოველმხრივ ცდილობს ამ ცნებას ნათელი მოჰფინოს, რომ ოდესმე, როდესაც უფრო გონიერნი გავხდებით, მეტად გააზრებულად შევხედოთ ჩვენს ცხოვრებას, სურვილებს, ნებას და შევინანოთ.

ცნობილია, რომ ადამიანს ესმის ის, რისი გაგებაც თავად სურს და რისკენაც ისწრაფვის და შენ რაც არ უნდა უთხრა, არ დაინტერესდება. თუნდაც რომ უზენაეს ჯილდოებზე ესაუბრო, ის არ მოისურვებს თანამონაწილეობას. მაგრამ, როგორც კი მისთვის საინტერესო თემას შეეხები, მაშინვე თვალები გაუფართოვდება და მიხვდება (ის ასე ჩათვლის) შენი სიტყვების არსს.

სინანული – უფლის საჩუქარია, თუმცა, მის ამომავალ წერტილად ჩვენივე ნება გვევლინება. „შეინანეთ", ნიშნავს: სძლიო საკუთარ თავს, საკუთარი ნებას, სხეულს, არსებას, სულს, რათა მიიზიდო მადლი ღმრთისა. მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი ჭეშმარიტი სინანული, თუკი დაიძლევა ადამიანის ინდივიდუალურობა, არა უნიკალურობა ღმრთის ქმნილებისა, არამედ უფლის წინააღმდეგ მოქმედი ნება.

მე გამუდმებით ვიღწვი თავშეკავებაში და ვმრავლებ ცრემლს, რათა უფალს ვაჩვენო, თუ რამდენად გულქვა და მოუნანიებელია ჩემი გული. თუკი ამას არ ვაკეთებ, ჩემი ხმა, ჩემივე ოთახის ჭერამდეც კი არ ააღწევს და ჩემი მცდელობა უშედეგო იქნება. უწმინდურმა რომ თავისი ცოდვილობას გაიაზროს, ის მაშინვე შეძლებს უფლისაგან შეწევნის მიღებას და მისი ლოცვა ცამდე აღიწევა. პატივმოყვარე ადამიანის ლოცვა კი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუცნია თავისი გულის უგრძნობელობა და თავისი განსაკუთრებული მოუნანიებელი მდგომარეობა, მიწასაც ვერ ასცდება.

წმინდა მამათა მიხედვით, ყველაზე უზნეო ადამიანმაც კი რომ თქვას: „ავდგები, მივალ ჩემს მოძღვართან და ვეტყვი: „მოძღვარო, ვცოდე ცად მამართ და წინაშე შენსა", ის მაშინვე განწმენდის გზას ადგება და საგრძნობლად მოკლე დროში, მისი გული იწმინდება და ცამდე აღიწევა. თუკი მას ეს არ გამოსდის, ესე იგი, არ ჰქონია მას ამის სურვილი და ნაცვლად ამისა, იმ აკრძალული სურვილების ტყვეობაში სურს ყოფნა, რომელთა გამართლებასაც ის ცდილობს.

უფალს ძალუძს დაღუპულთა გადარჩენა. არ არსებობს ადამიანი, რომელიც ვერ გადარჩება, ოღონდაც ეს თავად მოისურვოს. უბედურება ის არის, რომ არა აქვს მას გადარჩენის სურვილი. მაგრამ ჩვენ, თქვენთან ერთად, უნდა ვიყოთ მხიარულნი და მშვიდობისმყოფელნი, რადგან ნებისმიერი ადამიანი შეიძლება ხვალ ზეციური საუფლოს მკვიდრი გახდეს. უკიდურესად დაეცა ადამიანის ბუნება, მაგრამ, უფალს მარტივად შეუძლია მისი წამოყენება და გაცოცხლება, რისთვისაც, მხოლოდ წვეთი ცრემლის ჩამოგდებაც კი იკმარებდა სიკვდილის ჟამს და თქმა: „ღმერთო! მილხინე მე ცოდვილსა".

ერთი მონანული ცოდვილის გამო უფრო მეტად ხარობს ზეცა, ვიდრე ათასობით მართალთათვის. მთელი ჩვენი სიმართლე, უწმინდური დედაკაცის შესამოსელივითაა. ეკლესია ყველაზე უსიამოვნო და არასასურველ სურათს იყენებს დედაკაცის ცხოვრებიდან, რათა უფლის თვალში ჩვენი სიმართლის ფასი დაგვანახოს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ზეცამდე მხოლოდ სინანულის ცრემლი აღწევს. თუკი ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებობენ დიდად, ან მცირედ ცოდვილი ადამიანები, ძალიან ვცდებით, მსგავსი დაყოფა არ არსებობს. მცირედი ცოდვაც კი უზარმაზარი ჩანს დიად და ყოვლისმყრობელ ღმერთთან შედარებით და რადგანაც ღმერთი უსაზღვროა, უსაზღვროა ჩვენი ყველაზე მცირე ცოდვაც კი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაფერია პატარა და პაწაწინაც კი, წინაშე დიადი ღმრთისა.

ჩვენი გადაწყვეტილება, უნდა იყოს ურყევი, და საჭიროა გავიაზროთ, რომ ვერ შეძლებთ ერთდროულად შეინანოთ და სცოდოთ, წაქცევისას კი წამოდგეთ.

დიახ, ადამიანური ბუნება ეცემა და აღდგება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება საკუთარი ნების ხან ერთი, ხან კი მეორე მიმართულებით წარმართვა, არავითარი მიზეზითა, თუ საბაბით, არ შეიძლება საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვა, რადგან ადამიანი, რასაც არ უნდა აკეთებდეს, მთელი ძალით მოუძებნის ყოველივეს გამართლებას: ის იმდენად ჰპატიობს საკუთარ თავს, რომ შენც დაგარწმუნებს თავისი საქციელის ჭეშმარიტებაში და რომ სხვაგვარად მოქცევა მას უბრალოდ არ შეეძლო. თუმცაღა, უნდა იცოდე, რომ ვერ შეძლებ სინანულზე მსჯელობასა და საუბარს, თუკი მტკიცედ არ დგახარ ცხოვრების გზაზე. უნდა მიიღო გადაწყვეტილება: აირჩიე ან სიკვდილის, ან სიცოცხლის გზა. შეუძლებელია შენი ნება ერთროულად აქეთაც იყოს მიმართული და იქითაც. მოუნანიებელი ცოდვილისათვის, საკმაოდ რთულია გადარჩენა, თუ არა უფალის მიერ განსაცდელთა და სატანჯველთა დაშვებითა და სიკვდილის წინ სინანულის მინიჭებით.

უფალი და მთლიანად ჩვენი ეკლესია, ყოველივე ღონეს ხმარობს ჩვენს გადასარჩენად. იმ ცრუ სინანულსაც კი მიგვითვლის, საკუთარი ეგოიზმით ნასაზრდოები სიტყვებით რომ არის წარმოთქმული ჩვენთვის, საკუთარ გულში. პრობლემა ის კი არ არის, რომ უფალს სიყვარული, ან წყალობა არ ჰყოფნის ჩვენთვის, არამედ, ჩვენი ურგძნობელობა. ჩვენი გული უმტკიცეს ქვად არის ქცეული, რომლის დამსხვრევაც შეუძლებელია. მთელ ღვთიურ გულმოწყალებასაც კი არ შეუძლია ამ ქვის, ანუ ჩვენი მოუნანიებლობის დამსხვრევა. ჩვენ ვრჩებით ერთგულნი საკუთარი ვნებებისა, რომლებიც ასე საყვარელი, საამო და სანატრელია ჩვენთვის. მაგრამ, უფალი ამბობს: „არამედ ყოველდღე შეაგონეთ ერთმანეთს, ვიდრე არ ითქმის „დღესო“, რათა არცერთი თქვენგანი არ გაქვავდეს ცოდვის საცდურით”.

ყოველი ჩვენი მცდელობა უშედეგოა, თუკი ჩვენ არ გავთავისუფლდებით შინაგანად, სანამ ჩვენი შეხედულებანი, სურვილნი და ყოფა არ გათავისუფლდება ჩვენი „მეს” სიმძიმისაგან. რაოდენ უბადრუკია ჩვენი მცდელობანი, რომ მივუახლოვდეთ უფალს, იმდენად მარტივად ვივიწყებთ ჩვენს მისწრაფებებს, გადაწყვეტილებებსა და ოცნებებს.

თუკი დავუბრუნდებით სინანულის ცრემლებს, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენს სულში არსებული ქაოსიდან გამომდინარე, როგორც წესი, ჩვენ ვტირით არა ცოდვებზე სინანულის, არამედ სრულიად სხვა განცდათა გამო, რომლებიც ჩვენი არსების სიღრმეშია დამალული. მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ეს არ ვიცით, ვფიქრობთ, რომ საკუთარ ცოდვათა გამო ვტირით.

ამიტომაც გვირჩევენ წმინდა მამები, რომ ვიყოთ მხიარულნი, მაშინაც კი, თუკი შევცოდეთ: როგორც კი უფლისაგან შენდობას ვითხოვთ, სული მაშინვე იგრძნობს სიმსუბუქეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, უნდა ვტიროდეთ საკუთარ ცოდვათა გამო, მაგრამ, ამაში, ცოდვათა მიტოვება იგულისხმება. რამეთუ, ადამიანს, რომელიც დავით მეფსალმუნის მსგავსად ინანიებს ცოდვებს, მუდამ უმწიკვლოებისა და სისპეტაკის განცდა აქვს. დავითი კი, მთელი ცხოვრება ტიროდა თავის ცოდვებზე, მას შემდეგ, რაც გაათვითცნობიერა ისინი, მოინანია და აღარ შეუცოდავს. ამაში კი, ძველი აღთქმის კითხვისას ვრწმუნდებით.

ამგვარად, მხოლოდ ის, ვინც ნანობს და ყოველგვარ კავშირს წყვეტს ცოდვასთან, შეძლებს მათზე ტირილს. მაგრამ, როდესაც ადამიანი ტირის, მიუხედავად იმისა, რომ არ ნანობს, არ შეუწყვეტია ქმნა ცოდვისა და არც აპირებს რომ დაუტევოს იგი, ის ატყუებს ღმერთს და იტყუებს თავსაც. ამგვარი ტირილი, მოუნანიებლობის ტოლფასია. შეუძლებელია, ვთქვათ, მრუშობის, ან განკითხვის ცოდვაში ვიმყოფებოდე და თან ვტიროდე. თუკი განვიკითხავ, მე უნდა მივატოვო ეს მავნე ჩვევა. როდესაც მას მივატოვებ და დავამტკიცებ, რომ იმდენად გავძლიერდი, რომ არ დავუშვებ ვინმემ განკითხვაში ამიყოლიოს და ამ მდგომარეობას საკმაო დროით შევინარჩუნებ, მხოლოდ მაშინ შევძლებ საკუთარ ცოდვებზე ტირილს. პავლე მოციქული, ცხოვრების ბოლომდე აღიარებდა, რომ დევნიდა ქრისტიანებს. მაგრამ, ის ძალიან მცირე ხნით იყო ამ მდგომარეობაში, შემდგომ კი, გამუდმებით ამრავლებდა ეკლესიის ერთგულ ადამიანთა რიცხვს და ახლადმოქცეულ ქრისტიანებს შეჰმატებდა მას. მაგრამ პავლე მოციქული, მთელი ცხოვრება ტიროდა თავის ცოდვებზე, ვინაიდან შეინანა და გახდა მოწინავე ყოვლადწმიდა სამების მიმდევართა რიგებში.

ჩვენ ვსაუბრობთ ჭეშმარიტ სინანულზე, რომელსაც საკუთარ ცოდვებზე ტირილამდე მივყავართ. ეს ტირილი – ადამიანის გონების, გულისა და ცხოვრების წესის ჭეშმარიტი ცვლილების შედეგია. მაგრამ, როდესაც ტირილი სენტიმენტალურია, ან საკუთარი მატროობისა და არასრულფასოვნების განცდიდან მომდინარეობს, მაშინ ის ამძიმებს სულს, ტანჯავს, ღუპავს და მიჰყავს იქამდე, რომ უუნარო ხდება სინანულისთვის. ცოდვის გამო წუხილსაც კი, კვლავ ცოდვასთან მივყავართ. ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ რას ნიშნავს საკუთარ ცოდვებზე ტირილი, უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი შეიძლება იყოს ნამდვილი ტირილი.

ადამიანი, საკუთარი გონების თვალით, მუდმივად უნდა უმზერდეს თავის ცოდვებს. ჩვენი ცოდვები, გვამის მსგავსია: თითქოს ჩვენ წინ მიცვალებული წევს. თუკი აზრობრივად, გამუდმებით ვხედავთ თვალწინ ჩვენს ცოდვათა გვამს, ეს გვეხმარება. როგორც სხეულიდან ამოსული სული დაჰყურებს საწოლზე მწოლიარე თავის სხეულს, ასევე უნდა უნდა ვხედავდეთ ჩვენს ნამდვილ გვამს. საკუთარ ცოდვებს ისე უნდა ვხედავდეთ, როგორც მიცვალებულზე ყურებით და ვტიროდეთ მათზე.

თუმცაღა, როგორც წესი, ჩვენ ვცდილობთ ჩვენი მსგავსი ცოდვილების გამოძებნას, რათა საკუთარი პასუხისმგებლობის ტვირთი შევიმსუბუქოთ, ან გამართლებას ვუძებნით ჩვენს ცოდვებს, ხან კი, ჩვენს იმ ვალდებულებებში ვეძებთ მიზეზებს, რომელთა თავიდან არიდებაც არ შეგვიძლია. რატომ ხდება ეს? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ გადაგვიწყვეტია ჩვენი ცოდვების, მიცვალებულის მსგავსად დატირება. ჩვენ ვერ გადავწყვიტეთ ავუკრძალოთ ცოდვას, რომ კვლავ აღდგეს ჩვენში: ის ჩვენ გვჭირდება, მოგვწონს და გვსიამოვნებს. როგორც ჭიებს უყვართ გვამი, ასევე გვიყვარს ჩვენ ჩვენი გვამი, ცოდვები და გვეშინია, ვაითუ სრულიად წაგვართვან მათი აღსრულების უფლება. ახალ ეპიტიმიასაც კი ავიღებთ საკუთარ თავზე, ოღონდ ცოდვას არ განვეშოროთ.

როდესაც წმინდა მამები დღედაღამე საკუთარ ცოდვებზე ტირილს გვირჩევენ, არ გულისხმობენ, რომ ადამიანი უნდა დაითრგუნოს და სულიერმა წუხილმა შეიწიროს. ჭეშმარიტ სულიერ მდგომარეობას, არ შეუძლია წარგვტაცოს სიხარული. ჩვენს ეკლესიაში, მიუღებელია ცრემლი სიხარულის გარეშე. შესაბამისად, როდესაც ჩვენში ვხედავთ წუხილს, ღელვას, შფოთვას და სირთულეებს, მაშინ მოვერიდოთ ტირილს, რამეთუ, ასეთ ტირილზე არ საუბრობს საღვთო კანონი.

საკუთარ ცოდვებზე ტირილი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს უდიდეს სიხარულს. ამ დროს, ჩვენი გულის მდგომარეობა ისეთია, რომ მხოლოდ სასიხარულო აზრები გვეწვევა ხოლმე და სასიხარულო აზრები გამოდის ჩვენგანაც. მეორეს მხრივ, იგულისხმება ის, რომ მოვინანიეთ და უარი ვთქვით ცოდვაზე. თუმცა, არის ზოგიერთი გამონაკლისიც. მაგალითად, ვიღაც ადვილად ღიზიანდება, შემდეგ კი ნანობს და ტირის. ასეთი ადამიანი, რაღაც დროით ღვაწლშია, მაგრამ, ამ დროის განმავლობაში, მან უნდა გამოიძიოს თავის ვნებათა მიზეზი და დაინახოს მათი შედეგები, რათა განთავისუფლდეს მათგან.

ამგვარად, ტირილი იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ვიწყებ სინანულს და ვტირი არა იმის გამო, რომ ცოდვათა შენდობა მივიღო, არამედ, გამოვხატო მადლიერება უფლის მიმართ, რომელმაც შემცვალა თავისი კურთხეული მარჯვენით. მე ვტირი, და უფლისადმი გამარჯვების საგალობლის აღსრულებით, ჩემი გულის გათავისუფლებასა და აღტაცებას ვადასტურებ. ჩემს ცრემლებს, სამადლობელ მსხვერპლად ვწირავ. ცრემლები, ღვთაებრივ ევქარისტიასთან და იესოს ლოცვასთან ერთად ყველაზე კეთილსასურველი მსხვერპლია უფლისათვის. ასეთი ცრემლები სიტკბოების მატარებელია.

სინანულის ცრემლები, აქვს იმ ადამიანსაც, რომელიც ცოდვის ჭაობში ცხოვრობდა და ესესაა მოექცა ღვთისკენ. ის მოდის მონასტერში, ხედავს გასხივოსნებულ სახეებს, ქალწულობის სიდიადეს, მშვენიერ, მადლით აღსავსე გულებს და შთაგონებით ივსება, სურვილი უჩნდება, თავადაც მონოზონი გახდეს. თუმცა, მასში ჯერ კიდევ ცოცხალია ცოდვისმიერი შთაბეჭდილებანი და არის ვნებები. ასეთ ადამიანს შეუძლია იტიროს, მაგრამ მცირე ხნით, შემდგომში კი, მას მუდმივი ცრემლის მოხვეჭა მოუწევს. თავიდან, ის დაიტანჯება მონასტერში, გამოიცდება, მოუწევს დამცირებისა და ყოველივე იმის დათმენა, რაც მას სიბნელიდან სინათლეში, მონობიდან, სულის თავისუფლებაში გადასვლაში დაეხმარება. როგორც არავინ სცოდავს საკუთარი სურვილის გარეშე, ასევე, არავინ ინანიებს გარეშე თავისი სურვილისა.

მონანიება, მხოლოდ ნებაყოფლობითაა შესაძლებელი. ვისაც ნებაყოფლობით მონანიება სურს, ის ცოდვას სიკვდილს ამჯობინებს.

სინანული, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სულში ჩაღრმავებაა, ეს არის სწრაფვა სულისა აღიქვას საკუთარი თავი ისეთად, როგორიც იგი სინამდვილეშია შეიცნოს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ჩვენ კი ხშირად თვალს ვარიდებთ ჩვენს სულში დაბუდებულ უარყოფით თვისებებს, და თუ აღმოვაჩენთ ხოლმე მათ, ადამიანური სისუსტით ვამართლებთ. ასეთი განსჯა არასწორია.

ჩვენი ცხონების მტერი ჩვეულებრივ ისე იქცევა, რომ როდესაც უკანონოდ ვცხოვრობთ, ჩვენს ცოდვას მცირემნიშვნელოვნად წარმოგვიდგენს, რომელთანაც თითქოსდა ზეცისა და მიწის მეუფეს, მისი დიდებულების გამო არანაირი საქმე არ ჰქონდეს, ხოლო როდესაც დაინახავს, რომ სინანულს ვიწყებთ და ვნებების ჯაჭვის გაწყვეტა გვსურს, ღმერთს უმოწყალო მსაჯულად გვაჩვენებს, ჩვენს ცოდვებს კი – სრულიად მიუტევებლად.

თუ ატყობ, რომ გული გაგიცივდა, თუ ხედავ, რომ ეკლესიაში დაფანტული გონება გაქვს, თუ გამოსცადე, რომ ცოდვა გერევა, გიზიდავს, მომეტებულითა ერთგულებითა ილოცევდი: „სინანულისა ბჭე განმიღე, მხსნელო“. როგორადაც სხვა ყოველი ნიჭი და მადლი ღვთისაგან არის გარდამომავალი კაცთა ზედა, მზგავსადვე და უმეტესად, ყოველთა უდიდესი ესე ნიჭი და მადლი სინანულისა იმავე წყაროისაგან არის მომდინარე და მიეცემა კაცს.

თუ ღმერთი არ შეეწია კაცს და არ გაუღო კარი სინანულისა, ვერ მიართმევს იგი ღმერთსა ჯეროვანსა სინანულსა. ჭეშმარიტი წმინდა სინანული დიდ ძალას მოითხოვს, დიდ მადლს მოასწავებს, ერთობ მძიმე და ძნელი სულიერი მოქმედება არის. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჭეშმარიტის, წმინდა სინანულის მოპოვება არის თითქმის მთელი სჯულის შესრულება.

დიდად აშავებენ მრავალნი ქრისტიანენი, როდესაც ისინი აგვიანებენ, გადასდებენ მონანებასა და მომზადებას ზიარებისათვის. წმინდა მონანება კი უნდა იყოს აღძრული და შეზავებული სარწმუნოებითა და მეტადრე სიყვარულითა. არა იმისთვის მხოლოდ უნდა სწუხდე, რომ შენ ღმერთი დაგსჯის, არამედ უმეტესად მისთვის, რომ შენ განამწარე ზეციერი მამა, დაკარგე მისი სიყვარული, განეშორე მისსა მამობრივსა მადლსა.

ქრისტიანული რწმენა გვასწავლის სიკეთის გარჩევას ბოროტებისაგან, გვეხმარება ჩავწვდეთ ჩვენი სულის სიღრმეს, რათა დავძლიოთ შინაგანი გაორება და განწმედის საშუალებით – მონანიების, ლოცვის, მარხვის, აღსარების წმიდა ზიარების გზით ვპოვოთ განკურნება სულთა ჩვენთა, აღვადგინოთ კავშირი ღმერთთან და შევიმოსოთ მისი ძალით და მადლით.

სინანულის საიდუმლოს მეშვეობით ეკლესიაში ჩვენ ღმერთს ვურიგდებით მას შემდეგ, რაც მასთან ურთიერთობა ჩვენი ცოდვებით დავარღვიეთ. საეკლესიო გარდამოცემა სინანულს უწოდებს ნათლობის განახლებას, ან ღმერთთან იმ ღრმად ინტიმური ცხოვრების აღდგენას, რომელიც ადამიანს მთავარ ქრისტიანულ საიდუმლოებებში ეძლევა.

სრულიად უცოდველი ადამიანი არ არსებობს, მათგან არც მე ვარ უცოდველი, ამიტომ არ არის აუცილებელი ყველანაირი ქმედების სინანულის საიდუმლოში მონანიება. მაგრამ თუ ჩავიდინეთ მძიმე ცოდვა, ან დიდი ხნის განმავლობაში არ ვეზიარეთ, ჩვენ აუცილებლად უნდა ვთქვათ აღსარება. თუმცა, ყველა ქრისტიანი, რომელიც ქრისტესთან ერთობაში ცხოვრობს, დროდადრო აღსარებას უნდა ამბობდეს, რათა გაცნობიერებულად დაიმდაბლოს თავი ღმერთის წინაშე და მოძღვრისგან ქრისტიანული ცხოვრებისათვის დარიგება მიიღოს.

როგორც ცნობილია, თვით ამ საიდუმლოს ფორმაში სამი ძირითადი ელემენტი არსებობს: პირველი – ესაა გულწრფელი სევდა საკუთარი ცოდვებისა და ღმერთთან ურთიერთობის გაწყვეტის გამო: მეორე – ესაა გულწრფელი და გულის სიღრმიდან მომავალი აღსარება. ძველ დროში იგი ტაძრებში საჯაროდ, ყველა ადამიანის თანდასწრებით ითქმებოდა, მაგრამ ახლა იგი, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ მღვდლის თანდასწრებით წამოითქმება. სინანულის მესამე ელემენტია შენდობის ლოცვა, რომლის საშუალებითაც მონანიე ცოდვილს ქრისტესგან შენდობა მიემადლება.

ქრისტეს მცნებების შესაბამისად, სინანული მთავრდება ღმერთთან და ყველა ადამიანთან ნამდვილი შერიგებითა და წმინდა ზიარებით. მონანულმა მთელი ძალისხმევით უნდა სცადოს ცოდვისგან თავშეკავება, რათა იცხოვროს სიმართლით, ღმერთთან მართალი მორჩილებით.

სინანულის საიდუმლო, ისევე, როგორც ყველა საიდუმლო, არის საეკლესიო ცხოვრების ნაწილი, რომელიც გულისხმობს მტკიცე რწმენას იმისა, რომ თვით ქრისტე სულიწმინდის მეშვეობით ეკლესიაში მყოფობს. ადამიანი, რომელსაც ასეთი რწმენა არა აქვს, ვერასოდეს გაიგებს სინანულის მნიშვნელობას და ვერ იგრძნობს თავისი ცოდვების გულწრფელი აღსარების აუცილებლობას. როცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეკლესია არის ღმერთთან ჭეშმარიტი ურთიერთობა ღვთის სასუფეველში, მაშინ არა მარტო ცხადი ხდება სინანულისა და აღსარების საიდუმლოს მნიშვნელობა, არამედ იგი ჩვენთვის ხდება ძვირფასი ძღვენი, ღვთის უდიდესი საიდუმლო, ერთადერთი შესაძლებლობა ღმერთთან შეერთებისა ქრისტესგან მიღებული შენდობის გზით.

ჩვენ ცოდვა ძირითადად რაიმე კანონის დარღვევა, ან ღვთისა და მოყვასის წინაშე რაღაც მოვალეობის შეუსრულებლობა გვგონია. მაგრამ იგი უფრო ღრმა მოვლენაა. ცოდვის არსს ყველაზე უკეთ ერთ-ერთი სახარებისეული იგავი გამოხატავს. ძე შეცდომილი არა უბრალოდ არღვევს რაღაც კანონს, არამედ საკუთარი მამის წინააღმდეგ აღდგება და მბრძანებლურად მოითხოვს მისგან მემკვიდრეობას, ხოლო როგორც კი თავის კუთვნილს მიიღებს, მაშინვე მამისეულ სახლს შორდება. აქედან ცოდვის ერთ-ერთი განსაზღვრება გამომდინარეობს: ცოდვის ჩადენისთანავე ადამიანი გარბის ზეციური მამისაგან და თავს ეკლესიას, ღვთის ოჯახს განაშორებს. ის უკვე აღარ იზიარებს ღვთის სახლის სიხარულს...

ამგვარად, ცოდვა არა მხოლოდ უკანონობა და საღვთო სჯულის დარღვევაა, არამედ ისიც, რაც ადამიანს ღვთისა და ეკლესიისაგან განაშორებს და აუცხოებს.

ღვთის მადლის გარეშე სინანული შეუძლებელია. ადამიანს, რომელიც ცოდვის სიბნელეში იმყოფება და არ ესმის, თუ რაოდენ მშვენიერია ცხოვრება უფალში, არ შეუძლია შეიგრძნოს სხვაობა ამა სოფლის ცოდვილ ცხოვრებასა და ეკლესიის წმიდა ცხოვრებას შორის. მხოლოდ მაშინ, როცა ღვთის მადლი მის გულში ღვთაებრივი სიყვარულის თესლს დათესს, ის შეძლებს, დაინახოს თავისი სულიერი სიღატაკე. მზის ნათელი, რომელიც ბნელ ოთახში აღწევს, ყოველივეს ანათებს. ასევე ღვთის მადლიც ცხადყოფს ჩვენი სულის სიცარიელეს, აშიშვლებს ჩვენს ვნებებს, ჩვენს ცოდვებს. ამიტომაც წმიდანები ესოდენი მოშურნეობით სთხოვდნენ უფალს: „მომანიჭე სრულყოფილი სინანული“. ჭეშმარიტი სინანული უსაფრთხო გზაა, რომელსაც ღვთის სასუფევლისკენ მივყავართ.

ადამიანს ღმერთმა გონება იმისათვის მისცა, რომ მან გაიაზროს, რამდენად დიდია მისი ცოდვა და შენდობა ითხოვოს. შეუნანებლობით ადამიანი მეტისმეტად გაქვავდა და გამოთაყვანდა, რადგანაც სინანული და იმ მცირე ჯოჯოხეთისაგან გამოსვლა არ სურს, რომელშიც ცხოვრობს და რომელიც მას იმ უარესი მარადიული სატანჯველისაკენ მიუძღვება.

იმისათვის, რომ ცოდვით დაცემა ავიცილოთ თავიდან, ადამიანი ყოველივე იმას უნდა გაურბოდეს, რაც მასში ამ ცოდვის პროვოცირებას ახდენს. მაგალითად, თუკი ლოთს სურს, რომ სმას თავი მიანებოს, მაშინ მან ყველანაირად უნდა მოარიდოს თავი ისეთ ადგილს, სადაც სასმელია. აუცილებელია მცირეოდენი მონდომება და კეთილი განწყობა. ასეთ დროს კი სახიერი ღმერთი სირთულეების გადალახვაში დაგვეხმარება. მაგალითად: ადამიანი რაღაც ვნებით არის შეპყრობილი, ის აღიარებს ამ ვნებას, მის მოსაკვეთად იღწვის, ინანიებს, თავს იმდაბლებს, ყველანაირად განწყობილია, რომ მისგან გათავისუფლდეს. ეს განწყობა იცის ღმერთმა და ამიტომ ეხმარება მას. მაგრამ როგორ მიანიჭებს უფალი მადლს იმ ადამიანს, რომელიც თავად არ ცდილობს, რომ შეიცვალოს და ცოდვის აღსრულებას განაგრძობს?! ღვთის მადლი არ ეკარება იმ ადამიანს, ვისი მდგომარეობაც არასწორია, რადგანაც ეს მას მაინც ვერაფერს არგებს. მადლი რომ ასეთ შემთხვევაში ვინმეს შველოდეს, მაშინ ხომ ღმერთი მას ეშმაკსაც კი უწყალობებდა.

ძველად სინანული უფრო გულწრფელი ჰქონდათ, თუ ადამიანი მოინანიებდა, ცოდვას აღარ უბრუნდებოდა. დღეს ვხედავ, ზოგიერთი ადამიანი, რომელმაც სულ ეს–ეს არის საკუთარი ცხოვრება შეცვალა, როგორ იწყებს სხვების განსწავლას, თუმცა თვით მასში ჯერაც ისევ მისი ძველი კაცი ცხოვრობს. რა თქმა უნდა, თუკი ვინმემ შეინანა და შეწყვიტა ძველებურად სიძვასა და გარყვნილებაში ცხოვრება და სულიერი ცხოვრება დაიწყო, ამით სხვებსაც ძალიან დაეხმარება. მაგრამ, თუკი იგი ერთი მდგომარეობიდან მეორეში ჯერ ბოლომდე არც გადასულა და უკვე ცდილობს, რომ თავი სულიერ ადამიანად წარმოიდგინოს და ქადაგებას იწყებს, ეს უკვე ხიბლია.

თუ მონანიე ადამიანი საკუთარი ცოდვების გამო მართლაც ტკივილს გრძნობს, მაშინ აჯობებს, რომ ეს ცოდვები გარკვეული დროის განმავლობაში არ დაივიწყოს და თვითდაჯერებულობას არ აჰყვეს. ესეთი ადამიანები უკიდურესად უნდა გაფრთხილნენ და როდესაც ძველი ცხოვრებიდან სხვადასხვა აზრები და მოვლენები შეახსენებენ თავს, ისე უნდა განაგდონ ისინი, როგორც გმობის ზრახვები. ეს განგდება იმის დასტური იქნება, რომ ისინი უკვე აღარ იწყნარებენ მათ და მათი (სულიერი) ორგანიზმი ამ ზრახვებზე უარყოფითად რეაგირებს. მაგრამ იმისათვის, რომ ნამდვილად შეიცვალოს, ადამიანმა თავისი წარსული უნდა დათრგუნოს და სიმდაბლე მოიხვეჭოს. თუკი ძველი ცხოვრებიდან დაიტოვებს ნაწილს მაინც, ანუ იმას, რასაც უვნებელად ჩათვლის, მაშინ ეს „უვნებელი“ ბევრ მავნე რამესაც გამოიწვევს. ამ წუთიდან, ადამიანი თუ თუნდაც ერთ უმცირეს აზრს, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ფიქრს დაიტოვებს თავისი ძველი კაცის შესახებ, ღმერთი აღარ შეეწევა მას და არაფერი, რასაც ეს ადამიანი მოიმოქმედებს, წმინდა არ იქნება. სხვისი აზრის შეცვლის ეგოისტური მცდელობა საჭირო არ არის.

თუკი ადამიანი თვითონ ცდილობს, რომ გამოსწორდეს, ხალხის აზრიც თავისთავად შეიცვლება. ხოლო, თუ მისმა ძველმა, ცოდვილმა ცხოვრებამ საზოგადოებასა და მის გარემოცვაში რაიმე ცუდი კვალი დატოვა, როდესაც ის სწორ, ქრისტიანულ ცხოვრებას დაიწყებს, ეს კვალი თავისთავად წარიხოცება. სინანულში მყოფი ადამიანი სხვებს არაფერს უნდა ეუბნებოდეს. თვით ღმერთი ილაპარაკებს ხალხთან მისი სინანულის სიტყვებით.

თუკი ჩემს მიერ ჩადენილი ცოდვა მართლაც ტკივილს მაყენებს, ის არ დამავიწყდება. სინდისი მამხელს. სული მტკივა და ამიტომ ჩადენილი ცოდვა გამუდმებით მახსოვს. ცოდვის ჩადენიდან, ვიდრე აღსარებამდე ეს ცოდვა ჩემში „მუშაობას განაგრძობს“. ის აწყლულებს ჩემს გულს და მამხელს მე, ანუ მე ვიტანჯები და ღვთისაგან ამ ტანჯვის შესაბამის სამაგიეროს ვიღებ. თუმცა, თუკი ჩადენილ ცოდვაზე საერთოდ არ ვფიქრობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ცოდვა ოდნავადაც არ მიწყლულებს გულს. მე ვივიწყებ მას და გამოუსწორებელი ვრჩები. ამიტომ, ზოგიერთი ადამიანი, როდესაც მას რაიმე შეცდომასთან დაკავშირებით შენიშვნას აძლევენ, იცინის, თითქოს ყველაფერი ეს უმნიშვნელო რამ იყოს. სწორედ ასეთი დამოკიდებულება აქვს ბევრს თავის ცოდვასთან, ანუ სრულიად სატანური.

ზოგიერთი ადამიანი გამუდმებით (სულიერი) „თვითანალიზითაა“ დაკავებული და ეს საქმე სრულიად ფიტავს მის არსებას. ის დაუსრულებლად სკრუპულოზურად იწერს ჩადენილ ცოდვებს თითქოსდა იმის გამო, რომ სულიერად იღწვის. ამ ცოდვებს ნაწილებად „ახარისხებს“, თავბრუს იხვევს, მაგრამ ამით მისი გამოსწორება არ ხდება. არადა, საკუთარ დიდ ცოდვებს რომ ამჩნევდნენ და მათი გამოსწორებისათვის ზრუნავდნენ, მაშინ მცირე ცოდვები თავისთავად გაქრებოდა. პირველ რიგში სინანულია აუცილებელი. თუკი ადამიანი ცოდვაში ცხოვრობს, რას არგებს მას, თუკი იტყვის: „დიდება შენდა, რომელმან „მოგვფინე ნათელი“! ეს ხომ უსირცხვილობაა! აი, ერთადერთი სადიდებელი, რომლის წარმოთქმაც ასეთ ადამიანს შეეფერება: „გმადლობ შენ, უფალო, ღმერთო ჩემო, რომ არ გარდამოავლენ ელვას ჩემს დასაფერფლად"! იმიტომ, რომ ამგვარი სადიდებელი სინანულს შეიცავს.

არსებობს უნებური სინანული. მაგალითად, როდესაც მსურს, არასასურველ მოვლენებს გავექცე, გთხოვ, მაპატიო ბოროტება, შენ რომ მოგაგე. თუმცა, ამავე დროს შინაგანად არ ვიცვლები. მზაკვრობაში დახელოვნებული ადამიანი ისეთ სახეს იღებს, თითქოს ნანობდეს, ის მზაკვრულად მოქმედებს, მოჩვენებითი სიკეთით მიმართავს ადამიანებს, შენდობას თხოვს მათ, რათა შეაცდინოს ისინი. თუმცა, არც ის არის სინანული, როდესაც ასეთი ადამიანი მიდის ღვთისმსახურთან და მასთან ამბობს აღსარებას, რადგანაც ამ დროს მხოლოდ ჯოჯოხეთში მოხვედრა აშინებს. მისთვის მთავარი ამოცანა სინანული კი არ არის, არამედ ის, რომ ჯოჯოხეთს გაექცეს. ჭეშმარიტი სინანული საკუთარი ცოდვების შეგრძნებაა, მათ გამო ტკივილის განცდა, ღვთისაგან შენდობის გამოთხოვა და მხოლოდ ამის შემდეგ აღსარება. მხოლოდ ამგვარად ეწვევა ადამიანს საღმრთო ნუგეშინისცემა. ამიტომ ყოველთვის სინანული და აღსარება უნდა ვურჩიოთ ადამიანებს. მხოლოდ აღსარების მომხრე არასოდეს უნდა ვიყოთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ სინანულს ადამიანისათვის საღმრთო ნუგეშინისცემა მოაქვს! რაც მეტად წუხს და დარდობს ადამიანი თვის ცოდვილ მდგომარეობას, ან ღვთისადმი უმადურობას, რაც მეტ ღვთისმოსაურ ცრემლს აფრქვევს, იმის გამო, რომ განარისხა ღმერთი – მამა თავისი, მით მეტ საღვთო ნუგეშსა და სიხარულს ანიჭებს მას ღმერთი და მით მეტი ნეტარებით აღავსებს მას. თუმცა ამ ადამიანის მწუხარება მტკივნეულია, მაგრამ, ამავე დროს მასში არის იმედი და ნუგეში. თუმცა მას, ვისაც სურს, საღმრთო ნუგეშინისცემა მიიღოს, ნუგეში არასოდეს უნდა ითხოვოს. ასეთმა ადამიანმა უნდა იგრძნოს თავისი ცოდვა, მოინანიოს ის და მაშინ საღმრთო ნუგეშინისცემა თავისთავად მივა მასთან. საღმრთო ნუგეშს სინანული შობს. პირველ დღეს სულიერი და ხორციელი მოტეხილობა გამართლებულია, მაგრამ, თუ ამ კაცში ჭეშმარიტი სინანულია, შინაგან მწუხარებასა და ტკივილს სწრაფად დაძლევს და ამასთან, საღმრთო ნუგეშსაც მიიღებს.

თუკი კაცი ცოდვებს არ ივიწყებს. ასეთი ადამიანი წუხს და კვლავ ნუგეშისცემულია. ის საკუთარ თავს გვემს ამ ცოდვის გამო, ღმერთი კი ალერსიანად ეფერება. ის ისევ თავში იცემს, ღმერთი კვლავ ეფერება მას. სწორედ ეს არის სინანული, რომელსაც კაცისთვის საღმრთო ნუგეში მოაქვს.

მონანიება ჩადენილი დანაშაულის, ცოდვის, შეცდომის სინანულით აღიარებაა. ის გულისხმობს გონების შეცვლას, რომელიც მოქმედებას იწვევს – შეცვალოს ცოდვილ გზაზე ღვთისთვის.

„მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე 3,2), – გვიქადაგებს საღვთო წერილი. მონანიება ეს არის სულიერი ცხოვრების გზა, რომელსაც სულის ცხონებამდე მივყავართ. სინანულის გარეშე გადარჩენა შეუძლებელია.

აღსარების თქმა მხოლოდ ცოდვის აღიარება კი არა, მასთან ბრძოლაცაა. აღსარება გულახდილი და უშუალო უნდა იყოს. თუკი სიმართლე და გულწრფელობა აღსარების შემდეგაც დარჩება მის გულში, მაშინ ადამიანი ყოველი აღსარების შემდეგ უფრო უკეთესი გახდება, ვიდრე მანამდე იყო. აღსარება ახალი აღთქმის შვიდ საიდუმლოთაგანია. ამ საიდუმლოში მონაწილეობენ აღმსარებელი, მოძღვარი და ღმერთი. სწორად ჩააბარა თუ არა ადამიანმა აღსარება, გულწრფელად მოინანია თუ არა ცოდვები, ამის შეფასება არავის ძალუძს, ეს მხოლოდ უფალმა იცის.

ადამიანისათვის, რომელიც ეჩვევა აღსარებისას საკუთარ ცხოვრებაზე ანგარიში აბაროს, არ იქნება ძნელი სიტყვისგება საშინელ სამსჯავროზე. სწორედ ამიტომ არის დადგენილი ამ წუთისოფელში სინანულის ეს მშვიდი სასამართლო, რათა ჩვენ, განწმენდილებმა და გამოსწორებულებმა, ურცხვენელად გავცეთ პასუხი ქრისტეს საშინელ სამსჯავროზე... რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში არ ვინანიებთ, მით უარესია ჩვენთვის, მით უფრო იხლართება ცოდვის ბორკილები და ანგარიშის ჩაბარებაც ძნელდება... რაც უფრო გულწრფელია აღსარება, მით უფრო მშვიდად არის ადამიანის სული. ცოდვები ფარული გველებია, რომლებიც ღრღნიან ადამიანის გულს და მთელ მის არსებას. ცოდვები ეკლიანი ბარდებია, რომლებიც აშთობენ და თრგუნავენ სულს. ცოდვები – სულიერი წყვდიადია. ადამიანმა აუცილებლად უნდა გამოიღოს სინანულის ნაყოფი. სინანულს კი, ეხმარება ცნობიერება, მეხსიერება, წარმოდგენა, გრძნობა, ნებისყოფა. რაკი მთელი ჩვენი სულიერი ძალებით ვცოდავთ, ამიტომ მთელი სულით უნდა მოვინანიოთ. სინანული მხოლოდ სიტყვებით, გამოსწორების განზრახვისა და შემუსვრილების გრძნობის გარეშე, არის პირფერობა, ფარისევლობა.

ცოდვის შეგრძნება დაბინდულია, საჭიროა მისი გამოაშკარავება. გრძნობა დახშულია, მოდუნებულია, საჭიროა მისი გამოღვიძება. ნებისყოფა დაჩლუნგებულია, არ ძალუძს ჩვენი გამოსწორება, საჭიროა იგი ვაიძულოთ, რამეთუ „სასუფეველი ცათაჲ იიძულების".

აღსარება უნდა იყოს გულიდან წამოსული, სიღრმისეული და სრული. ღმერთის წყალობის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია დავამარცხოთ არც ერთი ვნება, ცოდვა. მაშ, მუდამ შევთხოვოთ დახმარება ჩვენს მხსნელს – ქრისტეს. იგი იმიტომ მოვიდა ამ ქვეყნად, ევნო, მოკვდა და აღდგა, რომ ყველაფერში დაგვეხმაროს, გვიხსნას ცოდვებისა და ვნებებისაგან, განგვწმიდოს, მოგვანიჭოს სულიწმიდის მიერ ძალა კეთილი საქმეების აღსასრულებლად, განგვანათლოს, გაგვაძლიეროს და დაგვამშვიდოს. ყოველ ნაბიჯზე და ყოველ წუთს უნდა მოუხმო მაცხოვარს, გვახსოვდეს მხსნელი. მაშინ ცხონდები და სხვებსაც აცხოვნებ. ნუ ეძიებ სხვის ცოდვებს და ნუ ეპყრობი ცოდვილებს მტრულად, ნურც გარეგნულად და ნურც შინაგანად. წარმოიდგინე შენი ცოდვები და გულწრფელად მოინანიე შენი თავი, ჩათვალე ყველაზე უღირსად. ცოდვილთათვის სიყვარულით ილოცე.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ადამიანები, ყველანი მიდრეკილები ვართ ცოდვისაკენ.

ამ ქვეყანაზე ყველა ადამიანი დაავადებულია ცოდვის ციებ-ცხელებით, ცოდვის სიბრმავით, შეპყრობილია ცოდვის სიცოფით.

ვინაიდან ცოდვის საფუძველი ამპარტავნებასა და სიბოროტეშია, ამიტომ ყველა ადამიანს, როგორც ცოდვის ავადმყოფობით დაავადებულს, სიმშვიდით და სიყვარულით უნდა მოვეპყრათ. ეს მეტად მნიშვნელოვანია და ხშირად გვავიწყდება. ჩვენ ძალიან ხშირად სიბოროტეს ვპასუხობთ სიბოროტით, ამპარტავნებას ვუპირისპირებთ ამპარტავნებას და ჩვენში იზრდება ბოროტება. განკურნების მაგივრად კიდევ უფრო ვსნეულდებით. უფალო, შეგვიწყალე, შეიწყალე კაცობრიობა! ღმერთის მიმართ შემუსვრილი გულით აღიარებული ცოდვები ქრებიან. ამოიოხრე, შეწუხდი ჩადენილ ცოდვებზე და ისინიც განქარდებიან. აღიარე შენი უსჯულოება და გამართლდები. თუ მიხვდი, რომ ცოდვებში ცხოვრება ოცნება, სიზმარი და უგუნურებაა და გადაწყვიტე მართებულად იცხოვრო, მაშინ ღმერთიც ცოდვებისაგან განგწმენდს თავისი მსახურისა და წმიდა საიდუმლოებების საშუალებით. როცა ისვრები, საჭიროა ტალახის ჩამორეცხვა. ლოცვა, განსაკუთრებით ცრემლიანი, არის საშუალება სულიერი ჭუჭყის, იგივე ცოდვების ჩამოსარეცხად.

მეცნიერებათა მეცნიერაბაა დაამარცხო ჩვენში ჩაბუდებული ცოდვა, ანუ ვნებები, რომლებიც ჩვენში მოქმედებენ. მაგალითად, დიდი სიბრძნეა – არავისზე გაბრაზდე და არ იფიქრო ცუდი, არამედ აპატიო, მიუხედავად იმისა, თუ რა ბოროტება მოგაყენეს.

სიბრძნეა – მოიძულო ანგარება, სიტკბოება და გიყვარდეს უპოვარებადა უბრალოება, ზომიერება საჭმელ-სასმელში. სიბრძნეა – არავის ეპირფერებოდე და ყველას უშიშრად სიმართლეს ეუბნებოდე. სიბრძნეა – არ იხიბლებოდე ადამიანის გარეგნული სილამაზით, არამედ პატივს სცემდე ყველა ადამიანში ღვთის ხატების სილამაზეს. სიბრძნეა – გიყვარდეს შენი მტრები და არ იყოს შენში შურისგება არც სიტყვით, არც აზრით და არც საქმით. სიბრძნეა – არ მოიხვეჭო სიმდიდრე, არამედ დაურიგო მოწყალება გლახაკებს და მოიხვეჭო „საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა".

თავისთავად ცოდვა ცეცხლია. ამიტომაც ვამბობთ ზოგ ადამიანზე, რომ ანთებულია რისხვით, ან ხორციელი სიყვარულით, ან შურით. მაშასადამე, ცოდვა საკუთარ თავში ატარებს ცეცხლოვან სასჯელს. როგორიღა იქნება ეს ცეცხლი მოუნანიებელ ცოდვილებში, როდესაც ღმერთის მადლი სრულად დატოვებს მათ?! ... ჩვენ, უგრძნობელნი, სიამტკბილობაში ვატარებთ ჩვენს ცხოვრებას, არ გვეშინია. ეკლესიის მიმართ გულგრილნი, არ ვასრულებთ ჩვენს ქრისტიანულ მოვალეობას და ცოდვებში ვიძირებით. რომ, ვუფიქრდებოდეთ ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვებისა და კეთილი საქმეების შედეგებს, როგორი ფრთხილნი ვიქნებოდით მაშინ, გავექცეოდით ცოდვას და მოვინდომებდით კეთილი საქმეების კეთებას, რადგანაც მაშინ ნათლად დავინახავდით, რომ თავის დროზე ამოუძირკვავი და ჩვევაში გადასული ცოდვა ღრმად უშვებს თავის ფესვებს ადამიანის გულში. ხანდახან სიკვდილამდე აცბუნებს და ტანჯავს მას, ხშირად ახსენებს ოდესღაც მის მიერ ჩადენილ ცოდვას და ამგვარად ბილწავს აზრს, გრძნობას და სინდისს. საჭიროა ცრემლების ნიაღვარი, რათა ჩამოვირეცხოთ ძველი ცოდვის ჭუჭყი ესოდენ მოუცილებელი და გესლიანი! პირიქით, გულწრფელად და უანგაროდ ჩადენილი ყოველი კეთილი საქმე ახარებს ჩვენს გულს და ჩვენს ცხოვრებასაც სიხარულით აღავსებს იმის შეგნება, რომ მთლად ფუჭად არ გაგვივლია ჩვენი ცოდვებით სავსე ცხოვრება, რომ ადამიანებს ვგავართ და არა მხეცებს, რომ შექმნილი ვართ ღმერთის ხატად და ჩვენშიც არის ნაპერწკალი საღვთო სიყვარულისა და ნათლისა, რომ ღვთის მიუკერძოებელი სამართლის სასწორზე რამოდენიმე კეთილი საქმე მაინც იქნება საპირწონე ჩვენ მიერ ქმნილი ბოროტი საქმეებისა. ის ცოდვა, რომელიც ჩვენი ნების გარეშე ხდება, ცოდვად არ შეგვერაცხება. მაგალითად, ლოცვის დროს უნებლიე შებრკოლება, ბილწი და გმობის აზრები, უნებური გულისწყრომა, რომელსაც გულმოდგინედ ვებრძვით, სიძუნწე, რომელიც გვეზიზღება, ყოველივე ეს ბოროტი სულისგანაა. ჩვენი საქმეა მოვითმინოთ, ვილოცოთ, დავმდაბლდეთ და გვიყვარდეს. ცოდვა აბრმავებს ადამიანის გულს.

ვერცხლისმოყვარენი, ღორმუცელები და ლოთები ფიქრობენ, რომ ემალებიან უფალს თავის ვნებიან მიდრეკილებებთან ერთად. მაგრამ ღმერთი ყველაფერს ხედავს და განიკითხავს.

როგორი ცოდვებითაც უნდა იყო ეშმაკის საცთურებით შეკრული, არასდროს დაკარგო ღმერთის წყალობის იმედი. შეწყალებისათვის ილოცე მთელი გულით და სასოებით. აკაკუნე ღმერთის მოწყალების კარზე და განგეღება. მონანიების შედეგად ყველაფერს გპატიობს უფალი, განსაკუთრებით წმიდა საიდუმლოს ღირსეულად ზიარების შემთხვევაში. ქრისტეს სისხლით თოვლივით განსპეტაკდები, შენს გულში ზეციური სამყარო დაივანებს და სიმსუბუქეს იგრძნობ მასში, ნეტარი გახდები. დაივიწყებ ყველა წუხილსა და მღელვარებას, ეშმაკის მხრიდან შევიწროვებას და თითქოს მკვდრეთით აღმდგარი სრულიად განახლდები. როგორი ცოდვებიც უნდა გქონდეთ ჩადენილი, იმედს ნუ დაკარგავთ, ძმებო, ოღონდაც შემუსვრილი გულით და დამდაბლებული სულით მოინანიეთ. დიდება შენს მოწყალებას და მოთმინებას, უფალო. როდესაც წარმოიდგენ შენს მრავალრიცხოვან ცოდვებს და სასოწარკვეთაში ჩავარდები, გაიხსენე ზეციური მამა, რომელმაც შენი ხსნისათვის (ცოდვებისა და მარადიული სასჯელისაგან) თავისი მხოლოდშობილი ძე – უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოავლინა. მიისწრაფე ამ ჩვენს შუამდგომელთან რწმენით და მთელი გულით შეევედრე, რომ თავისი ყოვლადწმიდა სისხლით, რომელიც ჩვენი გულისთვის ჯვარზე დასთხია, ჩამორეცხოს შენი უსჯულოებანი. მხურვალედ მოინანიე, სინანულით აღიარე შენი ცოდვები მღვდელთან, როგორც თვით უფალთან და გამართლდები. თუ ღვთისმსახური ჩათვლის, რომ მზადა ხარ, მიეახლე წმიდა ბარძიმს და შენი ცოდვები განიწმინდება, მშვიდობა დამკვიდრდება შენში, გახდები ზეციური მამის შვილი, რომელიც „მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა".

ნუ გვგონია ვინც იღიმება ყველა ბედნიერია, რადგანაც გულიდან წამოსული ცრემლები თვალებამდე არასოდეს აღწევს, განსაკუთრებით მათ ვისაც პირადულის გარდა სამშობლოს ტკივილიც აწუხებთ.

რაც შეეხება ჩვენს სახელმწიფოს, სამშობლოს, ჩვენს საზოგადოებაში, ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ჩვენ ერთ მშვენიერს დილას ჩამოგვიფრინდება, ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის...

ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისთვის ვიზრუნოთ... ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიმუშაოთ ...

მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენ ხალხს და დამხმარებელიც.

ერთიცაა: „– რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ სამშობლოსათვის აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას.“

აი, ასეა მეგობრებო, მარტო ვაი-ვიშით, წარსულის მოგონებებითა და უფლის კალთაზე ჩამოკიდებით ვერაფერს გავხდებით, ჩვენც უნდა მოვეგოთ გონს, გამოვიღვიძოთ და სიყვარულით სამშობლოსათვის ვიღვაწოთ!

ამ დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი მტრები. მადლობა უნდა გადავუხადოთ ჩვენს მტრებს. მადლობა ვუთხრათ ჩვენს ბოროტ, შურიან და სულელ მტრებს, იმათ, ვინც არ გვიცნობს და ვერც ვერასოდეს გაგვიცნობს. მართლაც, რამდენი დამსახურება აქვთ მათ ჩვენს მიმართ. ღმერთო, უჩვენოდ, ნუ დაგვისჯი ჩვენს მტრებს, სიკეთით გაუთენე მათ ხვალინდელი დღე, რომ ერთი წამითაც კი არ მოვდუნდეთ ცხოვრებაში და მუდამ თავისუფალი ვიყოთ.

„თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ,
უფალო, ამაცდინე სასუმელი ესე.
მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი,
უფალო, ამაცდინე ესე სასუმელი.
ნუ ჩემი იყოფინ, არამედ შენი,
შენ თავად ნება ხარ, სიმართლის მჩენი.
ხამს მოყვასისათვის სიმძიმე ვითვისო,
გვედრი, შემიწყალე, ძეო დავითისო!"

დღევანდელი სახარება (მათ. 18,23–35) გვასწავლის თანანადებთა მიტევებას. ყური დავუგდოთ უფალს და მოვინდომოთ მისი ამ წმინდა მცნების აღსრულება. რატომ განსაკუთრებით ამ მცნების? იმიტომ, რომ ეს არის გადარჩენისკენ მიმავალი უმოკლესი და ყველაზე საიმედო გზა. გსურს ცხონება, მიუტევე ყველას ყველაფერი და გადარჩები, რადგან უფალი ბრძანებს: „უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან" (მათ. 6,14) და ვისაც ცოდვები მიეტევება, მან მეტი რაღა უნდა ინატროს?! წმინდა დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უშჯულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი. ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხოს უფალმან ცოდვაჲ, არცა არს პირსა მისსა ზაკუვაჲ" (ფსალმ. 31,1–2). ნეტარია – ანუ ცხონებულია. ასეთებზე აღესრულება მოსე წინასწარმეტყველის მიერ ძველთაგანვე წარმოთქმული სიტყვა: „ზღვის გაღმა ნუ გახვალ გადარჩენის საძებნელად". მახლობელ არს სიტყვა გულსა შენსა (იხ. 2 სჯ. 30,13). დავსძენ: მახლობელ არს სიტყვა, რითაც გული ღაღადყოფს ყოვლისმიმტევებლობას, როდესაც ვინმეს მიმართ აქვს საჩივარი (იხ. კოლ. 3,13).

ყოფითი შეხლა-შემოხლის, წყენისა და მოჩვენებითი, ან ნამდვილი შეურაცხყოფებით გულის სიმშვიდის აფორიაქების შემთხვევები გაუთავებლად გვხვდება და ის, რაც თითქმის გარდუვალია, რაც მაინც შეგვემთხვევა, უფალს სურს, ჩვენი შეწყალებისა და გადარჩენისაკენ წარმართოს. ყოველ წუთს შეურაცხგყოფენ, ყოველ წუთს მიუტევე და ყოველ წუთს სულ უფრო ღრმად შეაღწევ ყოვლისმიმტევებელი ღმერთის გულმოწყალების წიაღში და ამ შეწყალებით, როგორც სამოსით, შეიმოსები, გარემოიზღუდები და დაცული იქნები ყოველივესგან, რაც შენს გადარჩენას ზიანს აყენებს.

უფლის წინაშე არაფერს ისეთი ძალა არ აქვს, როგორც წყენათა მიტევებას, რადგან იგი არის მიბაძვა საღვთო გულმოწყალების ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მახლობელი ქმედებისა. ისე ადვილად არაფერი გვაცდუნებს, როგორც გაბრაზება და სურვილი სამაგიეროს გადახდისა ჯავრიანი სიტყვით, არცთუ იშვიათად კი საქმით. მაშასადამე, ნაცვლად იმისა, რომ შევიძინოთ ის, რაც თავად გვეძლევა ხელთ, ყოველ წუთში ვკარგავთ. თუ მიუტევებ, შეიძენ შინაგან სიმშვიდესა და უფლისგან შეწყალებას, არ მიუტევებ და გაგიძლიერდება შინაგანი შფოთი, უფლისგან წყალობას კი ნუღარ ელი.

რატომ არ მივუტევებთ ყოველთვის, უფრო ხშირად ავყვებით მრისხანების აფეთქებებს, ჯავრსა და აღშფოთებას? ვფიქრობ, ამის მიზეზია მიტევების ღირებულებისადმი უგულისყურო დამოკიდებულება. ყურადღების მიღმა გვრჩება ის, რაც მიტევებით გვეძლევა, წყენით მოყენებული დანაკლისი კი ასე თვალსაჩინოდ წარმოგვიდგება. თავისმოყვარე გული მსჯელობს: რატომ მივუტევო? და ჩვენც არ შევუნდობთ. წყენის წუთებში საკუთარ ფიქრებსა და გულში აღიდგინეთ უეჭველი აღთქმა, რაც მიმტევებელთ მიეცათ აღთქმა, რომელიც შეუდარებლად უფრო ფასეულია, ვიდრე უდიდესი დანაკარგები, რაც კი ადამიანს ძალუძს წყენით მოგაყენოს. მაშინ რა წყენაც უნდა შეგვხვდეს, გულიდან ამოხეთქავს გამამხნევებელი ხმა: ღირს, ამისთვის მიუტევო და ჩვენც შევუნდობთ.

მივუტევოთ და მოგვეტევება. კვლავ მივუტევებთ და კვლავ მოგვეტევება და ასე განუწყვეტლივ.

თავად მიმტევებლებზე გავრცელდება საღვთო ყოვლისმიმტევებლობა, ეს ადამიანი საღვთო გულმოწყალებითა და სიყვარულით იქნება გარემოცული. არის კი, რაც გვინდა, რომ მოგვიტეონ? მერედა რამდენი! ვიჩქაროთ, მივუტევოთ, რათა ჩვენც მოგვეტეოს და ამას მეტი მონდომებით გავაკეთებთ, როცა გვეცოდინება, რომ ის, რასაც ჩვენ მივუტევებთ, არაფერს ნიშნავს, ხოლო ის, რაც მოგვეტევება, შეუდარებლად უფრო ფასეულია.

დღევანდელ იგავში ღვთის წინააღმდეგ ჩადენილი ჩვენი ცოდვები შეფასებულია ბევრ ტალანტად, ხოლო სხვათა ცოდვები ჩვენს წინაშე – ას დრაჰკანად. ჩვენი ანგარიშით, ეს დაახლოებით არის ათასი ლარი ერთ თეთრზე. თეთრით ათასი ლარის შეძენა. ყოფაში რომ გაჩენილიყო სადმე ასეთი შენაძენის შესაძლებლობა, არავინ დააყოვნებდა, ყველა კისრისტეხით გაიქცეოდა იქით. მაგრამ არავითარი, თვით ყველაზე გათვლილი შენაძენიც კი ამქვეყნად ისეთი საიმედო არ არის, როგორი საიმედოც უფლის აღთქმაა.

მიწიერ ნივთთა ვერანაირი შეფასება ვერ იქნება ისეთი ზუსტი, როგორი ზუსტიც არის ჩვენგან ჩადენილი ცოდვებისა და ჩვენთვის მიყენებული წყენის შედარებითი შეფასება. ამას ღაღადებს ღმერთი სიმართლისა.

ამრიგად, გაიხსენე ცოდვები, რომლებიც მოგეტევა, ან რომელთა მოტევებასაც ეძიებ და შენც მიღებული მოწყალებისადმი მადლიერებით, სასურველი და სანატრელი წყალობის მიღების უეჭველი სასოებით მიუტევე, მიუტევე დიდსულოვნად და გულუხვად. დაე, წყენამ რამდენადმე დაგამციროს, ან ზიანი მოგაყენოს, უფალი ხომ ყველაფერს ხედავს. ღმერთისთვის თვალსაჩინოა, თუ რა ხდება შენს გულში. იგი აკვირდება მიტევებისკენ მის მიდრეკას, მისთვის სანუგეშო ხდება გულში აღსრულებული მიტევება და იგი ამ მსხვერპლს ადებს ისეთ ფასს, რასაც ვერც კი წარმოიდგენ.

გარდა ხილული წესრიგისა, არსებობს უხილავი, გარდა ამ წუთისოფლისა, სამომავლო ცხოვრება. იქ რომ გადავსახლებულიყავით გონებითა და გულით, სხვაგვარი იქნებოდა ჩვენი აზრები, მეტყველება და საქმენი, იმდენად განსხვავებული, რომ ამა სოფლის მკვიდრნი, ჩვენი შემხედვარენი, შეშლილებად ჩაგვთვლიდნენ. ამასოფლის სული მათ, ვინც ძვირუხსენებელია და ყოვლისმიმტევებელი, ღირსების არმქონე ადამიანებად აღიქვამს. სინამდვილეში მიტევება არის ღირსება. უფლის მცნებისამებრ და ქრისტიანული სასოებით მიმტევებელი კაცი სხვა, უკეთესი ქვეყნის მკვიდრია. იგი იქიდან იღებს შეგონებებს და იცავს იქაურ წესრიგს. ამქვეყნიურთ და მიწიერი თვალთახედვით მის მჭვრეტელთ ამ კაცის გაგება არ ძალუძთ. იგი საქმით აღასრულებს მოციქულის მითითებებს: „უკუეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თვისი თქუენ შორის ამას სოფელსა, სულელ იქმენინ, რაჲთა იყოს იგი ბრძენ" (1 კორ. 3,18). რა თქმა უნდა, უცებ ვერ მოიპოვებ ისეთ ღრმა და სრულ სიმშვიდეს, რომელიც შეურაცხყოფის ყოველ დარტყმას შთანთქავს. მაგრამ დაიწყე უდაბლესით და ახვალ უმაღლესამდეც. ძვირუხსენებლობის, უჯავრელობის, მაშასადამე მიტევების პირველი ხარისხი არის ჩუმად ყოფნა და შენც ამით დაიწყე. როცა გაწყენინებენ, თავს ძალა დაატანე და გაჩუმდი, მიჰბაძე დავით წინასწარმეტყველს, რომელიც თავისთავზე ამბობს: „შევძრწუნდი და არა ვიტყოდე" (ფსალმ. 76,4). გააკეთე ასე ერთხელ, მეორედ უფრო იოლად გაჩუმდები. რაც ხშირად შეინარჩუნებ მდუმარებას, მით ნაკლები აღშფოთებით შეხვდები წყენას. დამკვიდრებული უშფოთველობა განსვენებას მოგგვრის, რაც გადაიზრდება ყოველ გონებაზე აღმატებულ სიმშვიდეში. მაშინ წყენას ისე დაუდგები წინ, როგორც მკვიდრი კედელი ქარისგან მოყრილ ქვიშას. აი, სადამდე მიხვალ, როცა გაჩუმებით დაიწყებ საკუთარი თავის დაძლევას. არ დაიწყებ და სულ უფრო მეტად დაგრევს ხელს გულისწყრომა იქამდეც მიხვალ, რომ ყოველი წვრილმანი დაგაკარგვინებს მოთმინებას.

როგორ უნდა იცხოვრო ყოფითი წესიერებით, ქრისტიანულ ცხოვრებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ?! უშრომელად ვერაფერს შეიძენ. გსურს ზნეობრივი სიკეთე, იშრომე საკუთარ გულზე. მოქმედებათა გამეორების შემთხვევაში იგი ნაკლებ შრომას დახარჯავს მათ აღსასრულებლად, ასეთი თვისება გულს უფალმა მიანიჭა. წყენის ხშირი მიტევება არა მხოლოდ აიოლებს მიტევებას და შეგვძენს ამ ჩვევას, არამედ აღვივებს უფლისთვის (ანუ უფლის მცნების გამო) შეურაცხყოფის მიღების წყურვილსაც კი, როდესაც ერთ ყვრიმალში დარტყმისას კაცი მეორეს მიუშვერს, ზედა სამოსის დამკარგავი იძლევა კვართს და ერთი მილიონის (115 ნაბიჯი) გასავლელად იძულებული, გადის ორს.

ეს სიმაღლე ჩვენ მიუწვდომლად გვეჩვენება, მაგრამ მასზე იოლად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ადის ის, ვინც სათანადოდ დაიწყებს მიტევებას. მიტევება არის ყველაზე მიმზიდველი სათნოება, რაც უმალვე აჯილდოებს გულს. ამ ფიქრებით ვაკურთხოთ უფალი, რომ ესოდენ ადვილი საშუალება გვიბოძა ასეთ სიმაღლეზე ასასვლელად და ვილოცოთ, რათა მოგვცეს ძალა და გონება მიტევებისა. დაე, მოგვეტეოს და ღირს ვიქმნათ ნეტარი შეწყალებისა და შენდობისა. ამინ!

ეკლესია გვეუბნება: არაფერია იმაზე უსაფრთხო, ვიდრე მტრისთვის მიტევება. არაფერია იმაზე საშიში, ვიდრე შურისძიება მასზე.

არსებობს მოწყალების მრავალი სახე, რომელთა საშუალებითაც შეგვიძლია, ღვთისაგან საკუთარი ცოდვების მიტევება მივიღოთ, მაგრამ მათგან თითქოს ყველაზე მნიშვნელოვანია მტრებისათვის მიტევება.

როგორც კი წყენა ჩვენს გულს აანთებს, გავიხსენოთ ქრისტე და მისი ვნებები, განვსაჯოთ, რომ შენს მიერ დათმენილი ძალიან მცირეა ზეციური მეუფის ტანჯვასთან შედარებით, მაშინ წყალით ჩააქრობ შენს მწუხარებას.

როდესაც მოყვასს წყენის სანაცვლოს მიაგებ, მაშინ მას ღმერთი აღარ სჯის, ხოლო როდესაც შენ მიუტევებ, მაშინ უფალი, ან მას სჯის, ან შენს ცოდვებს მოგიტევებს.

უფალმა ორი ნიჭი გვიბოძა, რომლებიც ჩვენი სუსტი გულისათვის ერთნაირად ძვირფასია – ხსოვნა და დავიწყება. როდესაც სიკეთეს გვიკეთებენ, მადლიერების გრძნობა მის ხსოვნას ითხოვს, ხოლო როდესაც ბოროტებას გვიკეთებენ, სიყვარული მას გვავიწყებს.

თავიდანვე ჩემთვის შეუძლებელი იყო ვინმეს შეცდომების მთელი გულით პატიება ჭეშმარიტი ცოდნის გარეშე, არადა, ეკლესია მიტევებისკენ მოგვიწოდებს. მართალია, სხვებს რომ მივუტევოთ, პირველ რიგში, კარგად უნდა გავიაზროთ ღვთის მიტევების არსი. ღმერთი არ პატიობს წინაპირობების გარეშე. მადლი და სიყვარული მუდმივად მოქმედია, ხოლო მონანიება იშვიათი. ამიტომ, როდესაც ბიბლია და ეკლესია მოგვიწოდებს, რომ მივუტევოთ ერთმანეთს, ამით ცოდვას არ უგულებელვყოფთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სიხარულით, მოწყალებითა და სიყვარულით მივუტევებთ მომნანიეთ. შესაძლებლობისთანავე გვსურს მიტევება. მიტევება მოითხოვს მოთმინებასა და თავშეკავებას.

სწორედაც ღვთის გარდამქმნელი ძალა გვჭირდება მიტევებისათვის. დაცემული ადამიანის ბუნების სიღრმეში, ფესვი აქვს გადგმული შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის სურვილს. ბუნებრივად, გვსურს შური ვიძიოთ ჩვენი ბოროტგანმზრახველთათვის. თავიდანვე, სრულიად სამართლიანად, მეც მეჩვენებოდა და მსურდა მეთქვა: „თვალი თვალის წინ", როცა არა პირადულ, არამედ ქვეყნის მოღალატეთა პირისპირ ვდგებოდი, მინდოდა მათი ლუსტრაცია, მხილება, მაგრამ შემდგომ დავმშვიდდი, რამეთუ ქრისტემ გადმოგვცა ძალა, რათა გვიყვარდეს სხვები, სიკეთე ვუყოთ ჩვენს მოძულეებს, ვაკურთხოთ ჩვენი მაწყევრები დავილოცოთ ჩვენი შეურაცხმყოფელთათვის. იესო გვაძლევს გულს, რომელიც მიუტევებს და ბოლომდე სასიკეთოდ იშრომებს.

მახსენებდა თავს მაგალითი ცხოვრებისა, რომელიც თავიდან ბევრმა ვერც კი გამიგო და ამზერად შემომხედა:

ერთხელ, სახლში, ოჯახთან ერთად, მოვიწვიე ადამიანი იმ ოთხთაგანიდან, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ და შემდგომაც ქვეყანას აზანზარებდა თავიანთი სიბოროტით, დაუნდობლობით, ქვეყნისა და ხალხის მიმართ ღალატითა და კაცთმოძულებით.

დავსხედით და ყოველგვარი ბილწსიტყვაობის გარეშე ვისაუბრეთ, ჩემი და ბევრის სახელით წყნარად ავუხსენი ჩემი სათქმელი, თუ რა ბოროტების სათავეში იყო გარეული და ვთხოვე, კაცურად ეღიარებია, მოენანიებია თავისი წარსული და ქმედებანი. სამწუხაროდ, ვერ შეძლო, ალბათ თავისი მხოლოდ ნება არ ყოფნითა და გარე სატანისტური ძალებით იყო დატყვევებულ-დაბორკილი.

არ გავბრაზებულვარ, გული დამწყდა მის მაგივრადაც და როგორც სტუმარი სახლში გავაცილე. ასე დამთავრდა ეს ამბავი, რომელიც არცთუ გვიან პერიოდში მოხდა.

მალევე გარდაიცვალა, მოუნანიებელი, მაგრამ ვიგრძენი სინანულით აღსავსე და მისი თვალებით გამოხატული შინაგანი გრძნობა, თუ როგორ ახრჩობდა და გულს უკლავდა.

მას შეეძლო, სიკვდილის ბოლოს, შეიძლება გვიან, მაგრამ მაინც გაეკეთებინა მონანიება ჩადენილი „გმირობების" გამო, მაგრამ ვერ შეძლო, რამეთუ თავის თავს არ ეკუთვნოდა სამწუხაროდ.

მე კი, დავრჩი თქვენთან ამის სათქმელად, ამოსუნთქებული, თავისუფალი და მწუხარეც, რამეთუ ვეცადე, მაგრამ ვერ შევძელი მისი ბოლომდე გათავისუფლება საკუთარი თავისაგან. უფლის იმედად წავიდა, ღმერთმა მიუტევოს როგორც წესია.

არადა, გავიაზრებთ რა ღვთის პატიებას ჩვენდამი, უფრო გაგვიადვილდება სხვებისთვის მიტევება. მადლის უხვად მოსარგებლეებმა, არ უნდა დავუკავოთ სხვებსაც იგივე მადლი. ვერცერთი ადამიანი ვერ შესცოდავს ჩვენ წინაშე ისე, როგორც ჩვენ – უფლის წინაშე.

მიტევება არ ნიშნავს წარსულის განადგურებას, ან ავტომატურად „ყოველივეს თავიდან დაწყებას", მიტევებაში ჩვენ ვბაძავთ თვით ღმერთს.

შერიგება საჭიროა, თუნდაც თავს მართლად მიიჩნევდე. ამგვარი გაგებით, თხოვნას მიტევების შესახებ არავითარი კავშირი არა აქვს პატიების რიტუალურ თხოვნასთან, რომ თითქოსდა „ასეა საჭირო", მეტიც, მკაცრად რომ ვთქვათ, მას კავშირი არა აქვს საკუთარი დანაშაულის შესაძლო შეგნებასთანაც.

მე, რომელმაც ამ კუთხით ვითომ ცუდი საქციელი ჩავიდინე სხვების აზრით, თუმცა ვეცადე პიროვნული და საქვეყნო საქმე ოდნავ კეთილად მაინც დამემთავრებინა, თუნდაც ერთი ადამიანი მაინც მომექცია ღმერთისაკენ, ვერ შევძელი, მაგრამ კმაყოფილი ვარ, რომ თავად მოვიქეცი უფლის ნებისა და სწავლების ღირსად.

მე მგონი შევძელი და ადამიანურად მივუტევე მას ჩადენილი, მთავარი ეს მგონია ყოველივეს შედეგად.

მიტევებას აქვს მეორე მხარეც. როგორ ვითხოვოთ მიტევება და თავადვე როგორ მივუტევოთ, როგორ მივუტევოთ სიცრუე, შეურაცხყოფა, უპატივცემობა და განსაკუთრებით ღალატი და დანაშაული სამშობლოს, სახელმწიფოს მიმართ?!

ვფიქრობ, აქ მთავარია არ გადავამლაშოთ. მიტევება არ ნიშნავს წარსულის განადგურებას და, კვლავაც, პატიების თხოვნა ავტომატურად როდი ნიშნავს „ყველაფრის თავიდან დაწყებას".

ღმერთისადმი სიყვარული, ყველას და ყველაფრის მიტევება – ეს მოთხოვნა როდია. მიტევება ამას არც ითხოვს. მიტევება ეს არის ცოდვათა განტევება. სხვა სიტყვებით – მიუტევო ნიშნავს მიემსგავსო ღმერთს, რამეთუ მხოლოდ მას შეუძლია ცოდვათა ნამდვილი მიტევება.

„მამაო ჩვენოს" ლოცვის სიტყვები: „მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარც ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა" ჩვენს მიტევებას პირდაპირ კავშირში აყენებს ღმრთისადმი ჩვენს „მიბაძვასთან".

მართლაც, რამდენი ადამიანია, ვისაც ჩვენ ვთვლით არაფრად ჩასაგდებად, ცოდვილად და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღმოჩნდნენ ღვთის სასუფეველში, ჩვენ კი, ვისაც მხილებისა და მსაჯულის ადგილი დაგვიკავებია და განაჩენი გამოგვაქვს, შეიძლება თავად ვიქმნეთ მსჯავრდებულნი და ჯოჯოხეთში შთავხდეთ!

ჩვენ მოწოდებულნი უნდა ვიყოთ და ვართ ქრისტესთან ერთად შთავხდეთ დამნაშავეობის საყოველთაო ჯოჯოხეთში, სადაც ყველანი იმსახურებენ დასჯას, რამეთუ, სწორედ მოყვასის ცოდვის ჯოჯოხეთში ჩვენი თანაშთახდომა არის სწორედ მისდამი შეცოდების მიტევება.

მიუტევებთ თუ არა თქვენთვის მხოლოდ ბოდიშის მომხდელსა და მომნანიებელს, თუ საერთოდ ყველას მიუტევებთ ვინც კი გთხოვთ მოტევებას, თქვენი საქმეა. ზოგ ადამიანს საყოველთაო აღდგომა სწყურია, რათა გაცხადდეს საღმრთო მოწყალება, სხვები კი, ცოდვილთა და მართალთა მისაგებელს ელიან, რათა დამყარდეს ღმრთის სამართლიანობა.

მთავარია გვიყვარდეს, ხოლო სიყვარულის მიერ მიუტევოთ ყველას და ეს მოთხოვნა როდია. სიყვარულს ძალდატანებით როდი აღწევენ. მაგრამ ჩვენ თუ გვსურს დიდი მარხვით მივაღწიოთ ქრისტეს აღდგომის სიხარულამდე, მაშინ ჩვენი ძალისამებრ უნდა გავიაროთ ქრისტეს გზა აღდგომამდე.

ძალიან ძნელია მიტევება ცოდვისა, განსაკუთრებით სახელმწიფოს მიმართ ჩადენილი ცოდვისა, თუ შენ არ დაგიშავებია, ღმერთმა დაგვიფაროს ...

უნდა მივიდეთ ერთმანეთთან და გულწრფელად ვთხოვოთ შენდობა. სხვას კი არ დაველოდოთ, როდის მოვა ჩვენთან და გვთხოვს პატიებას, არამედ ჩვენ თვითონ მივიდეთ, ვისაც უწყენინებია, ან თუნდაც გულში ცუდი გაგვივლია, ან განგვიკითხავს და ვთხოვოთ შენდობა.

შენდობა რომ არ ყოფილიყო, პატიება რომ არ ყოფილიყო, ვერცერთი ადამიანი ვერ ცხონდებოდა დედამიწაზე. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ დაწესდა შენდობის წესი. დასაწყისი დაედო ამას ეგვიპტის უდაბნოში, როცა დიდი მარხვის წინ ყველა ბერ-მონაზონი იკრიბებოდა მონასტერში და ერთმანეთს სთხოვდნენ პატიებას.

მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნენი თავიანთ ლოცვებში ყოველდღიურად იმეორებენ ამ სიტყვებს და უფალს ცოდვათა მიტევებას ევედრებიან, გულში მაინც რჩება მიუტევებლობის გრძნობა იმ ადამიანთა მიმართ, ვისგანაც გულნატკენნი ვართ. როგორ მოვიქცეთ, როდესაც გონებით ვიცით, რომ აუცილებელია მიტევება, მაგრამ გული ამას ყოველმხრივ ეწინააღმდეგება?!

უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი წყენა თავმომწონეობისა და ამპარტავნებისგანაა. ამიტომაც, თავდაპირველად დავიწყოთ ლოცვა იმ ადამიანების ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე, ვინც წყენა მოგვაყენა. ამის შედეგად, როგორც გამოცდილება აჩვენებს, მოყენებული გულისტკენა შარშანდელი თოვლივით დნება.

მაგრამ, წყენაც არის და წყენაც. ზოგჯერ ადამიანი საკუთარ თავზეც არის ნაწყენი. მაგალითად, ზოგს საკუთარი თავისთვის ვერ უპატიებია ესა, თუ ის შეცდომა, ან იხსენებს, როგორ ატკინა გული ახლობელ ადამიანს და ხალხს, რომელსაც ჯეროვანი სიყვარული და პატივი ვერ მიაგო. ეს გავრცელებული მოვლენაა, განსაკუთრებით რომელიმე ასეთი ადამიანის ახლობელის გარდაცვალების შემდეგ.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გულნატკენნი არიან იმათზე, რომლებიც უკვე ცოცხლები აღარ არიან და დიდი ხნის გარდაცვლილებს ვერ პატიობენ.

რა თქმა უნდა, განაწყენებულნი ვხდებით მათ მიმართაც, ვინც ჯერაც ცოცხალია და ჯანმრთელია. განაწყენებულნი ვართ და არ გვესმის, რომ მთელი ამ ჩვენი წყენების შინაგანი ნეგატივი თავს ემსხვრევა არა იმას, ვის მიმართაც ვართ ნაწყენნი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავად ჩვენ.

რა აზრი აქვს ნაწყენი იყო იმ ადამიანზე, ვინც უკვე საფლავშია, ან მე გულში წყენა ჩავიდე ადამიანზე, მან კი ამის შესახებ არაფერი იცის, ცხოვრობს ამა სოფელში, მე სრულიად დამივიწყა და არც მიხსენებს, მე კი ვერაფრით ვერ ვმშვიდდები.

უპირველეს ყოვლისა, ამ დროს, დახმარება უნდა ვთხოვოთ უფალს და ვილოცოთ მათზე, ვიზეც გულნატკენნი ვართ. მიცვალებულზე ბრაზობ? - ილოცე მისი განსვენებისთვის, მიეცი ტაძარს შეწირულობა მის სახელზე და სანთელი აუნთე. იგივე ითქმის ცოცხლებზეც. დაიწყეთ ლოცვა მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

საზოგადოდ კი უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ სხვათა დანაშაულის მიტევებას ვიწყებთ მაშინ, როდესაც სულიერად განმტკიცებულნი და ამაღლებულნი ვართ. ოღონდ, სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ მიტევება ასე ადვილადაც არ გვეძლევა. ზოგჯერ წლებია საჭირო, ვინმეს რომ აპატიო და ძნელია საჭირო სიტყვების მოძებნა მათთვის, ვისაც მიტევება არ შეუძლია.

ერთიცაა, მიტევებას ვიწყებთ მაშინ, როდესაც სულიერ მოწიფულობაში წარვემატებით, როდესაც განცდილ მოვლენებსა და განვლილ ცხოვრებას ახლებურად ვუმზერთ. დიახ, ჩვენ რომელიღაც ვითარებაში უსამართლოდ, ბოროტად, საძაგლად მოგვექცნენ, მაგრამ ჩვენს გვერდით ყოველთვის იმყოფება უფალი. მას ხელჩაჭიდებული დავყავართ ამ ეკალ-ბარდებიან გზაზე, რათა ჩვენი სული უფრო დაბრძენდეს, რათა ამ მაცთური წუთისოფლის ილუზიებით არ ვიკვებებოდეთ, არამედ ვქმნიდეთ მართლაც რაიმე ღირებულს, რომელიც არასოდეს გარდახდება.

მართალია, ყოველი მძიმე ვითარება ჩვენს ცხოვრებაში, ყოველი განსაცდელი დაშვებულია უფლის მიერ. ის იმისთვის გვეძლევა, რომ მივიღოთ გაკვეთილი და საჭირო დასკვნები გავაკეთოთ.

მრავალი გაკვეთილი მძიმეა, მაგრამ კვლავ გავიმეორებ, უფალი ყოველთვის გვერდითაა და ხელჩაჭიდებული გვატარებს ცხოვრების რთულ გზებზე. ის ყოველთვის გვიჩვენებს გამოსავალს ამ რთული ვითარებიდან და ჩვენს სულებს განსაცდელთა გავლით ასპეტაკებს.

ამასთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: წყენა, ეს არის იმგვარი გრძნობა, რომელიც შიგნიდან ღრღნის ადამიანს. მიუტევებლობა კი, ეს ჩვენი წამებაა. ასე იტანჯება ის, ვისაც მიტევება არ შეუძლია. და არ ვპატიობთ ჩვენ სწორედ ჩვენი უძლირებისდა გამო. მიტევება სულიერ გაძლიერებასთან ერთად იწყება. სულიერი ამაღლება შესაძლებელს ხდის მიტევებას.

სახელმწიფო გადატრიალებისა და ღალატის შემთხვევაში, აუცილებელია მოხდეს კონსტიტუციური, ლეგიტიმური და კანონების შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება. ლუსტრაცია და მხილება აუცილებელია, მაგრამ ცხადია, მიტევებას ვიწყებთ მაშინ, როდესაც სახელმწიფოში უზენაესი კანონი იტყვის თავისას.

მხოლოდ ამის შემდეგ, შევწყვეტთ გარესამყაროს შეფასებას საკუთარი მოწყვლადობის პოზიციიდან. კიდევ მაშინ ვიწყებთ სხვათა მიტევებას, როდესაც ვხვდებით, რომ ჩვენს ირგვლივ ზოგჯერ ისეთივე უძლური ადამიანები არიან, როგორც ჩვენ. ისინიც ისეთივე შეცდომებს უშვებენ, როგორც ჩვენ. მაგრამ რატომღაც მარტო მათგან ვითხოვთ პატიებას და საკუთარ ცოდვათა შემჩნევა არც გვაწუხებს. ეს საშინელებაა და ესეც ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში. მხოლოდ მაშინ, როდესაც თვალი აგვეხილება საკუთარ ამაზრზენ უძლურებაზე, ვხვდებით, რომ ჩვენს სულშიც ფუთფუთებს სისაძაგლე, გამყიდველობა, მოტყუება და, რომ ჩვენც საკმაოდ ცდუნებადნი ვართ და ცოდვილები, მაშინღა ვიგებთ, თუ რატომ განგვიდგნენ სხვა ადამიანები, თუნდაც ერთ დროს ყოფილი მეგობრები და თანამებრძოლნი. თავისუფალი რჩება ის, ვინც არანაირად არის შეკრული რაიმე ბოროტი მოსურვებით.

აქვე, უნდა გვახსოვდეს, რომ უძლურებით ჩადენილ ცოდვასა და შეგნებულად ჩადენილ ცოდვას შორის უდიდესი უფსკრულია. თუკი შეგნებული ცოდვა, ადამიანს უდავოდ წარწყმედს, უძლურების გამო ჩადენილი ცოდვა, რომელიც ადამიანს შეგნებული აქვს და შინაგანად ეწინააღმდეგება კიდეც, სულ სხვა მნიშვნელობისაა. ამგვარ ვითარებას ადამიანი თანდათანობით მიჰყავს მორჩილებამდე და სიკეთეში განმტკიცებამდე.

როდესაც ადამიანს შეგნებული აქვს საკუთარი უძლურება და ელტვის მის დაძლევას, მაშინ, მიუხედავად დაცემებისა, მაინც მის საცხონებლად წარიმართებიან, თუკი, რა თქმა უნდა, შემცოდე ადამიანი შეიგნებს თავის დაცემებს და სინანულში არ დაუძლურდება. სწორედ ამ გზაზე ადამიანს მუდმივად შეეწევა ღმრთის მადლი.

ეს განსჯა სამართლიანია მიუტევებლობის მიმართაც. არაფერია იმაზე საშინელი, როდესაც ადამიანის გულს უძლურების გამო უცებ არ შეუძლია წყენის მიტევება. ჩვენ არა მარტო ამგვარ ცოდვებთან გვიწევს ბრძოლა და ეს ბრძოლა გრძელდება წლობით და ზოგჯერ ათწლეულობითაც კი. აქ მთავარია ადამიანს გააჩნდეს მიტევების გულწრფელი სურვილი, ებრძოდეს ღვარძლიანობის ნებისმიერ გამოვლინებას და მუდმივად ევედრებოდეს უფალს ცოდვის დასაძლევად. თუკი ადამიანში, ამ და ნებისმიერი სხვა ცოდვის მიმართ, ეს ძირითადი მომენტები ჯერაც მოქმედებს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ის სწორ გზას ადგას და როდესაც ღმერთი ინებებს, უეჭველად მიაღწევს გამარჯვებას.

და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღვარძლიანობა და მიუტევებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანებს ბოროტი დემონები უმოწყალოდ ებრძვიან. ზოგჯერ, სხვას რომ მივუტევოთ, საჭიროა საკუთარ თავზე სერიოზული მუშაობა, პრაქტიკული, ქრისტიანული ღვაწლი. წყენა რომ ამოვიღოთ გულიდან, უნდა ვილოცოთ მტრებზე, თანაც არა ფარისევლურად, „მოვალეობის მოხდის" მიზნით, არამედ გულწრფელად.

ისეც ხდება, რომ ფიქრი იმაზე გული რომ გატკინეს მოსვენებას არ გაძლევს, გონებაში მუდმივად ეპაექრები იმას, ვინც გული გატკინა, უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში დემონები ბოროტად აქეზებენ ადამიანს, არ აძლევენ მას მოსვენების შესაძლებლობას, მუდმივად უბიძგებენ კაცს გაბოროტებისა და გაღიზიანებისკენ. ამ შემთხვევაში მხოლოდ იესოს ლოცვის განუწყვეტელი კითხვა თუ შეგვეწევა: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი". ყველა მოსაგრე ამ ლოცვით ებრძოდა აზრების ქარბუქს.

გარდა ამისა საჭიროა ღმერთს ვთხოვოთ უნარი მიმტევებლობისა. როდესაც ლოცულობ, გაიხსენე საკუთარი ცოდვები და მაშინ ნელ-ნელა მოვა შენთან არა მარტო გონებრივი შეგნება, არამედ გულითადი მიღება იმისაც, რომ ყოველი წყენა და განსაცდელი – ეს არის სასჯელი ჩვენი საკუთარი ცოდვებისთვის. მაშინ გულიც მოლბება და სიყვარულისთვის გაიხსნება, მაშინ ბოღმიანობაც განქარდება.

მცნება „გიყვარდეთ თქვენი მტერნი” ქრისტეს მცნებებს შორის, მართლაც, ყოველთვის ყველაზე რთული იყო. ზოგიერთ ადამიანს გულწრფელად სწამდა, რომ რეალურ ცხოვრებაში მისი განხორციელება შეუძლებელია. ადვილია იმათი სიყვარული, ვისაც შენ უყვარხარ, მაგრამ როგორ შეიძლება გიყვარდეს ის, ვინც ფარულად, ან აშკარად შენზე გაბატონებას ცდილობს?!

მწვავე კითხვებისა და მუდმივი დავის მიუხედავად, იესოს ეს მცნება ჩვენთვის კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. უწესრიგობებისა, გადატრიალებებისა და აჯანყებების მთელმა წყებამ შეგვახსენა, რომ თანამედროვე ადამიანი იმ გზით მიემართება, რომლის სახელი სიძულვილია, რასაც სიკვდილისა და განკითხვისაკენ, მუდმივი ტანჯვისაკენ მივყავართ. მცნება „გიყვარდეთ თქვენი მტერნი” არ არის მეოცნებე უტოპისტის ღვთისნიერი წადილი, იგი ჩვენი გადარჩენის აბსოლუტური პირობაა. სიყვარული მტრისადმიც კი, ჩვენს სამყაროში არსებული ყველა პრობლემის გადაწყვეტის გასაღები.

იესო ცხოვრებას მოწყვეტილი იდეალისტი კი არ არის, არამედ ფხიზელი რეალისტია. მე დარწმუნებული ვარ, იესოს ესმოდა მთელი სირთულე, რაც მისი მცნების პრაქტიკულ განხორციელებასთან იყო დაკავშირებული. ის არ მიეკუთვნებოდა მოლაყბეებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, თუ რა ადვილია ზნეობრივი საფუძვლების დაცვა. მან კარგად იცოდა, რომ სიყვარულის გრძნობის გამოხატვა ღმერთისადმი სრულ და უსიტყვო მორჩილებას ეყრდნობოდა. ამიტომ, როცა ამბობდა, გიყვარდეთ თქვენი მტრებიო, სწამდა რომ ეს მცნება უდავოა და, მიუხედავად ყოველივესი, ამისაკენ მოუწოდებდა. ჩვენი, როგორც ქრისტიანების, პასუხისმგებლობა ის გახლავთ, რომ ავხსნათ ამ მოწოდების არსი და მოვიძიოთ ჩვენს თავში ძალები, რათა ყოველდღიურად მივსდიოთ მას.

მოდით, ვიყოთ რეალისტები და ვიკითხოთ: როგორ შევიყვაროთ ჩვენი მტრები? ჯერ ერთი, ჩვენ საკუთარ თავში მიტევების უნარი უნდა განვავითაროთ. მიტევების ძალას მოკლებული სიყვარულის ძალასაც მოკლებულია. ჩვენს გულში არ მოიძებნება ადგილი მტრებისადმი იოტისოდენა სიყვარულისთვისაც კი, თუ ჩვენ ვერ გავაცნობიერებთ, რა აუცილებელია ვისწავლოთ შეწყნარება, იმისი კვლავ და კვლავ პატიება, ვისაც უბედურება და ტანჯვა მოაქვს ჩვენთვის.

ამასთანავე საჭიროა მივხვდეთ, რომ უნდა მიუტევოს ყოველთვის დაზარალებულმა, ტკივილისა და ტანჯვის განმცდელმა, აუტანელი უსამართლობის მსხვერპლმა, დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა. შეურაცხმყოფელს შეუძლია პატიების თხოვნა. მას ისღა ძალუძს, გონს მოეგოს და უძღები შვილივით იაროს მტვრიანი გზებით, მთრთოლვარე გულით, პატიებას რომაა მოწყურებული.

მიტევება ყოვლის არ არის იმის იგნორირება, რაც მოხდა, ეს არც ბოროტების სიკეთედ წარმოდგენაა. ეს ნიშნავს, რომ ჩადენილი ბოროტება არ წარმოადგენს დაბრკოლებას ურთიერთობის დასამყარებლად. ყოვლის მიტევება კატალიზატორია, რომელიც ხელს უწყობს ახალი ცხოვრების დაწყებისთვის აუცილებელი ატმოსფეროს შექმნას. ყოვლის მიტევება ტვირთისაგან განთავისუფლებაა.

სიტყვებს: „მე გაპატიებთ თქვენ, მაგრამ არასოდეს არ დავივიწყებ, რაც თქვენ ჩაიდინეთ” არ შეუძლიათ მიტევების ნამდვილი ბუნების ახსნა. დიახ, ადამიანს არ შეუძლია დავიწყება, თუკი დავიწყება იმას ნიშნავს, რომ წარსული მთლიანად იშლება მეხსიერებიდან.

როდესაც ჩვენ მივუტევებთ, ჩადენილ ბოროტებას ვივიწყებთ იმ აზრით, რომ იგი უკვე აღარ წარმოადგენს ფსიქოლოგიურ დაბრკოლებას ახალ ურთიერთობათა დამყარებისათვის. ზუსტად ასევე არ შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ: „მე მოგიტევებ შენ, მაგრამ, დღეიდან აღარ მინდა გიცნობდე”. მიტევება ნიშნავს შერიგებას, ხელახალ შერწყმას.

ამის გარეშე არცერთ ადამიანს არ შეუძლია თავისი მტრების შეყვარება. მიტევების ხარისხი განსაზღვრავს ჩვენი მტრებისადმი ჩვენი სიყვარულის ხარისხს. მეორეც, ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ბოროტება, ჩადენილი ჩვენი მოყვასი მტრის მიერ, მიზეზი ჩვენი ტანჯვისა, არასოდეს არ ასახავს ამ ადამიანის მთელ არსებას. სიკეთის ნიშნების პოვნა უბოროტესი მტრის ხასიათშიც შეიძლება. უბრალოდ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენგან ყველაზე ცუდშიც არის სიკეთის ნაწილი. ასევე საუკეთესოშიც არის ბოროტების ნაწილი. როდესაც ამას ვაცნობიერებთ, ჩვენ უფრო მიმტევებლები ვხდებით ჩვენი მტრების მიმართ და ნაკლებად გვძულს ისინი, როდესაც უფრო ღრმად ვიხედებით პრობლემის არსში, ვეძებთ ბოროტი გულისწადილით ჩადენილის მიზეზს, ვპოულობთ ჩვენს მოყვას–მტერში სიკეთის ნიშნებს და ვხვდებით, რომ მისი ქმედების მანკიერება და ბოროტგანზრახულობა არ გვიქმნის სრულ წარმოდგენას ამ ადამიანზე. ჩვენ მას ახალი თვალით ვუყურებთ. ვაცნობიერებთ, რომ მისი სიძულვილი შიშის, ქედმაღლობის, უვიცობის, გაუკუღმართებული რწმენის, ანდა ურთიერთგაგების უქონლობის შედეგია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვიცით, რომ ყოველი ადამიანი სულის სიღრმეში ღვთიურ ანაბეჭდს ატარებს და ვიწყებთ ჩვენი მტრების შეყვარებას, რაკი გვესმის, რომ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მთლად ხელიდან წასულნი და ღმერთის ყოვლისმხსნელი სიყვარული შეიძლება მათაც შეეხოს.

საოცარია, მაგრამ უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენი მტრის არა დამარცხებას, ან დამცირებას, არამედ მასთან მეგობრობასა და ურთიერთგაგებას. ხდება ხოლმე, ჩვენ შეგვწევს ძალა დავამციროთ ჩვენი უბოროტესი მტერი. გარდაუვლად მოდის დრო, როდესაც მისი სისუსტე ვლინდება და საშუალება გვეძლევა ჩავცეთ მას გამარჯვების მახვილი. მაგრამ ეს არ უნდა გავაკეთოთ. თითოეული თქმული სიტყვა და გადადგმული ნაბიჯი ურთიერთგაგების საძირკველში ჩადებულ აგურად უნდა გადაიქცეს, რათა მან გაათავისუფლოს სიკეთის ის უდიდესი მარაგი, სიძულვილის შეუღწევად კედელში რომ იყო დაფლული.

სიყვარულის არსი არ შეიძლება გავაიგივოთ გრძნობათა სენტიმენტალურ გაზიარებასთან. სიყვარული უფრო ღრმაა, ვიდრე ემოციური ლაყბობა. ჩვენ იმიტომ კი არ გვიყვარს ადამიანები, რომ ისინი ან მათი საქციელი მოგვწონს, არც იმიტომ, რომ მათში ღვთიური ნაპერწკალია. ჩვენ თითოეული ადამიანი გვიყვარს იმიტომ, რომ იგი ღმერთს უყვარს. ჩვენ გვიყვარს ადამიანი, რომელიც ჩადის ბოროტებას, თუმცაღა გვძულს მისი ნამოქმედარი.

ახლა ხომ გვესმის, რას გულისხმობდა იესო, როცა ამბობდა: „გიყვარდეთ თქვენი მტერნი”. კმაყოფილი უნდა ვიყოთ, რომ მან არ თქვა: მტერს სიმპათიით და გულისხმიერებით მოეპყარითო. ზოგიერთი ადამიანის მიმართ, უბრალოდ, შეუძლებელია სიმპათიისა და გულისხმიერების გამოჩენა. გულისხმიერება სენტიმენტალური და ფაქიზი სიტყვაა. შეუძლებელია სიმპათიას ვგრძნობდეთ იმ ადამიანის მიმართ, რომელიც არ მალავს თავის განზრახვას ჩვენი გზა სიძნელეებით და დაბრკოლებებით მოჰფინოს და მოგვსპოს ჩვენ. შეუძლებელია მოგვწონდეს ადამიანი, რომელიც ჩვენი ბავშვების სიცოცხლის ხელმყოფი და ჩვენი საცხოვრებლის დამანგრეველია. განსაკუთრებით შეუძლებელია გვიყვარდეს ქვეყნის მოღალატე ადამიანი, ადამიანები. ეს შეუძლებელია, მაგრამ იესომ გაიაზრა, რომ „სიყვარული” უფრო მეტია, ვიდრე „გულისხმიერება" და „სიმპათია”. წყვდიადს არ შეუძლია წყვდიადზე გამარჯვება, მხოლოდ სინათლეს შესწევს ამის ძალა. სიძულვილი ამრავლებს სიძულვილს, ძალადობა ამრავლებს ძალადობას და სისასტიკე ამრავლებს სისასტიკეს, ეხვევა რა ნგრევის ჯოჯოხეთურ ხვეულებში.

ამიტომ, როდესაც იესო ამბობს: „გიყვარდეთ თქვენი მტერნი”, იგი გვიტოვებს გულშიჩამწვდომ და აბსოლუტურად გარდაუვალ მცნებას. განა ჩვენ, ადამიანები, არ მოვექეცით იმ ჩიხში, რომლიდანაც გამოსავალი მხოლოდ მტრების სიყვარულშია? სხვანაირად ბოროტების ჯაჭვური რეაქცია გაგრძელდება, სიძულვილი დაბადებს სიძულვილს, ომები დაბადებენ ახალ ომებს, სახელმწიფო გადატრიალებები გამოიწვევენ ახალ გადატრიალებებს და თუ დროზე არ მოვეგეთ გონს, ყველანი ურთიერთგანადგურების შავბნელ უფსკრულში ჩავცვივდებით.

კიდევ ერთი მიზეზი გვისახელდება, რომლის გამოც ჩვენ უნდა შევიყვაროთ ჩვენი მტრები: სიძულვილი გულზე ნაიარევს ტოვებს და ამახინჯებს ადამიანის პიროვნებას. რაკი გვახსოვს, რომ სიძულვილი ბოროტების ძალაა და ამიტომ საშიშია, ჩვენ ძალიან ხშირად ვფიქრობთ იმაზე, თუ რა მოაქვს მას ადამიანისთვის, რომლისკენაც ის არის მიმართული. ეს არც ისე ძნელი გასაგებია, რადგან სიძულვილი თავის მსხვერპლს აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს. სიძულვილის კოშმარული მრავალი შედეგი ვიხილეთ, ამასვე ვხედავთ ომების შავბნელ კოშმარებში, უსინდისო მჩაგვრელების მიერ მილიონობით ღვთის შვილთა თავზარდამცემ დამცირებაში, მათ მიმართ ჩადენილ უსამართლობასა და დანაშაულში.

მაგრამ არსებობს საკითხის კიდევ ერთი მხარე, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან სიძულვილი არანაკლებ მომაკვდინებელია იმისათვის, ვისაც სძულს, როგორც შეუცნობელი ავთვისებიანი სიმსივნე. სიძულვილი არღვევს ადამიანის პიროვნებას დაართმევს ობიექტურად აზროვნების უნარს. იგი აიძულებს მას, მშვენიერს საზარელი უწოდოს, ხოლო საზარელს მშვენიერი, ჭეშმარიტება სიცრუედ მიიღოს, ხოლო სიცრუე ჭეშმარიტებად.

თანამედროვე ფსიქოლოგია ცნობს იმას, რასაც იესო მრავალი ასეული წლის წინათ გვასწავლიდა: სიძულვილი ანგრევს პიროვნებას, ხოლო სიყვარული, მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად ამთლიანებს მას.

სიყვარული კი, ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია მტერი მოყვარედ აქციოს. ესაა ის მიზეზი, რომლის გამოც უნდა გვიყვარდეს ჩვენი მტრები. ჩვენ ვერასოდეს დავიხსნით თავს მტრებისაგან, თუ სიძულვილს სიძულვილითვე ვუპასუხებთ. თუ დავძლევთ მტრობის გრძნობას, თავს დავიხსნით მტრებისაგან.

მაგრამ ჩვენ ახლავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩვენი მტრები უნდა გვიყვარდეს, ჯერ არ დაგვისახელებია. უფრო ღრმა მიზეზი პირდაპირაა გამოთქმული ქრისტეს სიტყვებში: „გიყვარდეთ თქვენი მტერნი ... რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა".

მაცხოვარი მოგვიწოდებს დავადგეთ ამ რთულ გზას იმისთვის, რომ ღმერთთან განსაკუთრებული დამოკიდებულება დავამყაროთ. ჩვენ ყველას შეგვიძლია მამაზეციერის შვილები გავხდეთ სიყვარულის საშუალებით, რომელიც შეუმჩნევლად იქცევა სინამდვილედ. ჩვენი მტრები იმიტომ უნდა გვიყვარდეს, რომ მხოლოდ სიყვარულის მეოხებით შეგვიძლია ღმერთის წვდომა და მისი სიწმინდის, მშვენიერების განცდა.

ჩვენ უკვე დიდი ხანია მივდივართ ეგრეთწოდებული პრაქტიკული გზით, რამაც უწესრიგობამდე და ქაოსამდე მიგვიყვანა. ისტორია სავსეა დაღუპული ცივილიზაციების მაგალითებით, რომლებმაც ნებაზე მიუშვეს სიძულვილი და ძალადობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარი ვთქვათ სამართლიან და სამართლებრივ ბრძოლაზე. ჩვენს განკარგულებაში მყოფი ძალა, მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა მივმართოთ ჩვენი ხალხის სეგრეგაციის წინააღმდეგ, საშინელი უღლისგან მისი განთავისუფლებისკენ, მაგრამ ბრძოლის დროს ჩვენ არასდროს არ ვიტყვით უარს სიყვარულზე, ეს ჩვენი პრივილეგია და მოვალეობაა. ეს არის სიყვარულზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნის ერთადერთი გზა. ჩვენ ვეტყვით ჩვენს ყველაზე შეურიგებელ მტრებს: თქვენს უნარს, მოგვაყენოთ ტანჯვა, ჩვენ დავუპირისპირებთ ჩვენს უნარს, ავიტანოთ ტანჯვა. როგორც არ უნდა მოგვექცეთ, მაინც გვეყვარებით. არასოდეს დავემორჩილებით თქვენს უსამართლო კანონებს, რამეთუ ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ისეთივე მორალური მოვალეობაა, როგორიც სიკეთისათვის ხელის შეწყობა. ჩაგვყარეთ ციხეებში, ჩვენ მაინც ძველებურად გვეყვარებით.

დაანგრიეთ ჩვენი საცხოვრებლები და დაემუქრეთ ჩვენი ბავშვების სიცოცხლეს, შავბნელ ღამეში მოგვიგზავნეთ ნიღბიანი მკვლელები და მოძალადეები, რომ ცემით მიგვასიკვდილონ, ჩვენ მაინც გვეყვარებით, მაგრამ გჯეროდეთ, ჩვენ გავიმარჯვებთ თქვენზე ჩვენი უნარით ავიტანოთ ტანჯვა და მოვა დღე, როდესაც მოვიპოვებთ თავისუფლებას, მაგრამ ეს იქნება თავისუფლება არა მხოლოდ ჩვენთვის, ჩვენ ისე შევევედრებით თქვენს გულსა და გონებას, რომ მათ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანთ და ჩვენი გამარჯვება ორმაგ გამარჯვებად გადაიქცევა.

იესო ყოველთვის მართალია, ისტორიის მინდვრები გადათეთრებულია ხალხთა ძვლებით, რომლებმაც უარი თქვეს, მოესმინათ მისთვის. ჩვენ, ოცდამეერთე საუკუნის ადამიანებმა, სანამ გვიან არ არის, უნდა შევისმინოთ მაცხოვრისა და მის კვალს გავყვეთ. მთელი პასუხისმგებლობით უნდა გავაცნობიეროთ, რომ ვერასოდეს გავხდებით ჩვენი ზეციური მამის შვილები, თუ არ შევიყვარებთ ჩვენს მტრებს და არ ვილოცებთ იმათთვის, რომლებიც გვდევნიან.

მათეს სახარებიდან სიტყვები „მარჯვენა ლოყაზე რომ შემოგარტყამენ, მეორე ლოყაც მიუშვირეო“ პირდაპირი მნიშვნელობით როდი უნდა მივიღოთ. ეს ფიზიკურ ტკივილს არ ნიშნავს, მაცხოვარი იმას გვეუბნება, რომ შეურაცხყოფის, წყენის, უთანხმოების და ჩხუბის შემთხვევაში ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ დაუსრულებელ შურისძიებას გასაქანი არ მისცე.

დღეს, თანამედროვე ყოფაში, სხვა წესებით და კანონებით ცხოვრობენ ადამიანები, ძალადობითა და საქმიანი მოგვარებებით, რაც არასწორი და დამღუპველია.

სამაგიეროს გადახდის გარეშეც შეგვიძლია კონფლიქტის თავიდან აცილება. როდესაც რაიმე ცოდვა იჩენს თავს, მის გასაბათილებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ცეცხლზე ნავთს თუ დაასხამთ, ის უფრო აალდება. ხედავთ, რა მდგომარეობაა დღეს. უნდა ვასწავლოთ შვილებს შენდობა, დანდობა, პატიება, სხვისი პატივისცემა და სხვისი სიცოცხლის მოფრთხილება. მაგრამ ჯერ ამისთვის მშობლებმა უნდა ვისწავლოთ ქრისტეს სიყვარულით ცხოვრება. შურისძიება, ღვარძლი, სამაგიეროს გადახდა არის საშინელება. ქრისტეს სიყვარულით გაზრდილი შვილები არასდროს გაიმეტებენ სხვის სიცოცხლეს. ქრისტეს სიყვარულია ყველაზე უმთავრესი. როცა ქრისტეს სიყვარულით მოქმედებ, ცხოვრობ და ზრდი შვილებს, ე. ი. სწორი გზით მიდიხარ და ცხონების გზას ადგიხარ. უფალმა გაგვაძლიეროს, შეგვაძლებინოს სწორად ცხოვრება.

ღმერთმა შეგვინდოს ჩვენ, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს!

დიახ, ღმერთისადმი სიყვარულია უმთავრესი, თუმცა საინტერესო და გასათვალისწინებელია ადამიანის მიერ ადამიანის მიმართ გამოხატული სიყვარულიც. მოდით, ბოლოს, სიტყვა კიდევ ერთხელ შევაწიოთ სიყვარულს, რომელიც ძლიერი ერთგულებისა და პიროვნული მიმაგრებულობის ემოციაა.

ფილოსოფიურ კონტექსტში, სიტყვა სიყვარული შეიძლება სხვადასხვა გრძნობას, მდგომარეობასა და დამოკიდებულებას გამოხატავდეს დაწყებული ზოგადი სიამოვნებიდან დამთავრებული პიროვნებათშორისი ურთიერთობით.

სიყვარული არის სათნოება, რომელიც წარმოადგენს ყველა ადამიანურ სიკეთეს, თანაგრძნობასა და ერთგულებას. ამბობენ სიყვარული ლამაზია როგორც მზის ჩასვლა, წმინდაა როგორც ანკარა მდინარე, სათუთია, როგორც ბავშვი, მაგრამ იმასაც ამბობენ სიყვარული სიგიჟეა, გაბრმავებს, ტვინს თიშავს და გული დამოუკიდებელი ხდება, იგი ქარიშხალივით ბობოქარია, მუდამ ზღვასავით ღელავს და არ გასვენებს...

ვიღაცას უთქვამს სიყვარული ერთჯერადია, კეთილია, ჭეშმარიტია, ღვთიურია, მის გარეშე ცხოვრება უაზრობაა, ცოდოა ის ვინც მისი განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან...

სადღაც გაგვიგია, რომ სიყვარული გამოგონილი არარეალური და ფუჭია. იგი ბევრ ტკივილს აყენებს ადამიანს, ტანჯავს და სისულელეებს აკეთებინებს. ის უკურნებელი სენია. სიყვარული, იგი თავად სიცოცხლეა, ის ჰაერია, მიწაა, ნათელია სხივია... როცა გიყვარს, სიცოცხლე უფრო ლამაზი გეჩვენება, გიხარია ყველაფერი, გინდა მუდამ დღე იყოს რადგან დღე ცოცხალია...

ამავე დროს, სიყვარული ოცნებას გაყვარებს, სამყაროს ნათელ ფერებში დაგანახებს, უზომოდ გაბედნიერებს . . .

ასევე, სიყვარული თვითმკვლელობაა, რომელიც გავიწყებს საკუთარ თავს და დამოკიდებელს გხდის...

. . . სიყვარული მხოლოდ სულიერად ამაღლებულ ადამიანებს შეუძლიათ. მთავარი ხომ სულიერი სილამაზეა. როგორც ექიმები ირწმუნებიან, თანამედროვე ადამიანის ფიზიკური მდგომარეობისა და ჯანმრთელობის გაუარესებას, უპირველეს ყოვლისა, დაძაბული თანამედროვე ცხოვრება და სტრესებით აღსავსე ყოველდღიურობა იწვევს. ამის საწინააღმდეგო წამლის გამოგონება კი ჯერჯერობით ადამიანის ძალებს აღემატება.

სიყვარული უცნაური საჩუქარია, რომელიც ისეთ მდგომარეობაში აგდებს ადამიანს, რომლის დროსაც არა მარტო ჭკუას კარგავს იგი, არამედ შეუძლია წარმოუდგენელი სიმაღლეები დააპყრობინოს, ხოლო შემდეგ ტანჯვაში და ზოგჯერ სისასტიკეშიც კი ჩააგდოს. ანუ ადამიანი განიცდის ადამიანური გრძნობების მთელ გამას, ეჭვებიდან დაწყებული მეტყველების უნარის დაკარგვით დამთავრებული!

შეეკითხეთ ნებისმიერს, თუ რა არის სიყვარული და გასაგებად ვერავინ აგიხსნით ამ სიტყვის არსს . . . გახშირებული გულისცემა, კუნთების კანკალი, სველი ხელისგულები, აწითლებული ლოყები, უმიზეზო ღიმილი... უჩვეულოდ მოვარდნილი და ყოვლისმომცველი ეიფორიის გრძნობა იმდენად ძლიერია, რომ მისი სიტყვებით გადმოცემა, უბრალოდ შეუძლებელია.

ეს თავისებური დაავადებაა, სიმპტომებიც ასეთი აქვს. მაგრამ ბუნებამ, რომელმაც ჩადო ადამიანში სიყვარულის სიგიჟე, განკურნებაც გაითვალისწინა ალბათ. ეს ქარბორბალა ყოველ ადამიანში სხვადასხვა დროით გრძელდება, ვიღაცისთვის ერთი თვე, ვიღაცისთვის მთელი ცხოვრება.

ყველა არსება ამ უკიდეგანო სიყვარულს სამყაროში თავისი ადგილის შესაბამისად ბრწყინვალე სიმფონიის სახით ახმოვანებს. საბრალოა არიან ისინი, ვინც მთელი ცხოვრება ისე გაატარა, რომ ერთხელაც ვერც ეზიარა ამ ჭეშმარიტ გრძნობას! ერთი რამაა, სიყვარული ჯერ აწითლებს ადამიანს და შემდგომ ფერადს ხდის მის შავ-თეთრ ცხოვრებას! . . .

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივდივართ მაღლა - სამშობლოსადმი სიყვარულთან და ამ დროს, რა რთულად გადასატანია სამშობლოსადმი მიყენებული იარა და ტკივილი.

ჩვენც, ჩვენს სამშობლოსთან ერთად გვქონდა და გვაქვს ყველაზე ხანგრძლივი „ღამე“ - ჩვენი „ბუჩა“ ... შეიძლება უარესიც ...

სწორედ აქედან დაიწყო დიდი ღამე საქართველოს ისტორიაში . . .

ქართულ კალენდარზე, აგერ უკვე 30 წელზე მეტია თარიღი არ შეცვლილა . . .

ეს პერიოდი შავი თარიღია საქართველოს ისტორიაში . . .

სამწუხაროდ, კვლავ ნერვიულად ადგილზე ტოკავს ენერგიაგამოცლილი საქართველოს ჟამიერი, გაჩერებული საათის წამების ისარი . . .

თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამყარებას, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და ეკონომიკის აღმავლობას!

ჩვენ უნდა აღვადგინოთ თარიღთა კანონზომიერი ცვლა ქართულ ჟამთსაბრუნავში ჩვენ უნდა ავაღორძინოთ დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ მიმავალი სული. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საწყევრად არ დავუტოვოთ სახელი შთამომავლობას.

და, მაინც, ამ სიცხესა და ჩვენს ამ ყოფაში მზადა ვარ უფალო, დამეხმარე ,,მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი . . ."





. . . მართლაც მარადიული კითხვებია: ,,სად არის ჭეშმარიტი რეალობა, სად ვარსებობთ ჩვენ სინამდვილეში, სადაც ნაოცნებარ სურათ-ხატებს ვხედავთ, სიზმარ-ოცნებაში, თუ რეალურ ცხოვრებაში?“ . . . და ეს მარტო პირადი ტრაგედია როდია, ის ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა უპირველეს ყოვლისა!

ჰოდა, უხარია შინაურ და გარეულ მტერსაც ჩვენი ტრაგედია, კომიკურად ქირქილებს . . . თითქოს ამით მარტო ჩვენი საქართველო დასველდა!

სხვაგვარად ვერც ვუპასუხებ: „უფალო ღმერთო, მიუტევე მათ, რამეთუ არ იციან, რას სჩადიან!“. ხოლო ჩვენ, რომელთაც კალდერონის მსგავსად, რაც მართლაც უცნაური დამთხვევაა, კვლავ სიზმარში გვგონია თავი, ყველაფერს უფლის რისხვად შევრაცხავთ ხოლმე და ამავდროულად, უფალსვე შევსთხოვთ დახმარებას! არადა, ყველა ტრაგედიას თავისი კათარზისი ახლავს, თუ, რა თქმა უნდა, ამისი სულიერი მზაობა იქნა. იმედი ვიქონიოთ, იმედი უფლის შეწევნით ჩვენივე თავისა. ერთის მხრივ, ტრაგედიისა და გლოვის გაფერმკრთალება, მიჩქმალვა-დამცრობა მართებულად არ მიმაჩნია, მაგრამ მეორეს მხრივ, მტრის ჯინაზე, ჩვენი მაჟორული განწყობის დაჩრდილვასაც არ ვისურვებდი პირქუში ინტონაციით. ცხოვრება გრძელდება... ყველაფერს თავისი დრო აქვს, დროც მკურნალია. ხალისიც დაგვიბრუნდება და ჩვენ ისევ გავათბობთ ერთმანეთს!

შეხედეთ რა მომავალი მოდის! ისე, ესეც სრულიად მართებული ნაუბარია, რომ ჩვენივე აშენებულ თუნდაც სიყვარულის წარმოსახვით კერიაში, ცეცხლი მრავალჟამიერ უნდა ენთოს და ძალუმად გვათბობდეს. გამოიდარებსო გვეუბნება იმედი, პროგნოზითაც ასეაო, გვეუბნება რწმენა! ქარ-ბუქ-წვიმებისაგან, ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან შეიძლება კიდეც გვეშველოს რამე, მაგრამ საერთოდ, ძალზე რთულია ასეთ ძილ-ბურან-გამყინვარებაში, თითქოს წინასწარ განწირულ-გაწერილ ხანაში ცხოვრება-მოღვაწეობა. ცხოვრება კვლავ სიზმარია, თუ სიზმრების დრო წავიდა უკვე?! მომავლის იმედითა და რწმენით ცოცხლობს ადამიანი! . . .

რამეთუ . . . დაიწყე? – რახან დაიწყე, ბოლომდე უნდა გახვიდე! . . .

და საბოლოოდ, მაინც რა არის ჩემი სულიერი მისია?

როდესაც ადამიანის სულიერ მისიაზე ვსაუბრობთ ამ რეინკარნაციაში, ბევრს ჰგონია,რომ ეს რაღაც გრანდიოზულს მოიცავს. სიტყვა „მისია" ბევრისთვის გაზვიადებულად და დამაბნევლად ჟღერს. სინამდვილეში კი, ნებისმიერი საქმიანობა ამ ცხოვრებაში შეიძლება უკავშირდებოდეს ადამიანის სულიერ მისიას (და ეს ასეც უნდა იყოს, თუკი ადამიანი სწორი გზით ვითარდება).

როდესაც ჩემთან ამ საკითხის გასარკვევად მოდიან, აღმოჩნდება, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში სული თავის მისიად ისახავს, რაც შეიძლება მეტი სიყვარულის და სიკეთის თესვას ამ ცხოვრებაში, ხოლო ის, თუ რა სფეროში და რომელ კატეგორიაში განახორციელებს ამას, სრულიად ინდივიდუალურია.

მისია არ ნიშნავს რაიმე მაღალიერარქიულ თანამდებობას და საქმიანობას. ის შეიძლება იყოს ისეთი მარტივი რამ, როგორიცაა მოხალისედ მუშაობა რაიმე სფეროში. ნებისმიერი უანგარო სიკეთის და სიყვარულის აქტი უკვე არის სულიერი მისიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც არ უნდა უმნიშვნელოდ და უფერულად გვეჩვენებოდეს ის.

ყველას გისურვებთ თქვენი სულიერი მისიის წარმატებით აღსრულებას ისე, რომ თქვენი სული ზეიმობდეს და ჩემს თავსაც იგივეს ვუსურვებ!

,,როცა არ გტკივა, იტკინო უნდა რაიმე,
რომ გაჭირვების მთავარი სიტყვა „ვაიმე"
არ დაივიწყო და უფალს უთხრა:
„ისევ შენი ვარ, აი, მე!" ...



# მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

## გ ი ო რ გ ი წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე

## საქართველოს სამომხმარებლო და სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციის განვითარების პერსპექტივები

საქართველოს მთავრობის, ერთ–ერთ მიმართულებად, მიჩნეულ იქნა გაეროს პროგრამის „მსოფლიოში შიმშილის დაძლევის“ შესაბამისად სიღარიბის დაძლევა რომლის ძირითადი შემსრულებლები უნდა იყვნენ ახლად შექმნილი კოოპერატივები.

კოოპერაციით დავძლევთ კრიზისულ მდგომარეობას, დავასაქმებთ მოსახლეობას, როგორც ბარში ასევე მთიან რეგიონებში, გადავლახავთ სიღარიბეს, ხელს შევუწყობთ საშუალო ფენის, უახლესი ადგილობრივი ბიორაციონალური ტექნოლოგიებით კი მდიდარი ფენის ჩამოყალიბებას, შეწყდება მიგრაციული პროცესები და სოფელში ცხოვრება გახდება მიმზიდველი.

საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის დებულების შესაბამისად მრავალდარგობრივი და დარგთაშორისი კოოპერაციის განვითარება და სოფლის ინდუსტრიალიზაცია სტაბილური და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს შექმნით, მიმზიდველს გახდის საქართველოს ფარგლებში ცხოვრებას აფხაზი და ოსი მოქალაქეებისათვის.

### *1. მოკლე ინფორმაცია საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ*

ზოგადად კოოპერაცია გულისხმობს სოფლის და სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს.

პირველი მომხმარებელთა საზოგადოება საქართველოში დაარსდა 1869 წელს ქ. თბილისში „მომჭირნეობის“ სახელწოდებით, რაც კაპიტალიზმის მოძალებით იყო გამოწვეული და 1878 წლისათვის საქართველოში არსებობდა უკვე 3 მომხმარებელთა საზოგადოება: ერთერთი მომხმარებელთა საზოგადოების წესდების დამფუძნებელთგან, პირველი ხელს აწერდა ილია ჭავჭავაძე.

1916 წ.–ვის მომხმარებელთა საზოგადოების რაოდენობამ ქვეყანაში 188 –ს მიაღწია, ხოლო მათში გაწევრიანებულ მეპაიეთა რიცხმა 67 000 მიაღწია.

1919 წლის ოქტომბერი შეიქმნა საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოებების ცენტრალური კავშირი – ცეკავშირი. ამ ორგანიზაციის დიდი აღიერება უყო ის ფაქტი, რომ 1920 წელს იგი საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის სრულუფლებიანი წევრი გახდა და ეს მოხდა ერთი წლით ადრე ვიდრე რუსეთის „ცენტრსოიუზი“ გაწევრიანდებოდა ამ პრესტიჟულ ორგანიზაციაში.

1921 წლიდან საქართველოს რესპუბლიკამ დაკარგა დამოუკიდებლობა და „ცეკავშირი“ – „ცენტროსოიუზს“ დაუმორჩილეს, თუმცა 1925 წლამდე იგი მაინც ითვლებოდა საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წევრად.

1927 წელს „ცეკავშირი“ საბოლოოდ იქნა გამოყვანილი ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის შემადგენლობიდან.

1992 წელს რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, შესაძლებელი გახდა სამართლიანობის აღდგენა და 1992 წლის ოქტომბერში, საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის 30–ე კონგრესზე, ტოკიოში, „ცეკავშირი აღდგენილი იქნა საერთაშორისო ალიანსის წევრად. (აღდგენა ავტომატურად არ მომხდარა, საერთაორისო ალიანსის გამგეობამ გაანალიზა „ცეკავშირის“ საქმიანობა, წესდება, გაითვალისწინა მისი ეროვნული თვისებები, ქველმოქმედება, კომერციული ალღო და მხოლოდ მას მერე დართო გაწევრიანების ნება ).

2001 წელს შეიქმნა ბალკანეთისა და შავი ზღვის და ქვეყნების კოოპერაციული კავშირი.

2006 წლიდან დაიწყო ამ ორგანიზაციის მიზანმიმართულად განადგურება;

2011 წლისთვის 64–ვე კოოპერატივი არსებობდა, როგორც იურიდიული პირები. ქონდათ საინდეფიკაციო კოდი, ჰყავდათ ხელმძღვანელი. ნარჩენი ქონება იყო ჩამორთმეულია და გადაცემული ეკონომიკის სამინისტროზე.

2012 წლისთვის, ახალი კანონის შესაბამისად, სამომხმარებლო კოოპერაცია იყო კერძო–სამეურნეო ორგანიზაცია საკუთარი სამრეწველო გადამამუშავებელი, სავაჭრო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სოციალ კულტურული დანიშნულების კომპლექსებით. მათი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა იყო კოოპერატივი და ასევე მათ მიერ დაფუძნებულია ცენტრალრი კავშირი (ცეკავშირი) – სამართლებრივი ფორმით კოოპერატივი – კოოპერატივში და ქმნიდნენ ერთიან სისტემას. მისი იურიდიული მისამართით 380005,ქ თბილისი თავისუფლების მოედანიN 7.

რაც შეეხება „ცეკავშირის“ იურიდიულ მისამართს ეს სწორედ მიზანმიმართულად არ შეცვლილა და არც შეიძლება შეიცვალოს ( ვისია ქონება, ვინ წაიღო, რატომ ? ეს კიდევ გასარკვევია. არსებობს სარევიზიო კომისიის დასკვნა, გამოვლენილია დამნაშავე პირები და იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180 (თაღლითობა), 182 (მითვისება) 220–ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები).

ბოლოს ცეკავშირი სამეწარმეო რეესტრში გატარებულია 2001 წლის 18 ივნისიდან, მასში ძირითადი სტრუქტურული წყობა და საქმიანობა რეგულირდება:

- წესდებით;
- კანონით სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ (რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ 1997 წლის 15 მაისს );
- ასევე საქართველოში მოქმედი სხვა კანონმდებლობით;

ცეკავშირის საკუთრება კერძოა და მის საკუთრებაშია:

- შენობა–ნაგებობები;
- ქარხნები;
- ფაბრიკები;
- საწარმოო კომბინატები და სხვა;

ეს საკუთრება – სისტემაში გაერთიანებული მეპაიეთა და მათ წინაპართა შენატანებითა და საქმიანობის ამონაგების შედეგად შეიქმნა. საქართველოში არ მოიძებნება ქალაქი სოფელი, სადაც „ცეკავშირს“ არ ქონოდა თავისი მაღაზია, საცხობი, სასადილო,რესტორანი თუ სამრეწველო საწარმო.

1. ცეკავშირი იყო მსოფლიო კოოპერაციული ალიანსის წევრი, სადაც გაერთიანებულია 113 ქვეყანა.(განახლებული იყო წევრობა 2005 წელს და ვინარჩუნებდით მას საწევროს გადასახადის გარეშე პირადი ურთიერთობებით მსოფლიო კოოპერაციული ალიანსის პრეზიდენტთან აწ გარდაცვლილ ბატონ ივანო ბარბერინისთან: შტაბ–ბინა შვეიცარია , ჟენევა.

   2012 წელსაც გვქონდა მჭიდრო კავშირები იმჟამინდელ ალიანსის პრეზიდენტთან – დეიმ პოლინ გრინთან, დირექტორებთან – ერიკ იბსენთან, და მარი ელენ ჩავესთან );
2. იყო დამფუძნებელი ბალკანეთისა და შავი ზღვისპირეთის ქვეყნების კოოპერაციული კავშირის (2001 წ. დან);
3. ასევე იყო დსთ –ს კოოპერაციული ლიგის წევრი;
4. იყო ინტეგრირებული ევროპულ სასწავლო პროგრამაში;

ცეკავშირის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- ვაჭრობა;
- წარმოება;
- დამზადება;
- შესყიდვა;
- გადამუშავება;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის და სხვა სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაცია.

უმეტეს წილად სოფლად ეწევა :

- სამრეწველო;
- სავაჭრო;
- სამშენებლო;
- სატრანსპორტო;
- სარეკლამო;
- ტურისტუი;
- საინფორმაციო;
- სასწავლო;
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობას.

ცეკავშირს თბილისში გააჩნდა:

- კოოპერაციული ინსტიტუტი;
- კოლეჯი;
- მენეჯერთა სკოლა ქუთაისში;
- კოოპერაციული ინსტიტუტი ;
- და კოლეჯი.

ცეკავშირიში მისი სრული მოქმედების პერიოდში:

- დასაქმებული იყო 80 000 ზე მეტი მუშაკი;
- ხოლო მეპაიეთა რაოდენობა 1 500 000 შეადგენდა;
- მისი წლიური ბრუნვა განისაზღვრებოდა $ 3.5 მილიარდი;
- რესპუბლიკის ბიუჯეტის 30% ივსებოდა სისტემის ამონაგებიდან;
- 1990 წლის მონაცემებით ბიუჯეტში შედიოდა 200 000 $ მეტი;
- და ცეკავშირის ქონება შეადგენდა 20 მილიარდ $ ის ექვივალენტს (1990 წ. სავალუტო კურსით).

2004 წლიდან უკანონოდ დაიწყო ცეკავშირის ქონების – კერძო საკუთრების ექსპროპრიაცია.ჩამორთმეულია და გამოშიგნულია „ცეკავშირის“ ცენტრალური ოფისი იურიდიული მისამართია 380005, ქ თბილისი თავისუფლების მოედანი N 7, 11 (თერთმეტი) კომბინატი, 2 (ორი) სავაჭრო ბაზა, 2 (ორი) ქარხანა, 2(ორი) ინსტიტუტი, 2(ორი) კოლეჯი, მენეჯერთა სკოლა, მაცივარი, საქკოოპმშენი, ატკ.

გასხვისებულია: თბილისის სავაჭრო ბაზა, ზუგდიდის სავაჭრო ბაზა, გაურკვეველია საგურამოს ექსპერიმენტული მეურნეობის ბედი.

2012 წლიდან კი ამ საქმეს რეაგირება არ მოჰყოლია, მიუხედავად ცეკავშირის მმართელიორგანოდან მრავალჯერადი მიმართვებისა არ დაწყებულა გამოძიება, არ დასჯილან დამნაშავეები, არ დაბრუნდა ქონება, დაირღვა კოოპეარციის წესდება, კანონი და კონსტიტუცია!

კოოპერაციაში მონაწილე სუბიექტები:

იმერეთი
დამზადება, ვაჭრობა, მრეწველობა,მომსახურეობა

სამომხმარებლო კოოპერატივები : (ბაღდათი, ვანი, სამტრედია, ხარაგაული, ხონი, წყალტუბო, ზესტაფონი, თერჯოლა, საჩხერე, ტყიბული, ჭიათურა) ასევე: ქუთაისის სავაჭრო ბაზა; სამტრედიის სასურსათო კომბინატი; თერჯოლის სასურსათო კომბინატი; სიქთავრის ღვინის ქარხანა; ვანის საწარმოო კომბინატი; საჩხერის საწარმოო კომბინატი; ქუთაისის კოლეჯი.

აფხაზეთი, აჭარა, გურია, ზემო სვანეთისამეგრელო
დამზადება, ვაჭრობა, მრეწველობა,მომსახურეობა

აფხაზკოოპკავშირი; აჭარაკოოპკავშირი; სამომხმარებლო კოოპერატივები (ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური, მესტია, ზუგდიდი, სენაკი, ხობი, წალენჯიხა, აბაშა, ჩხოროწყუ, მარტვილი, ფოთი); ზუგდიდის სასურსათო კომბინატი; ზუგდიდის საწარმოო, კომბინატი; სენაკის სასურსათო კომბინატი; ზუგდიდის სავაჭრო ბაზა;

შიდა ქართლი, ქვემო ქართლი
დამზადება, ვაჭრობა, მრეწველობა,მომსახურეობა

რუსთავკოოპი; სამომხმარებლო კოოპერატივები ( გორი, კასპი, ქარელი, ხაშური, ერედვი, ქურთა, გარდაბანი, თეთრწყარო, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, კოჯორი, მანგლისი, წალკა, სამგორი); კასპის სასურსათო კომბინატი; გორის სავაჭრო ბაზა; მარნეულის სასურსათო კომბინატი; მარნეულის საკონსერვო ქარხანა; მარნეულის „ატეკა“.

რაჭა–ლეჩხუმი, მცხეთა–მთიანეთი
დამზადება, ვაჭრობა, მრეწველობა,მომსახურეობა

სამომხმარებლო კოოპერატივები (ამბროლაური, ლენტეხი, ონი, ცაგერი, დუშეთი, მცხეთა, თიანეთი, ახალგორი, ყაზბეგი, ფასანაური) ნატახტარის მაცივარი; საგურამოს ექსპერიმენტული მეურნეობა; ქსნის საწარმოო კომბინატი.

სამცხე–ჯავახეთი, თბილისი
დამზადება, ვაჭრობა, მრეწველობა,მომსახურეობა

სამომხმარებლო კოოპერატივები ( ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, ნინოწმინდა, ბორჯომი, ადიგენი); ახალციხის საბითუმო ბაზა; თბილისის მომხმარებელთა საზოგადოება; საქპოოპ დამზადების და მომსახურეობის დეპარტამენტი; საქკოოპმშენი; ცეკავშირისკომუნალური სამეურნეო მომსახურეობა; თბილისის უნივერსალური საბითუმო ბაზა; შპს „ხვავი“; თბილისის ცეკავშირის კოოპერაციის ინსტიტუტი; შპს „საქკოოპსერვისი“; შპს „ კოოპტრანსის 2–ე ფილიალი“; თბილისის სხვადსხვა ნაწარმის კომბინატი; გლდანის წაწარმოო კომბინატი.

2011 წლს მონაცემებით:

- „ცეკავშირის სისტემაში 37 600 მეპაიე ირიცხება. ეს რიცხვი შეიძლება უფრო ნაკლებიც იყოს რადგან მეპაიეთა რიცხოვნობას განსაზღვრავს კოოპერატივის თავჯდომარე ხელახალი რეგისტრაციის მიხედვით, რომელიც 5 წელიწადში ერთხელ ტარდება;
- სისტემის საკუთრებაშია 33 მილიონი $–ის ძირითადი საშუალებები;
- სადაც დასაქმებულია 56 000 ადამიანი.

37 600 მეპაიე და 56 00 დასაქმებული ჯამში 93 600 წევრი– ანუ სოციალურად აქტიური 280 800 ამომრჩეველია.

2012 წლისთვის მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, ქვეყნის ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ყველა რაიონში დისლოცირებული იყო:

- რაიკოოპერატივი თავისი საკუთრებითა და ადამიანური რესურსებით;
- თითქმის ყველა მსხვილ სოფელში არსებობს სამომხმარებლო კოოპერაციები, რომლებიც სოფლად დღესაც ინახავენ მოსახლეობის უმეტეს ოჯახებს.

აჭარკოოპკავშირი; აფხაზკოოპკავშირი; გარდაბნის რაიკოოპკავშირი; მარნეულის რაიკოოპკავშირი; ვანის რაიკოოპკავშირი; სიღნაღის რაიკოოპკავშირ ; სამომხმარებლო კოოპერატივები (ოზურგეთი, გურჯაანი, სამტრედია, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, ადირენი, აბაშა, ახალგორი, ახმეტის კოოპერატივი, ამბროლაური, ბაღდათი, ბორჯომი, ბოლნისი, გორი, დედოფლისწყარო, დუშეთი, დმანისი, ზუგდიდი, ზესტაფონი, თეთრწყარო, თელავი, თერჯოლა, თიანეთი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, ლენტეხი, მარტვილი, მცხეთა ,მესტიის კოოპერატივი, ნინოწმინდა, ონი, საგარეჯო, საჩხერე, სენაკი, ტყიბული, ქარელი, ყვარლის კოოპერატივი, ყაზბეგი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, ცაგერის კოოპერატივი, წალკის კოოპერატივი, წალენჯიხის კოოპერატივი. წყალტუბო, ჭიათურა , ხაშური, ხარაგაული, ხონი, ხობი, თბილისის-ქალაქის, ფოთის- ქალაქის, სამგორი, კოჯორი, მანგლისი, ერედვი, ქურთა).

კოოპერაციის (ცეკავშირის ) აღორძინება – სიღარიბის დაძლევის ყველაზე რეალური გზაა, რომელიც როგორც მთელს მსოფლიოში , ასევე საქართველოშიც ხელისუფლების მხრიდან დიდ ყურადღებას საჭიროებს.

აუცილებელია დაუბრუნდეს მესაკუთრეებს , უკანონოდ ჩამორთმეული ქონება, ყოველ შემთხვევაში ის ნაწილი მაინც რომელიც შეიძლება კანონიერად დაუბრუნდეს, სხვა შემთხვევაში კი სახელმწიფო და კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი, სხვა ურთიერთსარგებლიან და ქვეყნის ინტერსებიდან გამომდინარე შეთანხმებას მოახდენენ.

## *2. კოოპერაციის განვითარების გეგმა*

### შესავალი

ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარდაქმნებში, რომლებიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის ზრდის საფუძველზე დემოკრატიული პროცესების განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, ქვეყნის ტერიტორიულიი მთლიანობის აღდგენისკენ, სამომხმარებლო კოოპერაციამ, როგორც საზოგადოების ფართო ფენების საწარმოო ორგანიზაციის შესაძლებლობის მქონე სისტემამ,მნიშვნელოვნი როლი უნდა შეასრულოს.

სამწუხაროდ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელსაც ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით, ყველა პირობა გააჩნდა საბაზრო ურთიერთობებზე ნაკლები დანაკარგებით გადასასვლელად, სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ შეძლო გასული საუკუნის 90–იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში განვითარებული დამანგრეველი პროცესების თავიდან აცილება, უფრო მეტიც, ბოლო 31 წლის მანძილზე დარგმა სრული დეგრადაცია განიცადა, მხარი ვერ აუბა ეკონომიკის სხვა დარგებს, სადაც ყალიბდება საბაზრო გარემოს ფორმირების დადებითი ტენდეციები.

სამომხმარებლო კოოპერაცია აღმოჩნდა მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისში, რის გამოც აშკარად ასცდა მსოფლიოში კოოპერაციული მოძრაობის განვითარების ვექტორს.

საქართველოში სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა ფაქტიურად თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი, მის საქმიანობაში დაშვებული სერიოზული შეცდომების და გამგეობის წევრების სამართლებრივი დანაშაულების დაშვების გათვალისწინებით, რომელიც უპირველსად თავისუფალი და სამართლიანი სასამართლოს პრეროგატივაა და შესაბამისად კოოპერაციის ინსტიტუციონალური და სტრუქტურული რეფორმების სწორი გზების დასახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც წინამდებარე კონცეფციის ძირითად მიზანს შეადგენს.

როგორც დიდი 20–იანის შეხვედრაზე გაირკვა მსოფლიო კრიზისიდან გამოსვლაში ერთერთი მნიშვნელოვანი როლი ეკუთნის კოოპერატივებს და მსოფლიო ალიანსს, რომლის წევრიც იყო ჩვენი ორგანიზაცია „ცეკავშირი“. აღსანიშნავია ,რომ გაეროს პროგრამის „ მსოფლიოში შიმშილის დაძლევა“ ძირითადი შემსრულებლები კოოპერატივებია.

2012 წელს საქართველოში უმუშევართა რაოდენობა ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის 67% შეადგენს ( 3.8 მილიონი მოსახლეობიდან – 2.5 მილიონი);

ხელისუფლების მონაცემებით:

• ეკონომიურად აქტიურთა რაოდენობაა – 1,7 მილიონი უმუშევარი და აქედან 1 მილიონი სოფლიდან ჩამოსული მოსახლეა). მხედველობაში არ არის მიღებული 2 მლნ–მდე სოფლის მკვიდრი,რომელთა 0.5 მილიონი ოჯახის (საშ. 4 კაცი) შემოსავალი 50–100ლარის ფარგლებშია და ისენი იმყოფებიან სიღატაკის ზღვარს მიღმაა.

სოფლად სიღარიბის მიზეზი ისიც არის რომ:

• გლეხებს საშუალოდ 1 ჰ.–ზე ნაკლები მიწა აქვს;
• მიწის თვითღირებულება ძალზედ დაბალია;
• მიწის გადასახადი კი ძალზედ მაღალი ტარიფია;
• დამოუკიდებლად არ შეუძლია ტრანსპორტის, ინვენტარის, ტექნიკური და სხვა საჭირო საშულებების შეძენა;
• მისთვის პრობლემურია საჭირო ოდენობის სესხის აღება;
• მოწეული პროდუქციის ხარისხის და რეალიზაციის საკითხი.

## 2.1 საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მისია:

კოოპერაციული თვითორგანიზაციის საფუძველზე პროდუქციის წარმოების, დამზადების, რეალიზაციის და მომსახურეობის დონის ამაღლება, კოოპერაციის წევრთა შემოსავლების ზრდა, სოფლად შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრა.

გამოსავალი შემდგომშია:

1. სოფლის მოსახლეობის 80–90% ნებაყოფლობით გავაერთიანოთ სხვადასხვა დარგობრივ კოოპერატივებში;
2. კოოპერეტივების შექმნის მიზანია: მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, გადამუშავებასა და რეალიზაციაში, რომ სოფლის მოსახლეობა მთელი წლის განმავლობაში იყოს დასაქმებული, უნდა განვავითაროთ დამატებითი მიმართულებები, შევქმათ კლასტერები, დაინერგოს საბედნიეროდ ჩვენს ხელთ არსებული უახლესი ადგილობრივი ტექნოლოგიები ;
3. ზოგიერთ კოოპერატივში უნდა შეიქმნას მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიც, რომლის წარმოებული მაღალხარისხიანი ნატურალური პროდუქციის 50% უნდა გაიყიდოს საზღვარგარეთ;
4. კოოპერატივებში უნდა დაინერგოს ბიორაციონალური ტექნოლოგიები, დავაკავშიროთ არსებულ წარმოებებთან ხელშეკრულებებით. ზოგიერთ კოოპერატივთან უნდა შევქმნათ ახალი მცირე გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც შექმნიან კონკურენტუნარიან პროდუქციას;
5. კოოპერატივები შექმნიან თავიანთ ბრენდებს, თვითონ მიიღებენ საბოლოო პროდუქციის რეალიზაციაში მონაწილეობას, რაშიც მათ დაეხმარებათ სხვადასხვა პროფილის და სხვადასხვა რეგიონის კოოპერატივები და ამით შეასრულებს რამოდენიმე ფუნქციას:

• მოამარაგებს გლეხებს ორგანული პერსონალური სასუქით;
• საწვავით;
• შხამქიმიკატების შემცვლელი ტექნოლოგიებით და სხვა;
• დაეხმარება ნატურალური/ბიორაციონალური პროდუქციის წარმოებაში;
• დაეხმარება გადამამუშავებასა
• თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დაეხმარება გაყიდვაში;
• შექმნის საწარმოებს, სადაც იმუშავებს სოფლის მოსახლეობა.

ამით ისენი დასაქმებულნი იქნებიან 10–11 თვე წელიწადში. ამ შემთხვევაში გაზრდილი შემოსავლების, შიდა სადაზღვეო სისტემების ამოქმედების, და განვითარებისთვის შექმნილი ფონდების მეშვეობით, სოფელი მეტად დაცულია ყოველგვარი სტიქიური მოვლენებისგან;

6. ცენტრალური კავშირი დახმარებას გაუწევს კოოპერატივებს და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში შიდა და განსაკუთრებით კი მსოფლიო ბაზარზე, რაშიც მას დაეხმარება მსოფლიო ალიანსი. აღსანისნავია რომ ევროპაში სასურსათო მაღაზიების ქსელის უმრავლესობა კოოპერატიულია და ზოგი მათგანის ბრუნვა წელიწადში 2–3 მილიარდ $ შეადგენს;
7. მთის და მაღალი მთის რაიონებში ტრადიციულ მიმართულებებთან ერთად (მეცხოველეობა მეფუტკრეობა და სხვა) განვავითარებთ :ინოვაციურ, მეტად მომგებიან რიგ შემთხვევაში კი მოთხოვნად საექსპორტო დარგებს ასევე ტყის ნობათის, სამედიცინო ფარმოკოლოგიური და საპარფიუმერიო მცენარეების დამზადება–გადამამუშავებას, ზოგიერთ რაიონებში დამონტაჟდება რძის და ხორცის გადამამუშავებელი მინი საწარმოები. ამასთან დაკავშირებით წარმოვადგინეთ ცალკე პრეზენტაცია – მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შეასახებ , თუ რამდენად მიმზიდველი და ეფექტურია ეს ინოვაციური ტექნოლოგია და მიდგომა;
8. დამატებით მთიან ადგილებში უნდა მოხდეს ტურიზმის განვითარების ინტენსიური ექსპანსია. განსაკუთრებით, იმ ტურიზმის, რასაც ჰქვია: ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, ჯანმრთელობის ტურიზმი, სამონადირეო და სათევზაო ტურიზმი , სადაც ჩაერთვება მთის მოსახლეობა, რომელიც ახლა დაუსაქმებელია". (რაჭა უწერა, სხვა ბალნეოლოგიურ კურორტებზეც, ვანის სულორის კურორტშიც სამეგრელოშიც – მენჯის კურორტზე. და სხვა);
9. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმობა კაბალურ პირობებში მყოფი, უცხოელ ქორ–ვაჭრებზე დამოკიდებული, ბაზრობებზე მოვაჭრე ინდმეწარმეების (ლილოს, ისნის,ვარკეთილის და სხვა ბაზრობები ) სავაჭრო კოოპერატივებსი გაერთიანებას. კოოპერატივი ცეკავშირის დახმარებით შეასრულებს მათ დაკვეთას: საქონელსა და მომსახურეობაზე, მათივე მონაწილეობით შეირჩევა და განბაჟდება საქონელი, მოვაჭრე აღიჭურვება პროდუქციის წარმომავლობის და დღგ–ს გადახდის დამადასტურებელი საბუთით, ხარისხის სერტიფიკატით და ამასთან პროდუქციის ფასიც ორჯერ ნაკლები იქნება;
10. სავაჭრო კოოპერატივებში გაერთიანდება პატარა და დიდი მაღაზიები, რაც ბაზრის სტაბილურობას გამოიწვევს და განავითარებს ჯანსაღ კონკურენციას;
11. ჩვენთან ცენტრალურ კავშირში შეიძლება გაერთიანდნენ სხვადასხვა ფორმის საწარმოები, რომლებსაც დავეხმარებით პროდუქციის რეალიზაციაში როგორც შიდა ასე გარე ბაზარზე.

ამ გეგმის მიხედვით ახალ შექმნილ კოოპერატივებზე უნდა განხორციელდეს ყველა ის შეღავათები, რაც ვრცელდება მცირე მეწარმეებზე:

- გაიცეს იაფი კრედიტები;
- კოოპერატივებს გადაეცეს სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სხვა დახმარებები;
- სოფლის კოოპერაციას უნდა გადაეცეს მართვაში ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები;
- სოფლის მელიორაციული ნაგებობები და ყველა ის ობიექტები რომლებიც საჭირო იქნება კოოპერატივის წარმატებისათვის;
- ხელისუფლებამ უნდა დაიცვას თავიანთი მეწარმრბი, უნდა გაიზარდოს იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადები;
- სოფლის ყველა კოოპერატივი დაარსებიდან ან განახლებული მუშაობიდან 5 წლით მაქსიმალურად უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი ზედმეტი გადასახადიდან;
- ხელისუფლებასთან ერთად უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც აღკვეთავს ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებას, რისთვისაც უდა შეიქმნას საქართველოს ყველა რეგიონში თანამედროვე ლაბორატორიები, რომლებიც იმუშავებენ თვითდაფინანსებაზე რის შედეგადაც საქართველოში აღმოიფხვრება ფალსიფიცირებული პროდუქცის წარმოება, რაც გაზრდის საქართველოს იმიჯს მსოფლიო ბაზარზე;
- შევქმნით 1–3 ათას კოოპერატივს, დასაქმდება 1–1,7 მილონი ადამიანი

ანუ თითო კოოპერატივი 500 –1000 კაციან გაერთიანებას წარმოადგენს საშუალოდ ეს რამოდენიმე სოფელია და თუ ამ ადამიანთა საშუალო ხელფასი 3000 ლარი იქნება, ბიუჯეტში წელიწადში შევა 8 640 მილიონი ლარი;

- ხოლო ის სესხები რომელიც გაცემული იქნება დაბრუნდება 2–3 წელიწადში და შემოსავლები ყოველწლიურად გაიზრდება;

12. ზემოთ მითითებული და მოცემული მიზნის მისაღწევად საჭიროა ჩამოვყალიბოთ ყველა რაიონში კოოპერატივები, რომელთა ერთერთი დამფუძნებელი ცეკავშირი იქნება, ისენი წარუდგენენ ცეკავშირის გამგეობას თავიანთი რაიონის დარგობრივი კოოპერატივის განვითარების გეგმას. ასევე ცეკავშირი დამოუკიდებლად დაგეგმავს რეგიონის განვითარების ბიორაციონალურ, მაღალრენტაბელურ ,პროგრესულ გეგმარებას;

თუ ჩვენ :

13. სწორედ ამ მიზნით დამუშავებულია საქართველოს კოოპერაციის განვითარების კონცეფცია და პროგრამაც, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო–სამეურნეო, სავაჭრო, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურეობის ორგანიზებას;

## 2.2 სამომხმარებლო კოოპერაციაში არსებული მდგომარეობა, კოოპერაციის განვითარების მსოფლიო ტენდენციები

სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც საბჭოური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი იყო, მიუხედავად დეკლარირებული ორგანიზაციულ–სამართლებრივი დამოუკიდებულებისა, ცენტრალიზებულ–მბრძანებლური მეთოდების არაფორმალური გამოყენების გზით იმართებოდა. ამის გამო იგი სრულიად ვერ იყენებდა კოოპერაციის კლასიკური ფორმებისთვის, ლიბერალურ ბურჟუაზიული თეორიების დამახასიათებელ უპირატესობებს.

საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოში არჩეული მოდელისთ გადასვლამ და მასთან დაკავშირებულმა ფასებისა და საბაზრო ლიბერალიზაციის განხორციელებამ ფაქტიურად გააბათილა კოოპერაციისათვის ადრე მიცემული გარკვეული უპირატესობები.

მატერიალურ ტექნიკური ბაზის უდიდესი ნაწილი აღმოჩნდა, როგორც ფიზიკურად ასევე განსაკუთრებით მორალურად მოძველებული, რასაც დაერთო ვერტიკალური კოოპერაციული კავშირების წყვეტა, პროდუქციის რეალიზაციის შიდა და გარე ბაზრების დაკარგვა. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მსოფლიო ბაზარის სუბიექტად გადაქცევამ, რისთვისაც იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა, ეკონომიკის სხვა დარგების მსგავსად , დააჩქარა კრიზისული მოვლენების განვითარება, რასაც დაერთო კადრების ნაკლებუუნარიანობა საბაზრო პირობების შესაბამისად გადაეწყოთ სამეურნეო–საწარმოო და საფინანსო საქმიანობა. ჩამოყალიბდა წარმოებისა და მომსახურეობის დაცემის, ფინანსური კოლაფსის სიტუაცია, დაგროვდა დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტის, ბანკების, მომწოდებელთა მიმართ.

შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი ვერ აღმოჩნდა კოოპერაციული ქონების გაყიდვა, სხვა სახით გასხვისება ან იჯარით სარგებლობაში გადაცემა. მოხდა კადრების გადინება, ვერ იქნა შემუშავებული კოოპერაციული სისტემის რეფორმირების კონცეფცია და პროგრამა, ცალკეული მცდელობები ბანკების სესხებით ახალი საქმეების წამოწყების თაობაზე მარცხით დამთავრდა, უნიათო და დანაშაულებრივი ქმედებებით გამორჩეულმა თავჯდომარეებმა და გამგეობის წევრებმა პირადი ანგარების და გამორჩენის მიზნით დამატებით ხელი შეუწყვეს კოოპერაციის განადგურების პროცესს, სახელმწიფო უგულისყურო აღმოჩნდა კოოპერაციის პრობლემების მიმართ.

ყურადსაღები და გაზგასასმელია რომ, საქართველოში განვითარებული უარყოფითი ტენდენციების საპირისპიროდ, მსოფლიო კოოპერაციულ სისტემაში პროგრესული პროცესები ვითარდებოდა, რომელთაგანც აღსანიშნავია:

- სტრუქტურული და ინსტიტუციონალური რეფორმები;
- წარმოების ახალი სფეროების ათვისება;
- კოოპერირება ინტელექტუალურ სფეროში;
- კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი კავშირების როლის ამაღლება ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შემუშავებაში;
- საფინანსო ინსტიტუტების, სადაზღვეოსისტემების განვითარება;
- გაეროს მხარდაჭერა კოოპერაციული მოძრაობისადმი, განსაკუთრებით სოციალური პრობლემების სფეროში;
- კოოპერაციული ალიანსის შემდგომი გაძლიერება.

## 2.3 კოოპერაციის განვითარების ხელშემწყობი პირობები

### ბუნებრივი პირობები

- ტერიტორიის ვერტიკალური ზონალობა;
- კლიმატისა და ნიადაგების მრავალფეროვნება;
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თავისებური სტრუქტურა;
- ტყით დაფარული ტერიტორიების დიდი ხვედრითი წილი;
- სასოფლო ტყეების არსებობა;

- მიმზიდველი გეოგრაფიული ლანდშაფტები;
- სოფლის მეურნეობის მრავალი სახის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა;
- მიკროზონები, სადაც შესაძლებელია უნიკალური სახის პროდუქციის წარმოება;
- ტყესა და მინდვრებში გარეული ხილის, კენკროვნების, სამკურნალო მცენარეების, ტყის ნობათის დიდი რაოდენობით მოპოვების შესაძლებლობა;
- ძლიერ და ნაკლებად მინერალიზებული, აგრეთვე მტკნარი სასმელი წყლების უდიდესი მარაგი;
- ზღვის აკვატორიის, ტბების, წყალსატევების, მდინარეების თევზის მოსაშენებლად და სარეწებად გამოყენების ფართო შესაძლებლობები.

### ეკონომიკური პირობები

- პროდუქციის გასაღების ბაზრებთან სიახლოვე და ამ ბაზრებზე პროდუქციის გაყიდვის გამოცდილების არსებობა;
- კვალიფიციური მუშახელის, დარგობრივი სპეციალისტების სიჭარბე;
- სამეცნიერო პოტენციალის მაღალი დონე;
- უახლესი მოწინავე ტექნოლოგიები და ახალი მაღალრენტაბეულრი კლასტერების გაჩენა;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების დივერსიფიცირება, რაც გლეხების (ფერმერების) კოოპერირების წინაპირობა;
- მრავალი სახის პროდუქციის წარმოების გამოცდილება;
- სოფლად ხელსაქმეობის, მცირე ოჯახური სარეწების არსებობის ტრადიცია;
- მცირე დანახარჯებით მაღალრენტაბელური და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა;
- აღიარებული ქართული ტოლერანტობა და სტუმართმოყვარეობა.

## 2.4. კოოპერაციის განვითარების ხელისშემშლელი პირობები

- ჩამორჩენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ახალი ტექნოლოგიების შემოტანის ხელშემშლელი ეკონომიური პირობები;
- მოქმედი საგადასახადო სისტემა, რომელიც არ ასტიმულირებს კოოპერატივების ჩამოყალიბებას;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ კანონის უქონლობა;
- კოოპერაციის სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე მენეჯერების დეფიციტი;
- ადგილობრივ და გარე ბაზარების მუდმივი მონიტორინგის სისტემის არარსებობა;
- ბაზრების კონიუქტურის, საცალო და საბითუმო ფასების, გასაყიდი პროდუქტების შესახებ ურთიერთშემხვედრი ინფორმაციის უქონლობა;
- ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და არსებულის გადამზადების, მეწარმეთა კონსულტირებისა და სიახლეების დანერგვის პროგრამების არარსებობა, მწირი დაფინანსების გამო სამეცნიერო- კვლევითი მუშაობის დაბალი აქტიურობა;

- ძველი კომერციული კავშირების და კოოპერაციის განვითარებისათვის ხელშემწყობი საფინანსო ინსტიტუტების უქონლობა , ახლის ძიების სუსტი მოტივაცია;
- საქართველოში კოოპერატივების ჩამოყალიბების, მათი ფუნქციონირების ხელშემწყობი პირობების შექმნის რთული პროცესისი პრაქტიკულად თავიდან დაწყების აუცილებლობა;
- სტრუქტურული და ინსტიტუციონალური გარდაქმნების განხორციელების აუცილებლობა როგორც წარმოებისა და მომსახურეობის სფეროში, ისე მართვის ვერტიკალურ ჭრილში;
- მაღაზიების სუპერმარკეტების პროდუქციის შემსყიდველი პუნქტების პირუტყვისა და ფრინველის სასაკლაოების, სატრანსპორტო საშუალების უქონლობა;
- სოფლის მოსახლეობის აქტიური ნაწილის ურბანულ ტერიტორიებიდან და საზღვარგარეთ მიგრაცია;
- სამომხმარებლო კოოპერაციის მატერიალური და ფინანსური რესურსების ინვენტარიზაციის ჩატარების აუცილებლობა.

## 2.5. კოოპერირების პრიორიტეტები

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა და რეალიზაცია;
- საზოგადოებრივი კვების, სხვადასხვა სახის საწარმოო, სავაჭრო და სოციალური მომსახურეობის კოოპერატივების ჩამოყალიბება;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი, შემსყიდველი და გადამამუშავებელი კომპლექსური კოოპერატივების დაფუძნება;
- თესლის,ნერგის, ცხოველების ხელოვნური დათესვლის, ჯიშიანი პირუტყვის, ფრინველის, ფუტკრის , თევზის კოოპერაციულ საწყისებზე გამრავლების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება;
- ოჯახური, აგრარული, ინდუსტრიული ტურიზმის განვითარება;
- კოოპერაცვიის განვითარება სხვადასხვა სახის ენერგეტიკის სფეროში, ენერგიის გენერაციის, გადაცემის მომსახურეობის სეგმენტში;
- კოოპერატივების მომსახურეობის საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბება;
- კოოპერაციული საზოგადოების დაზღვევის სისტემის ფორმირება;
- გლეხთა (ფერმერთა) სწავლების, კონსულტირების, მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვის(ექსტენცია) სისტემის შემუშავება და განხორციელება;
- კადრების მომზადება–გადამზადების ხარისხის ამაღლება, ბაზრის კონიუქტურის შემსწავლელი სტრუქტურების ფორმირება;
- კავშირების გაფართოება საზღვარგარეთის ქვეყნების კოოპერაციულ ორგანიზაციებთან, მათ გაერთიანებებთან კომერციული კავშირების დამყარების, საფინანსო რესურსების მოზიდვის, წარმოებუისა და მომსახურეობის სფეროში დაგროვილი გამოცდილების გადმოღების მიზნით;
- საზოგადოების სისტემატიური ინფორმირება სამომხმარებლო კოოპერაციაში მიმდინარე პროცესების თაობაზე.

## 2.6 სახელმწიფოს როლი კოოპერაციული სისტემის განვითარებაში

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში არსებული ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დაძლევა შესაძლებელიაა სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ხელსეწყობის გარეშე. იგი გულისხმობს:

- კოოპერატივების ჩამოყალიბების მსურველთათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა, რაც კოოპერაციული მოძრაობის გააქტიურება –გაფართოებას გამოიწვევს;
- სახელმწიფოს დახმარებით, კოოპერაცირების პრინციპზე სპეციალიზირებული საკრედიტო ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში დახმარებას;
- სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ორგანიზაციების წინაშე სამომხმარებლო კოოპერაციის უიმედო ვალების ჩამოწერასა და გადახდის პერსპექტივების მქონე ვალების რესტრუქტურიზაციაში ხელშეწყობას;

- არასწორი გზით გასხვისებული კოოპერატიული ქონების დაბრუნებაში თანადგომა;
- სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის გასაუმჯობესებლად შემუშავებული კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღებაში მხარდაჭერა.

## 2.7 სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარების პოლიტიკა

## საწარმოო და სოციალური სფეროს მომსახურეობის კოოპერატივები

### 2.7.1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა

მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მათი მომსახურე ორგანიზაციების დაშლის შედეგად წარმოშობილ წვრილ, პარცელირებულ მიწებზე დაფუძნებული მეურნეობებისა და მათი მომსახურე სუბიექტების ნებაყოფლობის საფუძველზე ახალ ეკონომიკურ საწყისებზე გაერთიანება. ამ მიზნით:

- შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისა და რეალიზაციის კოოპერატივების ჩამოყალიბება, შესყიდული პროდუქციის მუდმივმოქმედ ბაზარებზე, ერთდროულ ბაზრობებზე, სამომხმარებლო კოოპერაციის სპეციალიზირებულ სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში გასაყიდად;
- პროდუქციის წარმოების, შესყიდვისა და რეალიზაციის გამოცდილების დაგროვების კვალობაზე პროდუქციის მიმღები, დამხარისხებელი, დამფასოებელი და სარეალიზაციო მსხვილი კოოპერატივების ჩამოყალიბების პროგრამის დამუშავება განხორციელება;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი და შემსყიდველი კოოპერატივის შემადგენლობაში მცირე გადამამუშავებელი საწარმოების და პირუტყვის სასაკლაოების მშენებლობა, უნარჩენო წარმოების მოწყობა.

### 2.7.2 სოფლის მეურნეობის საწარმოო მომსახურეობის კოოპერატივები

სოფლის მეურნეობის საწარმოო მომსახურეობაის ორგანიზებული სექტორი ფაქტიურად არ არსებობს. ამ ეტაპზე უპირატესობა მიენიჭება კოოპერატივებს, სადაც თავმოყრილი იქნება თესლით , ნერგით, სასუქებით, პესტიციდების ჩანაცვლებითა და წარმოების სხვა საშუალებებით ვაჭრობის, ნიადაგის დამუშავების, მცენარეთა და ცხოველთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის, აგრო არაქიმიური მომსახურეობის, მოსავალის აღების საშუალებებს. ყოველივე ეს შერწყმული იქნება საკონსულტაციო მომსახურეობასთან. ამ ტიპის მომსახურეობით ისარგებლებენ აგრარიკოს მეწარმეები, მებაღეობა-მებოსტნეობის კოოპერატივის წევრები, აგრეთვე სააგარაკო ნაკვეთების მფლობელები.

აღნისნული კომპლექსური მომსახურეობის გაწევა განხორციელდება კოოპერატიულ საწყისებზე დაარსებულ მანქანა -ტარქტორებითა და ტექნოლოგიური სადგურების პუნქტებიუს მეშვეობით.

### 2.7.3 საზოგადოებრივი კვების კოოპერატივები

საზოგადოებრივი კვების სექტორში ჩამოყალიბდება სხვადასხვა კატეგორიის რესტორნები, სასადილოები, კაფეები, მათ შორის ოჯახური ტიპის.

ოჯახური ტიპის ობიექტების უზრუნველყოფა მოხდება საკუთარ მეურნეობაში წარმოებული პროდუქციით.

## 2.8 ტურისტული კოოპერატივები

პრიორიტეტები

სამკურნალო, კულტურული, სათავგადასავლო, აგრარული (აგრო) და ეკოლოგიური (ეკო) ტურიზმის განვითარებას.

საქართველოში ტურიზმის განვითარება ყოველთვის წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ერთ–ერთ უმთავრეს მოთხოვნას და შესაბამისად ყველა მთავრობის პრიორიტეტს. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბ–ონ ფრანჩესკო ფრანგიალის თანახმად „ საქართველო განწირული არის ტურიზმის განვითარებისათვის“. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი 31 წლის განმავლობაში ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად ტურიზმის სექტორში ინვესტირებულ იქნა ასობით მილიონი დოლარი, რომლის დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის დანაზოგებიდან გახლდატ. აქედან გამომდინარე, ჩვენი მოსახლეობისათვის ტურისტული კოოპერატივების შექმნის მიზანშეწონილობის ახსნა არ არის აუცილებელი, რადგან საქართველოში ტურიზმის განვითარებაის პერსპექტივები მათთვის კარგად არის ცნობილი, მათ მხოლოდ მხარდაჭერა და ორგანიზება სჭირდება.

საქართველო ძალიან მდიდარი ქვეყანა არის მისი ბუნებრივი რესურსებით. ცნობილი ფაქტია, რომ სამკურნალო თვისებები გააჩნია საქართველოში არსებულ მინერალურ წყლებს და ჰავას. ბორჯომის ხეობა, წყალტუბო, საირმე, და მრავალი სხვა საკურორტო ადგილი წარმოადგენდა წამყვან სამკურნალო კურორტებს. აღნიშნული კურორტები ატარებენ უნიკალურ თვისებებს, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს სარეალიზაციო ბაზარზე სათანადო ადგილის დაკავებაში.

საქართველოს ნებისმიერ რეგიონს გააჩნია აგროტურიზმის განვითარების უზარმაზარი პოტენციალი. ქართული სტუმართმოყვარეობა მთავარი წინაპირობაა აგროტურიზმის შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნას გამოყენებული როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ტურისტებისათვის. სოფლის ცხოვრება, ნატურალური პროდუქტები, ცხენოსნობა, თევზაობა და მრავალი სხვა შემეცნებითი თუ გასართობი საშუალებები მიმზიდველს ხდის აგროტურიზმს საზოგადოების ყველა ფენისთვის.

დღეისათვის კულტურული, სათავგადასავლო და ეკოლოგიური ტურიზმი საქართველოში უცხოელი ტურისტების მოზიდვის უმთავრესი საშუალებაა. საქართველოში, მიუხედავად მისი მცირე ტერიტორიისა, ურთიერთ ჰარმონიაში არსებობს მრავალი არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლები, რაც შესანიშნავ საშუალებას იძლევა კომპლექსური ტურიზმის განხორციელებისათვის.

## 2.9 კოოპერატივები საკრედიტო მომსახურეობის სფეროში

სახელმწიფოს დახმარებით, კერძო სტრუქტურების, მათ შორის კოოპერატივების, ფიზიკური პირების მონაწილეობით კოოპერაციულ საწყისებზე კოოპერატივების დაკრედიტების სპეციალური სისტემის (კდსს) შექმნა, რომელიც უფლებამოსილი იქნება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები. მის დამაარსებლები შესაბამისი პაის მფლობელები იქნებიან. მსესხებელისათვის სავალდებულო იქნება გახდეს ბანკის მეპაიე. სახელმწიფოს მიერ ჩადებული წილი თანდათანობით დაუბრუნდება მასვე.

სახელმწიფოსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ერთობლივი მეცადინეობით მოხდება მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც გასცემენ სესხებს მომავალი მოსავლის ქვეშ, ყოლო გაყიდვა გარანტირებული იქნება შემსყიდველი კოოპერატივების მიერ.

სამომხმარებლო კოოპერაციასთან შეიქმნება ფონდი, რომელიც კოოპერატივების მიერ ბანკებიდან აღებული სესხების გარანტის როლს შეასრულებს. ფონდის სახსრები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს კოოპერატივების მიერ აღებული სესხის პროცენტის ნაწილის სუბსიდირებისთვის. ფონდის წარმატებული საქმიანობა გახდება მის ბაზაზე ბანკის ჩამოყალიბების საფუძველი.

## 2.10 საწარმოო დანიშნულების კოოპერატივები

### 2.10.1 კოოპერაცია სოფლის მეურნეობაში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციების საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ სოფლად სამეურნეო ფუნქციების უდიდესი ნაწილი სამომხმარებლო კოოპერაციის სფეროში ექცევა. სასოფლო–სამეურნეო კოოპერაცია მისი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ბლოკი გახდება.

სასოფლო–სამეურნეო კოოპერაცია შემდეგი მიმართულებებითგანვითარდება:

- სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ჰორიზონტალური კავშირების საფუძველზე;
- ვერტიკალური კოოპერაციის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება ამავე კოოპერატივის კუთვნილ მცირე და საშუალო წარმადობის საწარმოებში ან კოოპერირებულ გადამამუშავებელ საწარმოებში, რამოლთდანაც ნედლეულის მწარმოებელები ხელშეკრულებით იქნებიან დაკავშირებულებეი. ეს საქართველოში კოოპერაციული საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპია, რომლისთვისაც დამახასიათებელია საბოლოო პროდუქტის წარმოებაზე საერთო პასუხისმგებლობა;
- საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციებიდან გამომდინარე დიდი რესურსები გააჩნია ოჯახებში პროდუქციის გადამუშავებას, რომელიც ტექნოლოგიური პროცესების დაცვის პირობებში კონკერენტუნარიანი გახდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე საზღვარგარეტ (გლეხურ მარანში დაწურული ღვინო, ჩურჩხელა, სხვადასხვა სახის ჩირი, შებოლილი ღორის ხორცი, მჟავეულობა, და სხვა);
- პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებისას აქცენტი გაკეთდება სხვადასხვა მიკრო ზონებში გავრცელებული კულტურების პროდუქციის გადამუშავებაზე;
- კოოპერაცია საუკეთესო ორგანიზაციული ფორმაა კერძო სექტორის ბაზაზე თესლის და ნერგის წარმოების, მეცხოველეობის, მეფრინველეობის და მეფუტკრეობის სანაშენე საქმის გასანვითარებლად, ხელოვნური დათესვლის პუნქტების მოსაწყობად. სამეცნიერო ორგანიზაციების მონაწილეობა აღნიშნულ საქმიანობაში უზრუნველყოფილი იქნება ხელსეკრულების საფუძველზე;
- საზღვაო აკვატორია, მდინარეების, ტბების, ხელოვნური წყალსატევების სატბორე მეურნეობების არსებობა ქმნის საუკეთესო გარემოს მეთევზეობის განვითარებისათვის. კოოპერაციულ საწყისებზე მოხდება სხვადასხვა ჯიშის თევზის ლიფსიტების გამოყვანა, თევზის გადამუშავების კოოპერაციული საქმიანობის დაარსება, ორგანიზებული სამოყვარულო მეთევზეობისა და სამონადირეო მეურნეობების მოწყობა;
- სახელმწიფო და სასოფლო ტყეებში, სადაც წარმოების გაფართოების დიდი რეზერვებია აკუმულირებული, განხორციელდება ნაყოფის მომცემი მცენარეების გაშენება და ნაყოფის გადამუშავება, სამკურნალო მცენარეების კოოპერაციული მეურნეობების მოწყობა;
- სოფლად ხელნაკეთობათა და ადგილობრივი რეწვის კოოპერატივების ჩამოყალიბებით განხორციელდება მრავალი უნიკალური პროდუქციის დამზადება და მისი რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ბაზარზე ისე საზღვარგარეთ;
- სოფლის კოოპერაციის უმნიშვნელოვანესი მიმართულება იქნება ბიომეურნეობებში პროდუქციის წარმოება, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტში;
- სააგარაკო მეურნეობების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზრდება მოთხოვნილება დეკორატიულ მცენარეებზე, ეზოების გაფორმებაზე, რომლის დაკმაყოფილება სპეციალიზირებული კოოპერაციული სანერგეებისა და დეკორატორთა კოოპერატივების ჩამოყალიბებით მოხდება.

## 2.10.2 კოოპერაცია ენერგოსექტორში

კოოპერატივების მიერ განხორციელდება ენერგიის ალტერნატიული წყაროების გენერაცია, სოფლის ელექტრო გადამცემი ქსელების მომსახურეობა. ამ ტიპის კოოპერატივების განვითარების შექმნა ენერგეტიკის სფეროს სხვა კერძო კომპანიებთან ტარიფის და სხვა საკითხების შესახებ მოლაპარაკებების გამართვის საუკეთესო საშუალება იქნება

## 2.10.3 სამშენებლო კოოპერატივები

ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად გაიზრდება მოთხოვნილება საცხოვრებელ, სააგარაკო და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე, რომლის არქიტექტურა და დიზაინი უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს. აღნიშნულის დაკმაყოფილება მოხდება სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებით, რომლის ორგანიზაცია ყველაზე უკეთ კოოპერაციულ საწყისებზეა შესაძლებელი. ინდუსტრიული მშენებლობისთვის დამახასიათებელი ტიპიური სახლები ისეთი კონსტრუქციის იქნება, რომ დამკვეთის სურვილის მიხედვით შესაძლებელი გახდება რამდენიმე სქემით განლაგება. განვადებით სახლების მშენებლობა სოფლად სამშენებლო კოოპერაციის განვითერების სტრატეგიულ მიმართულებად იქცევა. სამსენებლო ინდუსტრიაში საჭირო გახდება კომერციული ბანკების მონაწილეობა.

## 2.11 სამრეწველო კოოპერაცია

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობაში მრეწველობის დარგს ყოველთვის ერთ–ერთი წამყვანი ადგილი ეკავა. სისტემის მრეწველობა აწარმოებდა და მოსახლეობას აწვდიდა პურ–ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმს, ხილ–ბოსტნეულის კონსერვის, ყურძნის ღვინოს, უალკოჰოლო და მაღალაკოჰოლიან სასმელებს, ძეხვეულს, ნაყინს, სამკერვალო და საგალანტერეო ნაწარმს, სამეურნეო საქაონელს, სამშენებლო მასალებს. მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციია მოცულობა სისტემის საერთო საქონელბრუნვაში 15–20% შეადგენდა, ხოლო მიღებული მოგება საერთო მოგების 40% –ზე მეტი იყო.

ცეკავშირის სისტემაში დღეს დღეობით აღარ არის ისეთი სამრეწველო ობიექტები (რომლებიც დასაბრუნებელია და უკანონოდ არის ჩამორთმეული ) რომლებზედაც გაწეული მინიმალური დანახარჯებით შესაძლებელია ამ საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირება და თანამედროვე მოთხოვნათა დონის პროდუქციის გამოშვება.

უპირველეს ყოვლისა მთელი ყურადღება მიმართულ უნდა იქნას ამ საწარმოთა რეაბილიტაციისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის, საბაზრო ურთიერთობების, სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილებებისა და სხვა მთელი რიგი პრობლემატური საკიტხების გათვალისწინებით კოოპერაციულ სისტემაში მრეწველობის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად შესაძლებელია მიჩნეულ იქნას შემდეგი დარგები:

- საკონსერვო და გადამუშავებელი მრეწველობა;
- ყურძნის ღვინოების წარმოება–ჩამოსხმა;
- ხილისა და კენკრის შრობა;
- მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავება;
- დაფნის ფოთლის დაფასოება და სხვა.

## 2.12 გარემოს დაცვითი პოლიტიკა

სამომხმარებლო კოოპერაცია განსაკუთრებით ადგილს დაუთმობს ისეთი პროექტების განხორციელებას, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ბუნებაზე ნაკლები ზიანის მიყენება. იგი მოქმედ საწარმოებში უზრუნველყოფს კოდექს ალიმენტარიუსით გათვალისწინებული „ისო 2200“ – ხარისხის მენჯმენტისა და პროდუქციის უსაფრთხოების მენჯმენტის ინტეგრირებული სისტემის დანერგვას.

## 2.13 სამეცნიერო–ტექნოლოგიური და საკადრო პოლიტიკა

სამომხმარებლო კოოპერაციის სამეცნიერო პოტენციალი მიმართული იქნება ბაზრის კონიუქტურის შესწავლის, საინფორმაციო უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბების , ახალი ტექნოლოგიების და სხვადასხვა კოოპერატივების საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების წინადადებებისა და რეკომენდაციების დამუშავებასა და დანერგვაზე. მეცნიერება და შესაბამისად ბიორაციონალური ტექნოლოგიები და უახლესი მიღწევები აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კოოპერირებულ მეწარმეთა სწავლების, კონსულტირების, მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვის სისტემის ჩამოყალიბებასა და მის გამართულ ფუნქციონირებაში.

ასევე მეცნიერების მთავარი საზრუნავი იქნება სასწავლო პროგრამების რადიკალურად გადაწყობის საფუძველზე კადრების მომზადება–გადამზადების უწყვეტი სისტემის ჩამოყალიბება. ისენი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ტიპის კოოპერატივების წესდებების, სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ კანონში ცვლილებების, ნორმატიული აქტების მომზადებასა და განხორციელებაში, სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციის შესახებ კანონის მომზადებაში.

## 2.14 საგარეო ურთიერთობები

- ფინანსური რესურსების დეფიციტის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური კავშირების დამყარება დონორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მსოფლიოში აღიარებულ სხვა დონორ სუბიექტებთან;
- საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვან ადგილს დაიჭერს კავშირები საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსთან, რომლის სტრუქტურის გადმოღება, საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით, სამომხმარებლო კოოპერაციის მიზანს შეადგენს. ამ მიმართულებით იგი ევოლუციური გზით განვითარდება.

## 2.15 კოოპერაციული პროდუქციის ექსპორტი

საქართველოსთვის დამახასიათებელია აგრარული ექსპორტი, რომელსაც ქვეყნიდან გატანილ პროდუქციაში ყოველთვის პირველი ადგილი ეკავა. სამომხმარებლო კოოპერაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ევროსტანდარტების გათვალისწინებით წარმოებული ნატურალური პროდუქციის ექსპორტის გაფართოება, რაშიც მას მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების კოოპერაციის მეშვეობით, მწვანე ბაზრით მოახერხებს და ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსს გააუმჯობესებს.

## 2.16 კოოპერირების ფორმები

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში შექმნილი ობიექტური მიზეზების გამო საქართველოში არსებობის უფლება გააჩნიათ როგორც სპეციალიზებულ (საქმიანობის ერთი მიმართულების მქონე ), ისე კომპლექსურ (მრავალდარგოვანი) კოოპერატივებს.

კოოპერატივებისა და სხვა ორგანიზაციებს შორის სამეურნეო საწარმოო და ფინანსური საქმიანობის ყველაზე მისაღები ფორმა სახელშეკრულებო ურთიერთობა იქნება.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების მოქმედების არეალი იქნება სოფლის უბანი, სოფელი, რაიონი, რეგიონი, კონფლიქტური ზონები და ქვეყანა. კოოპერატივებს თავიანთი ინტერესების დასაცავად რჩევა მიეცემათ შექმნან სხვადასხვა გაერთიანებები.

სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის პრივატიზებული გადამამუშავებელი საზოგადოებები, მესაკუთრეთა თანხმობის შემთხვევაში, შეიცვლიან ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და გადაკეთდებიან კოოპერაციულ საზოგადოებებად. პაის ნაწილი მიეყიდება საწარმოს მომსახურეობის ზონაში გადაადგილებულ ნედლეულის მწარმოებლებს, რომლებიც პაებს რამოდენიმე წლის მანძილზე გამოისყიდიან ნატურით, საწარმოზე გადასამუშავებლად ჩაბარებული პროდუქციის ნაწილით.

## 2.17 სამომხმარებლო კოოპერაციის მართვა

სამომხმარებლო კოოპერაციის მართვის წესი და ორგანოები დამტკიცებულია საქართველოს კანონით“სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“. ამჟამად ამოცანა მდგომარეობს ე.წ. ცენტრალური ოფისის სტრუქტურის შემუშავებაში, რომელიც იქნება მცირერიცხოვანი და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული. გადაწყდება რაიონული რგოლების შექმნის, მათი სტრუქტურების მოწყობის, სისტემის კომპიუტერებთ აღჭურვისა და ერთიანი ელექტრონული ქსელის შექმნის საკითხები.

სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა დაეფუძნება მათი მუშაობის გამჭირვალობას, რომლის უზრუნველყოფა საზოგადოებასთან ურთიერთობისსამსახურის საზრუნავი გახდება.

## 2.18 კანონშემოქმედებითი საქმიანობა

კანონშემოქმედებითი საქმიანობის უპირველესი ამოცანაა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ კანონში ცვლილებების, სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, კანონპროექტის შემუშავება სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოწინავე ქვეყნების გამოცდილება.

ისეთ პატარა აგრარულ ქვეყანაში როგორიც საქართველოა, სადაც სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 70% -ია , მარტო კოოპერაციას შეუძლია შეცვალოს მდგომარეობა, დაასაქმოს მოსახლეობა, გადალახოს სიღარიბე საქართველოსი და დაეხმაროს ხელისუფლებას საშუალო ფენის ჩამოყალიბებაში, შეწყდება მიგრაცია და სოფელში ცხოვრება გახდება მომზიდველი.

გაეროს რეკომენდაციით – სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განმტკიცებისაკენ მიმართული პოლიტიკა და შესაბამისი კანონმდებლობა უნდა იქცეს ეროვნულ მთავრობათა და მთავრობათშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთ მიმართულებად.

პროექტის მიზნები და ამოცანები სრულიად პასუხობენ საქართველოს გრძელვადიან ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამას.

გიორგი წივწივაძე
08.11.2023



## ნ ო დ ა რ   კ ი კ ნ ა ძ ე

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
– ეროვნული აღორძინების"
თავმჯდომარე 2013 – 2017 წლებში,
მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
– ეროვნული აღორძინების"
პრეზიდიუმის წევრი და კავშირის
საკონტროლო-სარევიზიო კომისიის
თავმჯდომარე

# ლ ა ლ ი   მ ა ი ს უ რ ა ძ ე

როდესაც “გულშემატკივრები” აცხადებენ, რომ ზვიადს ბევრი მოღალატე ეხვია გარს, გული მტკივა ამ ყოვლად უსამართლო მოსაზრების გამო. არათუ მაშინ, იმ ავბედითი კრიმინალური გადატრიალების დროს, დღესაც, 30 წლის შემდეგ, ქვეყნის რომელ კუთხეშიც მოხვდებით, აღმოაჩენთ უამრავ მის ერთგულ, პატივისმცემელ ადამიანს. მეტიც, დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას ზვიად გამსახურდიას მიერ 1976 წელს დაარსებული მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“(1990 წლიდან „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“.

ისტორიას აქვს ერთი უცნაური თვისება: რაგინდ დიდი მოღვაწე, ან გმირიც უნდა იყოს ადამიანი, მისი ხსოვნა, ზოგჯერ, ერის მეხსიერების რომელიღაც ბნელ კუნჭულში შეიძლება აღმოჩნდეს მიტოვებული და ზედ საუკუნეთა მტვერ გადაეფარებული. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ხან შემთხვევით, ხან მავანთა მცდელობით, ქვეყანა იბრუნებს თავის დიდებულ შვილთა სახელებს და სათანადო პატივს მიაგებს მათ.

ჩვენ, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი წარმომადგენლები, სხვა საქმიანობასთან ერთად, ვცდილობთ, რომ დოკუმენტალურად დავაფიქსიროთ მოგონებები აწ გარდაცვლილი, გამორჩეული თანამებრძოლების შესახებ და ამით თავიდან ავიცილოთ მსგავსი უსამართლობა.

1993 წლის 31 მარტს, გაზეთ „საქართველოს სამრეკლო”-ში გამოქვეყნებულ მოსაგონარში ვწერდი:

,,საქართველოსათვის სამტროდ ნასროლმა ტყვიამ ბევრი ღირსეული მამულიშვილის გულში გაიარა. ერთი მათგანი ლალი მაისურაძე იყო, პრეზიდენტის პირადი მდივანი, მისი უერთგულესი თანამებრძოლი”.

1989 წლის ნოემბერში გავწევრიანდი მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებაში“.

აქ, მრავალ სხვა, მომავალ მეგობართან ერთად, გავიცანი ორგანიზაციის და ამავდროულად პრეზიდენტის მდივანი, ლალი მაისურაძე, რაც მოგვიანებით დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. დავუახლოვდით ოჯახებით. უყვარდა ჩვენთან მოსვლა ,,ფინჯან ყავაზე”, თუმცა ამის საშუალება ძალზე იშვიათად ჰქონდა. მოირბენდა, მოგვიკითხავდა, ორიოდ ლუკმას წაიციცქნიდა ... „- ცოტას დავისვენებ და წავალო" - იტყოდა და იმავ წუთს, სკამზე მჯდომს ჩაეძინებოდა. 10-15 წუთში თვალებს გაახელდა. თითქოს რაღაც დანაშაულზე წაასწრესო, „- რატომ არ გამაღვიძეთო?" - მორიდებით

გვისაყვედურებდა და გარბოდა ისევ სამუშაო ადგილისკენ. „ორი სექტემბრის მოვლენების" შემდეგ, როდესაც ცხადი გახდა, რომ „ოპოზიცია" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას იწყებდა, ექვს იანვრამდე, ფაქტიურად, მთავრობის სახლი აღარ დაუტოვებია.

პირადი ცხოვრება არ გააჩნდა. ფანატიკურად უყვარდა სამშობლო. იყო ზვიადის უერთგულესი თანამებრძოლი. მამაცი, დაუღალავი, მომთხოვნი, პირში მთქმელი, რის გამოც ჰყავდა ბევრი მტერი.

1991 წლის ზაფხულში, პრეზიდენტის დავალებით, მიწისძვრით დაზარალებული რაჭის სოფლები მოვიარეთ. ლალის მშობლიური სოფლის, წედისის მახლობლად, სასაფლაოზე მდებარე, წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ვილოცეთ, მისი ახლადგარდაცვლილი ბიძაშვილის საფლავზე სანთლები დავანთეთ. სწორედ მაშინ, ასეთი რამ მითხრა:

– მე თუ მომკლეს, იცოდე, აქ დამასაფლავეთ.

– რას ამბობ ლალი, რა დროს შენი სიკვდილზე ლაპარაკია!

– ნოდარ, ჩემი ხელში ჩაგდება ბევრ მტერს უნდა, პირველ რიგში, ჯაბას და კიტოვანს, მაგრამ თავს მოვიკლავ და მათ არ ჩავბარდები! (მომცრო ზომის პისტოლეტი მუდამ თან დაჰქონდა).

მერე იყო პუტჩისტების მიერ ,,თბილისის ომად" წოდებული, კრიმინალური გადატრიალება. ყოვლად სამარცხვინო, დამაქცეველი. ზვიადისა და მის თანხმლებთა თბილისიდან გასვლის შემდეგ, თითქმის ორი კვირა, ლალის შესახებ არაფერი ვიცოდით, ამასღა ვლოცულობდით: ცოცხალი მაინც იყოსო. ერთ დღეს ტელეფონში მოულოდნელი ზარი გაისმა. სწრაფად მითხრა: „- დეზისთან ვარო" და ყურმილი დაკიდა. მე და ჩემი მეუღლე დაუყოვნებლივ გავეშურეთ მის სანახავად. უძინარს, გადაქანცულს, საშინლად ნატანჯი სახე ჰქონდა.

– პრეზიდენტის დავალებაა: დასავლეთ საქართველოში უნდა ჩავიდე, თქვენი იმედი მაქვს, უნდა დამეხმაროთ – გვითხრა მან. მაშინ ეს არ იყო ადვილი საქმე: ყოველ ხუთ-ათ კილომეტრში მოწყობილი იყო პიკეტები, რომელიც სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული ადამიანებისგან შედგებოდა. მიზანი კი ერთი იყო: ,,ზვიადისტების" ფიზიკური განადგურება! განსაკუთრებით საშიში იყო რიკოთის გვირაბთან მისასსვლელი გზა, რომელსაც „მხედრიონი" აკონტროლებდა. ქალებმა ლალის ჩააცვეს ძველი სამოსელი, მოარგეს პარიკი, თავსაფარი, მონჯღრეული სათვალე... მთლად მოხუც, გლეხის ქალს დაამსგავსეს. ავტოსადგურში გავაცილეთ მე, ჩემმა მეუღლემ – ნელიმ, დეზი დგებუაძემ, რუსიკო ჩხაიძემ და ნოდარ მაისურაძემ. ჩავსვით ავტობუსში და გავამგზავრეთ. საბედნიეროდ, დანიშნულების ადგილამდე უხიფათოდ ჩავიდა. მას შემდეგ ლალი ცოცხალი აღარ მინახავს.

თბილისში ტერორი მძვინვარებდა: დაიხვრიტა რამდენიმე მიტინგი. დევნა, დაპატიმრებები, ადგილზე ლიკვიდაცია. პრეზიდენტისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი, საშინელი ჭორების გავრცელებაც იყო, რასაც ვერც ლალი აცდა: თვით მომიტინგეთა შორისაც ვრცელდებოდა ხმები, რომ ის, არათუ შეკრული იყო მოწინააღმდეგესთან და მათ საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა, არამედ, ამავე დროს, ზვიადსაც წამლავდა. ორჯერ გავრცელდა ხმა, რომ ლალი მოკლეს. გამგზავრების წინ ლალიმ მითხრა: – 6 იანვრის დილას, მთავრობის სახლიდან გასვლის დროს ერთმა პიროვნებამ, რომელსაც საკუთარი თავივით ვენდობოდი, ჩემი მოკვლა სცადა, შემთხვევით გადავრჩიო. მეორე მცდელობა სოხუმში იყო. დროდადრო თვითონ გვირეკავდა, ან სხვისი მეშვეობით გვეხმიანებოდა. აქეთ გვამშვიდებდა. ორივე მოღალატის ვინაობა მითხრა, ორივე კანონიერი ხელისუფლების მაღალჩინოსანი იყო.

. . . და მაინც: აპრილის დასაწყიში შევიტყეთ დადასტურებული ამბავი მისი დაღუპვის შესახებ. ოფიციალური ვერსია ასეთი იყო: „ავტომობილს, რომელიც სქური-წალენჯიხის გზაზე მოძრაობდა, უცნობი კუთვნილების ვერტმფრენმა ცეცხლი გაუხსნა, რაც გახდა ზვიად გამსახურდიას პირადი მდივნის, ლალი მაისურაძის დაღუპვის მიზეზი. დაჭრილია მძღოლი."

ერთხელ, თანამებრძოლებთან ასეთი რამ უთქვამს: „მე ახლა კარგად ვხედავ, თუ

რამდენი მოღალატე იყო პრეზიდენტის გვერდით და რა ბინძური საქმეები იხლართება მის გარშემო. უახლოეს ხანში აუცილებლად ჩავალ ბატონ ზვიადთან გროზნოში და ყველაფერს პირადად მოვახსენებ”. ეგებ ეს სიტყვები თავისებური სიგნალი გამოდგა მტრისთვის.

გარდაცვლილს წალენჯიხის მოსახლეობამ უპატრონა: მიცვალებული გააპატიოსნეს.ტაძარში დაასვენეს. მამა რომანოზმა წესი აუგო. „მხედრიონელები” მიუვარდნენ, ცხედრის გატაცება სურდათ, „ბეტეერს” უნდა გამოვაბათ და ვათრიოთო. ხალხმა არ დაანება. მოძღვრისა და ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით, ახლობლებმა ლალის ცხედარი რაჭაში გადაასვენეს. დაკრძალულია, თანახმად მისი ანდეძისა, წედისის სასაფლაოზე.

1993 წლის 9 აპრილს ინკოგნიტოდ, გავემგზავრე გროზნოში. ბატონ ზვიადთან შეხვედრის დროს ჩვენი საუბარი შეეხო ლალის დაღუპვასაც. „ – ის იყო ჭეშმარიტი გმირი, ერთგული და თავდადებული ადამიანი. სწორედ ეს არ აპატიეს ქვეყნის მტრებმა!” – თქვა პრეზიდენტმა.

ბატონმა ზვიადმა, ლალის ოჯახისთვის გადასაცემად, შემდეგი შინაარსის წერილი გამომატანა:

,,ლალი მაისურაძის ოჯახს

დღემდე არ მქონდა საშუალება, სამძიმრის წერილი მომეწვდინა თქვენთვის. ლალი მაისურაძე იყო საქართველოსათვის თავდადებული, პრეზიდენტის ერთგული ადამიანი, რაც მას არ აპატიეს ჩვენი ქვეყნის უბოროტესმა მტრებმა, რომელთაც არაერთი ქართული ოჯახი შემოსეს ძაძებით.

ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, თქვენთან ერთად ვგლოვობ უდროოდ დაღუპულს. იგი საუკუნოდ დარჩება ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია. 1993 წ. 9 აპრილი"

ამ წერილის ფოტოასლი მაშინ დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“. დედანი ინახება ლალის დებთან.

მოგვიანებით, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ ინიციატივით, საქართველოს კანონიერი მთავრობის მიერ, ლალი მაისურაძეს მიენიჭა ეროვნული გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ).

ნოდარ კიკნაძე
მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ წევრი

# ნ ა ტ ვ რ ა

„რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა!“ – ინატრა ჭაბუკმა ლადო ასათიანმა.

ვერც კი გავამხელ, საქართველოს რომელი კუთხის რაიონულ ცენტრში გადავაწყდი ამ „ქუჩას“.

ვკითხულობ:

1. ვის გონებაში (თუ გააჩნია ასეთი რამ) გაჩნდა აზრი, ამ ორღობესთვის ქუჩა ეწოდებინა?
2. რატომ „გაიმეტა“ საამისოდ დიდი რუსთაველი?
3. რუსულენოვანი წარწერა რაღად დასჭირდა?
4. რა არის ეს, უცოდინარობა, თუ შეგნებული დანაშაული?

მურმან ლებანიძეს აქვს ასეთი სტროფი:

„ან ჭკვიანი მტერი არის,
ან უგნური მოყვარე!“

მადლობა ბატონ მურმანს, მადლობა ლადოს... მე კი ეს ვინატრე:
ამ „ულიცა რუსტაველიზე“ არ გამომევლო ნეტავ!





# ამბავი ორი ლექსისა

ძნელად წარმოსადგენია ქართული ლიტერატურის, ან ჩვენი ქვეყნის ისტორიის თუნდაც ზერელედ მცოდნე ისეთი ადამიანი, გაგონილი მაინც რომ არ ქონდეს პოეტ კოლაუ ნადირაძის ამ ლექსის შესახებ:

„25 თებერვალი“

თოვდა და თბილისს ეფარა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

ძილ-ღვიძლად იყო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი.

მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!

თოვდა და თბილისს ეფარა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,

ეფინებოდა გმირების გვამებს,
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.

თოვდა და თბილისს ეფარა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანმი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,

სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი,
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!

თოვდა და თბილისს ეფარა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

იმ წლებში ასეთი ლექსის დაწერა გმირობის ტოლფასი იყო და კოლაუ ნადირაძე სწორედ ამის წყალობით სამუდამოდ ჩაეწერა სახელოვან ქართველთა რიგებში.

ბატონი კოლაუ ურიგო პოეტი არ იყო. მის სიმამაცეზე ეს ლექსიც მეტყველებს. ერთი დიდი უცნაურობა კი სჭირდა: სასტიკად აკრიტიკებდა გალაკტიონს. მეტიც, აცხადებდა, რომ გალაკტიონი საერთოდ არ უნდა იწოდებოდეს პოეტად.

გალაკტიონის მხრივ არანაირი რეაგირება ამ შეურაცხყოფაზე ცნობილი არაა. თუმცა, ბოლოდროინდელ გამოცემებში გამოჩნდა ერთი ლექსი, რომელსაც საბჭოთა პერიოდში არათუ არ დაბეჭდავდნენ, თავად გალაკტიონიც არ აჩენდა.

ლექსი დიდად საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის ეხმიანება კ. ნადირაძის „25 თებერვალს“. უფრო სწორად, ეს არს იგივე ლექსის გალაკტიონისეული ინტერპრეტაცია:

## თოვლი

ხეები თოვლით დაფენილია,
ფერდობებს ფენენ თოვლის კრავები,
ზამთრის საღამოს მკრთალი ჩრდილია
ტფილისის სახლის სახურავები.

გულშიც პეპლები აუარება,
არა თეთრები, არამედ თალხი.
გადაბურულა ტროტუარები
და მიმავალი ქუჩაზე ხალხი.

ხეებში მოსჩანს ქაშვეთის ზოლი,
როცა მოწყენილ გზაზე გავედი,
მე დავინახე სახლებზე ბოლი,
და სულ არ სჩანდა მამა–დავითი.

მე არ მინახავს თოვლი იმდარი.
ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები,
მაგრამ კვლავ გაჩნდა მათი მინდორი,
მათი ნისლები და ბურუსები.

1921 წლის იმ საბედისწერო დღეს, ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, „ცისფერყანწელების“ ჩათვლით, თაიგულებით შეეგება რუსეთის ჯარს. თუმცა, მათთან ერთად არ ყოფილან ზემოთ ნახსენები კოლაუ ნადირაძე და გალაკტიონ ტაბიძე, აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ლევან გოთუა და სხვანი. ბედის ირონია მდგომარეობს იმაში, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ჩეკისტებმა სწორედ სწორედ ის, თაიგულებით დამხვედრნი დახვრიტეს, ხოლო არაკეთილმოსურნენი სხვადასხვა ვადით პატიმრობით გადარჩნენ.

ეს ამბავი მათთვის, ვინც ...

ნოდარ კიკნაძე – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი–ეროვნული აღორძინების“ წევრი

# მ ე ტ რ ო ს ვ ა გ ო ნ შ ი

ნუ მიეყრდნობით კარებს,
ნუ მიეყრდნობით,
გთხოვთ!
„დიდუბეს" ადგას მთვარე,
„გოცირიძეზე" თოვს.

ვაგონი მიგვაქანებს,
არ ეპუება დროს,
ნუ მიეყრდნობით კარებს,
ნუ მიეყრდნობით,
გხოვთ!

„ნაძალადევში" განა
მოგეძალებით მე,
„რუსთაველზე" ხომ მარად
თავზე დაგვნათის მზე.

ხომ არ შევცდით, რომ ავცდით
ვაჟა-ფშაველას ხაზს:
ისევ მივენდეთ უცხო
გამომცხადებლის ხმას.

ვაგონი მიგვაქანებს,
ცდილობს გაუსწროს დროს,
ნუ მიეყრდნობით კარებს,
ნუ მიეყრდნობით,
გთხოვთ!

ნოდარ კიკნაძე

* * *

აირია მონასტერი,
ერი, ბერი აირია.
ვინ მოყვარე და ვინ მტერი,
ვერაფერი გამიგია.

თუ გადარჩი, გწყალობს ღმერთი,
თუ არა, რა დაგრჩენია:
ერთი თეთრი საგიჟეთი,
ანდა, შუბლში კენტი ტყვია!

თუმცა, კრძალავს თავის მოკვლას
ჩვენი დედა ეკლესია,
საგიჟეთში ისეც ხომ ვართ?!
რეალობა ეგეთია.

ხო – და, მიდი, შეუბერე,
სანამ დაჰკრავს გლოვის ზარი,
ეს ქვეყანა ყველას გვიყვარს,
ოღონდ, ხელში ყანწი როცა არი!

მიდი, ძმაო შეუბერე,
სანამ დაჰკრავს გლოვის ზარი,
საქართველო  ყველას გვიყვარს,
ოღონდ... მოკლედ, როგორც არი!

ნოდარ კიკნაძე



საქართველოს უშიშროების კომიტეტის განსაკუთრებულ საქმეთა მნიშვნელობის უფროსი გამომძიებელი, სახელმწიფო საზღვრის დაცვის შიდა ინსპექციის უფროსი, „ექსპერტთა კლუბის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი

გ ო გ ი მ ა ი ს უ რ ა ძ ე

# მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი

## ლ ე ვ ა ნ გ ო თ უ ა

„მაღაროში ორ თვეში ერთხელ გვიწევდა მის მაგივრად ჩასვლა – იმ დღეს ორ ცვლაში ვმუშაობდით. ლევან გოთუას კი უნდა ეწერა, მაგრამ რაზე? რითი? არც ქაღალდი ჰქონდა, არც საწერ–კალამი. ვისაც რა შეეძლო, ის მოჰქონდა: მუყაოს ნაჭერი, ხის კარის ნატეხი, ფიცრები... მელანი ტექნიკურ სპირტში გაცრილი ქვანახშირის შერევით დაუმზადეს, კალამი გამოუქლიბეს. ,,გმირთა ვარამის” წერა ამ ,,ფურცლებზე” დაიწყო..."

რუსთაველის პროსპექტზე მომიტინგეთა გასათბობად დამწვარ წიგნებში ლევან გოთუას ,,გმირთა ვარამიც" იწვოდა ...

ვინც არ იცით, იქნებ ახლა მაინც წაიკითხოთ და იქნებ მოინანიოთ კიდეც....

ლევან გოთუას რომანი ,,გმირთა ვარამი" ვორკუტის საბჭოთა კოლონიაში დაიწერა. ეს ცოტამ იცის!

ვიდრე იმას დავწერდე, როგორ პირობებში იქმნებოდა ეს რომანი და რა სასწაული მოახდინეს ქართველმა პატიმრებმა, რომ ამ წიგნს ჩვენამდე მოეღწია, ძალიან მოკლედ შევეხები თბილისიდან ვორკუტამდე მწერლის ურთულეს გზას:

ბევრმა არც ის იცის, რომ ლევან გოთუა დ ი ს ი დ ე ნ ტ ი იყო და ამის გამო ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, 22 წელი, პატიმრობაში გაატარა!!!

1921 წლის თებერვალში დამოუკიდებელ საქართველოში შემოჭრილ წითელ არმიას 16 წლის ლევან გოთუა ტაბახმელაში, კოჯორსა და უძოს მთის მიდამოებში მტერს რამდენიმე დღე ებრძოდა.

1924 წელს 20 წლის იყო, პირველად რომ დაიჭირეს, 7 თვეში გაანთავისუფლეს, რამდენიმე თვეში, 1925 წელს ისევ დაიჭირეს და გადაასახლეს...

ლევან გოთუამ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა ყველაზე სასტიკი რეჟიმის საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში:

- იმიერპოლარეთში, სოლოვეცკის კუნძულებზე, სადაც ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით საშიშ პირებს – პოლიტიკურ პატიმრებს ათავსებდნენ.
- -მეორე გადასახლება ციმბირში, ნარიმის კოლონიაში გაატარა...
- -მესამე და უკანასკნელი გადასახლება კი, 1946 წელს მოხდა. მწერალი დააპატიმრეს და 10 წლით ვორკუტის კოლონიაში გააგზავნეს.

გადასახლებიდან 50 წლის დაბრუნდა... 5 ქალაქში, მათ შორის თბილისში ცხოვრება აეკრძალა...

სწორედ ვორკუტის კოლონიაში ქართველი პატიმრების დახმარებითა და ხელშეწყობით დაიწყო მწერალმა ,,გმირთა ვარამის" წერა. გადასახლებაში ძალიან ძნელი იყო შემოქმედებითი მუშაობა, მაგრამ როგორც ერთ-ერთი ყოფილი ქართველი პატიმარი, თუში იორამ ქააძე იხსენებს:

,,ორმოცდაათი ქართველი ვიყავით ვორკუტის ბანაკში. მე წერა-კითხვა ძლივს ვიცოდი, მაგრამ ამ ქართველებში ბევრი იყო განათლებული, მათ შორის ერთი ჯაფარიძე, რომელმაც გვითხრა: – ჩვენთან ძალიან დიდი მწერალი იხდის დაუმსახურებელ სასჯელს, როგორმე ვუპატრონოთ ამ კაცს, მივცეთ მუშაობის საშუალებაო. ყველა ერთხმად დაეთანხმა. მაღაროში ორ თვეში ერთხელ გვიწევდა მის მაგივრად ჩასვლა – იმ დღეს ორ ცვლაში ვმუშაობდით. ლევან გოთუას კი უნდა ეწერა, მაგრამ რაზე? რითი? არც ქაღალდი ჰქონდა, არც საწერ-კალამი. ვისაც რა შეეძლო, ის მოჰქონდა: მუყაოს ნაჭერი, ხის კარის ნატეხი, ფიცრები... მელანი ტექნიკურ სპირტში გაცრილი ქვანახშირის შერევით დაუმზადეს, კალამი გამოუქლიბეს. ,,გმირთა ვარამის" წერა ამ ,,ფურცლებზე" დაიწყო..

1951 წელს ვიღაცამ მოუტანა ,,პრავდისა", თუ „იზვესტიის" შეკვრები ურიკით და გაზეთის არშიებზე შეუდგა წერას ...

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების მერე, ბანაკში ქაღალდის შოვნა შესაძლებელი გახდა".

დიდმა მწერალმა მთელი ნაშრომი გადაწერა, მაგრამ..........

,,დაწერილის ბანაკის ტერიტორიიდან გამოტანა და გადმოგზავნა განსაკუთრებულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. დიდად დაეხმარნენ ვორკუტაში მცხოვრები პატიმრობამოხდილი ქართველები, რომლებიც იმავე მაღაროში მუშაობდნენ. მათ გამოჰქონდათ ხოლმე ნაწერი – ხშირად თითო ფურცლობით. მაგრამ მერე განიზრახეს დიდი მოცულობით გამოეტანათ. ამისათვის ასეთი ხერხი მოიფიქრეს. მაღაროების გასამაგრებლად მოჰქონდათ მორები. ზოგიერთი ,,პრარაბი" ამ მორებს მოსახლეობას მიჰყიდიდა ხოლმე. ლევანის ხელნაწერისათვის ასეთ მორებში სამალავი გააკეთეს – ამოჭრეს, ფურცლები ჩადეს, ზედ ისევ მორის ნაჭრები დააფარეს და ტალახით შეგოზეს. შემდეგ ეს ხე-ტყე ერთ-ერთმა ქართველმა შეისყიდა, სახლში რომ მიიტანა, ცოლი აუტყდა – კაცო ეს მორები რაღად გინდოდა, ნახე რამდენი გვაქვსო. ის კაცი შესაფერის დროს ელოდა, რომ ხელნაწერი სამალავიდან შეუმჩნევლად ამოეღო, ამასობაში ცოლმა, რომელმაც არაფერი იცოდა, მორებს გაყიდვა დაუპირა. შეიძლება ითქვას, რომ ,,გმირთა ვარამის" ორიგინალი სულზე გადარჩა.

ამ ისტორიის მოსმენისას შეიძლება ითქვას, რომ ,,გმირთა ვარამი" ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი თ ვ ი თ შ გ ნ ე ბ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ა! რომელიც დღეს, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს უბირმა, სულიერად გაღარიბებულმა და დაცემულმა შვილებმა რუსთაველის პროსპექტზე დაწვეს, სადაც ერთი გონიერი ადამიანიც არ აღმოჩნდა, რომელიც ცეცხლს გამოსტაცებდა იმ რომანს, რომლის ჩვენამდე მოსაღწევად გადასახლებაში მყოფი ადამიანები საკუთარ თავისუფლებასა და სიცოცხლეს სწირავდნენ!

ხატმებრძოლობა, მკვრეხელობა, წიგნების კოცონი – ეს ის გზა არ არის, რომელიც ქვეყანას ჩიხიდან გაიყვანს!!!

გეშინოდეთ ურწმუნოთა, უბირთა, სულიერად დაცემულთა მმართველობის, ადამიანების, რომელთა ეროვნული თვითშეგნება ნულს ქვემოთაა!

# ისტორიის ერთი ფურცელი
# ამბავი მწერალ ლევან გოთუას გადარჩენისა ქუთაისელი პატიმარის შალვა იოვიძის (იობიძე) მიერ

მთხრობელი - აფხაზეთიდან დევნილი, ოჩამჩირელი ინჟინერ-მშენებელი ომარ ჟვანია.

„...ქუთაისელი მეგობარი შალვა იოვიძე (იობიძე) გავიცანი 1972 წელს ქ. სოხუმის ,,საქსანტექმონტაჟის" სამმართველოში როდესაც შალვა გაგრა-ბიჭვინთის, ხოლო მე, გუდაუთა-ახალი ათონის სამშენებლო უბნის უფროსი გახლდით.

სამმართველოში ყოველკვირეულ თათბირზე ყველა საქმის მწარმოებელი იყრიდა თავს და პირველად სწორედ აქ შევხვდით ჩვენ ერთმანეთს. იმთავითვე მან ჩემზე ძლიერი, დიდი ნებისყოფის მქონე პიროვნების შთაბეჭდილება დატოვა, რაც გამომჟღავნდა თათბირის მსვლელობის პროცესში. შალვა იოვიძე სამმართველოს უფროს თენგიზ იაშვილს რაღაც საწარმოო საკითხზე შეეკამათა. შექმნილი უხერხული ვითარების განმუხტვის და დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით შალვამ ბოდიში მოიხადა და თათბირი ისე დატოვა.

სიჭარმაგეში გადასული შალვა, მთელს კოლექტივში გამოირჩეოდა დიდი პროფესიული გამოცდილებით. ის იყო ღრმად მოაზროვნე პიროვნება. რჩევებსა და კონსულტაციას არ იშურებდა ახალბედა სპეცილიისტებისათვისაც. აღნიშნულის და სხვა კეთილშობილური ადამიანური თვისებების გამო ის თანამშრომლებში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

მომხდაარი ინციდეენტის შემდეგ, შალვა რამდენიმე თათბირს არ დააესწრო... შინაგანი გრძნობა მკარნახობდა, რომ ის ჩვენთან მუშაობას აღარ გააგრძელებდა. ამ ფიქრებში ვიყავი როდესაც გულმა მისკენ გამიწია და ოჯახში, ქ. გაგრაში ჩავაკითხე. როცა დამინახა, უზომოდ გაიხარა. დამათვალიერებინა თავისი სახელოსნო საწარმოო ბაზით. ნანახით სახტად დავრჩი: მექანიკური სახელოსნო რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულების დაზგებით, ავტოსარემონტო ფარეხი, მზა პროდუქციის საწყობი აკურატულად დალაგებული და დახარისხებული თაროებით, ათასი წვრილმანით. მან გაოცება რომ შემატყო, მომმართა: „ყველაფერ ამას რამოდენიმე წელიწადი ჩემი ხელით ვქმნი, დიდი შრომა და ჯაფა მოვანდომე, ასე რომ, მზად ვარ დამოუკიდებელი სამეურნეო ხარჯის უბანი შევქმნა. შენი მუშაობის პერსპექტივას სოხუმში ვერ ვხედავ. ვიცი, რომ ყაზახეთში მუშაობდი სპეცსამუშაოებზე და კარგახანსაც. რა დაგიმალო და, მე დავინტერესდი შენით და შენ უბრალოდ თვითონ დამასწარი. გირჩევ, გადმოხვიდე გაგრაში და დაიწყო ჩემთან მუშაობაო. სამომავლოდ გაგრასა და ბიჭვინთაში დიდი მშენებლობებია დაგეგმილი და სპეცსამუშაოებიც გამოულეველი გველოდებაო".

მოულოდნელობისგან დავიბენი, ვერაფერი ვერ მოვიფიქრე. აღელვება შემატყო, დამიყვავა. ნამგზავრი ხარ, სადილის დროა, ვისადილოთ და ამ საკითხს მერე დავუბრუნდეთო. ისე დაჯერებულად და სადად შემომთავაზა ახალი სამსახური, თითქოს დიდი ხნის ძმაკაცები ვყოფილიყავით. რესტორანში არ გპატიჟებ, საერთოდ, გავურბივარ ამ დაწესებულებას, ღმერთმა დამიფაროს, არა ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ სულ სხვა მიზეზით, რასაც, ალბათ, მოგვიანებით მოგიყვები. ახლა კი შევიაროთ ჩემს ნაცნობ მზარეულთან, მუჟუჟის ქებულ ოსტატთან და იქიდან კი ჩემს ბინაში. დღეს შენ არსად არ გაგიშვებო.

ბიჭვინთის შესახვევთან ერთ პატარა სასადილოში შევედით. შალვა შინაურულად მიესალმა წარმოსადეგი გარეგნობის ჭარმაგ თეთრხალათიან მზრეულს და რაღაცა ანიშნა. ის მყისვე დაფაცურდა და გამოიტანა თეთრ ტილოში შეფუთული მოზრდილი ჯამი. ჩვენ მას დავემშვიდობეთ და ქალაქის ცენტრისკენ გავეშურეთ. ხუთ სართულიან ,,ხრუშჩოვკასთან" გააჩერა შალვამ მანქანა, სარდაფში შევედით. თაროებზე განლაგებული ღვინით სავსე ბოცები, უთვალავი ქილები წნილითა და პომიდვრით, დაბალი მაგიდა ტაბურეტებით, მაცივარი, გაზის ქურა, აკურატულად ჩამომწკრივებული სხვა საჭირო ნივთები, ხორაგი.

ეს ყოველივე საამო შთაბეჭდილებას ტოვებდა შესაშურ წესრიგთან და სისუფთავესთან ერთად.

შალვამ სახელდახელოდ გაშალა სუფრა. გუდის ყველი, იმერული მწნილი, მუჟუჟი ნიორწყალში, ახალგამომცხვარი მჭადები – ყველაფერი ეს ერთ თვალისდახამხამებაში, იმერულად განალაგა სუფრაზე. სამივე ბოცადან ჭაშნიკი ამაღებია. მე ალადასტური ავირჩიე და მადიანად შევექეცით სადილს...

თითქმის ორმოცდაათმა წელმა განვლო მას შემდეგ, მაგრამ დაწვრილებით მახსოვს იმ ჩვენი შეხვედრის ყოველი წვრილმანი, რომელსაც ჩვენი მომავალი, ურყევი მეგობრობის ბედნიერ საწყისად მივიჩნევ.

უცბათ გაირბინა შესვენებისთვის განკუთვნილმა დრომ. მე წამოვდექი და შევახსენე მასპინძელს ამის შესახებ. – ,,არა, დღეს მე სხვა სამუშაო რეგლამენტი მაქვს და გთხოვ ამაზე არ იდარდოო”. რა ძალა მქონდა, სუფრას მოვუბრუნდი და ჩვენი სადილი თანდათანობით ნადიმობაში გადავიდა. შეუდარებელმა ,,ალადასტურმა” საქეიფოდ განგვაწყო. სადღეგრძელოები ერთმანეთს ცვლიდა და ლაპარაკის მადა ორივეს გაგვეხსნა. შალვას შევეკითხე, გვარი ,,იოვიძე” ,,იობიძისგან” ხომ არ არის ნასესხები მეთქი? ,,სწორედ ასეა”, – მიპასუხა. მამაჩემს, სერაპიონ იობიძეს ერთმა რუსმა ნაცნობმა თურმე ურჩია, რუსულად ცუდად ჟღერს შენი გვარი და ან გამოიცვალე, ან შეარბილეო. გამოცვლაზე მამაჩემს უარი უთქვია, ხოლო შერბილებულად ,,იოვიძე” გამოსვლია. მას შემდეგ ეს გვარი დაგვენათლაო. ,,სანამ მეუღლე სამუშაოდან დაბრუნდება და ბინაში ავალთ ჩაის დასალევად, მოგიყვები ზოგიერთ რამეს ჩემი შფოთიანი ცხოვრებიდანო” – თქვა შალვამ და მეც ყურად ვიქეცი. კარგად რომ დავაკვირდი, შევნიშნე, რომ შალვას ერთი თვალი პროტეზიანი ჰქონდა. ოსტატურად ჩადგმული პროტეზი დაუკვირვებლად არ შეიმჩნეოდა. ის მიხვდა ჩემს დაკვირვებას და ალბათ ამიტომ გადაწყვიტა განემარტა ჩემთვის ამ ფიზიკური ნაკლის მიზეზი.

,,მე და ჩემმა უმცროსმა ძმამ ოთარიმ საშუალო სკოლა წარმატებით დავამთავრეთ. გააგრძელა თხრობა შალვამ. ოთარიმ უმაღლესის სარკინიგზო ფაკულტეტი დაამთავრა და ორმოციანი წლების მიწურულს მივლინებული იქნა აფხაზეთში, განთიადის რკინიგზის სადგურის უფროსად. მე სამამულო ომის მიწურულს დავამთავრე მფრინავთა სკოლის ერთწლიანი კურსები და მფრინავად გამამწესეს ამიერკავკასიის სამხედრო მფრინავთა პოლკში. სპეციალური დავალების შესრულებისას ირანში ჩემს ,,გამანადგურებელს” ცეცხლი წაეკიდა და იძულებითი ავარიული დაფრენის დროს მიწასთან ძლიერი შეხების გამო გრძნობა დავკარგე. გონს უკვე სამხედრო ჰოსპიტალში მოვედი. რამდენიმე რთული ოპერაციის გდაატანა მომიწია და ერთი თვალის დაკარგვის შემდეგ თვეზე მეტი დავყავი იქ. როდესაც გამოვკეთდი, ომიც დამთავრდა. პოლკიდან თადარიგში დამითხოვეს და როგორც ოფიცერი თბილისში, იარაღის ტარების უფლებით დავბრუნდი. მშვიდობიანმა ვითარებამ და სამშობლოს სითბომ მალე ჭანზე მომიყვანა. ძალიან მენატრებოდა საყვარელი ქუთაისი, მშობლები. გავხდი პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. ერთხელ, ახალგაცნობილ სტუდენტ-მეგობრებთან ერთად შევიარეთ რესტორან ,,დარიალში”. თან გვახლდა მშვენიერი გარეგნობის ქალიშვილი სახელად ნუნუ, რომელზეც ყველა ჩვენთაგანი მალულად ვიყავით შეყვარებული. რესტორანი ხმაურით დაგვხვდა. თავისუფალი ადგილები თითქმის არ იყო და ამიტომ იძულებულები გავხდით შექეიფბული სამხედროების გვერდით დაავმსხდაარიყავით. მე, როგორც ხნოვანებით უფროსი, თამადად ამირჩიეს. დაახლოებით შუა სუფრაზე გვერდით მაგიდიდან მთვრალმა რუსმა ოფიცერმა ჯიქურ გაიწია ჩვენსკენ და მოურიდებლად სტაცა ხელი ნუნუს – მეცეკვეო. ქალიშვილი დაფრთხა, გაინაბა. ოფიცერი არ მოეშვა და ლამობდა როგორმე დაეთრია შეშინებული გოგონა.

,,Оставьте ее в покое, вы пьяны, не видите разве ее состояние?” აღგზნებული მივვარდი მთვრალს. ,,А ты молчи, одноглазый урод” (შენ იყუჩე, ცალთვალა მახინჯო) – მომახალა მომხვდურმა და ხელი წაიღო ტაბელური იარაღისკენ. მე მას დავასწარი და ორჯერ ვესროლე. ის იქვე ჩაიკეცა. ყველაფერი მოხდა ისე სწრაფად და მოულოდნელად, რომ გონს მხოლოდ მილიციის განყოფილებაში მოვედი.

რა გავაგრძელოთ და, სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა გამომიტანა. მე ყველაზე მეტად მშობლების ჯავრი მკლავდა. დედაჩემი ლოგინად ჩავარდა. მამა არ ჰკარგავდა მხნეობას, დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ საიმედო უფროს შვილს არ შეეძლო ასეთი მძიმე დანაშაულის ჩადენა, რომ არა სათანადო გამოწვევა. მამამ სიყრმის მეგობარს, საქვეყნოდ ცნობილ მწერალს და დრამატურგს შალვა დადიანს აუხსნა საქმის ვითარება და სთხოვა მას ეშუამდგომლა სტალინთან შვილისთვის სიცოცხლის შენარჩუნებაზე. მოსმენილით შეძრწუნებულმა ნათლიამ აღუთქვა დახმარება სასომიხდილ მამას და ეახლა ბელადს მოსკოვში, რომელთანაც აკავშირებდა კარგა ხნის ნაცნობობა. სტალინს პატივით მიუღია დიდი ხნის უნახავი თავისი თანამოაზრე და მოულოდნელი ვიზიტის შინაარსი რომ გაუგია, უკმაყოფილოდ უთქვამს: უმძიმესი დანაშაული ჩაუდენია შენს ნათლულს. ის ღირსია იმ განაჩენის, რომელიც მას სასამართლომ გამოუტანა, მაგრამ სიცოცხლის შენარჩუნებას ალბათ იმსახურებს, რახან შენისთანა პიროვნება ასე შეწუხებულაო. სააპელაციო სასამართლო განიხილავს საქმეს შენი მოყოლილის საფუძველზე და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებასო.

მოსკოვიდან ცნობას დიდხანს არ დაუყოვნებია. განაჩენი ოცდახუთი წლით თავისუფლების აღკვეთით შემიცვალეს. გამამწესეს ციმბირში, ვარკუტის შახტებში. არა ადამიანურ პირობებში მომიხდა სასჯელის მოხდა. 150 კაცამდე ვიყავით მიწის ქვესკნელში, პოლიტიკურები და კრიმინალები ერთმანეთში არეული. მხოლოდ რკინის ნებისყოფისა და ფენომენალური ჯანმრთელობის მქონენი უძლებდნენ ყველაფერ ამას. ღმერთს დაუბედებია ჩემთვის ის ცხოველმყოფელი ძალა და რწმენა სიცოცხლისადმი, რაც შეუძლებელს შესაძლისად ხდის. წუთითაც არ ვივიწყებდი, რომ ქართველი ვარ, საქართველოდან სადააც მეგულებოდა ჩემ მიერ განაწამები, დღე და ღამე ჩემზე მლოცავი მოხუცი მშობლები. ფიქრებში მუდმივად ველაციცებოდი ჩემს ქუთაისს, დიდ-ველას, ბაღდადს და ეს მმატებდა ძალასა და მხნეობას. გეგმის ორ ნორმას ვასრულებდი, მუშაობის გაუგონარი ჟინი მომაწვა. ბევრმა ხელაღებულმა მომიწყო საქმის სპეციალური გარჩევა ე.წ. ,,რაზბორკა”, მუქარითა და დაშინებით: ,,Не по нашему ведешь себя”. მე სხვა გზა არ მქონდა, ერთ-ორს კისერი როცა მოვუგრიხე, სხვები დაცხრნენ. ზედმეტსახელად მათ მე ,,სულიკო” შემარქვეს. დიდი და პატარა ჩემსკენ ისწრაფვოდა საჩივლელად და თან რჩევებისათვის. ხშირად ვქომაგობდი დავრდომილთ და იმედ დაკარგულებს. ვახერხებდი მათთვის ძალზე მწირი ულუფის ე. წ. ,,პაიოკის” გაზრდას. დაუცველ ,,პოლიტიკურებს” ვწყალობდი. ბევრი სამუდამოდ ჩარჩა იმ შახტებში, მაგრამ ბევრსაც შეძლებისდაგვარად ამოვუდექი გვერდში.

ერთხელ გამომიძახა მთავარმა ,,ნადზირატელმა” და მეუბნება: შენმა კოლეგებმა თხოვნით მოგვმართეს, რომ შენ იყო მათი ბრიგადირი, ჩვენც დავთანხმდით და კიდევ, ჩვენი ხელმძღვანელობა რეკომენდაციას გიწევს განაჩენის განახევრებაზე შენი მუყაითი შრომისა და დამსახურებული ავტორიტეტისათვისო. მოულოდნელობისგან ლამის ჩავიკეცე ამხელა კაცი, ალბათ დედ-მამის ლოცვამ გზა გამოიკვლია ჩემსკენ – მეთქი. ახლად მონიჭებული მდგომარეობით არც კი მისარგებლია, ვინაიდან ვგრძნობდი, რომ ,,სულიკოს” ისედაც ენდობოდა ის ძალზე ჭრელი კონტიგენტი. მხოლოდ ერთ აუცილებლობაზე მივუთითე ყველას: ,,არავითარი ჩივილები ერთმანეთის მიმართ, და არავითარ ,,რაზბორკებს” არ გპირდებით, არ მიიყვანოთ საქმე იქამდე, შრომის ნორმის შესრულება უწინარეს ყოვლისა: ვიშრომოთ საერთო დევიზით: ,,ერთი ყველასათვის, ყველა ერთისთვის”. სხვანაირად ჩვენ ჩვენს ოჯახებს ვერ დავუბრუნდებით თქო”. ეს იყო და ეს. მათთან სხვა რაიმე საუბრები და დარიგებები მე საერთოდ არ დამჭირვებია.

ერთხელ, ერთი პოლიტპატიმარი მეუბნება: შახტის ერთ-ერთ ბრიგადაში ვინმე ქართველი პოლიტპატიმარი სულს ღაფავს, მწერალი უნდა იყოსო. გავიკითხე და ქართველი მწერალი ლევან გოთუა აღმოჩნდა, იმ დროს საქართველოში ნაკლებად ცნობილი. მივაკითხე, გავეცანი, გამოველაპარაკე. ვიხილე დაბეჩავებული, სიკვდილისთვის განწირული, ცოტაოდენი სიცოცხლის რესურსით. მან მაჩვენა ერთი დასტა ხელნაწერებისა და მწარედ აღმოხდა: „ვატყობ, ვერ მოვასწრებ დამთავრებას. ეს ჩემი ცხოვრების მიზანი იყო და ალბათ ჩემს სამშობლოსაც ვერ ვიხილავო“... მე დავამშვიდე, დავაიმედე, გიშველი მეთქი. იმდენს ვეცადე, რომ რამდენიმე დღეში ჩემთან

გადმოვიყვანე, ორმაგი ულუფა (,,პაიოკი”) მოვუხერხე და ელექტროფარზე ჩამრთველად განვაწესე.

დილას, შუადღეს და საღამოს ჩართავ და გამორთავ მეთქი. კუთხე მივუჩინე პატარა მაგიდით და ტაბურეტით. წერისთვის ქაღალდების საგრძნობი შეკვრა ვუშოვე და დავუყვავე: იჯექით აქ, ხელს არავინ შეგიშლით, რამე თუ დაგჭირდათ, შემატყობინეთ მეთქი. ორ წელიწადში მკვდრეთით აღმდგარმა ლევან გოთუამ დაამთავრა თავისი წიგნი ,,გმირთა ვარამი”, რაც დაემთხვა მის რეაბილიტაციას და განთავისუფლებას. მას გზა დავულოცე, ცოტა ფულითაც შევეწიე. მე თქვენ სიცოცხლის ბოლომდე ,,მეხსომებით” – აკანკალებული ხმით ჩამჩურჩულა მან. სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში მისი მადლიერებით გაცისკროვნებული სახე და თვალები.

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, ქ. თბილისში ვინახულე ლევან გოთუა. მაშინ ის უკვე ყველასათვის საყვარელი და საყოველთაოდ ცნობილი დიდი რანგის მწერალი. მაშინ ის საქართველოს ალპინისტთა საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ. ჩემი დანახვით მან უზომოდ გაიხარა. მაშინ გამაცნო თავისი და მისი ოჯახით. ენით აუწერელი გრძნობა დამეუფლა. ჩემთვის ვიფიქრე: ნუთუ ეს ის წელმოხრილი, ლოყებჩავარდნილი, სასომიხდილი კაცის ორეულია!? ახლა ეს გოლიათი და მიმზიდველი, რაინდული აღნაგობის პიროვნება?...

,,ჩემი მხსნელი ანგელოზი” –რამდენიმეჯერ გაიმეორა აღგზნებულმა მასპინძელმა და ისევ გადამეხვია. ,,გმირთა ვარამის” ორტომეულით დასაჩუქრებული დავემშვიდობე მას და მისი დის ოჯახს...

ჩაიწერა: გოგი მაისურაძემ

ჟურნალ „მატიანეს" რედკოლეგიას!

„მჯერა რა თქვენი რედაქციის ჩვენდამი კეთილგანწყობისა, იმედს ვიტოვებ, რომ საზოგადოება და თქვენი ჟურნალის მკითხველები დიდი ინტერესით გაეცნობა ჩემი რესპოდენტის – ბატონ ომარ ჟვანიას მონათხრობს თქვენს თანამოქალაქე შალვა იოვიძის(იობიძის) შესახებ, რომელსაც მართალია პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა, მაგრამ ქართველებს გადაგვირჩინა ჩვენი საამაყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან გოთუა!

აფერუმ, მის ვაჟკაცობას, ქართველ კაცობას და მეგობრობისადმი ერთგულებას!

ღრმა პატივისცემით, გოგი მაისურაძე
2023 წლის 10 ნოემბერი

# ამონარიდი ჩანაწერიდან „დიდი ოჯახი“ პროფესიით ექიმ შერმადინ მაისურაძის შესახებ



თვით უფალი არ მაპატიებდა იმას, რომ ქ. ვლადივოსტოკში მცხოვრებ ქართველებს შორის ამაგდარ ადამიანებზე რამე არ მეთქვა, ან არ დამეწერა. ამჯერად ერთ გამრჯე, გამჭრიახ, რაჭული სიდინჯით გამორჩეულ, შესანიშნავ მეურნეზე, მეოჯახეზე და წინამძღოლზე – ნესტორ მაისურაძეზე უნდა მოგახსენოთ.

სანდო წყაროებიდან ჩემთვის ცნობილია, რომ ის სხვებთან ერთად გუდაუთის რაიონის ს. ახალსოფელში გასული საუკუნის 40-იან წლებში ამბროლაურისა და ონის რაიონის მშრომელების გეგმიური ჩასახლების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი ყოფილა. იქ დასახლების შემდეგ, მისი მრავალსულიანი ოჯახი გუდაუთის რაიონში ავტორიტეტული და მრავალ სტუმრიანი იყო. ყოველივე ამას განაპირობებდა ოჯახის სახელოვან მამულიშვილთა დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე.

ერთი სტატიის ფარგლებში ყოველ მათგანზე ვერ შევჩერდები რადგან მიმაჩნია, რომ ეს უახლოესი მომავლის საქმეა... ამიტომ მოკლედ მოგითხრობთ ნესტორ ბაბუას შუათანა ვაჟიშვილის სევარიონ მაისურაძის ოჯახზე.

სამი ათეული წლის განმავლობაში გუდაუთის რაიონის მუნიციპალიტეტში ის იყო ახალსოფლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც თანასოფლელებს შორის, ასევე აფხაზეთის მრავალეროვან მოსახლეობაში და რეგიონის მმართველობით ორგანოებში. მასთან თავისი პრობლემების მოგვარებაში დახმარების თხოვნით ხშირად ნახავდით არა მარტო თანასოფლელებს არამედ სხვა რაიონის გლეხ-კაცობას და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებსაც კი. ჩემი ყმაწვილკაცობის ჟამს პირადად არაერთხელ შევსწრებივარ ასეთ საქმიან შეხვედრებს...

ოჯახური ტრადიციების კვალობაზე, თავის ერთგულ მეუღლე გენუშა ჯელაძესთან ერთად მათ სამშობლოს აღუზარდეს ხუთი განათლებული და წარმატებული შვილი. ორი ვაჟი – გურამი და შერმადინი, სამი ქალბატონი: ცისანა, იმაზე და ნათელა.

პროფესიით ექიმმა შერმადინმა, ბავშვობიდან თანდაყოლილი შრომისმოყვარეობის, სხვადასხვა რეგიონებში მუშაობის პერიოდში დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების წყალობით ათასობით მოქალაქეს უმკურნალა და ბევრ მათგანს სიცოცხლეც კი შეუნარჩუნა. მათ შორის იყვნენ ჩვენი საერთო ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები უბრალო მოქალაქეები და გლეხ-კაცობა.

მის მიერ გავლილი რთული ცხოვრების გზიდან მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გამოვყოფ. მან ჯერ კიდევ საბჭოთა არმიის (საზღვაო ფლოტში) სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მიიქცია უშუალო მეთაურების ყურადღება როგორც ნიჭიერმა, გონებამახვილმა, უშიშარმა და ფიზიკურად ძლიერმა მეზღვაურმა. მას როგორც თავისუფალი სტილით მოჭიდავეს მის წონით კატეგორიაში მართლაც ბადალი არ ჰყავდა და წლების განმავლობაში ჩემპიონის ტიტულს ინარჩუნებდა. რუსეთის ფედერაციის შორეულ აღმოსავლეთში წყნარი ოკეანის საზღვაო ფლოტში სამხედრო სამსხურის დასასრულს, მას შესთავაზეს სწავლის გაგრძელება სამედიცინო ინსტიტუტში. მისაღები გამოცდების ჩაბარების და სტუდენტად ჩარიცხვიდან სულ მოკლე დროში, შერმადინს მოუწია ამავე ინსტიტუტის სახელით საჭიდაო ხალიჩაზე გამოსვლა და მისი სპორტული ღირსების დაცვა. აქაც მან ჩემპიონის მორიგი გამარჯვება იზეიმა. ამის შესახებ შეიტყვეს ქ. ვლადივოსტოკის ქართული დიასპორის უხუცესებმა: ივანე ლობჟანიძემ და

ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილმა, სხვა ქართველმა თანამოქალაქეებმა და ყოველ შეჯიბრზე ისინი მის ასპარეზობას გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს... შერმადინს დიდ პატივს სცემდნენ არა მარტო ქართველები, არამედ იმ წლებში იქ მცხოვრები რუსები და უკრაინელები; კავკასიის ხალხების წარმომადგენლები: ოსები; დაღესტნელები; სომხები; ადიღეელები და სხვები რომელთა შორის მას ბევრი მეგობარი ჰყავდა.

შერმადინი ამ სამეგობროს შესაძლებლობებს რიგ შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, იყენებდა იმ ახალგაზრდობის პრობლემების მოსაგვრებლად რომლებსაც მან გზა გაუკვლია შორეული აღმოსავლეთისკენ ან დახმარებისათვის თვითონ მიმართავდნენ. ხაზგასმით უნდა ავღნიშნო, რომ ის ყოველ მათგანს ყოველგვარი ანგარების გარეშე ეხმარებოდა.

ამის დასტურად საკმარისია ითქვას, რომ მე პირადად ძალიან საამაყოდ მიმაჩნია ის, რომ იმ ბედნიერთა შორის ვიყავი ვინც მას ქ. ვლადივოსტოკში დაუფიქრებლად, ყოყმანის გარეშე გავყევი და ამის გამო არასოდეს არ მინანია... პირიქით, ძალზე ვამაყობ იმ წლებით, რომლებიც მის გვერდით ქ. ვლადივოსტოკში, მისი ხილული თუ უხილავი ხელშეწყობით გავატარე და დავეუფლე ფართო პროფილის იურისტ–სამართალმცოდნის პროფესიას...

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მაისურაძეთა მრავალრიცხოვან საგვარეულოს ჩემს გარდა შერმადინის წყალობით შეემატა ათზე მეტი უმაღლეს დამთავრებული სპეციალისტი: (ექიმები, ეკონომისტები, ბიოლოგები, მშენებლები და სხვა) რომლებიც განათლების და სპეციალობის მიხედვით გარკვეული გამოცდილების მიღების შემდეგ ძირითადად სამშობლოში დავბრუნდით და ქვეყნის სამსახურში ჩავდექით. ჩვენს შორის იყო ასევე შერმადინის მიერ იქ ჩამოყვანილი ახალ სოფლელი აფხაზი მეზობელი იგორ ვოზბა, რომელიც ეკონომისტის პროფესიას დაეუფლა.

ჩემი გადასახედიდან, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მაისურაძეების მრავალრიცხოვანი და სახელოვანი გვარიშვილები ყველგან წარმატებებს აღწევენ, მათ შორის პროფესიით ექიმ, შერმადინ მაისურაძეს სიკეთის ქმნაში ისევე როგორც ჭიდაობაში – ბადალი არ მოეპოვება...

სულ ცოტა ხნის წინ ბატონი შერმადინი მხოლოდ 80 წლის შესრულდა!!!

ღმერთმა დალოცოს ის და მისი დიდი ოჯახი. გვიმრავლოს ქართველებს ასეთი მამულიშვილები!

ღრმა პატივისცემით და მოკრძალებით,
გოგი მაისურაძე (გოგილაანთი)
ქ. თბილისი. 2020 წლის 7 იანვარი



ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ერთი ჯგუფი ქ. ვლადივოსტოკში
ცენტრში შერმადინ სევარიონის ძე მაისურაძე
1968 წლის ზაფხული

# დ ე ნ ი ზ ა   ს უ მ ბ ა ძ ე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ამავე ცენტრის თეორიულ ბაზაზე ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

საზოგადოებრივი გაერთიანება „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ და თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის - „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი, ხელმძღვანელი და თეორიულ-ინტელექტუალური ლიდერი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

## ინფორმაციული ომი და საქართველოს ტერიტორიების დაპყრობა ინვესტიციების გზით

მცხეთა - მეორე იერუსალიმი და
„ახალი ისრაელის“ დედაქალაქი
ანუ
საქართველოს უძველესი
სამეუფო ქალაქის - მცხეთის
პროექტების: „მცხეთა-იერუსალიმისა“ და
„გეთსიმანიის ბაღის“
ანალიზისა და შეფასებისათვის

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

წაკითხულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“ სხდომაზე

პატივი მაქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“ წინაშე წარვდგე მოხსენებით ჩემი თვალსაზრისების გასაზიარებლად ორი უმნიშვნელოვანესი პროექტის: „მცხეთა-იერუსალიმისა“ და „გეტსიმანიის ბაღის“ შესახებ, რომელთა განხორციელებაც დღის წესრიგში დგას სრულიად ამჟამად, საქართველოს სახელმწიფოებრივი და საქართველოს ეკლესიისეული ერთობლივი ოფიციალური მხარდაჭერით. უფრო მეტი: ეს პროექტები, შეიძლება ითქვას, რომ როგორც სიმბოლურად, ასევე რეალურად, სიღრმისეულად განასახიერებენ დღევანდელი საქართველოს ეკლესიურისა და სახელმწიფოებრივი თანამშრომლობის ტენდენციას, იმ ერთიან იდეოლოგიურ ეკლესიურ-სახელმწიფოებრივ სულისკვეთებას, რომელმაც უნდა განსაზღვროს ჩვენი ქვეყნის- საქართველოს - უახლოესიც და შორეული პერსპექტივაც, და ამგვარად, ქართველი ერის მომავალიც. ბუნებრივია, ქართული მეცნიერება და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც დღეისათვის, მისი სამუშაო წესდებით, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს   ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი   მ რ ჩ ე ვ ლ ი ს სტატუსი აქვს მინიჭებული, გულგრილი მაყურებელი ვერ იქნება საქართველოს და ქართველი ერის მომავალთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესების უმთავრესი მეცნიერული საყრდენების განმარტებათა საჭიროებაში, ანუ რას ვაკეთებთ ჩვენს ქვეყანაში, რა მიზნით ვაკეთებთ და რის საფუძველზე?!

მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა აკადემიკოსებს: ბ ა ტ ო ნ რ ო ი ნ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ს ა და ბ ა ტ ო ნ ე ლ ი ზ ბ ა რ ჯ ა ვ ე ლ ი ძ ე ს, რომელთაც შესაძლებლობა მომცეს ჩემი თვალსაზრისების მოხსენებისა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად შექმნილი და ძალზედ საჭირო, და ძალზედ აუცილებელი „ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“ ღრმად პატივცემული წევრების წინაშე. არ შემიძლია საგანგებოდ არ აღვნიშნო, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, ჩვენი ქვეყანა, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის მაძიებელი საქართველო, იმდენად აბსურდული და თავისთავის საწინააღმდეგო იდეოლოგიითა და პოლიტიკური კურსით ცხოვრობს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში „ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“ დაფუძნება იმედს მიღვიძებს, რაღაც გარკვეული მასშტაბით მაინც განხორციელდეს, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ჩაყენება სახელმწიფოებრიობის სამსახურში და თავი დავაღწიოთ და ამოვიდეთ თანამედროვე მსოფლიო რეალობის ეროვნული, სტიქიური გაუცნობიერებლობის წყვდიადიდან. „ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“ დაფუძნება იმ ვითარებაში, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმაჩნია, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდებოდა, რისთვისაც მინდა მადლიერება გამოვხატო ბ-ნ გ ი ო რ გ ი კ ვ ე ს ი ტ ა ძ ი ს მიმართ და წარმატება ვუსურვო ამ ახლად დაფუძნებულ კომისიას ჩვენი საქვეყნო ინტერესების სამსახურში.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით კი ვფიქრობ, საინტერესოა, მოვიხსენიო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს დღევანდელ პარტნიორ ქვეყნად აღიარებული აშშ-ების ცხოვრებიდან: როდესაც ბ-ნი ბ ა რ ა კ ო ბ ა მ ა აშშ-ების პრეზიდენტი გახდა, ინაუგურაციის შემდგომი პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა, როგორც პრეზიდენტმა, ეს იყო შეხვედრა ამერიკის მეცნიერებთან, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მეცნიერთა გრანდიოზულ წარმომადგენლობასთან. სწორედ ამ პირველივე შეხვედრაზე განუცხადა მან ქვეყნის ინტელექტუალურ ძალებს, რომ ნებისმიერ სამეცნიერო საზოგადოებას ანიჭებს სრულ უფლებას, პირდაპირ და უშუალოდ ჩაერიოს სახელმწიფო მართვის პროცესებში. ეს განცხადება, მართალია, უფრო მოწოდებას ჰგავდა, მეცნიერთა მორალური ვალდებულების შესახსენებლად, რათა მათ საკუთარი პროფესიული ცოდნა ჩააყენონ სახელმწიფოს სამსახურში, მაგრამ უსათუოდ განმარტებაც იყო იმისა, რომ ამერიკელი მეცნიერებიც, გონებანი დღევანდელი ამერიკისა, ისევე უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი სახელმწიფოს მართვის შედეგებზე, როგორც თავად ხელისუფლება. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ების პრეზიდენტმა არა მხოლოდ მეცნიერული ცოდნის მნიშვნელობა წამოსწია წინ სახელმწიფო მართვაში, არამედ ხელისუფლების პასუხისმგებლობის გადანაწილებაც მოახდინა სახელმწიფოს მართვის შედეგებზე სამეცნიერო სიბრტყეში (ვსარგებლობ ბარაკ ობამას ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციულად გასაჯაროებული ტექსტით-დ.ს.). უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამავე გამოსვლაში, სრულიად ლოგიკურად, მეცნიერული აზრის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წინწამოწევიდან გამომდინარედ, ამერიკის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, პირველმა მსოფლიოში, ჩათვალა საჭიროდ ახლებურად განესაზღვრა 21-ე საუკუნის ზესახელმწიფოებრიობის სტატუსი, ანუ ზესახელმწიფოებრიობის ახალი მნიშვნელობა: -ჩვენს საუკუნეში ნამდვილ ზესახელმწიფოდ წარმოჩინდებაო ის ქვეყანა, რომელიც მიაგნებსო პლანეტის გადარჩენის გზებს ეკოლოგიური საფრთხისაგან - ბრძანა აშშ-ების ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, შვიდი წლის წინ. ვფიქრობ, ეს იყო ზესახელმწიფოებრიობის გენიალური დეფინიცია, საიდანაც, ჯერჯერობით, ჩვენს თვალწინ, მსოფლიოში მიმდინარე სრულიად ჯალათური, დამანგრეველი და ხალხების გამანადგურებელი ომებით თუ ვიმსჯელებთ, დღეისათვის უფსკრულებრ არის დაშორებული ამერიკის შეერთებული შტატებიცა და ახალი წესრიგის მსოფლიოც. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ დღევანდელი მსოფლიოს საშინელებანი, რამდენადაც ისინი „ბოლო ჟამის“ ნიშნებთან არის საყოველთაოდ გაიგივებული, და რამდენადაც ჩვენ, ჩვენი თანამედროვეობა თვითმხილველნი და მოწმენი აღმოვჩნდით ვირტუალური ჯალათური სახელმწიფოს შექმნისა და მისი ჯალათური ქმედებებისა, (ცხადია, ვგულისხმობ ქრისტიანებისათვის თავების წაჭრას, მარტო იმიტომ რომ ისინი ქრისტიანები არიან!), ყოველივე ამ ქმედებებისადმი მსოფლიო საზოგადოებრიობის უმწეობისა და ხშირ შემთხვევაში მსოფლიოს ამორალური დუმილის, უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს კაცობრიობის ისტორიის საბედისწერო გზაჯვარედინთან, იმ დიდი წინასწარმეტყველების სიახლოვესთან, რომელიც გათვლილ იქნა, როგორც მეორედ მოსვლა უფლისა და მოვლინება ნუგეშინისმცემლისა თავისდახსნისათვის კაცობრიული სიცოცხლის აღსასრულისაგან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ, უკვე მოხსენების სათაურშივე ხსენებული ორივე პროექტი: „მცხეთა-იერუსალიმი“-ცა და „გეთსიმანიის ბაღიც“, რომლებსაც, ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი, მიწიერი, ხალხის საცხოვრებელი და ებრაულ -კომერციული მიზანდასახულებანი ამოძრავებთ, დაკავშირებულნი არიან როგორც „მეორე იერუსალიმისა“ და „მეორედ მოსვლის“ საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ იდეებთან, ასევე ამ იდეათა გაყალბებულ, სპეკულაციურ შინაარსებთან, რის გამოც საფუძველი გვეძლევა, მივიჩნიოთ, რომ ამ „მცხეთა- იერუსალიმისა“ და „გეთსიმანიის ბაღის“ პროექტებით საქმე გვაქვს ებრაელ ე.წ. ინვესტორთა არა მხოლოდ კომერცი

ულ და ბიზნეს ამოცანებთან, არამედ უფრო რთულ, და ამასთან კომერციასა და იდეათა სპეკულაციაში შეფუთულ ფარულ და მძიმე განზრახვებთან. ამიტომ ჯერ ვუპასუხოთ კითხვას, თუ რას წარმოადგენენ ეს პროექტები თავის უმარტივეს, ანუ კომერციულ სახეში?

თავს ნებას ვაძლევ, საკითხი წარმოგიდგინოთ და გაგაცნოთ იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ჩემს ცნობიერებაში შემოვიდა. ცხადია, და ბუნებრივია, შემოვიდა იმ სამეცნიერო თვალსაზრისების შუქზე, რომელთა წარდგინება ფართო საზოგადოებრიობის წინაშე შევეცადე და ღვთის შეწევნით შევძელი, ფაქტიურად, სულ ახლახანს გამოცემული ჩემი გამოკვლევებით: 1) „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“(გამოიცა გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ, თსუ არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის ეგიდით, 2011-2012 წელს), და 2)„ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის - „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში“ (მოხსენება, წაკითხული ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ქალაქ ბათუმში, 2011 წლის სექტემბერში. ეს უკანასკნელი, სათაურით: „საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიპსის კარიბჭესთან“ გამოქვეყნდა „საერთო გაზეთის“ 2014 წლის დეკემბრისა და 2015 წლის იანვრის ნომრებში, სრული სახით. რედაქტორი: ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავა. მინდა განსაკუთრებული დაფასებით მოვიხსენიო ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავა, ჩემი, ესოდენ მწვავე და რთული პრობლემებით დატვირთული გამოკვლევის გამოქვეყნებისათვის. აღნიშვნას იმსახურებს ფაქტი, რომ ჩემს გარშემო, საზოგადოების მიერ, ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავას, როგორც რედაქტორის გაბედულება, აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებისათვის, გმირობის ტოლფასად იქნა შეფასებული). ამ ნაშრომებში გამოხატული თვალსაზრისების შუქზე მომიხდა 2015 წლის 8 ივლისს ინტერნეტ-ტელევიზიის - „ობიექტივის“ ეთერით ჩემი პოზიციების საჯაროდ წარდგინება „მცხეთა-იერუსალიმის“ პროექტთან დაკავშირებით, ბ-ნ ვაჟა ოთარაშვილის მიწვევით, რისთვისაც ბატონ ვაჟა ოთარაშვილსაც და ტელევიზია „ობიექტივსაც“ მადლობას მოვახსენებ, რამეთუ ეს გადაცემა აღმოჩნდა პირველი ხმამაღალი საჯარო გაჟღერება ამ კონსპირაციულ და ფარულ დინამიკაში მიმდინარე პრობლემისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული საზოგადოებრიობა საერთოდ არ არის საქმის კურსში, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. უფრო მეტი: მცხეთის მეორე პროექტი: „გეთსიმანიის ბაღი“, ჩემთვისაც, ცნობილი გახდა „მცხეთა-იერუსალიმის“ პროექტთან დაკავშირებული ჩემი საპროტესტო გამოსვლის შემდეგ, „ობიექტივის“ ეთერით. მოგეხსენებათ, ორივე ეს პროექტი, „მცხეთა-იერუსალიმიცა“ და „გეთსიმანიის ბაღიც“, იერუსალიმთან, ანუ ზოგადად ისრაელისა და საქართველოს ურთიერთმიმართების პოლიტიკურ გარიგებებთან, ამასთან გარედან მართულ პოლიტიკურ გარიგებებთან დაკავშირებული პროექტებია. მოგეხსენებათ ისიც, რომ ზუსტად ერთი წლის წინ 2014 წლის ოქტომბერში, თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მსოფლიო ებრაელობის წარმომადგენლობამ იზეიმა მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა სივრცეში ოფიციალური შემოსვლის 25 წლისთავი (აღსანიშნავია და უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომ ზეიმს საქართველოს პატრიარქი ესწრებოდა). ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისათვის ქართულ საზოგადოებრიობას არავითარი ყურადღება არ გამოუჩენია. ეს ოფიციალური და ხმამაღალი განაცხადი მსოფლიო ებრაელობისა ჩვენს დედაქალაქში, პირდაპირ გვიხსნის კარს ფარდაახდილი საუბრისათვის მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურებთან. ეს ღია განაცხადი არა მხოლოდ საშუალებას და შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი 25 წლის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პროცესები განვიხილოთ მსოფლიო ებრაელობის „ზეიმი“-ს კონტექსტში, არამედ გვავალდებულებს ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო სახელმწიფო პოლიტიკა (საშინაო საიდუმლო პოლიტიკის ჩათვლით ძალზედ გახმაურებული თავისი სახელგანთქმული ციხეებით და იქ განხორციელებული ღონისძიებებით) გავაანალიზოთ მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა საქართველოში ოფიციალური შემოსვლის, ანუ საქართველოს ებრაულ-მასონური სახელმწიფოებრივი მმართველობის კონტექსტში და დავაყენოთ პასუხიმგებლობის საკითხი მსოფლიოს ახალი წესრიგის შედეგებზე (ისევე, როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ანუ ახალი ნიურნბერგის პროცესის თაობაზე!). არავითარი მტკიცება არ არის საჭირო იმაში, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა საქართველოში ოფიციალურ შემოსვლასა და ე. წ. დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს იმ აბსურდულ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსს შორის, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე. უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენს მიერ განსახილველი ორივე პროექტი: „მცხეთა-იერუსალიმიცა“ და „გეთსიმანიის ბაღიც“ ერთერთი გარკვეული შედეგი და ასახვაა მსოფლიო ებრაელობის ოფიციალური შემოსვლისა პოსტსაბჭოთა საქართველოში. სანამ ამ პროექტების ანალიტიკას შევუდგებოდეთ, შევეცდები, ძალიან მოკლედ გადმოგცეთ ჩემეული ანალიტიკური ხედვა, საქართველოში მიმდინარე ეკლესიურ-სახელმწიფოებრივი პროცესების ამსახველი იმ რეალობისა, რომელთა ნიადაგზეც, ანუ რომელთა საფუძველზეც ეს პროექტები აღმოცენდნენ, როგორც საქართველოს უძველეს დედაქალაქში, მცხეთაში განსახორციელებელი პროექტები:

ჩვენს მიერ დოკუმენტურად იქნა მიგნებული, რომ საქართველოში, ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის ვითარებაში, 1990 წელს, მუშაობს ფარული სიონისტურ-მონარქისტული მოძრაობა, რომელიც ინფორმაციული ომის გზით ცდილობს ქართველ ხალხს თავს მოახვიოს აზრი,თითქოს საქართველოს ისტორიული დროშის სახელწოდებაში: „გორგასლიან-დავითიანში“ ებრაელთა ბიბლიური მეფე და მეფსალმუნე დავითი იგულისხმება და თითქოს ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტული: „დავითიანი“ ბაგრატიონთა ებრაულ წარმომავლობას ნიშნავს. ორივე ეს პრეტენზია მეტყველებს სიონისტურ-მონარქისტული მოძრაობის დაფარულ მიზანზე - საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის მითვისებაზე - ინფორმაციული ომის გზით. როგორც ვხედავთ, საქართველოს სამეფო ტახტზე პრეტენზიის გამოცხადებით, მსოფლიო ებრაელობა, რომელმაც, სულ ახლახანს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, 2000 წლოვანი დაკარგული სახლმწიფოებრიობა აღიდგინა, სამეფო ძალაუფლების აღდგინებისათვისაც ყოველი მიმართულებით იბრძვის. რამდენადაც ებრაული ისტორიული სახელმწიფოებრიობა სამეფო ძალაუფლებას გულისხმობს, ისრაელის გარკვეულ ძალებს სურთ შექმნან პოზიცია, რომ პრეტენზია ისრაელისა საქართველოს სამეფო ტახტზე, ისეთივე ბუნებრივია, როგორც ორიათასწლოვანი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. უკანასკნელ ხანებში ებრაელთა გარკვეული ძალები აქტიურად შეუდგნენ ასევე ც რ უ თ ე ო რ ი ი ს გავრცელებას, თითქოს ქ ა რ თ ვ ე ლ ი და ე ბ რ ა ე ლ ი ხ ა ლ ხ ი, ო რ ი ვ ე ე ს ხ ა ლ ხ ე ბ ი ე რ თ ი მოდგმისანი - ი ბ ე რ ი უ ლ ი მ ო დ გ მ ი ს ა ნ ი არიან. თუ დავაკვირდებით, ზემოთ აღნიშნულ იმ ორ პოზიციას, ანუ: ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიულ დროშაში - „გორგასლიან-დავითიანში“ - ებრაელთა მეფის ძიებას და ქართველ ბაგრატიონებში - ებრაული წარმომავლობისას, ხოლო მეორე მხრივ, ებრაელთა მცდელობას, რომ თავიანთი თავი ქართველური მოდგმისად წარმოაჩინონ, უნდა დავასკვნათ, რომ ებრაელებს სურთ, ჩვენ, ანუ ჩვენს მეფეებს ებრაელობა დააბრალონ, ხოლო თვითონ, მთელმა ებრაელმა ხალხმა - დაიბრალოს ქართველობა: ე. ი. ჩვენ-ქართველი ხალხი, ჩვენი მეფეების წარმომადგენლობით, ვყოფილვართ ებრაელები, ხოლო ისინი, როგორც ხალხი და როგორც მოდგმა, ყოფილან „ქართველები“, ანუ „იბერიელები.“

ქართველი ხალხისთვის წარმოუდგენელი ეს ებრაული პრეტენზია, როგორც ინფორმაციული ავანტიურა საქართველოს მიმართ, დოკუმენტურად არის გაცხადებული ერთერთი ქართველი ავტორის მიერ ჯერ კიდევ 1990 წელს გამოქვეყნებულ ე. წ. კვლევით-მეცნიერულ ნაშრომში, რომელიც დიდი ალბათობით დაკვეთილი გამოკვლევა უნდა იყოს (მხედველობაში გვაქვს ცირა ინწკირველის გამოკვლევა ქართული დროშების ფერთა სიმბოლიკის შესახებ). როგორც მოგახსენეთ, საკითხი ეხება საქართველოს ისტორიული დროშის სახელწოდების: „გორგასლიან-დავითიანის“ ახალ ინტერპრეტაციას. დასახელებული ავტორის აზრით „გორგასლიან-დავითიანად“ წოდებულ ქართველთა ისტორიულ დროშაში, „დავითიანის“ წოდებაში იგულისხმება ებრაელთა სახელგანთქმული მეფე დავითი, მეფსალმუნე და წინასწარმეტყველი და არა ქართველთა დიდი მეფე: დავით აღმაშენებელი. ქართული საზოგადოებისთვის წარმოუდგენელი პრეტენზია იმისა, რომ საქართველოს წმინდა ქართული ისტორიული დროშა გაგებულ იქნას, როგორც ქართულ-ებრაული, 1995 წლიდან იცვლება და ვლინდება საქართველოს პრო-სიონისტური ხელისუფლების მიერ ახალი პრეტენზიით: საქართველოს სახელმწიფო დროშად შემოტანილ იქნას დღეისათვის გაურკვეველი მნიშვნელობის ხუთჯვრიანი დროშა, რომლის დაკანონებაც ხდება ე. წ. „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლების მიერ. პოლიტიკურ წრეებში ეს დროშა „მიშას დროშად“ ხდება ცნობილი, ხოლო მისი ნამდვილი მნიშვნელობა და საქართველოს ტრადიციული შინდისფერი დროშის შეცვლის მიზანი რჩება აუხსნელი და გაურკვეველი. ფაქტობრივად, ფარულად, ხალხის თვალებში ნაცრის შეყრით, საქართველოს სახელმწიფო დროშად ცხადდება იერუსალიმის სამეფოს ისტორიულ დროშად ცნობილი და შემდგომ ე. წ. „ტამპლიერთა“, ანუ აზრობრივად ებრაელთა მეფის - სოლომონის „ტაძრელთა“ დროშად აღიარებული ხუთჯვრიანი დროშა. ამ დროშის საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადების იურიდიული კანონიერების, ანუ უკანონობის საგანგებო მკვლევარის, სამართლის დოქტორის, ბ-ნ ა ვ თ ა ნ დ ი ლ კ ა ხ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს წერილების მეშვეობით, დაგვიანებულ ყურადღებას ვაპყრობთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ 1997 წელს, გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, და საკმაოდ განათლებული პოლიტიკოსი ბ-ნი ა კ ა კ ი ბ ა ქ რ ა ძ ე სვამს გაოგნებულ შეკითხვას და ქართველ მეცნიერებს ავალებს, გაარკვიონ, რატომ სთავაზობს არსებული ხელისუფლება ქართველ ხალხს ახალ სახელმწიფო დროშად, ჰერალდიკის ისტორიაში კარგად ცნობილს, როგორც იერუსალიმის სამეფოს ისტორიულ დროშას?! საქართველოს ეკლესია ამ დროშას საკუთარ ინტერპრეტაციას უძებნის: ხუთ ჯვარს ქრისტეს ხუთი ჭრილობის მნიშვნელობას ანიჭებს და ეკლესიურ სივრცეშიც აკანონებს. იგი მუდმივად არის გამოფენილი წმ. სამების საკათედრო ტაძარში წმ. ნინოს ჯვრიან დროშასთან და მართლმადიდებლურ ხატებთან ერთად.

„ე კ ლ ე ს ი ა ქ რ ი ს ტ ე ს გ ა რ ე შ ე!“ - ასეთიაო თანამედროვე ევროპის მასონური დევიზი! - გვითხრა თბილისში ჩამოსულმა ერთმა ევროპელმა სტუმარმა ვატიკანიდან, 90 წლის კარდინალმა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საკონფერენციო

დარბაზში გამართულ შეხვედრაზე. სწორედ ამ დევიზის განხორციელებად გვესახება მთელ ქართულ ეკლესიურ იკონოგრაფიაში, მათ შორის თვით წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, ასევე , საქართველოს პატრიარქის კურთხევით, „საქართველოს იმედის“ სახელწოდებით შექმნილ ახალ მონუმენტურ ხატში, რომელიც წმ. სამების საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული, წმინდა სამების ტრადიციულ იკონოგრაფიულ კომპოზიციაში: მამა ღმერთის, იესო ქრისტეს, მარჯვენით მამისა, და სულიწმიდის გამომხატველი მტრედის გამოსახულების მასიური შეცვლა, ქართული ეკლესიის მთელ სივრცეში, ძველი აღთქმისეული სამი ჭაბუკის კომპოზიციით, როგორც ამსახველისა - წმინდა სამების.

საქართველოს საპატრიარქოსთან იქმნება სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის მოძრაობა: „დავითიანნი“, რომელიც საქართველოს ახალგაზრდობას შთააგონებს ორი დავითის: დავით ებრაელთა მეფისა და დავით ქართველთა მეფის- აღმაშენებლის მემკვიდრეებად ყოფნას. საქართველოს მონარქისტულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგება ქართული ეკლესია, რომელიც ჰქმნის ორი დავითის კანონიკურ ხატს და ქართველი ერის ტრადიციული შეგნებისა და ქართული მეცნიერული აზრის საპირისპირო გაგებას ქართველ ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობისას. საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურ კონსულტანტად მონარქიის საკითხებში თავს აცხადებს გაურკვეველი უფლებამოსილების პიროვნება, ბ-ნი გაიოზ მამალაძე. 2007 წლიდან საჯაროდ გაცხადებული ხდება საქართველოს ეკლესიის პოზიცია , როგორც ძალაში მყოფი ეკლესიურ- იდეოლოგიური მიმართულება საქართველოს მეფისა და საქართველოს პატრიარქის ჰარმონიული მმართველობისა კონსტიტუციური მონარქიის მოდელით. ე.წ. ლეგიტიმური უფლისწულის შესაქმნელად, უშუალოდ საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით იმართება დროებითი ხელოვნური ქორწილი, ეკლესიის მოთხოვნით კანონიერი მეუღლისაგან გაყრილი ანა ბაგრატიონისა ესპანეთიდან ჩამოყვანილ დავით ბაგრატიონზე, და სვეტიცხოვლის ტაძარში სრულდება ამ ხელოვნური ქორწინებით შობილის ნათლობა, როგორც საქართველოს მომავალი უფლისწულის... .. ნათლია, ცნობილი მილიონერი, ბ-ნი ლევან ვასაძე საქართველოს ბიზნეს გაზეთის ინგლისური ვერსიით გვაუწყებს, რომ „საქართველოში მონარქიის აღდგენა დიდ ფულს შემოიტანს“.

საქართველოში ფუძნდება ქართველ „სოლომონის ტაძრელთა“, იგივ ქართველ „ტამპლიერთა“, როგორც ღირსეულ „დავითიანთა“ ორდენი. დავაკვირდეთ! „სოლომონის ტაძრელები“ - „ტამპლიერები“ უიგივდებიან ქართველ „დავითიანებს“ - დავით ებრაელთა მეფისა და დავით ქართველთა მეფის ერთიან შთამომავლებს.. ამგვარი პოზიციით საქართველოს ეკლესია გვერდს უვლის და არ ცნობს ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანი“-ს გაგების უმთავრეს და უპირველეს ისტორიულ წყაროს, ამასთან ეკლესიის დიდთა მამათაგან მოღწეულს: გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ (952 წ.), რომელშიც ქართული ეკლესიის დიდი მამების: გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულეს მიერ სრულიად გარკვევით არის ნათქვამი, რომ საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი მეფე წოდებულია დავითის შვილად,ანუ დარქმეული აქვს, მინიჭებული აქვს ეს წოდება დავითის შვილობისა: შვილად წოდებულია, და არა - შთამომავლობითი „შვილი“!

„- დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო!“ - ასე მიმართავს გიორგი მერჩულეს გადმოცემით ეკლესიის დიდი ქართველი მამა - გრიგოლ ხანძთელი - საქართველოს მეფეს - აშოტ კურაპალატს. რუსული თარგმანით: **- Давида пророка и Господня помазанника сыном названный Государь! Царство и добродетели его да даст тебе Христос Бог!(Преподобный Гиорги Мерчуле: „Житие Святого Григола Хандзтели“ (IX В.) , Перевод с древнегрузинского протоиерея Иосифа Зетеишвили, Москва, 2008, ст. 72).** საინტერესო და მნიშვნელოვანია ამავე ციტატის კორნელი კეკელიძისეული, როგორც ყოფილი საეკლესიო მოღვაწისა და სასულიერო პირისეული თარგმანი, რომელიც ნიკო მარისადმი მიცემულ შენიშვნას წარმოადგენს და ხაზს უსვამს ბაგრატიონთა „დავითიანობის“ სწორედ წოდებრიობის გაგებას, რომლის აღმნიშვნელი სიტყვის გამოტოვებაც ამავე ციტატის რუსულ თარგმანში დაუშვებელია: **„Властитель, нареченный сыном Давида пророка и помазанника божья, Христос бог да даст тебе царство и добродетели его...“** (კორნელი კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტრატურის ისტორია“, ტ. 1, თბ. 1980 წ. გვ. 154).

მოგეხსენებათ, თუ არსებობს წოდება და წოდებული **(Названный, Нареченный)**, უნდა არსებობდეს მწოდებელიც და უნდა არსებობდეს საფუძველი და ახსნაც ამ წოდებულობისა: ვინ უწოდა და რატომ უწოდა და რატომ იწოდა საქართველოს მეფე „დავითიანად“?! დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობას“ ჩვენს მიერ ზემოთ ხმობილი ციტატის კონტექსტში განმარტავს, „დავითიანობას“ წარმოგვიდგენს, როგორც ისეთივე საეტაპო ტიტულს ქართველი მეფეებისას, როგორიც იყო „ულუმპიანობა“ - მისაბაძად ბიზანტიის იმპერატორებისა, როგორიც იყო „ავგუსტიანობა“ - მისაბაძად რომის იმპერატორებისა, როგორიც იყო „შარ

ვანძაობა“ და „შაჰანშაობა“ - მისაბაძად აღმოსავლეთის ხელმწიფეთა , ამასთან როგორც წოდებანი უკვე იმ დროისა, როდესაც საქართველოს მეფენი თვითონ აღწევენ მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნების საქართველოს ქვეშევრდომებად მოქცევას: „ი მ დ რ ო ი ნ დ ე ლ ი მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს თ ა ნ ა ხ მ ა დ , - წერს ივანე ჯავახიშვილი - საქართველოს ბატონებს, მაშასადამე, ორი სამეფო სახლის დიდება ჰქონიათ დამკვიდრებული: ჯერ ერთი ებრაელთა მეფის - დავითის სახელი ეკუთვნოდათ „ულუმპიანობით“(რომელიც საზოგადოდ ქრისტიან ბიზანტიის მეფეთა დიდების გამომხატველი ტერმინი უნდა ყოფილიყო), შემდეგ ხუასროვანთა სპარსელი მეფეების პატივი ეპყრათ „შარავანდედობით“....(იხ.:ივანე ჯავახიშვილი: „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე,ტფილისი, 1929 წელი). ამ აზრის ნათელსაყოფად ივანე ჯავახიშვილს მოაქვს ციტატი თამარ მეფის ისტორიკოსისაგან დედოფლის ქორწინებაზე თქმული: „ვითარ იყო ხ უ ე დ რ ი და-რ ე გ ი ულ უ მ პ ი ა ნ ო ბ ი ს ა და შ ა რ ა ვ ა ნ დ ე დ ო ბ ი ს ა მათისა, ეგრეთ იქმნა ქორწილი სახედაუდებელი და იგავ-მიუწვდომელი“-ო(„ისტორიანი და აზმანი...“ *636, გვ.417). „ ულუმპიანობა“, ცხადია , აქ ბერძნული გაგებაა მეფეთა ღვთაებრიობისა, რამდენადაც ბერძენთათვის ოლიმპოს მთა იყო მოაზრებული მათეული ღმერთების სავანედ და თავად ღმერთები იყვნენ გაგებულნი „ოლიმპიელებად“, ძველქართული წარმოთქმით: „ულუმპიანებად“ (აქედან: „ულუმპიანნი“).

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მეფეთა „დავითიანობის“ კონტექსტში ივანე ჯავახიშვილი ვერ ასახელებს დავით აღმაშენებელს: - დავით აღმაშენებლისათვის, მისი აღსარებიდან თუ ვიმსჯელებთო, - ბრძანებს ბ-ნი ივანე, - „მეფის ხელისუფლება თვით ღმერთმა პირადად არწმუნაო მას“. ე. ი. ივანე ჯავახიშვილისეული ხაზგასმით, დავით აღმაშენებელს, როგორც საქართველოს მეფეს, თავისი ღვთაებრივი წარმომავლობისათვის, ანუ საკუთარი მეფობის ღვთითბოძებულობის დასტურისათვის არ სჭირდებოდა შუამდგომლობა დავითისა, ებრაელთა მეფისა ღმერთთან, ანუ არ სჭირდებოდა „დავითიანობა“, როგორც აღმნიშვნელი ტიტული ებრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის შუამდგომლობისა ღმერთთან (მით. „ქართ. სამართლის ისტ.“ გვ. 119). ამიტომ დავით აღმაშენებელი თავის წყალობის წიგნს შიო მღვიმის მონასტრისადმი ასე იწყებს: „ნ ე ბ ი თ ა ღ ვ თ ი ს ა თ ა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა...“. დავაკვირდეთ: დავით აღმაშენებელი თავის თავს არ წარმოადგენს სხვათა ბაგრატიონთა მეფეთა მსგავსად: მე , დავითიან-სოლომონიანმან-ო ესა და ეს გიბოძეთო... არამედ ამბობს : „ღვთის ნებით ამათ და ამათ მეფემო...“. სრულიად გამჭვირვალედ და მკვეთრად, ივანე ჯავახიშვილისათვის, საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა წოდებანი წარმოადგენენ საქართველოს ისტორიისა და ისტორიულ-ეტაპობრივად შექმნილ ტიტულებს, ერთგვარ სტატუს-მახასიათებლებს და არავითარი საერთო ამ წოდებებს მეფეთა გენეტიკურ წარმომავლობასთან არა აქვთ. სრულიად ანალოგიურია კორნელი კეკელიძისეული გაგებაც, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთხმობილ ციტატს ახლავს. კორნელი კეკელიძის მიერ, ისევე როგორც ივანე ჯავახიშვილის მიერ, საქართველოს მეფეთა ამაღლებული ტიტულები ქვეყნის გაერთიანებისა და აღმავლობის ისტორიასთან დაკავშირებული ტიტულებია. უცხოთაგან დაპყრობილი ქვეყნის სამეფო დინასტიის წარმომადგენლები, ბუნებრივია, ვერ შექმნიდენ თავიანთი ღვთაებრივი წარმომავლობის ტიტულებს: „-ეკლესია დარაჯად უდგას ახლადფეხადგმულ სახელმწიფოს განმტკიცება-გამაგრებას და შეუბრალებლად ამხელს ყველას, თუგინდ მეფესაც, ვინც კი ზნეობრივ პრინციპს ღალატობს- წერს კორნელი კეკელიძე. - სახელმწიფოს განმტკიცება-გაძლიერების მიზნით, ამ სახელმწიფოს უზენაეს წარმომადგენელს, მეფეს, ქართული ეკლესია ბიბლიური წარმოშობილობის შარავანდედითაც კი მოსავს. მართლაც გრიგოლ ხანძთელი ეუბნება აშოტ კურაპალატს:“დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“-ო. როგორც ვხედავთ, კორნელი კეკელიძის განმარტებით ბიბლიური წარმოშობილობა შარავანდედის მნიშვნელობისაა ქართველი მეფეებისათვის. მეფეთა პრიორიტეტულობა, აღმატებულება, ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი-ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ა მ უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს ი მ კ ვ ლ ე ვ ა რ ი ს ა დ ა მ ე ი ს ტ ო რ ი ე ს ა თ ვ ი ს, ს ა-ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ე ფ ე თ ა პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი ზ ნ ე ო ბ რ ი ო ბ ა დ ა ძ ა ლ მ ო ს ი ლ ე ბ ა ი ყ ო ქ ვ ე ყ-ნ ი ს ა დ ა მ ი ს ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ძ ლ ი ე რ ე ბ ი ს, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ე რ-თ ი ა ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ჭ ი რ ო ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი. აი, რატომ აიტაცა საქართველოს სამეფო ცნობიერებამ და მისმა მეხოტბე მემატიანეთა ხედვამ საქართველოს მეფეთა ღვთაებრივი წარმომავლობის წოდებად შექმნილი „დავითიანობის“ ტიტული, გარდა იმისა, რომ მას საკუთრივ რელიგიური, ანუ ეროვნულ-მესიანისტური დანიშნულების გამომსახველობა ჰქონდა და ამ თვალსაზრისით, დროის შესაბამისი ღირებულებებით, უფრო ერის ტიტული იყო, ვინემ მეფისა. ამრიგად, არც ერთს, არც ერისკაც მეცნიერს, „ქართველი ერის ისტორიის“ავტორს,ივანე ჯავახიშვილს და არც მღვდლად კურთხეულ მეცნიერს - კორნელი კეკელიძეს, აზრად არ გაუვლიათ ბაგრატიონთა „დავითიანობაში“ ეგულისხმათ რაიმე მისხალი მათი გენეტიკურ წარმომავლობითი მნიშვნელობისა ისრაელიანთა მეფისაგან.

ხაზგასმით არის აღსანიშნავი ისიც, რომ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ - ბაგრატიონთა ისტორიულად ამ პირველ მოხსენიებაში „დავითიანებად“, მეფე აშოტ კუროპალატია წარმოდგენილი. ისტორიულად“კურაპალატობით“ ცნობილი, იგი პირველად მოიხსნიება

„დავითის შვილობის წოდებულობით“. ამგვარად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ იგი , როგორც საქართველოს მეფე, ორი წოდებით არის წარმოდგენილი: „კუროპალატობითა“ და „დავითის შვილობით“. პირველი წოდება იმპერიულ - სახელმწიფოებრივია, მეორე - რელიგიური. როგორც „კუროპალატობა“ არ ნიშნავს ბიზანტიელობას, ისე „დავითიანობა“ არ ნიშნავს აქ ებრაელობას.

არაჩვეულებრივი ფაქტია ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ასახსნელად, რომ საქართველოს სამეფო ტახტისა და სომხეთის სამეფო ტახტის ბაგრატიონთაგან, რომელნიც სრულიად ერთხმადი მეცნიერული აღიარებით, ერთი გენეტიკური ძირიდან არიან მომდინარენი, მხოლოდ ქართველი ბაგრატიონები იწოდებიან „დავითიანებად“, ხოლო სომხეთის ბაგრატიონები-არასოდეს. ცხადია, ამგვარი წოდების საფუძველი უნდა ვეძებოთ საკუთრივ საქართველოს მეფობაში, იმაში, რომ საქართველო და საქართველოს მეფობაა განმსაზღვრელი ამ ისტორიული ტიტულის ფლობისათვის. რამდენადაც საქართველოს ბაგრატიონი მეფის „დავითიანობა“, უპირველესი ისტორიული ცნობით, ანუ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით“ გაჟღერებულია სწორედ სამონასტრო სივრცეში, ამასთან როგორც გაზიარებული და აღიარებული დიდი სამონასტრო სავანის წინამძღვრის, გრიგოლ ხანძთელის მიერ, და რამდენადაც ეს ტიტული ეკლესიური შინაარსისა და ეკლესიური ღირებულების მომცველია, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ეს წოდება ეკლესიური ხედვითა და ეკლესიური მენტალიტეტით შემდგარი წოდებაა, ამასთან სრულიადი შესაძლებლობით, სწორედ იმ მონასტრული სავანის სულიერ ხედვაში, რომელიც „ქართველთა სინას მთად“ იყო წოდებული. დიდი საეკლესიო მოღვაწის, გრიგოლ ხანძთელის საწინამძღვრო - კლარჯეთის დიდი სავანე, როგორც ქართული ანალოგი ბიბლიური სინას მთისა, სადაც წინასწარმეტყველი მოსე უფლისაგან იღებდა ათ მცნებასა და სჯულის კანონებს თავისი ხალხის ცხოვრების გზის წარმართვისათვის, ცხადია, თავისი წოდებულობით „ქართველთა სინას მთად“, პირველ რიგში გულისხმობდა სწორედ იმავე ფუნქციასა და მნიშვნელობას ქართველთათვის, რაც სინას მთას ჰქონდა ძველი აღთქმის რჩეული ერისათვის - ებრაელთათვის: ანუ გულისხმობდა უფლის გამოცხადებითა და უფლის კარნახით დადგენილ კანონთა სავანეს ქართული ქრისტიანული ცხოვრების წარმართვისათვის. ხოლო რამდენადაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, საქართველოს მეფისთვის, იგი, ეს წოდება, მისი სამეფო აღმატებულობის სახოტბო გამოხატულებადაც იმზირება, უნდა ვაღიაროთ რომ მასში, ამ წოდებაში, რაღაც ერთობლივი ეკლესიურ-სახელმწიფოებრივი აზრი და შინაარსიც იყო ჩადებული. ჩვენთვის, ჩვენს მიერვე სრულიად ნათლად იქნა გარკვეული, ნაშრომში: „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, რომ ეს წოდება ქართველ მეფეთა „დავითიანობისა“, ქართველ მეფეთა ღვთაებრივი წარმომავლობის იდეასთან ერთად, პირველ რიგში უსათუოდ არის დაკავშირებული ქართველი ერის მესიანისტური დანიშნულების იდეასთან, რაც გიორგი მთაწმინდელის სავედრებელში პავლე მოციქულისადმი , გაცხადებულია კიდეც ქართველი ერის მოხსენიებით „ახალი საღმრთო ერის“ ცნებითი მნიშვნელობით, ანუ “ახალი ღმერთისკუთვნილი ერის“ სტატუსით.

არაჩვეულებრივი გამჭვირვალებით მოჩანს გადმონერგვა გიორგი მთაწმინდელის ამ ფორმულირებისა თამარის დროის საქართველოში. გიორგი მთაწმინდელის „ახალი საღმრთო ერის“ პირდაპირი და უშუალო განგრძობა ხდება, საბერძნეთის ათონის, ანუ ქართველ მთაწმინდელ მამათა სავანიდან, თამარ მეფის მოწვევით საქართველოში დაბრუნებულის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ნიკოლოზ გულაბერისძის ღაღადისი ქართველი ერისა, როგორც „საზეპურო ერის“. ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავთა“ გამომცემლისა და მკვლევარის , ქ-ნ ნესტან სულავას დასკვნით, საქართველოში მესიანისტური იდეა, მე-4-ე საუკუნიდან მოყოლებული, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდანვე, თანდათანობით ყალიბდებოდა, როგორც ეროვნული კონცეფცია და სამეფო იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი.(ლიტერატურული ძიებანი №29, გვ. 123. ნიკოლოზ გულაბრისძე - საკითხავი და გალობანი სვეტიცხოვლისანი, მცხეთა, 2007 წ. გვ. 143).

საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენის მხრივ, აგრეთვე ხაზგასმით დავსძინოთ: სრულიად ბუნებრივია, რომ გიორგი მთაწმინდელისეულ პავლე მოციქულისადმი განდობილ სავედრებელში მოცემული ფორმულა ქართველი ერის ტიტულოვანი ვინაობისა, როგორც „ახალი საღმრთო ერის“, გაღმერთებული მეფის ბედნიერ თანამედროვეობაში, ანუ თამარ მეფისეულ განწყობააწეულ საქართველოში, უკვე კანონიკურ ცნებად და საყოველთაოდ ხმამაღალი გაცხადების საგნად არის ქცეული, თავად საქართველოს პატრიარქის - ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ, ამასთან გაცხადებულია ძველი აღთქმის რჩეული ერის აღმნიშვნელი პირდაპირი ტერმინით: ახალი „საზეპურო ერით“, როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „ზეციური პურის-მტე ერით“.

„დავითიანობის“ პირველი და სრულფასოვანი განსაზღვრების მოცემულობა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“(952 წ.), როგორც ჩანს, ისტორიულ გარემოებათა გამო, კერძოდ, კლარჯეთის სავანეთა განადგურების გამო, შემოსეულ მტერთა ბარბაროსული თავდასხმებისაგან, თავად ამ თხზულების- „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“- დაკარგვასთან ერთად და-

იკარგა ქართველი ხალხის ცნობიერებიდან. ეს ისტორიული პროცესი შესანიშნავად გამოთქვა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ რუსულ ენაზე მთარგმნელმა, მამა იოსებ ზეტეიშვილმა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში: - კლარჯეთის სავანეს „ქართველთა სინას მთის გარდა“ შეიძლება ვუწოდოთო ქართველთა ქრისტიანული ისტორიის ჩაძირული „ატლანტიდა“, ისე იყოო გაუჩინარებული მისი არსებობა და ნაღვაწი მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე. 1853 წელს, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის კართან ესოდენ დაახლოვებულმა მეისტორიემ, პლატონ იოსელიანმაც კი არ იცისო გრიგოლ ხანძთელის ვინაობა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართველი ხალხისთვის აღმოჩენილ იქნა ერთადერთი ხელნაწერის სახით, 1902 წელს, იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში, და მხოლოდ ნიკო მარისეული 1911 წლის პირველი გამოცემით. (მითითებული რუსული თარგმანის წინასიტყვაობიდან).

როგორც დავინახეთ, თავისი დროის სამონასტრო საიდუმლო სივრციდან -„ ქართველთა სინას მთიდან“ - ერში გამოღწეულმა ტიტულმა ბაგრატიონებისამ: „დავითის შვილად წოდებულის“ -ამ, თავისი ზეპირ გავრცელებული ვერსიით, ანუ „წოდებულობისა“ და „დარქმეულობის“ გამოტოვებამ ზეპირ ვერსიაში, საუკუნეების განმავლობაში დაასახიჩრა ბაგრატიონთა „დავითიანობის“ გაგება თვითონ ბაგრატიონთათვისაც. საქართველოს დღევანდელმა ეკლესიამ, ვფიქრობ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ზემოქმედებით, ანუ საქართველოს პრო-ებრაულ მასონური ხელისუფლების კოჰაბიტაციური თანამოაზრეობისა და ერთსულოვნების სურვილში, აიტაცა და თანადროულობისათვის მომგებიანად მიიჩნია ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ გაგების საერო, მეისტორიე-მემატიანეთა სახოტბო ვარიანტი, ანუ საუკუნეობით დასახიჩრებული ხორციელი გაგება საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა „დავითიანობისა“ და გვერდი აუარა ეკლესიურ-მონასტრულსა და კანონიკურ გაგებას დავითიანობისას, როგორც ეპოქალურ რელიგიურ წოდებულობას, დაწესებულს „ქართველთა სინას მთად“ შეფასებულ და „სინას მთად“ განცდილ მონასტრულ სივრცეში, ეროვნული დიადი მისიით, ახალი საღმრთო ერის მისიით გააზრებულს. ამ დასახიჩრებული გაგების გავლენით, ანუ „დავითის შვილად წოდებულის“ „დავითის შვილად“ („ძედ დავითისად“!) გარდასახვით, მივედით იქამდე , რომ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ სადავეთა მპყრობელმა ებრაელობამ თვით საქართველოში ჰპოვა საკუთარი ინფორმაციული ომის ქართულ-ეკლესიური საყრდენი და შექმნა ბიბლიური დავითის სიბრძნით სახელგანთქმული ძის - სოლომონის „ტაძრელთა“, ანუ ქართველ ტამპლიერთა ორდენი, როგორც ღირსეულ დავითიანთა მხედრობა, ამასთან როგორც ქრისტეს ჯარისკაცთა და ბაგრატიონთა მხედრობა, რომელმაც თავისი ოფიციალური წესდებით, საკუთარ მემკვიდრეობად დაივალა საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო და საქართველოს საპატრიარქო ტახტების პატრონობა. დავაკვირდეთ: საქართველოში , საქართველოს მასონური ხელისუფლების იურისდიქციაში დაფუძნებული სოლომონის ტაძრელთა ქართული ორდენი ივალებს საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ისტორიული სამეფო ტახტის, ანუ რეალურად არარსებული სამეფო ტახტის პატრონობას. ებრაელთა ბიბლიური მეფის, სოლომონის ტაძრელთა ორდენმა საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა დავითიანობის ხორციელ გაგებაზე დამყარებული საქართველოს პატრიარქის ცთომილება , საქართველოს პრომასონურმა ხელისუფლებამ, წარმატებით აქცია ოფიციალურ მწვანე შუქად საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტისაკენ და საქართველოს ისტორიული სამეფო ქალაქისაკენ-მცხეთისაკენ, დღეს უკვე მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე დავით წინასწარმეტყველის ნამდვილ მემკვიდრეთათვის - ისრაელის ინვესტორთა მთელი ლაშქრისათვის. სოლომონის ტაძრელთა ქართული ორდენის მაკურთხებელი საქართველოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე 2012 წლის 21 თებერვალს, ისრაელის პრეზიდენტთან, შიმონ პერესთან საუბარში, პირდაპირი ეთერით, მთელი მსოფლიოს გასაგონად უცხადებს ისრაელის პრეზიდენტს: „ჩვენ, ქართველები და ებრაელები, არა მხოლოდ ტრადიციებითა ვართო მახლობელნი, არამედ სისხლითაც“, ამიტომ აწერდნენ-ო ხელს ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის მეფენი „დავითიან-სოლომონიანებად“(იხ. ინტერნეტ-საძიებლით:დოკუმენტური ფილმი:“იქ, სადაც ცა და მიწა ერთდება“).*

როგორც აღვნიშნეთ,მსოფლიო ებრაელობამ თბილისში, 2014 წლის ოქტომბერში, მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა სივრცეში ოფიციალური შემოსვლის 25 წლისთავი იზეიმა. რამდენადაც ჩვენს მიერ განსახილველი პროექტების გაანალიზება და შეფასება ჩვენ ამ მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის კონტექსტში გვევალება, უნდა აღვნიშნოთ რომ პროექტები:“მცხეთა-იერუსალიმი“ და „გეთსიმანიის ბაღი“ ერთი მეასედია იმ ჩანაფიქრისა, რომელიც ისრაელიდან ინვესტორებად მოვლენილი ასამდე ბიზნეს კომპანიის ღონისძიებებით გველის. ეს გახლავთ 21-ე საუკუნის ლაშქარი ქვეყნის დაპყრობისა ბიზნეს მოლაშქრეების წესით. და რა გასაკვირია, როდესაც დიდი სიონისტის, თვით დიდი ქველმოქმედის, ჯორჯ სოროსის ღია განაცხადით სახელმწიფო რევოლუციებიც კი მისთვის მხოლოდ ბიზნესია და ისეთივე სპეციალისტია იგი რევოლუციებისა, როგორც ვაჭრობისა და ე.წ. „ ბიზნესის“(იხ.მისი:“ეროვნული დიქტატურები ღია საზოგადოების წინააღმდეგ“ .).

რაც შეეხება ოფიციალურ ინფორმაციას პროექტის:“მცხეთა - იერუშალაიმის“ შესახებ. იგი

განთავსებული გახლავთ „საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის“ ოფიციალურ ინტერნეტ საიტებზე, სადაც საგანგებო სარეკლამო ამონარიდით გვეუწყება, რომ პროექტი „მცხეთა-იერუსალიმი“ დამტკიცებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, 2014 წლის 7 დეკემბერს. ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი ამ დროისათვის გახლავთ გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს პრემიერ მინისტრის მოადგილე, ხოლო მთავარი განმახორციელებელი პროექტისა - ისრაელის მოქალაქე, ბ-ნი იციკ შავითი. პროექტის დამტკიცებამდე ბ-ნმა იციკ შავითმა შესძლო და მცხეთაში, ქალაქ-მუზეუმში, რომელიც, უკვე ორი ათეული წლის განმავლობაში, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, იუნესკოს ოფიციალურ დაქვემდებარებაში იმყოფება და ე. ი. საერთაშორისო დაცვის ობიექტს წარმოადგენს, პროექტისათვის: „მცხეთა - იერუშალაიმი“, სვეტიცხოვლის ტაძრიდან 1400 მეტრის დაშორებით, პირად საკუთრებაში იყიდა, 9500 კვ. მეტრი ფართის მიწა. აღსანიშნავია, რომ პროექტის წარმატებული მსვლელობა სწორედ დროის იმ მონაკვეთში მიმდინარეობს, როცა საქართველოს პარლამენტის მიერ საგანგებოდ არის შეჩერებული მიწების უცხოელებზე გასხვისება 2014 წლის 31 დკემბრამდე. ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსმიერი გაუქმება საქართველოს პარლამენტისმიერი მიწის გასხვისების აკრძალვისა, გაპროტესტებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის, ქ-ნ თეა წულუკიანის მიერ და გაცხადებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსმიერი განჩინების შედეგად ქვეყანა მიწის კანონმდებლობის გარეშეა დარჩენილი. დიდი ფილოსოფია არ არის საჭირო დასკვნისათვის, რომ ორივე პროექტი:"მცხეთა -იერუშალაიმიცა“ და „გეთსიმანიის ბაღიც“ , უშუალოდ საქართველოს მთავრობის პირველი პირის, ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილის მეოხებით ხორციელდება, როგორც „ქართული ოცნება“. . .

გაურკვევლობას იწვევს ის ფაქტიც, რომ პროექტი ყველგან მოიხსენიება როგორც ქართულ-ებრაული საცხოვრებელი და კომერციული პროექტი, მაგრამ ავტორად გამოცხადებულია მხოლოდ ქართველი არქიტექტორი ლაშა ხუციშვილი, რომელმაც ამ გრანდიოზული პროექტის შექმნისათვის, როგორც კონკურსში გამარჯვებულმა არქიტექტორმა ჯილდოდ დაიმსახურა მხოლოდ 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

ინტერნეტ საძიებლებში პროექტი „მცხეთა-იერუშალაიმი“ დამოუკიდებლად იძებნება თავისი მაკეტებით, „აიბი" ჯგუფის მითითების გარეშე, რომელსაც ბ-ნი იციკ შავითი ეკუთვნის. პროექტი მოიცავს იერუსალიმის რეზიდენციას, საცხოვრებელ კომპლექსებს, ბიზნეს ცენტრს, დასასვენებელ ვილლებს, რესტორნებს, სასტუმროებს, მაღაზიებს, კაფეებს და ა. შ. ამასთან ბ-ნი იციკ შავითი აღიარებს, რომ ერთ-ერთი მძლავრი მუხტი, რამაც ამგვარი პროექტის განხორციელების სურვილთან მიიყვანა, ეს არის 2690 წლის წინ არსებული მცხეთაში გათხრილი სამაროვანი, რომელშიც რამდენიმე არამეულ წარწერიანი საფლავი სავარაუდოდ ებრაელთა საფლავებად იქნა გაგებული. - ამიტომ, აცხადებს ბ-ნი იციკ შავითი, - „ჩემთვისო მცხეთა და იერუსალიმი ერთიდაიგივეა“-ო. უსათუოდ ისმის კითხვა: ჩვენთვის, ქართველებისათვისაც თუ არის დღეს ერთიდაიგივე მცხეთა და იერუსალიმი?! ჩვენ ხომ საქართველოს ორი მზე-მანათობელი გვისვენია იერუსალიმში: შოთა რუსთაველი, ავტორი ქართველთა ბიბლიად წოდებული წიგნისა, „ვეფხისტყაოსნის“ და თამარ მეფე, განსახიერება იდეალური მეფობისა და შემოქმედი ქართველთა ოქროს ხანისა, ლამის გაღმერთებული მეფე საქართველოსი, ქართველი ხალხის მიერ. იერუსალიმში განისვენებენ მთელი თაობები უფალს შეწირული ქართველი ბერმონაზვნებისა და ღვთისმსახურების... ისტორიული წყაროებით ქართველებს იერუსალიმში 40-მდე სალოცავი გვქონდა. აქ არაფერს ვამბობთ წინარე ქრისტიანულ, ბიბლიური ცნობებით დამოწმებულ ისტორიებზე... ებრაელთა მიერ შვიდი უძლიერესი ხალხის ამოხოცვაზე, მათი სამკვიდრებელი მიწის მისათვისებლად თავიანთივე ღმერთის კურთხევით... ამ ხალხებს შორის ქართველთა წინაპრებიც იყვნენ... ქრისტიანთა “დიდი სჯულის კანონით“, რომელიც უზენაესი კონსტიტუციის მნიშვნელობისაა მთელი საქრისტიანო მსოფლიოსათვის, ჩვენ, ქართველ ხალხს, ქართულ ეკლესიას, უფლება არა გვაქვს იმ ეკლესიებში მაინც, რომლებიც ჩვენი დიდი წინაპრების დიდმოწამეობით არიან აშენებულ-დანატოვარნი იერუსალიმში და დღემდე გადარჩენილნი ჟამთა რისხვისაგან, ჩვენი წირვა-ლოცვა არ აღვადგინოთ, მაგრამ ისრაელისათვის ეს არაფერს არ ნიშნავს. მან ჩვენ ქვეყანაში გაუტოლა თავისი რელიგიური უფლებები ჩვენს რელიგიურ უფლებებს, თორემ ჩვენ კი არ გაგვიტოლებია მის ქვეყანაში ჩვენი რელიგიური უფლებები ებრაელთა უფლებებისთვის! საქართველოს ტერიტორიულ სივრცეში არსებული ებრაული თემები და სინაგოგები, საბჭოური ათეისტური რეჟიმით დაზარალებულნი, დღეს საქართველოს პარლამენტის მიერ შეთითხნილი კანონებით, ქართველი ხალხის საცოდავი ბიუჯეტიდან წაგლეჯილი თანხებით იღებენ კომპენსაციას, იმ ბიუჯეტიდან, რომელიც ქართველი ხალხის საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილებისათვისაც ვერ გაგვიწვდენია 25 წლის მანძილზე, მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა საქართვე

ლოში ოფიციალური მმართველობის წყალობით, თორემ იერუსალიმში, ქართველთა ჯვარის მონასტრის მფლობელი ქართველი ერისათვის, საუკუნეებით დაზარალებული ერისთვის ვინ გაიღებს მისხალს ისრაელის ბიუჯეტიდან - მსოფლიოს ფინანსების მპყრობელი და ქართველთა 26 საუკუნოვანი მეგობარი ებრაელების ქვეყანაში?! და იმ რეალობის ფონზე, რომლითაც იერუსალიმში, ჩვენ, ქართველ ხალხს, იმის უფლებაც კი ვერ მოგვიპოვებია, რომ ჩვენსავე ისტორიულ ტაძრებში ლოცვა აღვავლინოთ და დიდი რუსთველისა და დიდი თამარის საფლავები არ დავკარგოთ, თვითონ, იციკ შავითი, ისრაელის ერთი მოქალაქე, ზარ-ზეიმით , ჩვენი გადარეული და წრეგადასული სტუმართმოყვარეობით განებივრებული, მოდის, საქართველოს უძველეს სამეუფო ქალაქში, მცხეთაში, წმინდა მიწად გამოცხადებულ ქალაქ-მუზეუმში, ჰექტარ მიწას პირად საკუთრებაში ყიდულობს, 2690 წლის წინანდელ შესაძლო და დაუზუსტებელ ებრაულ საფლავებს ეძებს და მათი არსებობის არდავიწყების ნიშნად ჩვენს უძველეს დედაქალაქში, ამასთან ქალაქ-მუზეუმში, თავისი დედაქალაქის ანალოგი ქალაქი სურს რომ აიშენოს და ვერ გრძნობს, რომ მარტო მიწას კი არა მტაცებს, შეურაცხყოფასაც მაყენებს ჩემივე ქვეყანაში არად ჩაგდებით, რადგან მისი საქციელი მისივე ეროვნული მორალური სმენით არის გამართლებული, მისივე ჭეშმარიტი ღმერთითა და მისივე წმინდა წიგნით. იქ, იერუსალიმში, ქრისტეს ქალაქში კი, ქართველთა წინაპრების მიერ აშენებული სახლი უფლისა და სალოცავი მთელი ქართველი ერისა, გასაყიდი და შესყიდული ნივთის მნიშვნელობაზეა დაყვანილი, ხოლო მსოფლიოს ფინანსური კაპიტალისა და ამ კაპიტალით მსოფლიოს ახალი წესრიგის სადავეთა მპყრობელ ჩვენს 26 საუკუნოვან მეგობარ ხალხს, ჩვენდამი „მადლიერების“ ნიშნად, მხოლოდ ჩემი წმინდა მიწის მითვისება შეუძლია, ჯერ თავისი პოლიტიკური დესანტების მოყვანით ჩემი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლებაში და სათავისო კანონების დაწესებით და მერე, უკვე „ ჩემივე“ კანონმდებლობით, ჩემგან წართმეული წმინდა მიწის დამტკიცება თავის კანონიერ საკუთრებაში! ხოლო თუ არ მივყიდი ჩემს, ჩემი წინაპრების სისხლით გაჟღენთილ ჩემს მშობლიურ მიწა-წყალს, თურმე მის ადამიანურ უფლებებსა და ღირსებებს ვარღვევ! ასეთი კანონებით შემაიარაღა მან თავისივე გამოგონილი მსოფლიოს ახალი წესრიგით! შე დალოცვილო! შენი წმინდა მიწა თუ ღმერთის კუთვნილებაა და არ შეიძლება გაიყიდოს, ჩემი წმინდა ქალაქის, თანაც ქალაქ-მუზეუმის მიწა, რატომ უნდა იყიდო, ან როგორ უნდა იყიდო, ერთი აგვიხსენი, როგორ მოახერხე რომ უკვე იყიდე და დაიმტკიცე კიდეც?! და ჩემს დედა ქალაქში შენი დედა ქალაქის აშენებასაც იწყებ?!

როგორ უნდა გამომიგზავნოს შენმა ღმერთმა ჩემი მიწისთვის დაქიმითებული ინვესტორების მთელი ლაშქარი?! ქართველთა კვალის წასაშლელად ქართველთა ქვეყანაშივე იბრძვით თქვენი ღმერთის კურთხევით? იერუსალიმში ქართველთა კვალის წაშლის მიზნით, რუსთველის ერთადერთი და უნიკალური ისტორიული ფრესკა წაგვიშალეს იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში! და მცხეთაში 2690 წლის წინ დამარხულ დაუზუსტებელ ებრაულ საფლავებს ძეგლად ახალი კომერციული და სავაჭრო იერუსალიმი უნდა ავუშენოთ?! პეტრე იბერის, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დამფუძნებლის სახელი, მეოცე საუკუნის ორი დიდი მეცნიერის, აკადემიკოსების, შალვა ნუცუბიძისა და ბელგიელი ერნესტ ჰონიგმანის თეორიის შემდგომ, რომლითაც იგი, პეტრე იბერი ქრისტიანული თეოლოგიის შუქურად არის წარმოჩენილი, ახალი შარავანდედით მოსავს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორიას.

იერუსალიმის საპატრიარქოში ქრისტიანული ჭეშმარიტების ნამდვილი სიყვარული რომ ენთოს, და ამავდროულად მსოფლიოს ფინანსური კაპიტალის მფლობელ ებრაელ ხალხს საქართველოში 26 საუკუნოვანი უპრეცენდენტოდ გულთბილი თანაცხოვრებისათვის მადლიერების გამოხატვის წყურვილი რომ ჰქონდეს, ჩვენ და ბერძნები და ებრაელები დღეს ერთად უნდა ვლოცულობდეთ იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში, ხოლო 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნიშნად, რუსთაველის უნიკალურ ფრესკას, ბერძნებთან ერთად უნდა უფრთხილდებოდნენ ებრაელები. 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნიშნად, მცხეთაში, საკუთარი ბიზნესისათვის, ახალი რესტორნებისა და მაღაზიების ქალაქს კი არ უნდა იშენებდნენ ებრაელები, არამედ იერუსალიმში, ქართველთა ჯვარის მონასტრის ტერიტორიაზე, სადაც მონასტრის დღევანდელ მფლობელთაგან არენდით აღებულ ნაწილში, ისრაელის პარლამენტი ფუნქციონირებს, ქართველ ხალხს, მის ეკლესიას და მის მეცნიერებს ყველა უფლება უნდა ჰქონდეთ მირთმეული, რომ მსოფლიოს კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის სამსახურში იდგნენ და მსოფლიოს მეცნიერებთან ერთად იკვლევდნენ მონასტრის პირველდამფუძნებლის, ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ერთერთი დიდი საეკლესიო მოღვაწის, ქართველი უფლისწულის, პეტრე იბერის ფენომენს. გვახსოვდეს, რომ არეოპაგიტული მისტიურ- თეოლოგიური თხზულებები, რომლის ავტორადაც ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიით მიგნებულია ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ქართველი უფლისწული, ევროპის უდიდესი თეოლოგის ,თომა აქვინელის მიერ აღიარებულია ყველაზე დიდი გავლენის მქონე სიბრძნისმეტყველებად, ბიბლიის შემდეგ.

როგორც აღვნიშნეთ, პროექტი: „მცხეთა-იერუშალაიმი“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაამტკიცა. რამდენად ემსახურება ეს პროექტი საქართველოს ეკო-

ნომიკის განვითარებას, ძნელი სათქმელია. „აიბი“ ჯგუფის (ანუ „ისრაელის ბიზნესის“ ჯგუფის, რომელსაც წარმოადგენს ბ-ნი იციკ შავითიც ) ოფიციალურ საიტზე დევს ერთი საინტერესო ფოტო და ინფორმაციული განცხადება: - „აიბი“ ჯგუფი განახლებულ ილიას ძეგლს ეწვია, რომელიც მცხეთა-იერუსალიმის გასწვრივ მდებარეობს და ვიმედოვნებთ ხელს შეუწყობს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაშიც ჩვენი ჯგუფიც სიამოვნებით იღებს მონაწილეობას“-ო. ფოტოზე ასახულ ჯგუფში ბატონი ი ც ი კ შ ა ვ ი თ ი ც ფიგურირებს. ილიას ძეგლთან გადაღებულ ფოტოში, ჯგუფის მიღმა, მთასავით ბორცვის წვერზე, ილია ჭავჭავაძის მონუმენტური ძეგლი, ლაშარის გორზე შემდგარი ლუხუმივით მოჩანს.

ეს ისტორიული ფოტოა. ილიას ძეგლსა და ილიას სულს, საუკუნის შემდეგ, ზუსტად ის ებრაელები ეწვივნენ, რომელთა შესახებაც დიდი ილია წინასწარმეტყველურად მსჯელობს თავის წერილში - „ებრაელთა შესახებ“ - ებრაელი ეკონომისტებისა და ებრაული კაპიტალდაბანდების შესახებ. მაგრამ რამდენადაც, ისინი, ილიას ძეგლს დასტუმრებული ებრაელი ბიზნესმენები , იმ მსოფლიო ებრაელობის წარმომადგენელნიც არიან, რომელთაც 2014 წლის 16 დეკემბერს, (ზუსტად იმავე დროს, როცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მათ გრანდიოზული პროექტი: “მცხეთა-იერუშალაიმი“ დაუმტკიცა, 26 საუკუნოვანი ქართულ-ებრაული მეგობრობის ნიშნად), თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გადაიხადეს „25 წლისთავის ზეიმი მსოფლიო ებრაელობის ოფიციალური შემოსვლისა პოსტსაბჭოთა სივრცეში“, ისინი, ილიას ძეგლს დასტუმრებული ეს ებრაელი ბიზნესმენები, იმ ცნობილი ზეკაცის, მასონთა ერთერთი დიდი მონსტრის, ევგენი კაზიმიროვიჩ გორდეევის წარმომადგენლებიც არიან. ეს გახლავთ ის გორდეევი, რომელიც მოსკოვის კრემლის ტერიტორიაზე, უკვე დაშლილი საბჭოთა კავშირით მოზეიმე, მთელი მსოფლიოს სიონისტურ-მასონური მოძრაობის სახელით, მთელი პოსტ საბჭოთა სივრცისა და მსოფლიოს გასაგონად აკეთებს ისტორიულ აღმსარებლობით განაცხადს:“-ჩვენ მოგცემთო თქვენ ყველაფერს, მაგრამ ვეღარასდროს ეღირსებითო ძალაუფლებას… ჩვენ გაიძულებთო თქვენ, დანები დაუშინოთ ერთმანეთს… სახელმწიფო, ეს ჩვენა ვართ!“(წიგნიდან: **Россия перед Вторым Пришествием, СПБ, 2002**).

აქ მინდა შეგახსენოთ ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია მსოფლიო ებრაელობის ოფიციალური შემოსვლისა პოსტსაბჭოთა სივრცეში, როგორც ინფორმაცია სახელმწიფო ძალაუფლების ხელში აღებისა კონკრეტულად ქართულ რეალობაში და ყურადღება მივაპყროთ 2014 წლის ოქტომბერში მსოფლიო ებრაელობის მიერ თბილისის ფილარმონიის დიდ დარბაზში გადახდილ ზეიმს მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა სივრცეში შემოსვლისას, მისი 25 წლისთავის აღსანიშნავად. ეს ზეიმი ხომ პირდაპირი ისტორიული განგრძობა გახლავთ ევგენი კაზიმიროვიჩ გორდეევის აღსარებისა, მოსკოვის კრემლის ტერიტორიაზე წარმოთქმულის, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე,1992 წელს!

ფორმულირება: „ 25 წლისთავი მსოფლიო ებრაელობის ოფიციალური შემოსვლისა პოსტსაბჭოთა სივრცეში“ ეკუთვნის ებრაელ ბიზნესმენებს და მოხმობილი გვაქვს მათივე ოფიციალური ინტერნეტ-საიტებიდან. რატომ დავუკავშირეთ ერთმანეთს წინასწარმეტყველება ილია ჭავჭავაძისა და აღსარება ევგენი კაზიმიროვიჩ გორდეევისა მოსკოვის კრემლში?! უფრო დიდი სიზუსტე წინასწარმეტყველების აღსრულებისა წარმოუდგენელია, ვინემ 1886 წელს გამოქვეყნებული წინასწარმეტყველური გაფრთხილება ილია ჭავჭავაძისა წერილით: „ებრაელთა შესახებ“. აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის ევროპული ფილოსოფიური აზრის ერთერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, ცნობილი როგორც რელიგიური ეგზისტენციალიზმის ფუძემდებელი, კ ა რ ლ ი ა ს პ ე რ ს ი მიიჩნევს, რომ კაცობრიობამ უნდა მოახდინოს ბიბლიის , როგორც კაცობრიული წმინდა წიგნის ახალი შეფასება, და როგორიც იქნება კაცობრიობისმიერი ახალი ანალიზი და შეფასებაო ბიბლიისა, ისეთივე იქნებაო კაცობრიობის მომავალიც. იასპერსის პოზიციას თავისი ევროპელი წინამორბედი ჰყავს გერმანელი ფილოსოფოსის, შელინგის სახით, რომელმაც მე-18 საუკუნის მიწურულს დაუყენა ევროპას ამოცანად ბიბლიის ფილოსოფიური ანალიზი. მე-19-ე საუკუნის დასასრულს კი, იმავე დროის მონაკვეთში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივი მფარველობის ქვეშ იწყება დიდი სიონისტური მოძრაობა მსოფლიოში გაფანტული ებრაელობის დაბრუნებისათვის ისტორიულ ისრაელში, და ორი ათასეული წლის განმავლობაში დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, სრულიად დამოუკიდებლად ამ მოვლენისა, შეიძლება ითქვას , მართლაც მისტიურად, ქართულ ცნობიერებაში პირველად იწყება გადამოწმება ებრაული ფენომენის ქართული გაგებისა: ამ ახალი ეროვნული თვითშეგნების წარმომადგენელნი არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი, პროფესიით ისტორიკოსი-არქეოლოგი და შემდეგ მთელი პლეადა მეცნიერებისა: მოსე ჯანაშვილის, მიხაკო წერეთლის, რეზო გაბაშვილისა და გრიგოლ რობაქიძის სახით. ჩვენ აქ მხოლოდ ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველებას ვეხებით, როგორც პოზიციას ქართული საბანკო საქმეებისა და ეკონომიკური პრობლემების მცოდნისას. პირველად ქართულ აზროვნებაში ილია ჭავჭავაძე ინტერესდება და სვამს კითხვას: რატომ იდევნებიან ეს საწყალი ებრაელები პლანეტის ყველა კონტინენტზე, მსოფლიოს ყველა ხალხისაგან? რა არის მიზეზი და საფუძველი მათი

ასეთი უწყვეტი და დაუნდობელი დევნის? და თვითონვე გვაწვდის დიდი ილია ჭავჭავაძე თავის მიერ მიკვლეულ პასუხს თავისმიერვე დასმულ კითხვაზე: მიზეზი ებრაელთა დევნისა მათი “ეროვნული ვინაობის სიძულვილი და მათი რელიგიური ფანატიზმი კი არ არის“, არამედ ებრაელთა მისწრაფება მსოფლიო კაპიტალის ხელში ჩაგდებისა „ უსამართლო ეკონომიკური წესწყობილების“ გზით და ხელში ჩაგდება ერებისა და მათი ხელისუფლების ბედისა და უბედობისაო (1886 წელი, იხ. ილია ჭავჭავაძის შრომების მეცხრე ტომი, გვ. 46-50). ქართულ სინამდვილეში, თუნდაც მხოლოდ ჩვენს მიერ მოხმობილი „მცხეთა-იერუშალაიმის“ ამ ერთი პროექტითაც კი, სრული გამჭვირვალებით არის სახეზე ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველებისა და გაფრთხილების სრულიად აღსრულებული რეალობა, მიღწეული მის მიერვე აღწერილი სახით, ანუ - დევნილი ებრაელი ხალხის მიერ, უსამართლო ეკონომიკური გზებით, მსოფლიოს კაპიტალის ხელში ჩაგდებისა და მსოფლიოს ხალხებზე და სახელმწიფოებზე გაბატონების მიზნით.

ჯერ კიდევ 2013 წლის 14 აპრილის თარიღით გამოქვეყნებული წერილით: „მცხეთის გადარჩენის შანსი“, ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი, ორგანიზაცია „იკომოსის“, ანუ „ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის“ გენერალური მდივნის, არქიტექტორ-რესტავრატორის, ქ-ნ ნატო ცინცაბაძის, ხელოვნების ისტორიკოსის – ციცინო ჩაჩხუნაშვილის, არქეოლოგ გოდერძი ნარიმანაშვილის და არქიტექტორ კონსტანტინე ამირეჯიბის, ანუ ყველაზე მაღალი კომპეტენციის პროფესიონალთა თხოვნით, საზოგადოებას აუწყებდა რომ მცხეთა, როგორც მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე და გაეროს იუნესკოს პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ქალაქი-მუზეუმი საფრთხეშია, რომ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის, სამთავროს ეკლესია-მონასტრისა და ჯვარის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიებზე იუნესკოს მიერ აკრძალული და საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული მშენებლობების გამო, მცხეთა, როგორც ქალაქი-მუზეუმი, ამოღებულია მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა სიიდან და გადაყვანილია საფრთხეში მყოფი ობიექტების ნუსხაში (ინტერნეტიდან).

ასეთი გახლავთ წანამძღვრები „მცხეთა-იერუშალაიმის პროექტის“ დამტკიცებისა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2014 წლის 12 დეკემბერს. იუნესკოს გადაწყვეტილებას ხელი არ შეუშლია მცხეთის, როგორც საქართველოს უძველესი სამეფო ქალაქის ხელახალი გამოცხადებისათვის წმინდა ქალაქად 2014 წლის აპრილში, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიერ. როგორც მისი უწმინდესობა, ილია მეორე, თავადაც გვაუწყებს, მცხეთის, როგორც წმინდა ქალაქის ოფიციალური ეკლესიური აღიარება და განცხადება შესდგა მეთერთმეტე საუკუნეში, კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკის მიერ. დიდი ალბათობით მცხეთის ხელახალი კურთხევა წმინდა ქალაქის სტატუსით, 2014 წლის აპრილში, დაკავშირებული უნდა იყოს პროექტის: „მცხეთა - იერუსალიმის“ განმტკიცებასთან და ეკლესიური მხარდაჭერის გამოხატვასთან ამგვარი ფორმით: მცხეთის ხელახალი აღიარებით წმინდა ქალაქად. მართალია, პროექტი: „მცხეთა- იერუსალიმი“ საცხოვრებელი და კომერციული ხასიათის პროექტად არის წარმოდგენილი, და თავისი რეზიდენციის აშენებით, დასასვენებელი ვილებით თავისი ბიზნეს ცენტრით, მაღაზიებით და რესტორნებით, ასევე ახალი საცხოვრებელი კომპლექსებით, ახალი დემოგრაფიული უბნების შექმნითა, და სავაჭრო და სანადიმო ფუნქციებითაც აპირებს შემოჭრას ქალაქ მუზეუმში, მაგრამ სახელწოდებით: „იერუსალიმით“ ყველაფერს ფარავს და ეკლესიას საშუალებას აძლევს კიდევ ერთხელ აკურთხოს მცხეთა წმინდა ქალაქად და „მეორე იერუსალიმად“.

როგორც დავინახავთ, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა პროექტისა, იერუსალიმის რეზიდენციის შექმნა და მცხეთის, როგორც სამეფო ქალაქის გაცოცხლებაა, თ ავისი ახალი საცხოვრებელი გარემოებებითა და კოლორიტით, რომელიც კომერციის გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ როგორი საღებავებითაც არ უნდა შევღებოთ პროექტი, საქმე გვაქვს ისრაელის მოქალაქის მიერ მცხეთის ტერიტორიის უკანონო და უსამართლო კანონებით წარმოებულ „კანონიერ“ მითვისებასთან საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის მხარდაჭერით. არადა ჩვენ იმდენად საინტერესო დროში ვცხოვრობთ, რომ ქვეყნების ტერიტორიული დაპყრობების ფორმად შესაძლოა გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ დამანგრეველი ბომბდამშენები, არამედ - ე.წ. „უწყინარი“ მშენებლობები. აშენებს, აბა, რას აშავებს?! ამას წინ, რადიო „თავისუფლების“ საიფორმაციო გვერდებზე წავაწყდით აშშ-ების განცხადებას: „ აშშ ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს ისრაელის ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო, რომელიც აპირებს ააშენოს პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 300(სამასი) ახალი სახლი ებრაელებისათვის... პალესტინის ხელისუფლება მშენებლობის წინააღმდეგ გამოდის და აცხადებს, რომ ამგვარი ქმედებები უკანონოა და ის კონფლიქტის დარეგულირების პროცესს უშლის ხელს.“(იხ.:ჭჭჭ.რადიო ტავისუპლება.გე/ /არცჰივე/ გეო-ნეწს. 2015.07.30). ვფიქრობ, აქ კომენტარი ზედმეტია, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი ჩვენი ხელისუფლებისათვის საქართველოს საოცნებო

პარტნიორია და არა ოკუპანტი! ცხადია, ჩვენი პარტნიორი ზესახელმწიფო - აშშ, არ და ვერ გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ისრაელის ერთი მოქალაქის მიერ მცხეთაში დაგეგმილი საბინაო კომპლექსის მშენებლობის მიმართ ! დამტკიცებულს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. ეს ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში იქნება ჩარევა!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამა წლის 8 ივლისს, ინტერნეტ-ტელევიზია „ობიექტივის“ ეთერში,პოეტ ვაჟა ოთარაშვილის მიწვევით საშუალება მომეცა პროტესტი გამომეთქვა ისრაელის მოქალაქის, ბ-ნ იციკ შავითის მიერ მცხეთაში, ქალაქ-მუზეუმის ზონებში, სვეტიცხოვლის მიმდებარედ, 1400 მეტრის დაშორებით , 9500 კვადრატული მეტრის მიწის ფართობის კერძო საკუთრებაში შეძენის მიმართ, რომელზეც მან ახალი საკუთარი მეორე იერუსალიმი უნდა აგვიშენოს. აბა მის საკუთრებაში მყოფ მიწაზე მისივე აშენებული იერუსალიმი როგორღა უნდა იყოს ჩემი?! ჩემი სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ კი საზოგადობრივი გაერთიანების:“თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ სახელით წერილობითი შეკითხვით მივმართეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განთავსებულ „იუნესკოს ეროვნულ ბიუროს“, რათა განემარტა იუნესკოს უმწეობა საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რომელიც არად აგდებს იუნესკოს გაფრთხილებებს, იმ დროს, როდესაც ეს გაფრთხილებები ეხება საქართველოს ინტერესებს მისივე კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში. როგორ შეიძინა ისრაელის მოქალაქემ, მცხეთაში, იუნესკოს დაქვემდებარებაში მყოფ ქალაქ-მუზეუმში 9500კვ. მეტრის მიწა სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელ და ისრაელის მიერ არაოკუპირებულ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ?! ხ ო მ ა რ ე ყ რ დ ნ ო ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა გაეროს და აქედან გამომდინარე იუნესკოს უფლებების გადაფარვას ევროკავშირის უფლებებით საქართველოზე, და ხომ არა ჰქმნის ევროკავშირი ახალ იურიდიულ რეჟიმს მცხეთაზე, რეჟიმს ისრაელის ერთი მოქალაქისეული, ანუ ტიტულოვანი ერის წარმომადგენლისეული პრიორიტეტული უფლებებისას, რამდენადაც საქართველომ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროკავშირში, ანუ ებრაულ-მასონური გაერთიანების ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ? უფრო ზუსტად, არა საქართველომ, არამედ საქართველოს ხელისუფლებამ! რადგან ქართველი ხალხის სურვილის გამომხატველი დოკუმენტი არ არსებობს. არც საქართველოს ხელისუფლებას და არც ევროკავშირის ორგანიზატორებს ამგვარი დოკუმენტის არსებობა არც აინტერესებთ და არც მათ კანონმდებლობებს არ სჭირდებათ. როგორც ვხედავთ, მსოფლიოს ახალი წესრიგის მორალით ადამიანის უფლებათა დაცვის რიტორიკა ხალხების და ერების შეურაცხყოფაზე და უპატივცემულობაზეა გათვლილი, თორემ რომელი ნორმალური ადამიანის ღირსება შეიძლება აღმოჩნდეს დაცული მისი ეროვნული ღირსების შეურაცხყოფითა და დაკნინებით?!

იუნესკოს ეროვნული ბიუროსადმი ჩვენი მიმართვის შემდეგ, 2015 წლის 30 ივლისს, საქართველოს კულტურის სამინისტრომ იუნესკოს მითითებით გამოაქვეყნა მორატორიუმი : მიწის ყოველგვარი გასხვისებისა და ყოველგვარი მშენებლობის აკრძალვის შესახებ მცხეთაში, 2016 წლის სტამბულის სამიტამდე, სადაც უნდა მოხდეს მცხეთის, როგორც ქალაქ-მუზეუმის დაბრუნება იუნესკოს დაცვის კომპეტენციაში. ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე, ეხება თუ არა მორატორიუმის აკრძალვები პროექტებს: „მცხეთა - იერუსალიმი“ და „გეთსიმანიის ბაღი“, რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ჯერჯერობით პასუხი არ მოუწერია.

რამდენადაც პროექტის: „მცხეთა-იერუშალაიმის“ ტერიტორია თავისი პირდაპირი, სივრცის გადამკვეთი რადიუსით წიწამურისკენ მიდის, პროექტის მონაწილენი პროექტის გაფართოვებას ილია ჭავჭავაძის ძეგლის მიმართულებითაც გეგმავენ.

ჩვენის აზრით განსაკუთრებით შიშვლდება ამ პროექტის: „მცხეთა-იერუშალაიმის“ დანიშნულება, როდესაც გაირკვევა, რომ ინვესტორ იციკ შავითის „იერუსალემს“ მცხეთაში, მეორე იერუსალიმური პროექტი უერთდება. შეიძლება ითქვას, რომ ისევე, როგორც მცხეთაში თეთრი და შავი არაგვი ერთვის ერთმანეთს, ერთმანეთს ერთვის ორი პროექტი: „მცხეთა-იერუშალაიმი“ და „გეთსიმანიის ბაღი“. ამ უკანასკნელი პროექტის არსებობა, სამწუხაროდ, ჩვენ შევიტყვეთ, ჩვენი საპროტესტო სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ, მცხეთის მუნიციპალიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით. და მცხეთის მუნიციპალიტეტს დამაჯერებლობისთვის ოფიციალური დოკუმენტაცია ვთხოვეთ პროექტის გასაცნობად. „გეტსიმანიის ბაღი“-ს გაშენება ორი წლის წინ დაწყებულა საქართველოს პატრიარქის ინიციატივითა და კურთხევით და სამთავროს მონასტრის წინამდებარე ველზე ზეთისხილის ნერგები ჩაურგავთ. პატრიარქი გვპირდება, რომ გეტსიმანიის ბაღი გაფართოვდება. მისი უწმინდესობის მიერ საქართველოს პრემიერისადმი მიწერილი თხოვნის წერილით კი ვიგებთ, რომ იერუსალიმის „გეთსიმანიის ბაღი“-ს მცხეთური ანალოგი მცხეთის ჯვრის მონასტრამდე ადის . საქართველოს პატრიარქი გეთსიმანიის ბაღისათვის 49 ჰექტარს ითხოვს. თავს ნებას მივცემ, წაგიკითხოთ, საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, ი ლ ი ა მ ე ო რ ი ს ხელმოწერით დადასტურებული წერილი საქართველოს პრემიერისადმი, როგორც ოფიციალური დასაბუთება იერუსალიმის „გეთსიმანიის ბაღის“ ქართული ანალოგის მოწყობის აუცილებლობისა მცხეთაში. (ტ ე ქ ს ტ ი მოგვყავს მთლიანად):

მის აღმატებულებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ასლი: მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს, ბატონ ნუგზარ ყიფიანს

ბატონო ირაკლი,

მოგეხსენებათ, სვეტიცხოველი არის უმთავრესი ტაძარი საქართველოსი, რასაც პირველ რიგში განაპირობებს აქ დაცული სიწმინდეები, - მაცხოვრის კვართი და წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხალენი, - ძველი და ახალი აღთქმის უმნიშვნელოვანესი სიწმინდეები.

თქვენთვის ცნობილია ისიც, რომ მცხეთა ძველ წყაროებში მეორე იერუსალიმად არის მოხსენიებული. ამიტომაც აქაურ ტოპონიმიკაში გვხვდება გოლგოთა, გეთსიმანია, ბეთლემი, თაბორი, ელეონი, იორდანე, კედრონი და წმინდა მიწის სხვა დასახელებები.

მაგალითად, მცხეთის ჯვარი არის იგივე გოლგოთა, მის ქვემოთ მდებარე ტერიტორია კი, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო გადმოსაცემად ითხოვს,(49 ჰა ), - გეთსიმანიის ბაღი. ჩვენ მიწის ეს ფართობი გვესაჭიროება, რათა აქ, ერთის მხრივ, გეთსიმანიის გარემო შევქმნათ, და ამასთან გავაცოცხლოთ ბიბლიური ისტორია და ყოფა საქართველოსთან კავშირში, როგორც ეს არის რიგ ევროპულ ქვეყნებში. უნდა აღდგეს წმინდა ნინოს მიერ გაკვალული საკრალური გზაც სვეტიცხოვლიდან ჯვრამდე და ის სულიერი ერთობა, რაც ამ ორ ადგილს ოდითგანვე ჰქონდა: ასე რომ უნდა მოეწყოს როგორც დასვენების ადგილი, ისე გამორჩეული სულიერ-საგანმანათლებლო სივრცე.

ამიტომაც, გთხოვთ, გადმოგვცეთ აღნიშნული 49 ჰა მიწის ფართობი.

ეს საკითხი გასულ წელს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა ერთობლივ კომისიაზე მოწონებულ იქნა და, თუ თქვენის მხრიდანაც თანხმობას მივიღებთ, ვფიქრობთ, მცხეთა, როგორც წმინდა ქალაქი, კიდევ უფრო დიდ დატვირთვას შეიძენს და კიდევ უფრო მრავალ მომლოცველსა და დამთვალიერებელს მოიზიდავს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ რამდენადაც წმინდა დედაქალაქი მცხეთა დაცულია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კონვენციით, ჩვენს მიერ განხორციელებული ყველა სამუშაო შესაბამისობაში იქნება მის მოთხოვნებთან.

აღნიშნული ტერიტორიის სხვა მიზნით გამოყენება კი, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერსპექტივით, მიუღებლად მიგვაჩნია.

ღმერთმა დაგლოცოთ.

+ ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.

წინამდებარე წერილი თან ახლდა ჩვენს მიერ ოფიციალურად გამოთხოვილ „მცხეთა-იერუსალიმისა“ და „გეთსიმანიის ბაღის“ პროექტებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, მცხეთის ოფიციალური დაწესებულებიდან.

აქ ნამდვილად ურიგო არ იქნება გავიხსენოთ მამა გიორგი ზვიადაძის განმარტება მისი უწმინდესობის ერთ-ერთი გახმაურებული საშობაო ეპისტოლეს (2014 წ.) გამო, რომ პატრიარქის ეპისტოლეები არ წარმოადგენენ მის პირად წერილებს, რომ საქართველოს საპატრიარქოში მუშაობს მთელი „მექანიზმი“ პატრიარქის ეპისტოლეების შექმნისა. სამწუხაროდ საზოგადოებისთვის უკვე შეუძლებელი ხდება გარკვევა იმისა, თუ სად იწყება ზღვარი პატრიარქსა და „მექანიზმს“ შორის, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ეპისტოლეს უკვე ქადაგების სახე აქვს, და პატრიარქის პიროვნულ მეტყველებაში ვისმენთ, როდესაც პატრიარქი საუფლო კვართსა და ილია წინასწარმეტყველის ხალენს თითქმის თანაბარი ღირებულების სიწმინდეებად მოიხსენიებს: ერთს - ძველი აღთქმისად და მეორეს - ახალი აღთქმისად, რითაც ფაქტიურად ძველი და ახალი აღთქმის მნიშვნელობებსაც უთანაბრებს ერთმანეთს. მხედველობაში გვაქვს საპატრიარქოს რადიო „ივერიის“ მიერ 2015 წლის 9 ივლისს გადაცემული, საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის ქადაგება იოანე ნათლისმცემლისა და ილია თესბიტელის ხალენის შესახებ, რომელიც სრულიად თანხვედრილია, როგორც საპატრიარქო პოზიცია საქართველოს პრემიერისადმი ზემოთხმობილი წერილის ავტორის პოზიციასთან . უფრო მეტიც: ქადაგებაში მისი უწმინდესობა განგვიმარტავს, რომ ქრისტეს მოვლინებამდე, 600 წლის წინ, ქალდეველთა მეფის,ნაბუქოდონოსორის დარბეულმა „ებრაელებმა, მარტო ხალენი კი არ ჩამოგვიტანეს, მცხეთას, არამედ ჭეშმარიტი ღმერთიც გვიქადაგეს კერპთაყვანისმცემელ ქართველებს და ქრისტიანობისათვისაც მოგვამზადეს“. - აქედან დაიწყოო ჩვენი მოქცევა- ბრძანებს მისი უწმინდესობა - მერე მოვიდნენო მოციქულები საქართველოში. ამიტომ საქართველოს პატრიარქის ქადაგების ქვეტექსტით და ღია შთაგონებით,

მცხეთა ქართველთა და ებრაელთა ქალაქია. აი, რაში სურს მის უწმინდესობას ჩვენი დარწმუნება. ქადაგებაში განმარტებული არ აღმოჩნდა ქრისტეს წინ ექვსი საუკუნით ადრე ჩამოტანილი ხალენი როგორ ან როდის დაიკრძალა სვეტიცხოველში? მაგრამ აქ მარტო ხალენის სვეტიცხოველში დაკრძალულობის ფაქტთან არა გვაქვს საქმე, რომლის შესახებაც არანაირი ისტორიული წყარო არ არსებობს, მაშინ როდესაც კვართის ისტორია და ქართული ქრისტიანობის ისტორია დოკუმენტურად, ისტორიული წყაროებით, განუყოფელია.

საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ქადაგება, როგორც განმიმარტა რადიო „ივერიის“ წარმმართველმა ქალბატონმა , 2015 წლის 9 ივლისს განმეორებითი გადაცემა იყო 2004 წლით დათარიღებული ქადაგებისა. ჩემი ყურადღება საგანგებოდ მიიპყრო აღნიშნულმა ქადაგებამ, რამდენადაც იგი ჩემი საპროტესტო გამოსვლის მეორე დღეს იქნა გაშვებული საპატრიარქოს ეთერში: ჩემი საპროტესტო გამოსვლა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისრაელის მოქალაქის, ბ-ნი იციკ შავითის მიერ ქალაქ-მუზეუმში, მცხეთაში, ერთი ჰექტარი მიწის ყიდვასთან დაკავშირებით, ახალი იერუსალიმის ასაშენებლად, 2015 წლის 8 ივლისს შესდგა, ინტერნეტ ტელევიზიის, ობიექტივის პირდაპირ ეთერში. 2015 წლის 9 ივლისის განმეორებით ქადაგებაში კი, საქართველოს პატრიარქი არა მარტო ელია თესბიტელის ხალენის ჩამოტანას განგვიმარტავდა საუფლო კვართის ჩამობრძანების წინა საფეხურად, არამედ ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის დარბეულ ებრაელებსაც , რომელთაც თურმე დარბეულებმა კი არ შეაფარეს თავი მცხეთას, მცხეთის მამასახლისისაგან ხარკის დაწესებით, არამედ ჭეშმარიტი ღმერთის მქადაგებლებად და ქრისტეს მოციქულების წინარე მასწავლებლებადაც მოგვევლინენ. ჩვენ, ქართველი ხალხი, რომელიც ქრისტესწინარე ქრისტიანებად მივიჩნევთ ჩვენს თავს, ჩვენი ეროვნული მახასიათებლების გამო, თურმე ნაბუქოდონოსორის დარბეულმა ებრაელებმა მოგვამზადეს ქრისტიანობისათვის საქართველოში, მაგრამ იმავე ებრაელებმა, საქართველოში, საკუთარი თავი ვერ მოამზადეს ქრისტიანობისათვის, ხოლო თავიანთ ქვეყანაში მაცხოვარიიესო ქრისტე ჯვარს აცვეს. ლეონტი მროველის ცნობით, კონსტანტინოპოლიდან წმინდა ნინოს ჩამოყვანილი ეპისკოპოსისა და მღვდელ-დიაკვნების მიერ გამართული დიდი საერო ნათლობის დროს მცხეთელმა ებრაელებმა უარი განაცხადესო მონათვლაზე- გვამცნობს მემატიანე „ქართლის ცხოვრებისა“.

რაც შეეხება ებრაელთა ღმერთის ჭეშმარიტებას. აქ დიდ უხერხულობასთან გვაქვს საქმე. ებრაელთა ღმერთი რომ ჭეშმარიტი ღმერთი ყოფილიყო, იესო ქრისტეს მოვლინება აღარ იქნებოდა საჭირო. ერთპიროვნული მამაღმერთი ებრაელებისა -იეღოვა და სამპიროვანი ერთი ღმერთი ქრისტიანებისა ცა და მიწასავით არიან დაშორებულნი ერთმანეთისაგან. საქართველოს პატრიარქის ერთერთ გახმაურებულ ეპისტოლეში ვკითხულობთ, რომ მოსემ შექმნა ათი მცნება, ხოლო იესო ქრისტემ დაამატა ერთი მცნება“. არაფრით არ შეიძლება, რომ ეს პატრიარქის სიტყვები იყოს. ის ერთი მცნება, „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“- კი არ დაამატა მაცხოვარმა, არამედ ერთ მცნებაში მოაქცია მოსეს ყველა მცნება, და დატოვა მხოლოდ პირველი: ანუ მცნება უფლის სიყვარულისა. - მოყვასის სიყვარული ყველა მცნების მომცველიაო თავისთავში, გვითხრა მაცხოვარმა. გარდა ამისა, მსოფლიო ბიბლეისტიკაში, დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მოსეს ათი მცნება ეგვიპტელთა წმინდა წიგნიდან არის გადაწერილი, ხოლო ებრაელთა მთელი თეოლოგია, სამყაროს ბიბლიური შექმნისა, გადმოტაცებული და ნასესხებია ჩვენი წინაპრების, ქალდეველების სიბრძნიდან, და არა მარტო ნასესხები, დასახიჩრებულია თეოლოგიურად. ამ დასახიჩრების მხილებას შეეწირა კაცობრიობის უდიდესი გონითი ენერგია საუკუნეების განმავლობაში. წმინდანად შერაცხული საქართველოს პატრიარქი, კირიონ მეორე(გიორგი საძაგლიშვილი) საოცარი გაბედულებით ამხელდა ებრაელთა მიერ სხვა ხალხთაგან მითვისებულ რელიგიურ შეხედულებებს, რომელთა მორგებითაც საკუთარ ყაიდაზე, საუკუნეების განმავლობაში შეჰყავდათო შეცდომაში მთელი მსოფლიო ებრაელებს (იხ.: გაზეთი - ალმანახი: „ერის ღირსება“, 2006 წელი). მწუხარებითა და გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ზემოთმოხმობილი ქადაგების მიხედვით, მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის უცნაური წადილი საქართველოს ისტორიაში ებრაული მენტალიტეტის ხელოვნური გაზრდისა და მაღლა აწევისა, სრულიად კავშირშია 2007 წელში გამოქვეყნებულ გაიოზ მამალაძის წერილთან, რომელიც საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა წინაპრების დაბრუნებას(!), დაბრუნებას და არა პირველ ჩამოსვლას საქართველოში, ნაბუქოდონოსორის დარბეულ ებრაელთა ისტორიული ტყვეობის ეპიზოდთან დაკავშირებულ ამბად განიხილავს, სუმბატ დავითის ძის ქრონიკაზე დაყრდნობით, და ბაგრატიონებს ქართული ქრისტიანობის ებრაელ ხელმძღვანელებად წარმოგვიდგენს. იგივე სულისკვეთებისაა ვლადიმერ ვახანიას მიერ ქალდეველებზე გამოგონილი „ბიბლიური მითები“, ვითომ ბაბილონელებმა იმიტომ წაასხეს ტყვედ ებრაელები, რომ ებრაელთა მსოფლიო ბატონობა იწინასწარმეტყველეს და ტყვედ წაყვანილ ებრაელებს თავისი სიბრძნე წერილობით ჩააბარეს... ეს თანხვედრილობა ებრაული მენტალიტეტის აწევის სხვადასხვა გზით მცდელობებისა მიმანიშნებელი უნდა იყოს ყველა ამ პოზიციის – ვლდიმირ ვახანიას, გაიოზ მამალაძის და საქართველოს დღევანდელი ეკლესიის ერთიან და საერთო სათავეზე, სახელმწიფოებრივ სათავეზე.

მისი უწმინდესობის დაბეჯითებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ სვეტიცხოველშია დაკრძალული ორი დიდი სიწმინდე:კვართი უფლისა და ილია წინასწარმეტყველის ხალენი, უნდა შევნიშნოთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“, არანაირი წყარო იმისა, რომ ხალენი სვეტიცხოველშია დაკრძალული, არ არსებობს. ეს რომ ასე იყოს, პირველ რიგში ამას თამარ მეფის ნდობით აღჭურვილი საქართველოს პატრიარქი - ნიკოლოზ გულაბერისძე აღნიშნავდა თავის თხზულებაში:“საკითხავნი სვეტიცხოველისანი“. მითუმეტეს რომ სწორედ ამ საკითხავში ავლენს საქართველოს ეს უგანათლებულესი პატრიარქი, ისტორიული წმინდა მოსასხამებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას და საგანგებო კლასიფიკაციას ამ მოსასხამებისას საუფლო კვართთან მიმართებაში. ისტორიული წმინდა მოსასხამები ეს „მონათა საგრაგნელებია“, ხოლო კვართი იესო ქრისტესი, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს ოქროს ხანისეული პატრიარქის, ნიკოლოზ გულაბერისძისათვის სრულიად ცალკე დგას ყველა ისტორიული და წმინდა მოსასხამისაგან, რამეთუ იგი თავისი არსით ქვეყნიერების დამტევ სიწმინდეს ნიშნავს: “გიხაროდენ, ჰოი, კვართო, გამოუთქმელო ქებათა კაცობრივთა ენათაგან, რამეთუ უკუეთუ მონათა საგრაგნელნი ესრეთ იდიდებიან ვიდრემე, ვითარცა საცნაურ არს აჰრონისა შესამოსელთათვის, მოსეს პირის საბურველთათვის, ელიაის და იოანეს ხალენისათვის, პეტრეს და პავლეს სუდარ-ვარშამანგებისათვის, ვინ-მე უკუე შეუძლოს შესხმად დიდებისა შენისა, რომელსა ცანიცა ვერ დაიტევენ, თვით ღმერთი იგი , დამბადებელი ყოველთაი, შენ შორის სათნოყოფით დატევნულობდა. ჰოი, სამგზის სანატრელო კუართო საღმრთოო, რამეთუ თვით მებრ ესე ოდენ კმა არს შენდა ქებად ღირსებით სახელდებაი ოდენ ღმრთისა კუართობისაი შენ შორის, კუართო საღმრთოო და საუფლოო!“(ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავნი სუეტიცხოველისანი“, ნესტან სულავას გამოცემული 2007 წელს, მცხეთა-თბილისი). თითქმის გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ სტრიქონების ავტორს, საქართველოს პატრიარქს, მსოფლიო სიწმინდეებში განსწავლულს,მსოფლიოს უდიდესი სალოცავების მოლოცვისათვის პატრიარქობიდან გადამდგარს და საპატრიარქო ტახტზე მხოლოდ თამარ მეფის თხოვნით დაბრუნებულს, სცოდნოდა, რომ ელიას ხალენი, რომელიც მისეულ „სვეტიცხოვლის საკითხავებში“ „მონათა საგრაგნელთა“ კატეგორიაშია მოხსენიებული, დაკრძალული იყო სვეტიცხოველში, იქ, სადაც საუფლო კვართია დაკრძალული და ეს მოხსენიებისა და საგანგებოდ პატივმისაგები განმარტების გარეშე დაეტოვებინა.

თუ ნაბუქოდონოსორის დარბეულ ებრაელებს ხალენის წამოღების თავი ჰქონდათ, ეს ებრაული წყაროებით უნდა იყოს დადასტურებული. გარდა ამისა, როდესაც ისინი ჩამოვიდნენ მცხეთაში, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სწორედ რომ დარბეულები, ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ, ე.ი. მეექვსე საუკუნეში ქრისტეს წინარედ, მაშინ სვეტიცხოველი არ არსებობდა. სვეტიცხოველი აშენდა ათი საუკუნის შემდეგ და მთელი ისტორია სვეტიცხოვლის აშენებისა და კვართის ჩამობრძანებისა, ქართულ მატიანეში აღწერილია. როგორ შეიძლება ასეთი რელიქვიის საიდანმე გადაკრძალვის ფაქტი სადმე არ დადასტურებულიყო სვეტიცხოველთან დაკავშირებულ ქართულ წყაროებში. “ქართლის ცხოვრებაში” ერთადერთხელ იხსენიება ხალენი. ისიც გაურკვეველი და უმისამართო ინფორმაციის სახით: -ვიეთმე ამბობენო, რომ ხალენიც მცხეთაშიაო - ვითომ წმინდა ნინო ეტყვის მეფე მირიანს: „ვიღაცეები“ ამბობენო... საგანგებოდ მომყავს ეს ფრაგმენტი ვრცლად, აზრის სრულყოფილად წარმოჩენისათვის:

„...ღმერთი არს ცათა შინა, უხილავ არს თავადი იგი ყოველთა დაბადებულთაგან, თვინიერ ძისა მისისა, რომელი მისგან გამოვიდა და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა ვითარცა კაცი, რომელმან აღასრულა ყოველი, რომლისათვის მოსრულ იყო და აღვიდა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა.... მეფეო, ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა მიხედვად[თუ: „ღმრთისა მიმართ“, შდრ. ქვემოთ:“და ერიცა თვისი მიაახლოს ღმერთსა“, დ. ს. } რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ერთი: სამოსელი ძისა ღმრთისა აქა არს {და ხალენისა მის ელიასი თქუეს ვიეთმე აქავე ყოფა. და მრავალნი საწაულნი არიან, რომელნი ღმერთმან გამოაჩინნეს }. და აწ მე, მთავარი ესე შენი განვკურნო ძალითა ქრისტეს ღმრთისათა ჩემისათა და ჯუარითა ვნებისა მისისათა, ვითარცა დედოფალი განვკურნე სენისაგან დიდისა. და რა იგი ვაუწყე მას, ჰყოფს იგი, რათა სულიცა თვისი განაბრწყინვოს და ერიცა თვისი მიაახლოს ღმერთსა“. ( ქ.ცხ. ტ.1. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ, 1955 წ., გვ. 107, სტრ. 21).

თუ დავაკვირდებით, ტექსტში, არაფერ შუაში არ არის ილიას ხალენის მოხსენიება ყურმოკრულის საფუძველზე. უფრო მეტი: წმინდა ნინოს მსჯელობითი აზრი ჩაჭრილია და გადასვლა კვართიდან ქრისტეს ძალაზე დარღვეულია ხალენის ხსენებით. გარდა ამისა ჩანართი ხალენისა წამძღვარებულ ნათქვამს ეწინააღმდეგება:ნათქვამი იყო:“... არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ერთი: სამოსელი ძისა ღმრთისა აქა არს...და აწ მე მთავარი ესე შენი განვკურნო ძალითა ქრისტეს ღმრთისათა ჩემისათა...“. ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი თხზულების: „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ დამწერს არ უთქვამს: „არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ორი“ . „ხალენისა მის ელიასი თქუეს ვიეთმე აქავე ყოფა“ აშკარად ჩართულია სწორედ ხმის დასაყრელად. ნინოს გამოთქმულ აზრს არანაირად არ სჭირდება აქ ხალენის შემოტანა.თხზულების მიხედვით

წმ. ნინო ეუბნება მეფე მირიანს, რომელმაც ნანა დედოფალთან ერთად სთხოვა მას სენით შეპყრობილი მოგვთა მთავრის განკურნება: – მეფეო, მოახლოვებულია შენი ხვედრი უფალთან მიახლებისა, რადგან საწაულით ამ ქალაქშია სამოსელი ღმერთის ძისა, ჩემი ღმერთისა, ქრისტესი, რომლის ძალითაც უნდა განვკურნო მთავარი შენი, ისევე როგორც განვკურნე დედოფალი დიდი სენისაგან. და რაც მე ვაუწყე მას, იგი აღასრულებს (კიდეც უწყებულს), რათა განიბრწყინოს თავისი სულიცა და ერიც თვისიც მიაახლოს უფალს.

აღნიშნული ფრაგმენტი ავლენს ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ იერუსალიმიდან ჩამოსულმა ნინომ, იერუსალიმის პატრიარქის დისწულმა, რომელმაც იერუსალიმიდანვე იცის მაცხოვრის კვართის დავანება მცხეთას, რომ იგი , კვართი უფლისა იერუსალიმიდან მცხეთაშია წამოღებული, და მცხეთაში შემოსვლისთანავე პირველ კითხვას კვართთან დაკავშირებულს სვამს, მაგრამ არაფერი იცის ილია წინასწარმეტყველის ხალენის შესახებ.მხოლოდ მცხეთაში იგებს ამას და ამასთან, არა როგორც დადასტურებულს, არამედ ვიღაცეების გაურკვველ ნათქვამს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წმინდა ნინოს, ელია წინასწარმტყველის ხალენის მცხეთაში დაკრძალულობის შესახებ ცნობა, იერუსალიმიდან არ მოჰყოლია, თვით იერუსალიმის პატრიარქისაგან. ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ „ელიაის ხალენის“ ის ერთადერთი მოხსენიების ფრაგმენტი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, როგორც წმინდა ნინოს საუბრის ამონარიდი მეფე მირიანთან, ზუსტად არის მოხმობილი ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ თავის სახელგანთქმულ თხზულებაში: „საკითხავნი სვეტიცხოველისანი“, სადაც წმინდა ნინოს ეს სიტყვა ხალენის მოხსენიების გარეშეა წარმოდგენილი. ე. ი. ნიკოლოზ გულაბერისძის ვერსია ნინო-მირიანის საუბრის ეპიზოდისა ხალენის მოხსენიებას ნინოს მიერ საუფლო კვართის კონტექსტში, არ ადასტურებს. ამრიგად ფაქტია, რომ ელიას ხალენის არსებობა მცხეთას ქართული ქრისტიანობის წარმომადგენელმა და მსოფლიოს ორმა დიდმა პატრიარქმა არ იცის რომ ილია წინასწარმეტყველის ხალენი მცხეთაშია ჩამოტანილი: არც იერუსალიმის პატრიარქმა, იუვენალმა, წმინდა ნინოს დედის ძმამ, რომლის კურთხევითაც ნინო საქართველოში მოდისკვართის ჩამომტანი მცხეთელი ელიოზის კვალზე, და არც მისმა უწმინდსობამ, საქართველოს პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერისძემ, რომელიც საგანგებო და საკუთრივი მემატიანე და მეხოტბეა სვეტიცხოვლისა და სვეტიცხოველში დაკრძალული საუფლო კვართისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს, ანუ ქ ა რ თ უ ლ  ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა შ ი, საერთოდ, ხ ა ლ ე ნ ი ს ფ ე ნ ო მ ე ნ ი  ი ლ ი ა  მ ე ო რ ი ს  მ ი ე რ საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებისთანავე იქნა წამოწეული, მაგრამ მ ი ს ი  ი ს ტ ო რ ი უ ლ ი  რ ე ა ლ ო ბ ი ს  ს ა კ ი თ ხ ი  ა რ ა ს ო დ ე ს  გ ა მ ხ დ ა რ ა  მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი  შ ე ს წ ა ვ ლ ი ს  ს ა გ ა ნ ი. ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს ისტორიის მთელ რიგ შეუსწავლელ პრობლემებთან, რომელთა პირველწყაროს - „ქართლის ცხოვრების“ - მეტისმეტად დაზიანებული, და წარყვნილი ტექსტი წარმოადგენს. ამას ყველა მკვლევარი აღნიშნავს ერთხმად. ამიტომ სრულიად სამართლიანად წერს „ ქართლის ცხოვრების“ ერთერთი საგანგებო მკვლევართაგანი, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე  გ რ ი გ ო ლ ი ა, რომელსაც მაღალ შეფასებას ანიჭებს აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი: “საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის „ქართლის ცხოვრებას“ დამსახურებულად უჭირავს-ო მთავარი ადგილი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც იქ არის ჩაწერილი. „ქართლის ცხოვრებაზე“ გულდანდობით დამყარება და მისი ცნობების უკრიტიკოდ გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამგვარ გულუბრყვილო ნდობას ძეგლისადმი მკვლევარი შეუძლია სერიოზულ შეცდომებამდე მიიყვანოს“(კ.გრიგოლია-„რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება“).

როგორც ვხედავთ, ცნობა, რომლითაც დავით აღმაშენებელი, მისმა მემატიანემ, მთელ რიგ გარემოებათა გამო, 78-ე თაობად მოიხსენია დავით წინასწარმეტყველისად, სწორედ იმდაგვარ ცნობებს მიეკუთვნება, რომელთა შინაარსზე გულდანდობით დამყარებას სერიოზულ შეცდომებამდე შეუძლია მიგვიყვანოს. საქართველოს ეკლესიამ ეს ცნობა კი არ ახსნა, არამედ- როგორც ცნობილი მკვლევარი კონსტანტინე გრიგოლია აღნიშნავს, „გამოიყენა სრულიად უკრიტიკოდ“ და მივიდა სერიოზულ შეცდომამდე: ქართველი ერის მთელი ისტორია ძირფესვიანად ჩააბარა ებრაელებს, წყალი იმ წისქვილზე დაასხა, იმ ინფორმაციულ ომზე, რომლითაც გარკვეული ებრაული ძალები ცდილობენ ჩვენი ტერიტორიის მითვისების მიზნით თავი გამოაცხადონ ჩვენი, ქართველი ერისავე მოდგმის ხალხად.

მთელი ეს ინფორმაციული ომი, რომელიც საქართველოს და ქართველი ერის, როგორც დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ერის ჩაყლაპვას ემსახურება მხოლოდ, ებრაელთა მიერ, პოლიტიკური ცილისწამებაა ქართველი ერის ვინაობაზე თავსმოხვეული, მისივე გონების ასამღვრევად და შეცდომაში შესაყვანად, ქართველთა ქვეყნის მიტაცების მიზნით. მსოფლიოს ახალი წესრიგის სახელით მიმდინარე მთელი მსოფლიო პოლიტიკა მოითხოვს საერთაშორისო სამართლებრივ განხილვასა და ანალიზს. მსოფლიოს ეს ახალი წესრიგი, რომელიც აშკარად უწესრიგობისა და მსოფლიოს ნგრევის სურათს უფრო გვიქმნის, ვიდრე წესრიგისას, აშკარად მთელი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის შთაბეჭდილებასა და განცდას სტოვებს, როგორც მას ცნობილი ამერიკელი

პოლიტოლოგი, დოქტორი ჯონ კოლემანი უწოდებს: კაცობრიობის წინააღმდეგ მოწყობილი შურისმაძიებელი შეთქმულების შთაბეჭდილებას. მსოფლიოს ახალი წესრიგის ნიღბით შემოსულ მსოფლიო ებრაელობას სურვილი აქვს მოვიდეს ქართველთა ქვეყანაში, ანუ ქართველთა, როგორც თავისი უფალივით ჯვარცმული ერის ქვეყანაში, როგორც საკუთარ ქვეყანაში, მოვიდეს თავისი ე. წ. „მეგობრული ინვესტიციებით“, ამასთან როგორც წარმომადგენელი ჩვენი უფლის ჯვარმცმელი ხალხისა და „მეორედ მოსვლის“ ჩვენეულ მოლოდინში ჩაინაცვლოს, ცინიზმით, ანუ ანტიქრისტე ინვესტორი მოვიდეს მეგობრობის, ანუ ქრისტეს ნიღბით.

საქართველოს ეკლესიას კი სურვილი აღმოაჩნდა ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს გეთსიმანიის ბაღის მზადებით შეხვდეს, ანუ იერუსალიმის იმ ისტორიული ბაღის ანალოგის მოწყობით, სადაც იუდა ეამბორა ქრისტეს, სადაც ავაზაკივით შეიპყრეს იესო ქრისტე გასაშოლტად და ჯვარზე საცმელად, სადაც ქრისტეს შეპყრობით დამფრთხალი მოციქულები მიიფანტ-მოიფანტნენ და დაიმალნენ... რატომღაც, ჩვენ, საქართველოს პატრიარქმა დასვენება და განათლება მცხეთაში ხელოვნურად შექმნილ გეთსიმანიის ბაღში მოგვისაჯა. მცხეთა „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილი იყო ქართლის მეფეთა სამეფო ბაღებით: სამოთხე-ბაღნარებით, ამ ბაღნარებთან დაკავშირბული სასწაულებით. თავად სვეტიცხოვლის აშენებაც სამეფო ბაღის ტერიტორიაზე მოუსურვებია მეფე მირიანს. ყველა სასწაული, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის აშენებასთან არის დაკავშირებული, ხდება სამეფო ბაღის ტერიტორიაზე:“ვითარცა რიჟუ-რაჟუ ოდენ იყო, აღდგა მეფე მირიანი გულგდებული ურვათაგან, მიხედნა სამოთხესა მას და დაწყებულსა ეკლესიასა, სადა- იგი მტკიცე იყო გონება მისი, იხილა ნათელი, ვითარცა ელვა აღწევნული ცად სამოთხით მისით... და ყოველი ერი ქალაქისა მოვიდა მისთანა. ვითარცა იხილეს საკვირველი იგი, ნათლით-ბრწყინვალე სუეტი ჩამოვიდოდა ადგილად თვისად, რეცა ვითარცა ზეცით, და დადგა ხარისხსა მას ზედა, და დაემყარა ხელით შეუხებლად კაცთაგან...“(იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ.1, გვ.93, გვ.111- 112, გვ.114-115). სვეტიცხოველზე დიდი სასწაული რაღა უნდა მოხდეს მეფე მირიანის სამოთხეში, სადაც თავად მაცხოვრის კვართია დაკრძალული! მეფე მირიანის სამოთხის მცველთა სახლში შეჩერებულა პირველად მცხეთაში უცხოდ შემოსული წმინდა ნინო და იქ უცხოვრია ცხრა თვე. პირველი საწაული წმინდა ნინომ სწორედ მირიანის სამოთხის წმინდა მიწის ძალითა და სასწაულებრივი მადლით აღასრულა,. განა სამთავროს ტერიტორია, სადაც მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას საფლავებია, საქართველოს სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის პირველმადიარებელი მეფე-დედოფლის, თავისი ახალი ბაღნარით არ იმსახურებს მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის სახელს, და ეს უფრო ბუნებრივი არ იქნება მცხეთისთვის, როგორც საქართველოს უძველესი დედაქალაქისა და წმინდა ქალაქის ისტორიისათვის?! განა მეფე მირიანის ისტორიულ ნაბაღნარზე გაშენებული თუნდაც იერუსალიმის „გეთსიმანიის ბაღი“ არ დაემგვანება „ნაბოთეს ვენახს“?! ახალი იერუსალიმი სრულიადაც არ ნიშნავს ჩვენი დიდი წინაპრებისთვის არც იერუსალიმის გეოგრაფიულ გადმოხატვას და არც მსოფლიო ებრაელობის ბიზნეს-კომერციულ ქალაქად გარდასახვას. გეთსიმანიის ბაღი სამთავროს ტერიტორიიდან დაწყებული მცხეთის ჯვრის მონასტრამდე, დღევანდელ ვითარებაში(!), ეს ხომ იციკ შავითთა, ანუ ებრაელ ინვესტორთა საამებლად გამოგონილი ბაღია?!

სათავე ამ ორივე პროექტისა, რომელზედაც ვსაუბრობთ : „გეტსიმანიის ბაღისაც“ და „მცხეთაიერუსალიმისაც“, საქართველოს ეკლესიურ ცნობიერებაზე თავს მოხვეული ჯერ ბაგრატიონთა ებრაელობაა, ანუ საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ რელიგიური და ქართულ - ეკლესიური კანონიკური შინაარსის გაგება დავით მეფისაგან ხორციელი შთამომავლობის მნიშვნელობით და შემდეგ უკვე მთელი ქართველი ერისა და მთელი ებრაელი ერის გამოცხადება ერთი მოდგმის ანუ იბერიული მოდგმის ხალხებად. .. ეს ისრაელი, როგორც ანტიქრისტე მოიწევს მცხეთაში, ქართული სულის ჭურჭელში ჩასადგომად, ახალი საღმრთო და საზეპურო ერის აღსაკვეთად ქართული მიწიდან, რათა სვეტიცხოვლის ფუძეში დაკრძალულ დედა სიდონიას მკლავებს, გულში ჩაკრული საუფლო კვართი გამოგლიჯოს და სვეტიცხოველი, როგორც ქალდეველთა მოდგმის ახალი ბაბილონის ტაძარი, დაგვინგრიოს. მაგრამ მომავალი კაცობრიობისა ეკუთვნის ქრისტეს ,და ქრისტიანობას, ხოლო საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა!

